



ანსუ



კატალოგი

აკაკი შერთლის სახელობის
უნივერსიტეტი



აქახი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამების

კ ა ტ ა ლ ო გ ი

პროგრამები განხილულია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს მიერ
24.01.2019

ქუთაისი
2019

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო მიმართულებების ფართო სპექტრით. უნივერსიტეტის მისიას წარმოადგენს:



- ✓ მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე;
- ✓ პროფესიული განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა თანამედროვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით;
- ✓ თანამედროვე და აქტუალური სამეცნიერო კვლევების წარმართვა;
- ✓ სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინება;
- ✓ საზოგადოებაში ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა.

აკრედიტებული პროგრამები	რაოდენობა
საბაკალავრო	46
სამაგისტრო	57
სადოქტორო	33
ერთსაფეხურიანი	4
ერთწლიანი პროგრამა	2
დამატებითი (მაინორ) პროგრამა	8
სულ	150

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები	7
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.....	7
ქართული ენა და ლიტერატურა	7
ინგლისური ენა და ლიტერატურა.....	9
გერმანული ენა და ლიტერატურა.....	11
ფრანგული ენა და ლიტერატურა.....	13
რუსული ენა და ლიტერატურა	15
ადმოსავლური ფილოლოგია	17
არქეოლოგია.....	20
ისტორია	23
ფილოსოფია	25
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	27
ბიზნესის ადმინისტრირება	27
ეკონომიკა	30
სოციალური მეცნიერებები	32
სამართალი	35
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	41
მათემატიკა.....	41
კომპიუტერული მეცნიერებები.....	43
ქიმია	45
გეოგრაფია	47
ბიოლოგია	49
ეკოლოგია	52
გამოყენებითი ბიომეცნიერებები	54
ფიზიკა	57
პედაგოგიური ფაკულტეტი	59
მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო	59
მედიცინის ფაკულტეტი	64
ფარმაცია	64
ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია	68
საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი.....	71
სატრანსპორტო ლოჯისტიკური სისტემის ორგანიზაცია და მართვა	71
ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა	74
ელექტრული ინჟინერია	76
მშენებლობა	81
ხარისხის მართვა და ტექნიკურ ეკონომიკური ექსპერტიზა	83
კვების ინდუსტრიის ინჟინერია, საწარმოო პროცესების და მანქანების მართვა	86
საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი.....	89
გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია.....	89
სასურსათო ტექნოლოგია	91
გამოყენებითი დიზაინი.....	94
ფარმაცევტული პრეპარატების ქიმია და ტექნოლოგია.....	96
აგრარული ფაკულტეტი	99
ტურიზმი	99
აგრონომია	101

აგროინჟინერია.....	105
აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა	108
საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი.....	112
მენეჯმენტი	112
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები	116
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	116
ქართული ლიტერატურა.....	116
ქართველური ენათმეცნიერება.....	118
ინგლისური ენა და ლიტერატურა.....	122
გერმანული ენა და ლიტერატურა.....	125
ფრანგული ენა და ლიტერატურა.....	128
რუსული ენა და ლიტერატურა	130
ადმოსავლური ფილოლოგია	132
ხელოვნების თეორია.....	135
ამერიკისმცოდნეობა.....	138
ევროპისმცოდნეობა.....	140
ევროპის და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორია	143
ლინგვისტიკა	145
საქართველოს ისტორია	147
არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები.....	149
კლასიკური ფილოლოგია.....	153
ფილოსოფია-რელიგიის კვლევები.....	156
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	159
ბიზნესის ადმინისტრირება	159
ჟურნალისტიკა	162
საჯარო მმართველობა	164
სისხლის სამართალი.....	166
საჯარო სამართალი	169
ეკონომიკა	172
ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში (ინგლისურენოვანი).....	175
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	177
მათემატიკა.....	177
რეგიონალური გეოგრაფია და რეკრეაციული რესურსები	179
ბიოლოგია (ბიოლოგია-ეკოლოგია).....	181
გამოყენებითი ბიომეცნიერებები	184
კომპიუტერული მეცნიერებები.....	187
მედიცინის ფაკულტეტი	189
ფარმაცია	189
ბიოსამედიცინო ინჟინერია.....	193
საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა	196
საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი.....	199
სატრანსპორტო ლოჯისტიკა	199
ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი	201
ელექტროენერგეტიკა.....	203
მშენებლობა	205
საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი.....	207
გარემოს დაცვა და საინჟინრო ეკოლოგია	207
სასურსათო ტექნოლოგია	209
კოსტიუმის დიზაინი.....	212
ფარმაცევტული პრეპარატების ტექნოლოგია	214
აგრარული ფაკულტეტი	216
ტურიზმი	216
აგროეკოლოგია.....	218

ლანდშაფტური არქიტექტურა	221
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები	225
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	225
დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურა	225
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	227
ფუნქციათა თეორია.....	227
საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტი	229
სატრანსპორტო პროცესების ორგანიზაცია და მართვა	229
საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი.....	232
გარემოს დაცვის ინჟინერია.....	232
აგრარული ფაკულტეტი	234
აგრონომია	234
ერთსაფეხურიანი.....	236
მედიცინის ფაკულტეტი	236
სამკურნალო საქმე	236
სტომატოლოგია	239
სამკურნალო საქმე (ინგლისურენოვანი)	242
მედიცინა + PBL.....	245
ერთწლიანი პროგრამა	248
პედაგოგიური ფაკულტეტი	248
მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამა.....	248
დამატებითი მაინორ პროგრამები.....	251
მოდის დიზაინი	251
ინტერიერის და ტექსტილის დიზაინი	253
პროგრამის სახელწოდება: ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კონსტრუირება და ტექნოლოგია	257
მოსამზადებელი პროგრამა	259
ქართულ ენაში მოსამზადებელი პროგრამა	259
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.....	610
საკონტაქტო ინფორმაცია	612

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ქართული ენა და ლიტერატურა

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

სტუდენტთა მომზადება ზოგადფილოლოგიური მიმართულებით; საბაზისო მოთხოვნათა შესაბამის დონეზე ქართველურ ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობაში ცოდნის მიღება; ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის ძირითად საკითხებსა და ქართველოლოგიის ზოგად პრობლემებში გაცნობიერება; დარგის პრობლემატიკის შესასწავლად საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება; პრაქტიკული საქმიანობისათვის და მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად მომზადება.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები	15 ECTSკრედიტი
პროგრამისათვის სავალდებულო კურსები	125 ECTSკრედიტი
პროგრამის არჩევითი კურსები	40 ECTSკრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTSკრედიტი
სულ	240 ECTSკრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

ბაკალავრიატის კურსადმთავრებულს აქვს საბაზისო ცოდნა ქართულ ლიტერატურასა და ქართველურ ენათმეცნიერებაში. შეუძლია დარგის კომპლექსურ საკითხების გაცნობიერება ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში.

აქვს საბაზისო ცოდნა: ფილოსოფიაში; ისტორიულ მეცნიერებებში; კლასიკურ ფილოლოგიაში; ენათმეცნიერების შესავალში; ლიტმცოდნეობის შესავალში; თანამედროვე ქართულ ენაში (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი), ძველ ქართულ ენაში, ქართული ენის დიალექტოლოგიაში, ქართული ენის ლექსიკოლოგიასა და სტილისტიკაში; ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში; ზოგად ენათმეცნიერებაში, ძველ ქართულ ლიტერატურაში; XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში; XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში; XX და XXI საუკუნეთა მიჯნის ქართულ ლიტერატურაში; ქართულ ფოლკლორში; რუსთველოლოგიაში; ტექსტოლოგიაში; ლიტერატურის თეორიაში; ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. შეისწავლის უცხო ენას არანაკლებ B-1 დონეზე.

განუმტკიცებული აქვს მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნება, შეუძლია სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობა, შეუძლია ლიტერატურათმცოდნეობითი და ლინგვისტური წყაროების, ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკული შეფასება, ქართული ენისა და ლიტერატურის მნიშვნელოვან საკითხებზე საკუთარი პოზიციის გამოხატვა და დასაბუთება;

შეუძლია დარგობრივ პრობლემების განხილვა ერთ მთლიან ისტორიულ, ფილოსოფიურ და კულტურულ კონტექსტში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები

შეუძლია მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება წინასწარ განსაზღვრულ მითითებათა შესაბამისად;

<p>შეიძლია ძველი და ახალი ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის, სტილისტიკის, ქართული ლიტერატურის, ლიტერატურის თეორიის, ფოლკლორის, ტექსტოლოგიისა და ლიტერატურული კრიტიკის საბაზისო საკითხების გააზრება, ახალ ინფორმაციებთან დაკავშირება და სათანადოდ შეფასება;</p> <p>საბაზისო ცოდნის საფუძველზე შეუძლია დარგის კომპლექსური საკითხების გამოცნობა, ჩვენება და ახსნა;</p> <p>შეუძლია პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება; შეუძლია ლიტერატურულ და ლინგვოკულტუროლოგიურ პროცესებთან დაკავშირებით გამართულ განხილვებში მონაწილეობის მისაღებად მომზადება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>
<p>შეუძლია ფილოლოგიის დარგში ძირითადი პრობლემების ფორმულირება, ცალკეულ თემებთან დაკავშირებით მონაცემთა ბაზის შექმნა, სისტემატიზაცია, განზოგადება, სინთეზირება და კრიტიკული ანალიზის შემდეგ სათანადოდ დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;</p> <p>შეუძლია შესაბამის მითითებათა საფუძველზე შესწავლილი მასალის ინტერპრეტაცია და შეჯამება დარგობრივი სფეროსათვის შესატყვის მეთოდთა გამოყენებითა და თანამედროვეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>შეუძლია ქართული ენისა და ლიტერატურის პრობლემებთან დაკავშირებით წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის ზეპირად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ და უცხო ენებზე;</p> <p>შეუძლია პროფესიულ დისკუსიაში მონაწილეობა, საკუთარ შეხედულებათა პრეზენტაცია, განმარტება და დაცვა;</p> <p>შეუძლია ქართულ და უცხო ენებზე სპეციალური მასალის მოძიება როგორც ინტერნეტით, ასევე ბიბლიოთეკებში. საჭირო ინფორმაციის შეკრება, სისტემატიზაცია და შეჯამება.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>შეუძლია დროის დაგეგმვა, ორგანიზება, პრაქტიკული მეცადინეობის დაწყებამდე გეგმის შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა და საკუთარ შესაძლებლობათა შეფასება;</p> <p>შეუძლია მიმდინარე სასწავლო პროცესის, შუალედური და ფინალური შეფასებების შედეგების შესაბამისად საკუთარი სწავლის პროცესის ადეკვატურად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებათა დადგენა.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>შეუძლია პროფესიული ეთიკის დაცვა და სხვათა დამსახურების ობიექტურად და კეთილსინდისიერად შეფასება;</p> <p>შეუძლია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, კულტურული, მეცნიერული და სხვა სახის მოვლენებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა;</p> <p>შეუძლია ჰუმანისტურ ღირებულებათა ფორმირების პროცესში მონაწილეობა და სწრაფვა მათ დასამკვიდრებლად.</p>

ინგლისური ენა და ლიტერატურა

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია განუვითაროს ბაკალავრს ზოგადჰუმანიტარული აზროვნება, აღჭურვოს იგი საჭირო ფილოლოგიური კომპეტენციით, გამოუმუშაოს მას ენის ფლობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები და მისცეს საბაზისო ცოდნა ენის თეორიისა და ლიტერატურის განვითარების ეტაპებისა და პრობლემური საკითხების შესახებ. პროგრამა, აგრეთვე, მიზნად ისახავს აღჭურვოს სტუდენტი ინგლისურენოვანი სამყაროს უახლესი მახასიათებლების ცოდნით და განუვითაროს მას კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვის ძირითადი უნარ-ჩვევები. პროგრამა აკმაყოფილებს მზარდ მოთხოვნას მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე კვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადებაზე დასაქმების არსებული ბაზრისათვის. ამავდროულად, მყარ საფუძველს ქმნის უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და პიროვნული განვითარებისათვის.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამისათვის სავალდებულო კურსები	145 ECTSკრედიტი
პროგრამისათვის არჩევითი კურსები	30 ECTSკრედიტი
თავისუფალი კრედიტები ²	5 ECTSკრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTSკრედიტი
სულ	240 ECTSკრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება მრავალმხრივი ცოდნა ინგლისური ენისა და ლიტერატურის ისტორიაში ეპოქებისა და ლიტერატურული მიმდინარეობების ზოგად-ესთეტიკური პრინციპების გათვალისწინებით. ბაკალავრს განუვითარდება ენის ფლობის შესაბამისი დონე, დაეუფლება ინგლისური ენის პროდუქტიული და რეცეპტული უნარების სპეციფიკას ფორმალური და არაფორმალური დისკურსისათვის; გაეცნობა ინგლისური ენის თეორიის საფუძველებს ინგლისური ენის ლექსიკოლოგიაში, თეორიულ გრამატიკასა და ენის ისტორიაში;

შეისწავლის ზოგადდევროპული და ამერიკული ლიტერატურის განვითარების ეტაპებს. სწავლის პროცესში მას განუვითარდება ისტორიული და ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნება, გაეცნობა ქართული, კლასიკური, ევროპული და ამერიკული ლიტერატურული ტექსტის კრიტიკულ ანალიზის საფუძველებსა და მეთოდებს;

ეცოდინება ფილოსოფიის, ისტორიის, კლასიკური ფილოლოგიის განვითარების ძირითადი ტენდენციები; შეიძენს ზოგადფილოლოგიურ კომპეტენციას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ თანამედროვე ფილოლოგიური კვლევების გაცნობის ფონზე ინგლისური ფილოლოგიის შესწავლის შემდეგ ბაკალავრს ექნება უნარი გაერკვეს ლიტერატურულ-შემოქმედებითა და ლინგვოკულტუროლოგიურ პროცესებში. სტუდენტს ექნება ენის დამოუკიდებლად გამოყენების უნარი. იგი შეძლებს დაამყაროს კომუნიკაცია ინგლისურენოვან საზოგადოებასთან ენის შესაბამისი რეგისტრის გათვალისწინებით, აწარმოოს მიმოწერა, მოისმინოს და გაიზაროს თანამედროვე ინგლისური მედია-სამშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია, თარგმნოს ინგლისური ენიდან ქართულად, ისტორიული, ესთეტიკური და ფილოსოფიური პრინციპების

<p>გათვალისწინებით სტუდენტს ექნება მშობლიური, ზოგადევროპული და ამერიკული ლიტერატურის ეტაპების განვითარების და ლიტერატურის თეორიის პრობლემური საკითხების გაანალიზებისა და შეფასების უნარი.</p>
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>
<p>ბაკალავრს შეეძლება ინგლისური ენისა და ლიტერატურის სფეროში ძირითადი პრობლემების შესახებ წერილობითი თუ ზეპირი მსჯელობა, სისტემატიზაცია და კრიტიკული ანალიზის შემდეგ სათანადო დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>სტუდენტს განუვითარდება სწავლის უნარი ინდივიდუალური, წყვილური და ჯგუფური მუშაობის საფუძველზე. შეეძლება საკუთარი სასწავლო პროცესის თანმიმდევრული გააზრება, შეფასება და შემდგომი სწავლის გაგრძელებისათვის საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრა, რათა შეისწავლოს ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაზისო საკითხები, გაიაზროს უახლესი ენობრივი ცვლილებები გრამატიკულ, ლექსიკურ, ფონოლოგიურ თუ ფუნქციურ დონეზე.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>სტუდენტს განუვითარდება სწავლის უნარი ინდივიდუალური, წყვილური და ჯგუფური მუშაობის საფუძველზე. შეეძლება საკუთარი სასწავლო პროცესის თანმიმდევრული გააზრება, შეფასება და შემდგომი სწავლის გაგრძელებისათვის საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრა, რათა შეისწავლოს ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაზისო საკითხები, გაიაზროს უახლესი ენობრივი ცვლილებები ფონოლოგიურ, ლექსიკურ, გრამატიკულ თუ ფუნქციურ დონეზე.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>ეროვნულ ღირებულებებზე აღზრდილი ინგლისური ენისა და ლიტერატურის ბაკალავრი შეძლებს თავისუფლად წამოიწყოს კულტურული ურთიერთობა ინგლისურენოვან საზოგადოებასთან ინგლისური ენის მატარებელთა ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებით. ზოგადი ღირებულებების ფორმირების პროცესში მას შეეძლება აღნიშნული სფეროს ფასეულობების გამოყენება, სხვებისთვის გაზიარება და სხვათა მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა და დაფასება.</p>

გერმანული ენა და ლიტერატურა

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს გერმანული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი შემდგომი საქმიანობისა და საუნივერსიტეტო განათლების მომდევნო საფეხურისათვის (მაგისტრატურა). პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია სტუდენტისათვის ზოგადფილოლოგიური ცოდნის მიცემა, ზოგადი კომპეტენციების განვითარება. პროგრამის მიზანია, სტუდენტმა შეიძინოს პრაქტიკული უნარები, გადაწყვიტოს სხვადასხვა დარგობრივი თუ ზოგადი პრობლემური საკითხები, შეძლოს საკუთარი დასკვნის ჩამოყალიბება, გადასცეს თავისი ცოდნა ქართულენოვან და უცხოენოვან მსმენელს, შეაჯამოს შეძენილი ცოდნა და პატივი სცეს სხვათა მრავალფეროვან კულტურულ მემკვიდრეობას.

პროგრამის მიხედვით გერმანული ენის სწავლება მთლიანად შეესაბამება ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკის „საერთო ევროპული რეფერენციული ჩარჩოს“ პარამეტრებს, რაც გულისხმობს ენობრივი კომპეტენციის ზრდას B.1, B.2 დონემდე პირველი საფეხურის სწავლების ფარგლებში.

საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის გერმანული ლიტერატურის ძირითად საკითხებს ზოგადევროპული და ამერიკული ლიტერატურის ქრონოლოგიური განვითარების ჭრილში; გააცნობიერებს განსხვავებულ კრიტიკულ შეფასებებს;

საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს მისცემს ზოგად და ფართო ცოდნას, რაც გულისხმობს დარგის მთავარი პრინციპების, თეორიებისა და კონცეფციების, დარგის ზოგიერთი გამორჩეული ან ახალი ასპექტის შესწავლას, კვლევის ძირითადი მეთოდების დაუფლებას.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამისათვის სავალდებულო კურსები	120 ECTSკრედიტი
ფილოლოგიური პროგრამისათვის სავალდებულო კურსები	25 ECTSკრედიტი
პროგრამისათვის არჩევითი კურსები	30 ECTSკრედიტი
თავისუფალი კრედიტები ²	5 ECTSკრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTSკრედიტი
სულ	240 ECTSკრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

ბაკალავრს აქვს „საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს“ მოთხოვნათა შესატყვისი უნარ-ჩვევები გერმანული ენის პრაქტიკულ კურსში, რაც გულისხმობს არა მარტო ზოგადი ლინგვისტური უნარების, არამედ ზოგადი კომპეტენციების განვითარებასაც. გერმანული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მოსმენილი თეორიული კურსების საფუძველზე სტუდენტი ეუფლება აუცილებელ ცოდნას გერმანული ენის თეორიაში, რომელიც მას დაეხმარება სწავლის გასაგრძელებლად ზედა საფეხურზე.

კურსდამთავრებული განსაზღვრული და ჩამოაყალიბებული აქვს გერმანული ლიტერატურის ისტორიაში ეპოქებისა და ლიტერატურული მიმდინარეობების ზოგად-ესთეტიკურ პრინციპები. იგი დარგის ლიტერატურას შეიმეცნებს ზოგადევროპული და ამერიკული ლიტერატურის განვითარების ჭრილში, აცნობიერებს გერმანული ლიტერატურის კომპლექსურ საკითხებს, ასევე ინტერნეტ-რესურსების, ინფორმაციის მოძიების თანამედროვე საკომუნიკაციო-ტექნოლოგიურ საშუალებების

გამოყენების წესებს. ბაკალავრი ასევე განსაზღვრავს თავისი პროფესიული (ფილოლოგიური) საქმიანობის საზღვრებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ცოდნა და პრაქტიკული უნარები, გადაწყვიტოს სხვადასხვა დარგობრივი თუ ზოგადი პრობლემური საკითხები და მათ გადასაჭრელად მიმართოს სტანდარტულ თუ სპეციფიკურ მეთოდებს. მას შეუძლია ასევე პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. კურსდამთავრებული განახორციელებს ზეპირი და წერილობითი სახის კომუნიკაციას, მას შეუძლია საუბრის წარმართვა, საკუთარი აზრისა და პოზიციის დაცვა, გერმანულენოვანი სხვადასხვა სახის ტექსტის (მასმედია, მხატვრული ტექსტი, დარგობრივი ტექსტი) გაგება, ინტერპრეტაცია და წარმოდგენა.

თანამედროვე ფილოლოგიური კვლევების გაცნობის ფონზე გერმანული ფილოლოგიის ზოგადი საკითხების შესწავლის შემდეგ ბაკალავრ აქვს უნარი, გაერკვეს თეორიულ საკითხებში. იგი გაერკვეულია მიმდინარე ლიტერატურულ-ესთეტიკურ და ლინგვოკულტუროლოგიურ პროცესებში, მას აქვს საკუთარი ცოდნის შემოქმედებითად განვითარების სურვილი. საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი გადაწყვეტს სხვადასხვა დარგობრივ თუ ზოგად პრობლემურ საკითხს და მათ გადასაჭრელად მიმართავს სტანდარტულ, თუ სპეციფიკურ მეთოდებს.

დასკვნის გაკეთების უნარი

გერმანული ენისა ლიტერატურის საბაკალავრო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს შეუძლია მიღებული ცოდნის საფუძველზე სხვადასხვა თემასა და საკითხზე არსებული პრობლემების გაცნობიერება, მათი განზოგადება, ინტერპრეტაციის საფუძველზე რეზიუმირება და საკუთარი დასკვნის ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი

ბაკალავრი თანამიმდევრულად აყალიბებს იდეებს, მოსაზრებებს და ინფორმაციებს როგორც სპეციალისტთა, ასევე არასპეციალისტთათვის გასაგები ტერმინოლოგიითა და ენით, გადასცემს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით თავის ცოდნას ქართულენოვან და უცხოენოვან მსმენელს; ასევე იცავს საკუთარპოზიციებს ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში და აკეთებს წერილობით და ზეპირ პრეზენტაციას სხვადასხვა ტიპის აუდიტორიისთვის.

სწავლის უნარი

ინფორმაციის დიფერენცირების საფუძველზე ბაკალავრი აფასებს და აჯამებს შეძენილ ცოდნას და განსაზღვრავს დაუფლებული უნარების გამოყენების შესაძლებლობებს; ბაკალავრს შეუძლია საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.

ღირებულებები

ბაკალავრს შეუძლია აღნიშნული სფეროს ფასეულობების გამოყენება ზოგადი ღირებულებების ფორმირების პროცესში, ასევე სხვათა მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა და დაფასება.

ფრანგული ენა და ლიტერატურა

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

საბაკალავრო პროგრამის მიზანია, ზოგადჰუმანიტარული და ზოგადფილოლოგიური ცოდნის შეძენის პარალელურად, მოამზადოს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, აღჭურვოს იგი საჭირო ფილოლოგიური კომპეტენციით, გამოუმუშაოს მას ენის ფლობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, მისცეს საბაზისო ცოდნა ენის თეორიისა და ლიტერატურის განვითარების ეტაპებისა და პრობლემური საკითხების შესახებ. საბაკალავრო პროგრამა, ამავდროულად, მყარ საფუძველს ქმნის უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად, პიროვნული განვითარებისა და შესაბამისი კვალიფიკაციით საქმიანობისათვის.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამისათვის სავალდებულო კურსები	140 ECTS კრედიტი
პროგრამისათვის არჩევითი კურსები	30 ECTS კრედიტი
თავისუფალი კრედიტები ²	10 ECTS კრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

სტუდენტი ფლობს „საერთოევროპული რეფერენციალური ჩარჩოს“ მოთხოვნათა უნარ-ჩვევებს ფრანგული ენის პრაქტიკულ კურსში, რაც გულისხმობს არა მარტო ზოგად ლინგვისტურ უნარებს - უცხო ენაზე ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციების უნარს, არამედ ზოგად კომპეტენციებსაც (წერა, მეტყველება, მოსმენა); შეუძლია სამეცნიერო დარგობრივი ლიტერატურის გააზრებას; იცის ქვეყანათმცოდნეობითი და ინტერკულტურული კლიშეები და რეალიები. ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მოსმენილი თეორიული კურსებით (შესავალი ფრანგულ ფილოლოგიაში, ლექსიკოლოგია, თეორიული გრამატიკა, ენის ისტორია) იღებს საბაზისო ცოდნას ფრანგულ ენაში. კურსდამთავრებული აცნობიერებს ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში ეპოქებისა და ლიტერატურული მიმდინარეობების ზოგად-ესთეტიკურ პრინციპებს, დარგის ლიტერატურას შეიცნობს ზოგადევროპული და ამერიკული ლიტერატურის განვითარების ჭრილში, აცნობიერებს ფრანგული ლიტერატურის კომპლექსურ საკითხებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებული ერთვება უცხო ენაზე მოსაუბრესთან დიალოგში, იღებს მონაწილეობას დებატებში, შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის განხორციელება, საუბრის წარმართვა, საკუთარი აზრისა და პოზიციის დაცვა; ფრანგულენოვანი სხვადასხვა სახის ტექსტის (მასმედია, მხატვრული ტექსტი, დარგობრივი ტექსტი) გაგება, ინტერპრეტაცია და წარმოდგენა.

კურსდამთავრებული წყვეტს სხვადასხვა დარგობრივ თუ ზოგად პრობლემურ საკითხებს და მათ გადასაჭრელად მიმართავს სტანდარტულ თუ სპეციფიკურ მეთოდებს, ამუშავებს პრაქტიკული ხასიათის პროექტებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; იყენებს ლიტერატურული კვლევის მეთოდებს ფრანგ მწერალთა ნაწარმოებების გასაანალიზებლად და ასაბუთებს, თუ როგორ რეალიზდება მხატვრულად ფრანგული ლიტერატურის ესთეტიკური პრინციპები ამ თუ იმ ეპოქის ლიტერატურულ ძეგლში.

დასკვნის გაკეთების უნარი
<p>ბაკალავრს შეუძლია ფრანგული ენისა და ლიტერატურის სფეროში ძირითადი პრობლემების ჩამოყალიბება, ცალკეული თემების შესახებ წერილობითი თუ ზეპირი მსჯელობა, სისტემატიზაცია და კრიტიკული ანალიზის შემდეგ დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, ასევე განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით.</p>
კომუნიკაციის უნარი
<p>ბაკალავრს შეუძლია მშობლიურსა და უცხოურ ენებზე, კონკრეტულ თემაზე და პრობლემაზე წერილობითი ანგარიშის მომზადება, ინფორმაციის ზეპირად გადაცემა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.</p> <p>ბაკალავრს აქვს უნარი, ფრანგული ლიტერატურის ძირითადი საკითხების მიხედვით თანამიმდევრულად და აკადემიურად ჩამოაყალიბოს იდეები, მოსაზრებები და ინფორმაციები როგორც სპეციალისტთა, ასევე არასპეციალისტთა გასაგები ტერმინოლოგიითა და ენით. ბაკალავრს შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით გადასცეს თავისი ცოდნა ქართულენოვან და უცხოენოვან მსმენელს; მოამზადოს წერილობითი და ზეპირი ანგარიშები სხვადასხვა ტიპის აუდიტორიისთვის.</p>
სწავლის უნარი
<p>ბაკალავრს შეუძლია საკუთარი სასწავლო პროცესის თანამიმდევრულად და მრავალმხრივად გააზრება, შეფასება და შემდგომი სწავლის გაგრძელებისათვის საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრა.</p>
ღირებულებები
<p>ბაკალავრს შეუძლია აღნიშნული სფეროს ფასეულობების გამოყენება ზოგადი ღირებულებების ფორმირების პროცესში და სხვათა მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა და დაფასება.</p>

რუსული ენა და ლიტერატურა

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი /6000 ასტრონომიული საათი/

პროგრამის მიზანი

პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ჰუმანიტარული განათლების მქონე სპეციალისტი-ფილოლოგი რუსული ენისა და ლიტერატურის განხრით; მისცეს მას რუსული ენისა და ლიტერატურის მრავალმხრივი ცოდნა, გააცნოს მას რუსული ენისა და ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები; გამოუმუშაოს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის, რუსულ ენაზე კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, განუვითაროს მას კრიტიკული აზროვნება, რაც უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას დასაქმების საერთაშორისო ბაზარზე.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამისათვის სავალდებულო კურსები	145 ECTS კრედიტი
პროგრამისათვის არჩევითი კურსები	25 ECTS კრედიტი
თავისუფალი კრედიტები ²	10 ECTS კრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის კურსდამთავრებულმა იცის რუსული სალიტერატურო ენა (მინიმუმ, B 2 დონეზე);
 გაცნობიერებული აქვს რუსული ენის ფუნქციონალური მრავალფეროვნება, მისი ფონეტიკური, გრამატიკული და სტილისტური ნორმები; აქვს წარმოდგენა რუსული ენის სისტემასა და სტრუქტურაზე;
 გააზრებული აქვს რუსული ენის კავშირი სხვა ენებთან და მისი ტიპოლოგიური თავისებურებები, იცის მისი ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა;
 იცის რუსული ლიტერატურა, მისი განვითარების ისტორია, გაცნობიერებული აქვს მისი ადგილი და როლი მსოფლიო კულტურაში, ლიტერატურული პროცესების კანონზომიერებები;
 აღჭურვილია ფილოსოფიის, კლასიკური ფილოლოგიის, ქართული ფილოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიულ მეცნიერებათა თეორიული საფუძვლების ცოდნით.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს აქვს რუსულ ენაზე მეტყველების (როგორც ზეპირად, ისე წერილობით), დიალოგის წარმართვის, საკუთარი აზრის ნათლად და დეტალურად გადმოცემის უნარი;
 სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის მშობლიურ და რუსულ ენაზე გამოყენების უნარი;
 სპეციალური ტექსტების თარგმნის უნარი როგორც რუსული ენიდან მშობლიურ ენაზე, ისე პირიქით, ასევე ამ ტექსტების რეფერირებისა და რედაქტირების უნარი;
 აქვს ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული ანალიზის უნარი საზოგადოებრივ სიტუაციასა და ეპოქის კულტურასთან კავშირში;
 კურსდამთავრებულს შეუძლია ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება ქართულ და რუსულ ენებზე, საკუთარი ცოდნის მობილიზება და მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება.

დასკვნის უნარი

<p>კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს ფილოლოგიური მასალის კრიტიკულად გააზრება-გაანალიზების უნარი, მას შეუძლია ენისა და ლიტერატურის მოვლენებისა და ფაქტების დაკავშირება, ფილოლოგიურ პრობლემასთან დაკავშირებული განსხვავებული პოზიციების გაანალიზება და ამის საფუძველზე ლოგიკური დასკვნების გაკეთება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>აქვს რუსულ ენაზე კომუნიკაციის უნარი სამეტყველო სიტუაციის ფაქტორების ერთობლიობისა და სალიტერატურო ნორმების გათვალისწინებით როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით; დაუფლებულია საუბრის ხელოვნების საფუძვლებს.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>კურსდამთავრებულს ჩამოყალიბებული აქვს დადებითი დამოკიდებულება სწავლის პროცესისადმი, სწავლის გაგრძელების სურვილი საკუთარი ცოდნის მუდმივი თანმიმდევრული სრულყოფის მიზნით; მას შეუძლია საკუთარი კომპეტენციის გაანალიზება/შეფასება რუსული ენისა და ლიტერატურის სფეროში;</p> <p>გამომუშავებული აქვს შესასწავლი საგნის ასათვისებლად საჭირო სტრატეგიული უნარები - დაგეგმვის, ეტაპებად დაყოფის, სირთულეების განსაზღვრის, ხარვეზების გაანალიზებისა და აღმოფხვრის.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>გაცნობიერებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე; მას აქვს პატივისცემის გრძნობა ჰუმანიზმის, ქართული, რუსული და ზოგადად მსოფლიო კულტურული ღირებულებების მიმართ;</p> <p>განვიტარებული აქვს პატივისცემის გრძნობა მასზე დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად შესრულების მიმართ;</p> <p>კურსდამთავრებულს ჩამოყალიბებული აქვს პოზიტიური დამოკიდებულება თავისუფალი აზროვნებისადმი, სხვათა შეხედულებებისადმი პატივისცემის გრძნობა.</p>

ადმოსავლური ფილოლოგია

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

საქართველოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან (არაბული, ირანული და თურქული სამყაროები) ისტორიული და თანამედროვე მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა ჩვენი ქვეყნისათვის აღმოსავლური ფილოლოგიის დარგებს აქტუალურსა და სტრატეგიულად მნიშველოვანს ხდის.

აღმოსავლური ფილოლოგია (არაბული ფილოლოგია, თურქული ფილოლოგია და სპარსული ფილოლოგია) ისტორიულ-ფილოლოგიური მიმართულებების კომპლექსური დარგია, რომელიც ერთი ობიექტის - აღმოსავლეთის (ახლო აღმოსავლეთის: არაბული სამყაროს, თურქეთისა და ირანის), მისი წარსულისა და აწმყოს გარშემო ერთიანდება.

აღმოსავლური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს აღმოსავლური ფილოლოგიის სპეციალისტები არაბული ფილოლოგიის, თურქული ფილოლოგიისა და სპარსული ფილოლოგიის მიმართულებით; თანამედროვე ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის დონის შესაბამისად შეასწავლოს სტუდენტებს ერთ-ერთი აღმოსავლური ენა (არაბული, თურქული, სპარსული) და ლიტერატურა; მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურული, ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური ასპექტები და ქართულ-აღმოსავლური ენობრივი, ლიტერატურული და კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების თავისებურებები.

ამდენად, პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანია სტუდენტს მისცეს საჭირო უნარ-ჩვევები, შემდგომში სპეციალური თეორიული და პრაქტიკული მომზადებისათვის.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის სავალდებულო კურსები	52 ECTS კრედიტი
პროგრამის არჩევითი კურსები	10 ECTS კრედიტი
სპეციალიზაციის სავალდებულო კურსები	108 ECTS კრედიტი
თავისუფალი კრედიტები ²	10 ECTS კრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

აღმოსავლური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს ფართო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ერთ-ერთ აღმოსავლურ ენაში (არაბული, თურქული, სპარსული), ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში, იცნობს ენათმეცნიერების, ფილოსოფიისა და ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებს; აქვს საბაზისო ცოდნა:

- 1) ერთ-ერთი აღმოსავლური ენის ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკოლოგიაში;
- 2) კლასიკური ფილოლოგიის საფუძვლები;
- 3) ლინგვისტური კომპარატივისტიკის ამოსავალი დებულებებში;
- 4) აღმოსავლური ლიტერატურისა (არაბული, თურქული, სპარსული) და ფოლკლორის ისტორიის, გენეზისისა და ქართულ-აღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ;
- 5) აღმოსავლური (არაბული/თურქული/სპარსული) ლიტერატურული ნიმუშების ენობრივი სირთულეების შესახებ;

- 6) თარგმანის თეორიის ზოგად პრინციპებზე; ერთ-ერთი აღმოსავლური ენიდან (არაბული, თურქული, სპარსული) ქართულად და აღმოსავლურ ენაზე წერილობითი და ზეპირი თარგმანის სპეციფიკაში.
- 7) მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის და კულტურის ისტორიის საკითხებისა და ძირითადი ტენდენციების შესახებ;
- 8) ქართულ-აღმოსავლური ენობრივი, ლიტერატურული და ისტორიული კონტაქტების: ინტერფერენციის საკითხებისა და ქართულში აღმოსავლური ლექსიკის დამკვიდრების, ნასესხობათა ფონეტიკური და სემანტიკური მოდიფიკაციების შესახებ; შუა საუკუნეების ლიტერატურული კონტაქტების გენეზისისა და განვითარების ისტორიის შესახებ;
- 9) კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს აღმოსავლური ფილოლოგიის დარგების (არაბული ფილოლოგია, თურქული ფილოლოგია, ირანული ფილოლოგია) მნიშვნელობა ქართული ენისა და კულტურის ისტორიის შესწავლისათვის.
- 10) ისლამის ისტორიისა და სოციალური ინსტიტუტის, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ისლამის მიმდინარეობების, ისლამური დოგმატიკისა და შარიათის ზოგად საკითხებზე;
- 11) მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური სისტემების, სოციალური ასპექტებისა და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ პოლიტიკური გეგრაფიის ჭრილში;
- 12) ახლო აღმოსავლეთის ხალხთა რელიგიური, ეროვნული და ყოფითი თავისებურებების შესახებ; საქართველოსა და გარესამყაროსათვის ახლო აღმოსავლეთის რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია

- 1) რომელიმე აღმოსავლურ (არაბული, თურქული, სპარსული) ენაზე კომუნიკაცია, ენის პრაქტიკული გამოყენება წერილობითი კორესპოდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის. მას აქვს საუბრის წარმართვის უნარ-ჩვევები.
- 2) შესწევს აღმოსავლური ენიდან ქართულად და პირიქით საშუალოზე რთული სხვადასხვა ტიპის ტექსტების გაგების, ანალიზის, თარგმნის, ინტერპრეტაციისა და რეპრეზენტაციის უნარი. ფლობს სათარჯიმნო პრაქტიკის უნარ-ჩვევებს;
- 3) ერთ-ერთი აღმოსავლური ენის (არაბული, თურქული, სპარსული) სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებზე (ერთენოვან განმარტებით, შუა საუკუნეების ენციკლოპედიური ხასიათისა და ეტიმოლოგიურ ლექსიკონებზე) მუშაობის უნარი.
- 4) ხელმძღვანელობის პირობებში ენობრივი და ლიტერატურული მონაცემების შერჩევის, ფორმულირებისა და გამოყენების უნარს პრობლემის გადასაჭრელად; ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარს როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით;
- 5) შეუძლია დამოუკიდებელი ანალიტიკური უნარის გამომუშავება შესაბამის დარგობრივ სფეროში;
- 6) სტუდენტ აქვს ლინგვისტური კომპარატივისტიკის საფუძვლების პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- 7) ლიტერატურისმცოდნეობით, ლინგვისტურ და ისტორიულ-კულტუროლოგიურ კონტექსტში დარგობრივი მონაცემების გააზრების, შეფასებისა და ანალიზის უნარი.
- 8) აღმოსავლური ლიტერატურული ნიმუშების ორიგინალში კითხვისა და თარგმნისა, ენობრივ სირთულეებში გარკვევის უნარები;
- 9) ახლო აღმოსავლეთის ხალხთა რელიგიური, ეროვნული და ყოფითი თავისებურებების გათვალისწინება სტუდენტს დაეხმარება ენის პრაქტიკულად გამოყენებისა და სწორი წერილობითი თარგმანის შესრულებაში.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს:

- 1) დარგობრივი ინფორმაციის: ენობრივი სტრუქტურის, ლიტერატურული და ისტორიული ფაქტების, მათ შორის ქართულ-აღმოსავლური კონტაქტების ანალიზის, კრიტიკული შეფასებისა და სინთეზური მეთოდის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.

- 2) აღმოსავლური ფილოლოგიის (არაბული ფილოლოგიის, თურქული ფილოლოგიის, სპარსული ფილოლოგიის) ლინგვისტური და ლიტერატურული პრობლემის ზოგადლინგვისტური და ლიტერატურის თეორიის მონაცემების კონტექსტში გააზრების, ახსნისა და სათანადო დასკვნების გამოტანის უნარი.
- 3) აღმოსავლური (არაბული / თურქული / სპარსული) ენის გრამატიკისა და ლინგვისტური ტიპოლოგიის მონაცემების ზოგადფილოლოგიურ ასპექტში შეჯამების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

- სტუდენტს შეუძლია
- 1) ჯგუფური მუშაობისას და დისკუსიაში მიღებული მონაცემების ლოგიკურად და ეფექტურად კონსტრუირება და პრეზენტაცია; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება დარგობრივ სფეროში. ერთ-ერთი აღმოსავლური (არაბული, თურქული, სპარსული) ენის ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემებისა და ინგლისური ენის ცოდნით კომუნიკაციის წარმართვა, კამათში ჩართვა და ა.შ. (ენის პრაქტიკული ფლობა). რომელიმე აღმოსავლურ ენაზე კითხვის, თარგმნის, კრიტიკული მსჯელობის წარმართვა. დისკუსიაში პროფესიული (ზოგადლინგვისტური და არაბულ/თურქულ/სპარსულ) ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა, დავალების ლოგიკურად ჩამოყალიბება და მისაღები ფორმით გადმოცემა; სიტუაციაში ადაპტირების უნარი.
 - 2) ახლო აღმოსავლეთის ხალხთა რელიგიური, ეროვნული და ყოფითი მონაცემების გათვალისწინებით სიტუაციაში სწორი ორიენტაციის უნარი.

სწავლის უნარი

- 1) კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების სწორად დადგენა; მას აქვს საკუთარი შესაძლებლობების თვითშეფასების, ლინგვისტური და ლიტერატურული მოვლენების/პროცესების შეფასებისა და ანალიზის, ისტორიული ფაქტების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის, არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, სამუშაო დროის დაგეგმვის, ორგანიზებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
- 2) ჯგუფში მუშაობის უნარი;
- 3) სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;
- 4) პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები.

ღირებულებები

სტუდენტი მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში პროფესიულ კამათში ეთიკის დაცვით. მას აქვს აღმოსავლური და ქართული კულტურების ერთმანეთთან მიმართების გათვალისწინებით კომუნიკაციაში ტოლერანტული ღირებულებების განსაზღვრის უნარი.

ახლო აღმოსავლეთის ხალხებთან ურთიერთობის პროცესს ხშირად აფერხებს მათი მენტალიტეტისა და ფსიქოლოგიის, ტრადიციული ღირებულებების გაუთვალისწინებლობა. აღმოსავლური ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტს ამ გარემოებათა გაითვალისწინებით შეუძლია ტოლერანტული დამოკიდებულების გამოჩენა ახლო აღმოსავლეთის მრავალფეროვანი და იმავდროულად შინაგანი მთლიანობით გამორჩეული კულტურული ტრადიციის მიმართ.

არქეოლოგია

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი არქეოლოგიაში

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

საბაკალავრო პროგრამის მიზანია ევროპულ საგანმანათლებლო სისტემაში არსებული თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით მოამზადოს უმაღლესი განათლების I საფეხურისათვის განსაზღვრული კომპეტენციებით აღჭურვილი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები არქეოლოგიაში, რომელთაც ექნებათ სათანადო ცოდნა და შესაბამისი უნარ-ჩვევები წარმატებული საქმიანობისათვის არქეოლოგიის და ზოგადად კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიმართულებით.

სწავლების შემდეგი საფეხურისათვის მომზადება სპეციალობაში ცალკეული მიმართულებების (ქვის ხანიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით) მიხედვით სწავლის გასაგრძელებლად მაგისტრატურაში უფრო მაღალი კვალიფიკაციის მიღების მიზნით.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამისათვის სავალდებულო კურსები	130 ECTS კრედიტი
პროგრამისათვის არჩევითი კურსები	40 ECTS კრედიტი
თავისუფალი კრედიტები ²	10 ECTS კრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

ბაკალავრს აქვს:

- ✓ სფეროს ფართო ცოდნა: არქეოლოგიის საფუძვლებში (დარგის ისტორია, მთავარი პრინციპები, თეორიები, კონცეფციები); არქეოლოგიური კვლევისა და კოლექციების დაცვის მეთოდებში; საქართველოს წინაისტორიული, ანტიკური და შუა საუკუნეების ეპოქათა არქეოლოგიაში; მსოფლიოს პრეისტორიული ხანის არქეოლოგიურ კულტურებში, უძველეს არქეოლოგიურ ცივილიზაციებსა და ანტიკურ არქეოლოგიაში; საქართველოს ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებაში; სამუზეუმო საქმეში; ნუმისმატიკაში; ეთნოარქეოლოგიაში; საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების ისტორიაში; ანთროპოლოგიაში; ქართულ პალეოგრაფიაში; ფოტოფიქსაციაში.
- ✓ დაეუფლება ზოგადჰუმანიტარული ცოდნის თეორიულ საფუძვლებს ისტორიულ მეცნიერებათა შესავალსა და საქართველოს ისტორიაში; ძველი აღმოსავლეთის და ანტიკური ქვეყნების ისტორიაში; მსოფლიო კულტურაში; თეორიულ და კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიაში; ფილოსოფიაში; კლასიკურ და ქართულ ფილოლოგიაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ბაკალავრს შეუძლია მიღებული ცოდნის გამოყენება განსაზღვრული მითითებების საფუძველზე:

- ✓ არქეოლოგიურ სადაზვერვო და სტაციონალურ ექსპედიციებში მონაწილეობა და არქეოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენება (არქეოლოგიური ძეგლის გათხრა, საპრეპარაციო სამუშაოები).
- ✓ არქეოლოგიური არტეფაქტების პირველადი დამუშავება (ფიქსაცია, გასუფთავება-გაწმენდა, კონსერვაცია, აღწერა და საინვენტარო წიგნში გატარება).
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფოტოფიქსაცია.

- ✓ არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების განსაზღვრა და კლასიფიკაცია.
- ✓ მონეტებისა და სამონეტო განძების განსაზღვრა, იდენტიფიკაცია და დათარიღება.
- ✓ წერილობით წყაროებზე (ქართული, ძველი ბერძნული და ლათინური) მუშაობა. ელექტრონულ საძიებო რესურსებში სათანადო ინფორმაციისა და მასალების მოძიება.
- ✓ სამუზეუმო კოლექციების დაცვა და გამოფენების ორგანიზება. საექსკურსიო საქმიანობა მუზეუმებში და საქართველოს ტურისტულ ინფრასტრუქტურაში შემავალ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.
- ✓ კულტურულ ფასეულობათა გამორჩევა, აღწერა და შეფასება.
- ✓ ეთნოარქეოლოგიური მასალის საფუძველზე ქართველთა თაობების მიერ შექმნილი ეთნიკური კულტურის ელემენტთა კლასიფიცირება.
- ✓ არქეოლოგიაში კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება ხელმძღვანელის მითითებების შესაბამისად (პრაქტიკის ანგარიშის, რეფერატის ან სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციისათვის ნაშრომის მომზადება). წერის პროცესის სწორი ორგანიზება. აკადემიურ სივრცეში გამოყენებული ტექსტების გაფორმება პროფესიული სპეციფიკის გათვალისწინებით. სამეცნიერო ტექსტის შესაბამისად ფოტომასალის და პუბლიკაციების სინთეზურ მომზადებას.

არგუმენტირებული დასკვნის უნარი

- ბაკალავრს განსაზღვრული მითითებების საფუძველზე შეუძლია:**
- ✓ პრობლემურ სიტუაციაში არქეოლოგიისა და მომიჯნავე მეცნიერებათა ფარგლებში მონაცემთა მოძიება, კრიტიკულად გააზრება, განსხვავებული პოზიციების ანალიზი, წერილობითი წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურის და არქეოლოგიური არტეფაქტების შეჯერება და მოვლენათა ურთიერკავშირის დადგენა. ძირითადი და დამხმარე საინფორმაციო წყაროების მნიშვნელობის განსაზღვრას.
 - ✓ საკუთარი საქმიანობის სფეროში (არქეოლოგია, სამუზეუმო საქმე, კულტურული მემკვიდრეობის შეფასება და პოპულარიზაცია) სათანადო მეთოდების გამოყენებით განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი, შეფასება, დასაბუთებული დასკვნების სახით ჩამოყალიბება და წერილობითი და ზეპირი სახით წარმოჩენა.
 - ✓ თეორიული სწავლების პროცესში ან საველე პრაქტიკის დროს წამოჭრილი პრობლემის იდენტიფიცირება, მისი გადაჭრის გზების მოძიება, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება.

კომუნიკაციის უნარი

- ბაკალავრს შეუძლია:**
- ✓ თავისი დარგის სპეციალისტებთან ან სხვა დარგის წარმომადგენლებთან საკუთარი იდეების, მოსაზრებების, აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება წერილობითი ანგარიშის მომზადების, საჯარო პრეზენტაციებისა და დისკუსიების გზით. დიალოგის წარმართვა, მეტყველების სიზუსტისა და ლოგიკურობის დაცვა.
 - ✓ თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად და შემოქმედებითად გამოყენება და ახალი ტექნოლოგიების ათვისება. საოფისე პროგრამების, არქეოლოგიისა და საერთოდ კულტურული მემკვიდრეობის ელექტრონულ მონაცემთა ბაზების გამოყენება ლექციებზე, პრეზენტაციებზე, პრაქტიკული თუ ჯგუფური მუშაობის დროს და დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში.
 - ✓ მშობლიურ და უცხო ენაზე ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციები. საკუთარი მოსაზრებების ორიგინალურად და მწყობრად ჩამოყალიბება და გამოხატვა, არგუმენტაცია და დაცვა.

სწავლის უნარი

ბაკალავრს შეუძლია

- ✓ სწავლისათვის (პრაქტიკულ მეცადინეობებზე, სამუშაო ჯგუფებში და დამოუკიდებელი მუშაობისათვის) საჭირო რელევანტური სტრატეგიის შერჩევა და საკუთარი კომპეტენციების შეფასება. გამოყენებული სტრატეგიის მონიტორინგი (სასწავლო პროცესის ანალიზი; პრობლემების გამოვლენა და მათი დაძლევის გზების განსაზღვრა). შემდგომი სწავლის საჭიროებათა დადგენა.
- ✓ შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განსაზღვრა და შეძენის სტრატეგიის გამოუშავება.
- ✓ ინფორმაციის და დროის მენეჯმენტი (დაგეგმვა, პრიორიტეტების გამოყოფა, სამუშაოს ორგანიზება).

ღირებულებები

ბაკალავრს შეუძლია

- ✓ საქართველოს და მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა.
- ✓ პატრიოტიზმი და ქვეყნის ინტერესების დაცვა. პასუხისმგებლობასაკუთარი სახელმწიფოს და საზოგადოებისწინაშე.
- ✓ სამყაროს მულტიკულტურალიზმისა და მრავალფეროვნების პატივისცემა. ჰუმანისტურ ღირებულებათა ფორმირების პროცესში მონაწილეობა და სწრაფვა მათ დასამკვიდრებლად საკუთარ პროფესიული კომპეტენციების გამოყენების გზით.
- ✓ არქეოლოგიის და მომიჯნავე მეცნიერებათა სფეროში სპეციფიკური პროფესიული ეთიკის დაცვა. სამეცნიერო წყაროების მეცნიერული კეთილსინდისიერებით გამოყენება, თვალსაზრისთა ობიექტური კრიტერიუმით შეფასება.
- ✓ კულტურული, ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური ტოლერანტობის ჩამოყალიბება.

ისტორია

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი /6000 ასტრონომიული საათი/

პროგრამის მიზანი

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს ჩამოუყალიბოს:

- დიაქრონიულ და სინქრონულ ჭრილში საბაზისო ცოდნა საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა პერიოდების უმთავრესი მოვლენების შესახებ (ძვ. აღმოსავლეთისა და ანტიკური ქვეყნების ისტორია, შუა საუკუნეების ევროპის, ევროპა-ამერიკისა და აზიის მთავარი ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია); საქართველოს ისტორიის ცოდნა იმ რეგიონთან და ქვეყნების ისტორიების კონტექსტში, რომლებთან კავშირშიც ის ისტორიულად ვითარდებოდა;
- მოვლენების, ფაქტების, წყაროებისა და სხვადასხვა იდეურ-პოლიტიკური პოზიციებიდან შექმნილი ისტორიული გამოკვლევების კრიტიკულად განხილვისა და საკუთარი აზრის გამომუშავების უნარი; წარსულის კრიტიკულად აღქმისა და იმ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გააზრების უნარი რომელიც არსებობს წარსულსა და დღევანდლობას შორის;
- თანამედროვეობის რთულ და წინააღმდეგობრივ გარემოში ნაციონალური ისტორიის, როგორც ეროვნულ-კულტურული იდენტობის, თვითმყოფადობისა და უნიკალური ინდივიდუალობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და აღმზრდელი ფუნქციების გააზრების უნარი; სხვადასხვა ცივილიზაციების ცოდნა-პატივისცემისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ღირებულებებში ორიენტირების უნარი.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამისათვის სავალდებულო კურსები	140 ECTS კრედიტი
არჩევითი კურსები	35 ECTS კრედიტი
თავისუფალი კრედიტები ²	5 ECTS კრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება
განმარტავს ისტორიის რაობას, ფუნქციებს და კვლევის მეთოდებს; განსაზღვრავს საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა პერიოდების უმთავრეს მოვლენებს დიაქრონიულ და სინქრონიულ ჭრილში; შეუძლია ისტორიული მეცნიერების კლასიფიცირება დროისა და სივრცის კატეგორიების მიხედვით; განიხილავს და იყენებს სხვადასხვა სახის ისტორიული მეთოდებსა და მიდგომებს; განსაზღვრავს და აფასებს მსოფლიო ისტორიულ პროცესში საქართველოს ადგილსა და როლს; განიხილავს და აანალიზებს ისტორიულ წყაროებს, განსხვავებულ თეორიულ მიდგომებსა და პრინციპებს;
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
იყენებს ისტორიის დარგისათვის დამახასიათებელ მეთოდებს კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად; შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების შესაბამისად კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის ამოცანების გადაჭრა და მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია; აჩვენებს დღევანდლობაზე ისტორიული წარსულის გავლენას, აქვს წარსულისა და თანამედროვეობის დაკავშირების უნარი;

დასკვნის უნარი
კრიტიკულად იაზრებს ისტორიულ წყაროებს ისტორიული სინამდვილის რეკონსტრუქციისას; აანალიზებს კონკრეტულ მონაცემებს და აკეთებს ადეკვატურ დასკვნებს; კრიტიკულად უდგება შესაბამის ლიტერატურაში ჩამოყალიბებულ სხვადასხვა მოსაზრებებს, არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს.
კომუნიკაციის უნარი
კურსდამთავრებულს აქვს ზეპირი და წერილობითი ინფორმაციის მიღების, აღქმისა და წარდგენის, წერილობითი ანგარიშის მომზადებისა და პრეზენტაციის უნარი; აწვდის ინფორმაციას სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს როგორც ქართულ ასევე უცხო ენაზე; ფლობს სპეციალურ ტერმინოლოგიას, კამათის კულტურას, აქვს დიალოგებსა და დისკუსიებში მონაწილეობის უნარი; განსხვავებული აზრების პატივისცემისა და ჯგუფში მუშაობის უნარი; იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებს კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად.
სწავლის უნარი
დამოუკიდებლად შეუძლია ისტორიული მეცნიერებისა და მისი ცალკეული ქვედარგების სფეროს მონაცემების შეგროვება; მრავალმხრივ კრიტიკულად და თანმიმდევრულად აფასებს საკუთარ სწავლის შედეგებს და შესაძლებლობებს. აცნობიერებს თავისი ცოდნის ზღვარს და მზად არის შემდგომი სწავლისათვის.
ღირებულებები
სრულად აცნობიერებს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების და განვითარების მნიშვნელობას საზოგადოებრივი პროგრესის საქმეში; ესმის პიროვნების სრულყოფისათვის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების მნიშვნელობა; პროფესიულ საქმიანობისას იცავს ეთიკის ნორმებს; ავლენს ტოლერანტობას განსხვავებული რწმენისა და შეხედულებების ადამიანთა მიმართ; პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მონაწილეობს მათი დამკვიდრებისა და განვითარების პროცესში, აქვს ნაციონალური ისტორიის მნიშვნელობისა და როლის მსოფლიო-ისტორიულ პროცესში გააზრების უნარი.

ფილოსოფია

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოსოფიაში

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი /6000 ასტრონომიული საათი/

პროგრამის მიზანი

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს ჩამოუყალიბოს: ფილოსოფიის განვითარების ისტორიული ეპოქების (ანტიკური, შუასაუკუნეების, ახალი დროისა და უახლესი), ძირითად მიმდინარეობათა თეორიების, ფილოსოფიური სისტემებისა და სხვადასხვა ფილოსოფოსთა შეხედულებების, ფილოსოფიის, როგორც კულტურის ისტორიის შემადგენელი ნაწილის ცოდნა; ადამიანის ადგილისა და ღირებულებების განსაზღვრისა და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის სავალდებულო კურსები	150 ECTS კრედიტი
არჩევითი კურსები	20 ECTS კრედიტი
თავისუფალი კრედიტები ²	10 ECTS კრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა იცის ფილოსოფიის კანონები, კატეგორიები, ცნებები, ძირითადი პრობლემები; ფილოსოფიისა და ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიული ეპოქების და ძირითად მიმდინარეობათა თეორიები და მეთოდოლოგია.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

იყენებს ფილოსოფიური აზროვნების ტრადიციების ცოდნას კონკრეტული ფილოსოფიური პრობლემების გადასაჭრელად, აქვს მათი შეფასებისა და იდენტიფიცირების უნარი.

დასკვნის უნარი

ბაკალავრს აქვს საგნებსა და მოვლენებში მთავარისა და არაარსებითის დანახვის უნარი. შეუძლია პრობლემის ანალიზი და წანამდღვრებიდან დასკვნის (ინდუქციური, დედუქციური) გამოტანის უნარი.

კომუნიკაციის უნარი

აქვს ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ადეკვატური გამოყენებისა და თვალსაზრისების დალაგების უნარი ზეპირი და წერილობითი ფორმით.

სწავლის უნარი

ბაკალავრს შეუძლია დამოუკიდებლად მოიძიოს საგნისათვის საჭირო თემატიკა და ლიტერატურა, განსაზღვროს თავისი კომპეტენციების ზღვარი.

ღირებულებები

კუსდამთავრებულს აქვს ნებისა და რწმენის თავისუფლების, სხვისი აზრის პატივისცემის, ურთიერთობის ხელოვნების უნარი და მოქალაქეობრივი პოზიციები.

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირება

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი /6000 ასტრონომიული საათი/

პროგრამის მიზანი

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც შესწევს უნარი:

- ზოგად თეორიულ და სპეციალურ ცოდნაზე დაფუძნებით შეისწავლოს და გაანალიზოს ცვალებად ბიზნეს გარემოში მიმდინარე პროცესები როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე, გაითვალისწინოს ბიზნესის განვითარების საერთაშორისო ტენდენციები;
- იმუშაოს გუნდში, მოეწოდოს ლიდერად, მიიღოს საკუთარი კომპეტენციისა და სოციალური პასუხისმგებლობის შესაბამისი გადაწყვეტილებები;
- წამოიწყოს და განავითაროს საკუთარი ბიზნესი;
- მოახდინოს თვითგანვითარება და პროფესიული ზრდა (მ.შ. შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებით).

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები	40 ECTS კრედიტი
Major პროგრამის სავალდებულო კურსები	85 ECTS კრედიტი
Major პროგრამის არჩევითი კონცენტრაციები	40 ECTS კრედიტი
თავისუფალი კრედიტები ²	15 ECTS კრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>კურსდამთავრებულმა იცის ეკონომიკური საქმიანობის მახასიათებელი კატეგორიები, კანონები და კანონზომიერებები, მართვის ზოგადი თეორიები და პრინციპები, ბაზარი და მისი ფუნქციონირების მექანიზმები, მომხმარებლის არჩევანის თეორია, კორპორაციათა ფინანსური ურთიერთობის არსი და პრინციპები, საერთაშორისო ბიზნესის არსი და ბიზნესურთიერთობებში ჩართვის პრინციპები, ბიზნესის მარეგულირებელი სამართლებრივი სისტემა, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის F1(ბუღალტერი ბიზნესში) და F2 (მმართველობითი აღრიცხვა) წიგნებით გათვალისწინებული საკითხები.</p> <p>აქვს უცხო ენის შემდგომი (მაღალი) საფეხურის შესატყვისი ცოდნა და დარგობრივი უცხო ენის განვითარების პერსპექტივა. ასევე, ფლობს ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებს, ბიზნესის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლებს, ფინანსურ აღრიცხვას, სადაზღვევო ურთიერთობების მონაწილეების უფლება-მოვალეობებს, ადამიანური რესურსებისა და პროექტების მართვის პრინციპებს.</p>

განსაზღვრავს ფინანსურ ურთიერთობებთან დაკავშირებულ ისეთ კატეგორიებს, როგორცაა: ფული, ბანკები, არასაბანკო საკრედიტო და საფინანსო ინსტიტუტები, ინვესტიციები, ბიუჯეტი, გადასახადები, ხარჯები და შემოსავლები.

გაცნობიერებული აქვს ბიზნეს სფეროს მახასიათებელი ძირითადი კანონები და კატეგორიები, ფულად-საკრედიტო და ფინანსური ურთიერთობების, სტატისტიკური მონაცემების სწორი ასახვის, გაყიდვების მენეჯმენტის, რისკების იდენტიფიცირების და დაზღვევის როლი ბიზნესის წამოწყებასა და განვითარებაში, საგადასახადო საქმიანობის რეგულირების ძირითადი ასპექტები, ბიზნესის მარეგულირებელი სამართლებრივი სისტემა.

გარდა აღნიშნულისა, საფუძვლიანად აქვს გაცნობიერებული და იცის მის მიერ შერჩეული დარგისა და ქვედარგის სპეციფიკა, კერძოდ:

ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტის კონცენტრაციით: კომერციული ბანკების საქმიანობის პრინციპები, მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდები და სტანდარტები, ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების მიღებისა და გაცემის წესები, კომერციული ბანკის სავალუტო ოპერაციების კლასიფიკაცია; აუდიტის არსი, მნიშვნელობა და ადგილი კონტროლის სისტემაში; ფინანსური ბაზრების ფუნქციონირების მექანიზმი და ფინანსური ინსტრუმენტების მიმოქცევის თავისებურებები; გარკვეულია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებში, ელექტრონული ტენდერის მომზადებისა და ჩატარება-მონაწილეობის საკითხებში.

მენეჯმენტი-მარკეტინგის კონცენტრაციით: ინოვაციური მენეჯმენტის არსი და თავისებურებები, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ზეგავლენა ბიზნეს საქმიანობაზე, მომსახურების მარკეტინგის ძირითადი კონცეფციები და კატეგორიები, მომსახურების სექტორის როლი და სპეციფიკა, მომხმარებელთა ქცევის ფუნდამენტალური პრინციპები და მათი მოთხოვნილებების ტიპები;

აგრობიზნესის კონცენტრაციით: აგრობიზნესის არსი, ამოცანები და აგრარული წარმოების თავისებურებანი, აგრარული მეურნეობის ორგანიზაციის პრინციპები, აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონის განსაზღვრის წესები; აცნობიერებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების როლს და მნიშვნელობას ბიზნესის განვითარებაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ზუსტად და კომპაქტურად გადმოსცეს ნებისმიერი ტიპის სამეურნეო სუბიექტის ეკონომიკური მდგომარეობა, მოახდინოს მისი ცნებებისა და დასკვნების ფორმულირება, შესაბამისი თეორიული კონცეფციების გადატანა პროფესიულ გარემოში და სტანდარტული და აპრობირებული მეთოდების გამოყენებით საქმიანობა, კერძოდ: ბიზნესის დაგეგმვა, ბიზნესის ორგანიზაციული სტრუქტურისა და ბიზნესის წამოსაწყებად აუცილებელი ფინანსური უზრუნველყოფის გზების განსაზღვრა, პერსონალის დაგეგმვის, დაქირავებისა და მასთან მუშაობის ტექნოლოგია, ბიზნეს სიტუაციებთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება და მართვა, საგადასახადო დეკლარირება, მომხმარებლისათვის ფინანსური აღრიცხვის ინფორმაციის დროულად და სრულად მომზადება, მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაციის დამუშავება, მომზადება და გადაცემა, გაყიდვების პროცესის მართვა.

გარდა აღნიშნულისა:

ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტის კონცენტრაციის კურსდამთავრებულს შეუძლია როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირის კრედიტუნარიანობის შეფასება, კრედიტის დაფარვაზე და საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე მონიტორინგის წარმოება, ბანკის სალაროს მეურნეობის ორგანიზება, კომერციული ბანკების სავალუტო ოპერაციების წარმოება; აუდიტორული შემოწმების ჩატარების არსებითობის განსაზღვრა და სტრატეგიის დაგეგმვა, შიდა და გარე აუდიტორული დასკვნის შედგენის პროცედურებში მონაწილეობის მიღება, აუდიტის

<p>მტკიცებულებებისათვის გამოსაყენებელი დოკუმენტების შედგენა; სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შედგენა და სატენდერო წინადადებების შემუშავება.</p> <p>მენეჯმენტ-მარკეტინგის კონცენტრაციის კურსდამთავრებულს შეუძლია მოახდინოს სეგმენტაცია და შეარჩიოს მიზნობრივი აუდიტორია მომსახურების სფეროს საწარმოებში; დაგეგმოს, შეიმუშაოს და მართოს მომსახურების პროცესი; შეუძლია მომხმარებელთა ქცევის შესასწავლად კვლევის ჩატარება. ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება და გადაწყვეტილების მიღება; კორპორაციული მართვის მეთოდებისა და კონტროლის ფორმების შერჩევა; ახალი პროდუქციის შექმნის პროცესის სტრუქტურირება, მონაწილეობის მიღება ტექნოლოგიური და პროდუქტიული ინოვაციების დანერგვაში, ინოვაციური პროდუქტების ბაზრის სეგმენტაცია მ. პორტერის 5 ძირითადი კონკურენტული სტრატეგიების გამოყენებით; მოახდინოს პოზიციონირების რუკის შედგენა და მომსახურების პოზიციონირება;</p> <p>აგრობიზნესის კონცენტრაციის კურსდამთავრებულს შეუძლია ფერმერული მეურნეობის საწარმოთა ორგანიზაცია და მართვა, აგროსაწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბება, შეზღუდული საწარმოო რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების სწორი ორგანიზაცია, აგროსასურსათო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის დონის განსაზღვრა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>
<p>კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნეს სექტორში მიმდინარე პროცესებში სწრაფად გარკვევა, არსებული სიტუაციების სწორი შეფასება, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების დასახვა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება.</p> <p>ამასთან, რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე აყალიბებს ბიზნეს გარემოს შესახებ დასაბუთებულ დასკვნებს, შეუძლია ბიზნეს სექტორში მიმდინარე ცვლილებებისა და ტენდენციების გათვალისწინებით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესის წამოწყებით და მართვაში მონაწილეობის მიღებით დაინტერესებულ პირებთან როგორც ვერბალური, ისე არავერბალური კომუნიკაციის დამყარება, ასევე, ბიზნესპროექტების მომზადება და პრეზენტაცია.</p>
<p>სწავლის უნარი</p> <p>გააჩნია სწავლისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი, უცხო გარემოში ადაფტირებისა და მოქმედების უნარი. ასევე, შეუძლია საკუთარი სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად ორგანიზება ინფორმაციისა და დროის ეფექტური გამოყენების გზით როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფში.</p> <p>ამასთან, ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტის მოდულის სტუდენტს შეუძლია განავითაროს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის პროგრამით გათვალისწინებული შემდგომი ეტაპები.</p> <p>შეუძლია უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელება.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>კურსდამთავრებული არის კრეატიული, ინიციატორი, კომუნიკაბელური; გააჩნია დროის, როგორც ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი ღირებულებების დაგეგმვისა და მართვის უნარი და ბიზნეს საქმიანობის პროცესში გუნდური მუშაობის თვისება; გააზრებული აქვს სწავლის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ღირებულებები, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, კონკურენტულ გარემოში ურთიერსარგებლიანობის პრინციპები.</p>

ეკონომიკა

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი /6000 ასტრონომიული საათი/

პროგრამის მიზანი

ეკონომიკის ბაკალავრის მომზადების მიზანია:

- მისცეს სტუდენტს მიკრო და მაკრო სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მახასიათებელი ძირითადი დებულებებისა და კატეგორიების გაცნობიერების აუცილებელი თეორიული ცოდნა;
- შეასწავლოს სტუდენტს კონკრეტულ გარემოში ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვა და წარმოება როგორც საჯარო და/ან კერძო სექტორში, ისე საკუთარ ბიზნესში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
- ჩამოყალიბოს სტუდენტს პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფართო სპექტრი ეროვნული ეკონომიკის სექტორებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მართვის სფეროებში;
- მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძველზე, გახადოს სტუდენტი კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე;
- შეუქმნას სტუდენტს საფუძველი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სწავლების მომდევნო საფეხურზე, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.

პროგრამის სტრუქტურა

სპეციალობის სავალდებულო კურსები	80 ECTSკრედიტი
სპეციალობის არჩევითი (ორი მოდული)კურსები	40 ECTSკრედიტი
დამხმარე სავალდებულო კურსები	45 ECTSკრედიტი
არჩევითი კურსები	15 ECTSკრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTSკრედიტი
სულ	240 ECTSკრედიტი

სწავლის შედეგები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>ზოგადი: აქვს ეკონომიკის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრებას და კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას.</p> <p>დარგობრივი: ჩამოყალიბებული აქვს მიკრო, მაკრო და მეგა ეკონომიკურ სფეროებში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ამსახველი ძირითადი თეორიული დებულებებისა და პრინციპების განსაზღვრისა და განსხვავებისათვის აუცილებელი ცოდნა: საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკების, საგადახდო და საგადასახდო სისტემების; ქვეყნის სოციალური, დემოგრაფიული და ეკონომიკური პროცესების შესახებ</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება</p> <p>შეუძლია ეკონომიკის სფეროსათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის დავალების შესრულება წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციებისა და რეკომენდაციების შესაბამისად შეუძლია სოციალური და ეკონომიკური სფეროს პრობლემური საკითხის გამოცნობა და აქტუალობის შეფასება, მისი გადაჭრის მეთოდების შერჩევა და ჩვენება, საანალიზო პარამეტრების გამოთვლა და განზოგადება, მოსალოდნელი შედეგების წინასწარი აღწერა, ჩამოყალიბება და დემონსტრირება; საერთაშორისო სავაჭრო, საანგარიშსწორებო და ლოჯისტიკის ოპერაციების დაგეგმვა და განხორციელება, თავისი კომპეტენციათა ფარგლებში.</p>

<p>დასკვნის უნარი</p>
<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვების და განმარტების, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზის სტანდარტული და ზოგიერთი მეთოდის გამოყენების, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი ჩამოყალიბებული აქვს ეროვნული ეკონომიკის სფეროების და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ამსახველი ფაქტების შეგროვების, მონაცემების დალაგების და კლასიფიცირების, საანალიზო მახასიათებლების გამოთვლის და აბსოლუტურ, შეფარდებით და საშუალო სიდიდეებში მათი გამოსახვის, ეკონომიკურ ცხრილებსა და გრაფიკებში წარმოდგენის, საკითხის გადასაწყვეტად სარეკომენდაციო წინადადებების მომზადების და ჩვენების უნარი.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება აქვს ქართულ და ინგლისურ ენაზე (შესაძლოა სხვა უცხო ენაზეც) თანამედროვე საინფორმაციო წიგნიერების და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების, ზეპირი და წერილობითი ინფორმაციის მიღების, აღქმის, დამუშავებისა და წარდგენის, დარგის სპეციალისტებთან და/ან არასპეციალისტებთან, საქმიან პარტნიორებთან ვერბალურ და ელექტრონულ დიალოგებსა და დისკუსიებში მონაწილეობასა და კამათში შეუფერხებელი საუბრის, წერილობითი ანგარიშის მომზადების და პრეზენტაციის, სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენებით ეკონომიკური შინაარსის და საქმიანი ინფორმაციის გადაცემის უნარი.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა. აქვს სწავლის საჭიროების, მისი აუცილებლობის დონისა და ხარისხის განსაზღვრის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის გზით ცოდნის მიღებისა და განახლების უნარი; სასწავლო ლიტერატურისა და ინტერნეტრესურსების გამოყენების, საკუთარი ცოდნის შესაბამისი ქართული და უცხოური ლიტერატურის კითხვით უწყვეტი განვითარების შესაძლებლობების უნარი.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>ზოგადი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. სწავლის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ღირებულებების გააზრების, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერების, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლების პროცესში ინდივიდუალურად და/ან გუნდში ღირსეული მონაწილეობის მოთხოვნილება.</p>

სოციალური მეცნიერებები

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

სტუდენტმა შეიძინოს ცოდნა სოციალური მეცნიერებების ძირითადი ცნებებისა და თეორიების, საერთაშორისო პოლიტიკის მექანიზმების/ინსტიტუტების ფუნქციონირებისა და როლის, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების დანიშნულებისა და პრინციპების, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის აქტუალური პრობლემების შესახებ. გარდა ამისა, აქვს შესაძლებლობა პროგრამით გათვალისწინებული სამი კონცენტრაციიდან - საერთაშორისო ურთიერთობები, მასობრივი კომუნიკაციები და საჯარო მმართველობა - აირჩიოს ერთ-ერთი და შესაბამისი კომპეტენციები განუვითარდეს.

პროგრამის სტრუქტურა

ძირითადი პროგრამის სასწავლო კურსები	100 ECTS კრედიტი
არჩევითი სასწავლო კურსები	20 ECTS კრედიტი
არჩევითი კონცენტრაციები	120 ECTS კრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

სტუდენტმა იცის სოციალური მეცნიერებების საფუძვლები. მათ შორის: საჯარო მმართველობის ძირითადი თეორიები, სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკური კულტურა, სახელმწიფოს მართვისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემები, მასობრივი კომუნიკაციის სისტემის შემადგენელი ნაწილების სისტემა და თავისებურებანი, ჟურნალისტური კვლევის უმთავრესი მეთოდები. იცის, როგორ მოიპოვოს მასალები მედიატექსტისთვის, დაამუშაოს და გაავრცელოს.

ასევე იცის საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიისა და საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი ცნებები, საერთაშორისო საჯარო სამართლისა და საგარეო პოლიტიკის ძირითადი ასპექტები, დიპლომატიური მოლაპარაკებებისა და შეთანხმების საფუძვლები.

კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს სოციალურ მეცნიერებათა თეორიები, მათ შორის: საჯარო პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და მასობრივი კომუნიკაციების პრინციპები. მათი როლი თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთობებში. დაუფლებულია დარგობრივ უცხო ენას, პრეზენტაბელურობის უნარ-ჩვევებს და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებას.

- **საერთაშორისო ურთიერთობების კონცენტრაციის კურსდამთავრებულს** დამატებით შესწავლილი აქვს როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი და ეკონომიკური ურთიერთობების როლი მსოფლიო დონეზე და გაცნობიერებული აქვს საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვის ნორმები.
- **საჯარო მმართველობის კონცენტრაციის ფარგლებში კურსდამთავრებულს** შესწავლილი აქვს როგორც საქართველოს პოლიტიკური სისტემა, ისე სახელმწიფოს მართვის სპეციფიკა და მეთოდები, კონსტიტუციური და შრომის სამართლის საფუძვლები, საჯარო ფინანსები და ინვესტირების საფუძვლები, გარდა ამისა, გაცნობიერებული აქვს დემოკრატიისა და მოქალაქის ძირითადი უფლებების დაცვის როლი მაღალი სოციალური სტატუსის მქონე საზოგადოების ჩამოყალიბებაში.
- **მასობრივი კომუნიკაციების (ჟურნალისტიკა) კონცენტრაციის კურსდამთავრებულს** შესწავლილი აქვს მასობრივი კომუნიკაციის თეორია, ჟურნალისტიკის საფუძვლები, მედიატექსტის აგების პრინციპები, საზოგადოებასთან ურთიერთობების მეთოდოლოგია და მეთოდიკა. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციფიკა და მათი როლი მულტიმედიური ჟურნალისტიკის განვითარებაში.

პრაქტიკაში გამოყენების უნარები

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სოციალური მეცნიერებების თეორიული კონცეფციების პროფესიულ გარემოში გადატანა და სტანდარტული/აპრობირებული მეთოდების გამოყენებით საქმიანობა. ასევე, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობა და კომუნიკაციის დამყარება როგორც მშობლიურ, ისე ინგლისურ ენაზე.

- **საერთაშორისო ურთიერთობების კონცენტრაციის კურსდამთავრებულს** დამატებით შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის, თანამედროვე პოლიტიკური სისტემების ანალიზი, დიპლომატიური და საკონსულო სამართლის ნორმების დაცვა, დიპლომატიური პროტოკოლის შედგენა, საერთაშორისო უსაფრთხოების ნორმების შემუშავება და დაცვა, ზოგად ადმინისტრაციული სამართლის ნორმების დაცვა.
- **საჯარო მმართველობის კონცენტრაციის ფარგლებში კურსდამთავრებულს** დამატებით შეუძლია საჯარო მოხელის მართვა მოტივაციის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, მუნიციპალური საკითხების მართვა, საინვესტიციო პროექტებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობის მიღება, საჯარო სამსახურში წარმოშობილი კონფლიქტების მართვა. საარჩევნო სისტემებში მონაწილეობა და საარჩევნო მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავება, პოლიტიკური ლიდერის როლის შესრულება და ა.შ.
- **მასობრივი კომუნიკაციების (ჟურნალისტიკა) კონცენტრაციის კურსდამთავრებულს** შეუძლია პროფესიული ფუნქციების შესრულება როგორც მულტიმედიურ, ისე ელექტრონულ და ბეჭდურ ჟურნალისტიკაში, სხვადასხვა ტიპის ჟურნალისტური პროდუქტის მომზადება, დამუშავება და გავრცელება თითოეული მედია არხის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასკვნის უნარი

<p>კურსდამთავრებულს გლობალური, რეგიონური, ეროვნული პოლიტიკური მოვლენების ანალიზის საფუძველზე შეუძლია საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის არსებული მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>კურსდამთავრებულს შეუძლია პროფესიული ინფორმაციის მოპოვების მიზნით თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენება, სახელმწიფო ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით ცოდნის დამაჯერებლად და დასაბუთებულად წარმოჩენა, პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით უცხოურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაცია და მოლაპარაკებების მიზანმიმართულად წარმართვა.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>კურსდამთავრებულს გააჩნია დარგობრივი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების უნარი, დამოუკიდებელი მუშაობის ეფექტურად დაგეგმვის უნარი, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით პროფესიული ცოდნის განახლებისა და პროფესიული განვითარების უნარი.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>კურსდამთავრებულს ახასიათებს კომუნიკაბელურობა, გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის უნარი, ცვალებად გარემოსთან შეგუებისა და ზეგეგმიური მუშაობის უნარი; კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი; ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების აუცილებლობის გააზრება; სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების უნარი.</p>

სამართალი

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

- საზოგადოებაში ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა;
- სამართლებრივი საკითხების არსისა და მნიშვნელობის სათანადო გააზრება; სამართლის ძირითად დარგებში კანონმდებლობისა და სამართლებრივ ნოვაციათა დაუფლება და პრაქტიკაში მათი გამოყენების შესაძლებლობა;
- სამართლებრივ დისციპლინათა შესწავლით იურიდიული მეცნიერების საფუძველმდებარე პრინციპების, ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების გაცნობა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე გაღრმავება-განმტკიცება, ყოველივეს საფუძველზე კი იურისტის საქმიანობისათვის აუცილებელი კომპლექსური ხედვისა და პროცესების ობიექტური შეფასების უნარ-ჩვევათა ფორმირება-განმტკიცება; სამოქალაქო ფასეულობების გაცნობიერება;
- პიროვნების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობის მიზნით სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ფასეულობებისა და ღირებულებების შესწავლა და მეცნიერული საფუძვლების გაცნობა, აკადემიური და ინტელექტუალური განვითარება.
- კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, როგორც განათლების შემდგომი საფეხურისათვის, ისე დასაქმების ბაზრისათვის. პროგრამის მკაფიოდ განსაზღვრული პროფილიდან და აკადემიური მოთხოვნებიდან გამომდინარე შრომის ბაზარზე დასაქმება ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც ბაკალავრს არ მოეთხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და რომლის მოსაპოვებლადაც სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების სრული უფლებამოსილება გააჩნია. ამასთან ცალკეული თანამდებობის დასაკავებლად შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დამატებითი წინაპირობები. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არის პროფესიის დაუფლების საშუალება, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში დასაქმებული იურისტისათვის.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები	20 ECTS კრედიტი
სავალდებულო საბაზისო იურიდიული მოდულები	105 ECTS კრედიტი
არჩევითი სასწავლო კურსები	25 ECTS კრედიტი
სპეციალიზაციის მოდულები	60 ECTS კრედიტი
ინდივიდუალური პროფილის კურსები	30 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

ზოგადი კომპეტენციები

აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, აცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს, ეროვნული სამართლის სისტემის ისტორიულ განვითარებას და დღევანდელობას დროისა და სივრცის კატეგორიების მიხედვით; განსაზღვრავს ეროვნული სამართლის სისტემის შემადგენელ სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს, აკავშირებს მათ ძირითად სამართლებრივ სისტემებთან და სამართლის ოჯახებთან; იცის ეროვნული სამართლის სისტემის

შემადგენელი სამართლის ცალკეული დარგების შესაბამისი მატერიალური და პროცესუალური ინსტიტუტები; განსაზღვრავს და აფასებს სამართლის მეცნიერების საფუძველმდებარე ფუნდამენტურ პრინციპებს, კონცეფციებს, ფასეულობებსა და ღირებულებებს, ისტორიულ, თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებულ საჭირო წყაროებს; აცნობიერებს სამართლებრივი თეორიების ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, ახდენს მათ ფორმულირებას და შეფასებას.

დარგობრივი კომპეტენციები

აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, ხოლო საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის - სიღრმისეული ცოდნა. გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის.

კურსდამთავრებულმა იცის: განმარტების მეთოდები; სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპები; სახელმწიფოებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; ქონებრივი სამართალი; ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები; დანაშაულის არსი, სახეები და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებები; სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოება; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები.

განიხილავს და აცნობიერებს ეროვნული სამართლის სისტემის ისტორიულ განვითარებასა და დღევანდელ მდგომარეობას დროისა და სივრცის კატეგორიების მიხედვით; განსაზღვრავს ეროვნული სამართლის სისტემის შემადგენელ სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს, აკავშირებს მათ ძირითად სამართლებრივ სისტემებთან და სამართლის ოჯახებთან; შეუძლია ეროვნული სამართლის სისტემის შემადგენელი სამართლის ცალკეული დარგების შესაბამისი მატერიალური და პროცესუალური ინსტიტუტების ფორმულირება; განსაზღვრავს და აფასებს სამართლის მეცნიერების საფუძველმდებარე ფუნდამენტურ პრინციპებსა და კონცეფციებს, ფასეულობებსა და ღირებულებებს; აცნობიერებს სამართლებრივი თეორიების ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, ახდენს მათ ფორმულირებას და შეფასებას; განმარტავს სამართლის ძირითადი პრინციპებს, ისტორიულ, თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებულ საჭირო წყაროებს.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა კერძო სამართლის მოდულის ფარგლებში იცის:

სამოქალაქო სამართლის ცნება, წყაროები და მნიშვნელობა, კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნა, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობის, ქმედუნარიანობის, დელიქტუნარიანობის ფარგლები, იურიდიული პირი და მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი; გარიგების ცნება და მისი ცალკეული სახეები; ნივთზე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ბატონობის პირობები, სანივთო-სამართლებრივი, ვალდებულების, საოჯახო და მემკვიდრეობითი, შრომის სამართლის ინსტიტუტები; სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპების თუ ნორმების დემონსტრირება; ნოტარიატის სფეროში მოქმედ კანონმდებლობა და სანოტარო სამართლის განვითარების ძირითადი მიმართულებები; ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ძირითადი ინსტიტუტები და პრინციპები; საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროები, საკოლიზიო ნორმათა ფუნქცია, დელიქტების საკოლიზიო საკითხები, პირები საერთაშორისო კერძო სამართალში, ნივთისა და გარიგების, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის საკითხები საერთაშორისო კერძო სამართალში; გაკოტრების (გადახდისუუნარობის) მარეგულირებელი ნორმები, საკანონმდებლო ინსტრუმენტები და საქმის წარმოების სტადიები; სადაზღვევო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები და ძირითადი ინსტიტუტები; ადვოკატის მიერ რელევანტური მტკიცებულებების მოპოვება და პოზიციის კვალიფიციური არგუმენტაცია; იურისტის პროფესიული საქმიანობის ეთიკის ფარგლები; გაცნობიერებული აქვს იურისტის საქმიანი ურთიერთობების თავისებურებები.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა საჯარო სამართლის მოდულის ფარგლებში იცის:

საქართველოს საარჩევნო სისტემის და საარჩევნო პროცესის თავისებურებები, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა და განვითარების ტენდენციები; საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართლის წყაროები, დამკვიდრებული კონსტიტუციური წესრიგი, უშუალო და წარმომადგენლობითი დემოკრატიის რეალიზაციის ფორმები, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი

თვითმმართველობის გამიჯვნისა და ურთიერთმიმართების მექანიზმები; საგადასახადო სამართლის ძირითადი ინსტიტუტები და მარეგულირებელი ნორმების თავისებურებები; სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების თავისებურებები, აღსრულების გადადება, შეწყვეტა ან შეჩერება; ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე ადვოკატის მიერ რელევანტური მტკიცებულებების მოპოვება და პოზიციის კვალიფიციური არგუმენტაცია; იურისტის პროფესიული ეთიკის ფარგლები და მარეგულირებელი კანონმდებლობა; აცნობიერებს იურისტის საქმიანი ურთიერთობების თავისებურებებს.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა სისხლის სამართლის მოდულის ფარგლებში იცის:

სისხლის სამართლის პრინციპები, სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები, დანაშაულის ჩადენის სტადიები, სასჯელის მიზნები და სახეები; ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის არსი და მნიშვნელობა; ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მარეგულირებელი სისხლისსამართლებრივი ნორმები; სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები, საპროცესო ვადები, საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკის, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თავისებურებანი; დანაშაულის კრიმინოლოგიური ასპექტები, დანაშაულთა გახსნის მეთოდები; მტკიცებულებათა დასაშვებობა, მტკიცებულებათა შეკრება, შემოწმება, შეფასება და წარდგენა; საერთაშორისო სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები; სისხლის სამართლის საქმეზე დაცვის ქვეშ მყოფისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფის მიზნით ადვოკატის მიერ რელევანტური მტკიცებულებების მოპოვება და პოზიციის კვალიფიციური არგუმენტაცია; იურისტის პროფესიული საქმიანობის ეთიკის ფარგლები; აცნობიერებს იურისტის საქმიანი ურთიერთობების თავისებურებებს.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა სამართლის საფუძვლების მოდულის ფარგლებში იცის:

სამართლის ნორმის ცნება, სახეები; სამართლის ნორმის განმარტება და შეფარდება; სამართლის ნორმის სტრუქტურა; საკანონმდებლო პროცესი; ნორმატიული აქტების იერარქია; სამართლის დარგები და ინსტიტუტები; ძველი ქართული კონსტიტუციური, სისხლის, სამოქალაქო თუ პროცესუალური სამართლის ინსტიტუტები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ზოგადი კომპეტენციები

აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით პრობლემის გადაჭრის, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად პრაქტიკული ხასიათის დავალების შესრულების უნარი; პრობლემის სწორად შეფასების, დასახული ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის დადასტურების და სათანადო ქმედების განხორციელების უნარი.

დარგობრივი კომპეტენციები

აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი; შეუძლია იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენა, დასახული ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის შეფასება, წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების შესაბამისად სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების ცალკეული კომპონენტების შემუშავება და პრაქტიკული ხასიათის ამოცანების გადაჭრა.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს კერძო სამართლის მოდულის ფარგლებში შეუძლია:

სანივთო, სახელშეკრულებო, საოჯახო-სამემკვიდრეო და სხვა კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების მოძიება, შერჩევა და პრაქტიკაში გამოყენების დადასტურება; საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვის პროცესში მონაწილეობა და საკუთარი ან სხვისი ინტერესების დაცვა; შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების (ხელშეკრულებები, სარჩელები და სხვა) მომზადება.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საჯარო სამართლის მოდულის ფარგლებში შეუძლია:

კონსტიტუციურ, მათ შორის, ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან და სხვა საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიება, განმარტება და პრაქტიკულ საქმიანობაში ადეკვატურად გამოიყენება; კონსტიტუციურ-სამართლებრივი (ნორმატიული აქტის პროექტი) ადმინისტრაციული საპროცესო (საჩივარი, სარჩელი, შესაგებელი და ა.შ.) და სხვა დოკუმენტაციის მომზადება; სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების მოძიება და პრობლემების გადასაჭრელად ადეკვატურად გამოიყენება; სამოხელეო სამართალთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების შეფასება, საჯარო მოსამსახურეთა სახეების ერთმანეთისგან გამიჯვნა; საერთაშორისო საჯარო სამართლის წყაროების, შესაბამისი კონვენციური თუ სხვა სახის ნორმების მოძიება, განმარტება და პრაქტიკაში ეფექტურად გამოიყენება.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს სისხლის სამართლის მოდულის ფარგლებში შეუძლია:

სისხლისსამართლებრივი ნორმების შერჩევა და შეფარდება; დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანთა კლასიფიცირება და გამოყენება პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების დადგენისას დანაშაულის შემადგენლობის და მისი ელემენტების გამოვლენა; კრიმინალისტიკური ტექნიკის პრაქტიკაში გამოყენება; მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებების დადგენა; სასჯელისა და პირობითი მსჯავრის გამოყენების წესის განსაზღვრა და შეფასება.

დასკვნის უნარი

ზოგადი კომპეტენციები

აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვების, აზრის ლაკონურად და გასაგებად ჩამოყალიბების, ახალი ინფორმაციის მიღების, შერჩევის და თვითანალიზის საფუძველზე ახლებურად ფორმულირების უნარი; სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზის და აბსტრაქტული აზროვნების საფუძველზე სათანადო, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარები.

დარგობრივი კომპეტენციები

აქვს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი; სამართლებრივი საკითხებისადმი დამოუკიდებლად კრიტიკული დასკვნების გამოტანის და კონკრეტული გადაწყვეტილების შედეგების შესახებ მსჯელობის დასაბუთების უნარი; მოპოვებული ინფორმაციის შეჯამების და სათანადო დასკვნების შემუშავების უნარი.

აქვს აზრის ლაკონურად და გასაგებად ჩამოყალიბების, ახალი ინფორმაციის მიღების, შერჩევის და თვითანალიზის საფუძველზე ახლებურად ფორმულირების უნარი; ცოდნაზე დამყარებული დასკვნების გამოტანის, ხერხებისა და მეთოდების განსაზღვრის უნარი; პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების ფარგლებში კრიტიკული აზროვნებისა და ინტერპრეტირების ხერხებისა და მეთოდების ერთმანეთთან დაკავშირების უნარი.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს კერძო სამართლის მოდულის ფარგლებში შეუძლია:

სანივთო, ვალდებულებითი, საოჯახო-მემკვიდრეობითი, სამოქალაქო საპროცესო და სხვა კერძოსამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით მოპოვებული ინფორმაციის თანმიმდევრობით დალაგება, არსებული პრობლემების ხედვა, მსჯელობა, კრიტიკული ანალიზი და ახლებურად ფორმულირება; სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების, დებულებების განზოგადება, კონკრეტულ სასამართლო გადაწყვეტილებების შედარება-გაანალიზება; იურისტის პროფესიათა ეთიკის საკითხებზე დასკვნების გამოტანა.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საჯარო სამართლის მოდულის ფარგლებში შეუძლია:

კონსტიტუციურ და ზოგად ადმინისტრაციულ, ადმინისტრაციულ-საპროცესო, სამოხელეო და სხვა საჯარო სამართლებრივი ურთიერთობების ანალიზის საფუძველზე მნიშვნელოვანი ფაქტების გამოცალკევება, კონკრეტულ სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგებზე მსჯელობა, საერთაშორისო-სამართლებრივი კონვენციური ნორმების საფუძველზე ადეკვატური და დასაბუთებული დასკვნების შემუშავება; იურისტის პროფესიათა ეთიკის საკითხებზე სამართლებრივად მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს სისხლის სამართლის მოდულის ფარგლებში შეუძლია:

ქმედების შემადგენლობაზე, დანაშაულის სუბიექტურ და ობიექტურ მხარეებზე, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებზე, სასჯელის დანიშვნაზე, დანაშაულის ცალკეულ სახეებზე და არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებზე არსებული პრობლემების ხედვა, ანალიზი და სამართლებრივად დასაბუთებული დასკვნების გამოტანა; კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე საგამომიებო მოქმედებების ანალიზი და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება; ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის და ცალკეული კატეგორიის საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამოყენების დასაბუთება; იურისტის პროფესიათა ეთიკის საკითხებზე ადეკვატური და დასაბუთებული დასკვნის გაკეთება.

კომუნიკაციის უნარი

ზოგადი კომპეტენციები

თანამედროვე საინფორმაციო, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით აქვს ინფორმაციის მშობლიურ და უცხოურ ენაზე მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარი; ახალ სიტუაციაში ადაპტირების უნარი.

დარგობრივი კომპეტენციები¹

შეუძლია კერძო, საჯარო და სისხლის სამართლის ინსტიტუტებთან მიმართებით, იურიდიული ტერმინოლოგიის და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ვერბალური (ზეპირსიტყვიერი) და წერილობითი ფორმით კომუნიკაცია, მათ შორის სასამართლოში და სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე საკუთარი მსჯელობის საჯაროდ, არგუმენტირებულად და გასაგებად წარმოდგენა.

შეუძლია ჯგუფში და ინდივიდუალურად მუშაობა; პროფესიულ თემებზე დისკუსია და დებატები კოლეგებთან; შეუძლია ახალი პროფესიული მასალის მოძიება და პრეზენტაციის გაკეთება.

სწავლის უნარი

ზოგადი კომპეტენციები

აქვს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად, მრავალმხრივად შეფასების და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენის, სამართლის სფეროში მიმდინარე სიახლეთა მუდმივად გადამოწმების უნარი.

დარგობრივი კომპეტენციები

აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების და შემდგომ საფეხურზე სწავლის უნარი.

შეუძლია კერძო, საჯარო და სისხლის სამართლებრივ ნორმებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების და სასამართლო პრაქტიკის განზოგადება, საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა; ინფორმაციის წყაროების მოძიება, თანმიმდევრულად და

¹ სამართლის საბაკალავრო პროგრამის კომუნიკაციის, სწავლის უნარისა და ღირებულებების დარგობრივი კომპეტენციების განვითარებით მიღწეული შედეგები თანხვედრია პროგრამით გათვალისწინებულ თითოეულ მოდულთან (კერძო, საჯარო, სისხლი) და ინდივიდუალურად არ არის გაწერილი.

მრავალმხრივად შეფასება; სწავლის პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით სამართლის სფეროში მიმდინარე სიახლეთა მუდმივად გადამოწმება.

ღირებულებები

ზოგადი კომპეტენციები

მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად. პროფესიული ეთიკის ფარგლებში მოწოდებულია ღირებულებითი ურთიერთობების დასაცავად.

დარგობრივი კომპეტენციები

იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

შეუძლია განსხვავებული აზრისათვის, ოპონენტის არგუმენტირებული პოზიციის მოსმენისათვის პატივისცემა; პროფესიული ღირებულებების და ვალდებულებების გააზრება; ეთიკური სტანდარტების მაქსიმალური დაცვა; ცალკეული სამართლებრივი გადაწყვეტილებების შემუშავება-ჩამოყალიბების პროცესში ან ზეპირი კომუნიკაციის დროს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის სტრატეგიის გამოყენება.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

მათემატიკა

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მათემატიკის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, სტუდენტს:

- მისცეს მათემატიკის ფართო ცოდნა;
- განუვითაროს მათემატიკური თეორიებისა და მეთოდების გამოყენების უნარი თეორიული და გამოყენებითი ხასიათის პრობლემების გადასაჭრელად;
- განუვითაროს ლოგიკური აზროვნების, კრიტიკული გააზრებისა და ანალიზის, მონაცემების საფუძველზე სწორი დასკვნების გაკეთების უნარი;
- განუვითაროს მათემატიკურ საკითხებთან დაკავშირებით წერითი და ზეპირი ფორმით სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი;
- განუვითაროს საკუთარი სწავლის პროცესის ორგანიზების უნარი;
- ჩამოუყალიბოს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებები.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები	15 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები	10 ECTS კრედიტი
სპეციალობის სავალდებულო კურსები	127 ECTS კრედიტი
პროგრამისათვის არჩევითი კურსები	28 ECTS კრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹ ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	60 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- ✓ მათემატიკის ფუნდამენტური თეორიების, პრინციპებისა და კონცეფციების ცოდნა;
- ✓ დამტკიცების აღქმისა და ლოგიკური მათემატიკური მსჯელობის უნარი მოცემულობების, დაშვებების და დასკვნების მკაფიო იდენტიფიკაციით;
- ✓ მათემატიკური გამოთვლებისათვის აუცილებელი სპეციალიზებული პროგრამული პაკეტის/დაპროგრამების ენის ცოდნა;
- ✓ მათემატიკის ისტორიული განვითარებისა და მეცნიერულ აზროვნებაზე მისი ზეგავლენის ზოგიერთი ასპექტის ცოდნა;
- ✓ „ელემენტარული მათემატიკის“ გაღრმავებული ცოდნა;
- ✓ უცხო ენის ცოდნა მათემატიკური ლიტერატურის გაცნობისათვის.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

<ul style="list-style-type: none"> ✓ მათემატიკური დებულებების, პრინციპებისა და მეთოდების გამოყენების უნარი ამოცანების ამოსახსნელად; ✓ რიცხვითი მეთოდების, გამოთვლითი ტექნიკისა და სპეციალიზებული პროგრამული პაკეტის/დაპროგრამების ენის გამოყენების უნარი მათემატიკური ამოცანების ამოსახსნელად; ✓ რეალური სამყაროს მოვლენების მათემატიკური მოდელირების უნარი; ✓ ექსპერიმენტისა და დაკვირვების დაგეგმვის და მიღებული მონაცემების ანალიზის უნარი.
<p>დასკვნის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ✓ აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი; ✓ პრობლემის იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი; ✓ გააზრებული გადაწყვეტილების მიღების უნარი.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ✓ მსჯელობისა და მისგან გამომდინარე დასკვნების ნათლად, ზუსტად და ადრესატისათვის მისაღები ფორმით მიწოდების უნარი, როგორც ზეპირად ისე წერილობით; ✓ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და სათანადო დონეზე პრეზენტაციის მიზნით; ✓ უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი.
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ✓ დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; ✓ დროის მენეჯმენტის უნარი.
<p>ღირებულებები</p>
<ul style="list-style-type: none"> ✓ კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი; ✓ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების აუცილებლობის გააზრება; ✓ სამეცნიერო და პედაგოგიური ეთიკის ცოდნა; ✓ გარემოს დაცვის ვალდებულების შეგნება; ✓ სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების აუცილებლობის გააზრება.

კომპიუტერული მეცნიერებები

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმატიკის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

- მისცეს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესაბამისი განათლება თანამედროვე კომპიუტერული მეცნიერებების სფეროში;
- განუვითაროს კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების უნარი თეორიული და გამოყენებითი ხასიათის პრობლემების გადასაჭრელად;
- განუვითაროს ლოგიკური აზროვნების, კრიტიკული გააზრებისა და ანალიზის, მონაცემების საფუძველზე სწორი დასკვნების გაკეთების უნარი;
- განუვითაროს ინფორმატიკის საკითხებთან დაკავშირებით წერითი და ზეპირი ფორმით სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი;
- განუვითაროს საკუთარი სწავლის პროცესის ორგანიზების უნარი;
- ჩამოუყალიბოს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებები.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსი	15 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები	5 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები	20 ECTS კრედიტი
სპეციალობის სავალდებულო კურსები	115 ECTS კრედიტი
სპეციალობის არჩევითი მოდულები	25 ECTS კრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება
<ul style="list-style-type: none"> ✓ პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობის ზოგადი უნარ-ჩვევები; ✓ პროგრამირების ძირითადი მეთოდების ცოდნა; ✓ მონაცემთა ბაზის სტრუქტურების შედგენის უნარი; ✓ კომპიუტერული სისტემების და ლოკალური ქსელების აგების ძირითადი მეთოდების ცოდნა; ✓ ინფორმატიკის ისტორიული განვითარებისა და მეცნიერულ აზროვნებაზე მისი ზეგავლენის ზოგიერთი ასპექტის ცოდნა; ✓ უცხო ენის ცოდნა კომპიუტერული ტექნოლოგიების შესაბამისი ლიტერატურის გაცნობისათვის.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
<ul style="list-style-type: none"> ✓ ამოცანების კომპიუტერზე რეალიზაციისა და მიღებული შედეგების ანალიზის უნარი; ✓ პროგრამირების მეთოდების გამოყენების უნარი სხვადასხვა სახის პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად; ✓ ლოკალური ქსელების დაგეგმარება, ცალკეული ელემენტების შერჩევა და მონტაჟი; ✓ კომპიუტერული სისტემების უსაფრთხოების სისტემების აგების პრინციპები.
დასკვნის უნარი
<ul style="list-style-type: none"> ✓ აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი;

<ul style="list-style-type: none"> ✓ პრობლემის იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი; ✓ გააზრებული გადაწყვეტილების მიღების უნარი.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ✓ მსჯელობისა და მისგან გამომდინარე დასკვნების ნათლად, ზუსტად და ადრესატისათვის მისაღები ფორმით მიწოდების უნარი, როგორც ზეპირად ისე წერილობით; ✓ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და სათანადო დონეზე პრეზენტაციის მიზნით; ✓ უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი.
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ✓ დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; ✓ დროის მენეჯმენტის უნარი.
<p>ღირებულებები</p>
<ul style="list-style-type: none"> ✓ კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი; ✓ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების აუცილებლობის გააზრება;

ქიმია

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ქიმიაში

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მაღალი პროფესიული დონის მქონე სპეციალისტების მომზადება, რის მისაღწევადაც იგი ისახავს შემდეგ ამოცანებს: მისცეს სტუდენტს თეორიული და პრაქტიკული განათლება ქიმიის საბაზო დისციპლინებში: ზოგად და არაორგანულ ქიმიაში, ორგანულ, ფიზიკურ, ანალიზურ, მაღალმოლეკულურ და ელემენტორგანულ ნაერთთა ქიმიაში, ასევე გამოყენებითი და ქიმიური ეკოლოგიის, კოლოიდური ქიმიის, ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის და სხვა მნიშვნელოვანი ქიმიური დისციპლინების სფეროში; გამოუმუშაოს სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებისა და ექსპერიმენტული უნარ-ჩვევები, დააუფლოს კვლევის თანამედროვე ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდებს.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები	15 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები	10 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები	15 ECTS კრედიტი
სპეციალობის სავალდებულო კურსები	115 ECTS კრედიტი
სპეციალობის არჩევითი კურსები	20 ECTS კრედიტი
თავისუფალი კურსები	5 ECTS კრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

დარგის შესაბამისი სწავლის შედეგები

- ✓ აქვს ქიმიის ძირითადი მიმართულებების ძირეული ცოდნა: არაორგანულ, ორგანულ, ფიზიკურ, ბიოლოგიურ, და ანალიზური ქიმიაში.
- ✓ გააჩნიათ ქიმიის სხვა მიმართულებების (მაკრომოლეკულების ქიმია, კვანტური ქიმია, კოლოიდური ქიმია და ა.შ.) საუძვლების ცოდნა.
- ✓ შეუძლიათ სამეცნიერო მონაცემების მოპოვება ინტერპრეტაცია და დასკვნების გაკეთება.
- ✓ განივითარეს ზოგადი უნარ-ჩვევები ქიმიის კონტექსტში.
- ✓ შეიძინეს სტანდარტული ცოდნა და კომპეტენცია, რომელიც მათ მეორე საფეხურის აკადემიურ პროგრამის გასავლელად ესაჭიროებათ.
- ✓ დაუფლებულნი არიან კვლევის თანამედროვე ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდებს.

დარგობრივი კომპეტენციები - დარგის ცოდნა და გაცნობიერება

<ul style="list-style-type: none"> ▪ ქიმიასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტების, კონცეფციების, პრინციპებისა და თეორიების ცოდნისა და გაცნობიერების, დემონსტრირების შესაძლებლობა. ▪ ქიმიური ინფორმაციისა და მონაცემების შეფასების ინტერპრეტაციისა და სინთეზის უნარი. ▪ ინფორმირებული აუდიტორიისათვის სამეცნიერო მასალის და არგუმენტების პრეზენტაციის უნარი. ▪ ქიმიური ინფორმაციასთან დაკავშირებული მონაცემთა დამუშავებისა და კომპიუტერული უნარები. ▪ ქიმიურ მასალებთან მუშაობისას უსაფრთხოების წესების დაცვის უნარი მათი ფიზიკური და ქიმიური თვისებების გათვალისწინებით.
<p>დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა ამათუ იმ მომიჯნავე სფეროებში ხარისხობრივი და რაოდენობრივი პრობლემების გადაჭრისათვის. ▪ სტანდარტული ლაბორატორიული პროცედურების განხორციელების უნარი, რომელიც გულისხმობს სპეციალური აპარატურის გამოყენებას სინთეზური და ანალიზური საქმიანობისას, როგორც ორგანულ, ასევე არაორგანულ სისტემებთან მიმართებაში. ▪ ქიმიური თვისებების, მოვლენებისა და ცვლილებების მონიტორინგის უნარი და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოების უნარი. ▪ ლაბორატორიული დაკვირვებისა და გაზომვების შედეგად მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაციის შესაძლებლობა.
<p>ზოგადი / ტრანსფერული კომპეტენციები - დასკვნის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ აქვს გააზრებული გადაწყვეტილების მიღების უნარი. ▪ აქვს პრობლემების დასმის, იდენტიფიცირების, და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ▪ აქვს აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია მსჯელობა და მისგან გამომდინარე დასკვნების ნათლად, ზუსტად და ადრესატისათვის მისაღები ფორმით მიწოდება, როგორც ზეპირად ისე წერილობით. ▪ აქვს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და სათანადო დონეზე პრეზენტაციის მიზნით.
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო წყაროების დახმარებით მიღებული ცოდნის გაღრმავება. ▪ აქვს დამოუკიდებელი მუშაობის უნარი.
<p>ღირებულებები</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებით სტუდენტებს გამოუმუშავდებათ:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი; ▪ განსხვავებულ სიტუაციებში პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შენარჩუნება; ▪ შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის დამოუკიდებლად გამოყენების უნარი; ▪ შეუძლია დაკისრებული ამოცანებისა და ვალდებულებების პასუხისმგებლობით შესრულება. ▪ თავისი და სხვების პროფესიული საქმიანობისადმი დამოკიდებულების შეფასების უნარი; ▪ გარემოს დაცვის ვალდებულებების შეგნების უნარი; ▪ ეთიკური ნორმების ცოდნის უნარი.

გეოგრაფია

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი გეოგრაფიაში

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებსაც შეეძლება ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემაში მიმდინარე პროცესების შესწავლა და ანალიზი; ასევე სავსე სამუშაოების შედეგად მოპოვებული და სხვა სამეცნიერო თუ სხვა სტატისტიკური მასალების შეგროვება, განზოგადება და პრეზენტაცია.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები	15 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები	10 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები	15 ECTS კრედიტი
სპეციალობის სავალდებულო კურსები	115 ECTS კრედიტი
სპეციალობის არჩევითი კურსები	20 ECTS კრედიტი
თავისუფალი კრედიტები	5 ECTS კრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

დარგის ცოდნა და გაცნობიერება

- აგნობიერებს დედამიწაზე არსებულ გეოსისტემებში მიმდინარე პროცესებს და მათი გავლენის შედეგებს სივრცესა და დროში;
- აგნობიერებს ლოკალურ და რეგიონალურ დონეებზე სოციალურ-ეკონომიკური და ფიზიკურ-გეოგრაფიული პროცესების მიმდინარეობის თავისებურებებს;
- აკვირდება ბუნებრივ გარემოს და აღიქვამს მასში მიმდინარე პროცესებს;
- მოიძიებს დამოუკიდებლად ზოგად გეოგრაფიულ მასალებს ლიტერატურული წყაროებიდან, ინტერნეტიდან და სხვა პირობებში;
- შეუძლია სავსე სამუშაოს დროს სივრცეში ორიენტაცია ტოპოგრაფიული რუკებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით;
- ახდენს მოპოვებული მასალების დამუშავებას, განზოგადებასა და შედეგების პრეზენტაციას;
- შეუძლია კარტოგრაფიული მასალის წაკითხვა და ინტერპრეტაცია;
- ერკვევა ველზე სამუშაოს წესებში და იცავს უსაფრთხოების ზომებს;
- სწორედ იყენებს გეოგრაფიულ ტერმინოლოგიას.

დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

- მოიძიებს დამოუკიდებლად ზოგად გეოგრაფიული მეცნიერებების მასალას (მათ შორის ინტერნეტის საშუალებით და სხვა პირობებში), აგროვებს, განზოგადებს, ამუშავებს და ახდენს მის დოკუმენტირებას და შედეგების მოხსენებას;
- შეუძლია სივრცეში ორიენტაცია სავსე სამუშაოს დროს ტოპოგრაფიული რუკებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით;

<ul style="list-style-type: none"> ▪ განსაზღვრავს გეოგრაფიული მეცნიერებების გამოყენების შესაძლებლობებს, და მათ როლს საზოგადოებაში; ▪ იყენებს რიცხობრივ, სტატისტიკურ და კარტოგრაფიულ მეთოდებს საზოგადოებრივი სისტემების განხილვისას; ▪ შეუძლია კარტოგრაფიული მასალის წაკითხვა და ინტერპრეტაცია; ▪ იყენებს ველზე მუშაობის წესებს, უსაფრთხოების ზომების ჩათვლით.
<p>ზოგადი / ტრანსფერული კომპეტენციები - დასკვნის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ მოიძიებს დამოუკიდებლად ზოგად გეოგრაფიული მეცნიერებების მასალას (მათ შორის ინტერნეტის საშუალებით და საველე პირობებში), აგროვებს, განაზოგადებს, ამუშავებს და ახდენს მის დოკუმენტირებას და შედეგების მოხსენებას; ▪ შეუძლია სივრცეში ორიენტაცია საველე მუშაობის დროს ტოპოგრაფიული რუკებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით; ▪ განსაზღვრავს გეოგრაფიული მეცნიერებების გამოყენების შესაძლებლობებს, და მათ როლს საზოგადოებაში; ▪ იყენებს რიცხობრივ, სტატისტიკურ და კარტოგრაფიულ მეთოდებს საზოგადოებრივი სისტემების განხილვისას; ▪ შეუძლია კარტოგრაფიული მასალის წაკითხვა და ინტერპრეტაცია; ▪ იყენებს ველზე მუშაობის წესებს, უსაფრთხოების ზომების ჩათვლით.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაცია; ▪ შეუძლია დროის დაგეგმვა და მართვა დასახული მიზნის მისაღწევად.
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია სწავლა და ცოდნის მუდმივი განახლება; ▪ შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა; ▪ შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მიღება, დამუშავება, ანალიზი და მონაცემების ინტერპრეტაცია; ▪ იცნობს და იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; ▪ შეუძლია დაკისრებული ამოცანებისა და ვალდებულებების პასუხისმგებლობით შესრულება; ▪ შეუძლია დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება; ▪ შეუძლია ჯგუფში მუშაობა.

ბიოლოგია

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ბიოლოგიაში

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია საბუნებისმეტყველო განათლების მქონე სპეციალისტების მომზადება. პროგრამა სტუდენტებს ფუნდამენტური ბიოლოგიური დისციპლინების თეორიული საფუძვლების ცოდნითა და ბაკალავრის ხარისხის შესაბამისი კვალიფიკაციით უზრუნველყოფს. პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტებს თეორიული საბაზო განათლება ბიოლოგიაში. კერძოდ, შეასწავლოს სტრუქტურული ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე (მოლეკულური დონიდან ეკოსისტემის დონემდე) მიმდინარე მოვლენები; ძირითადი ბიოქიმიური პროცესები, რომლებიც საფუძვლად უდევს ორგანიზმის არსებობას; უჯრედებისა და ქსოვილების ძირითადი ტიპები და მათი ფუნქციები; მემკვიდრეობის მოლეკულური საფუძვლები; მიკროორგანიზმები და ვირუსები; მცენარეთა, ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგია და ორგანიზმებში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების კავშირი გარემო პირობებთან; თანამედროვე ევოლუციური თეორიები; ტერმინოლოგიის, ტაქსონომიისა და კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები და მნიშვნელოვანი ტაქსონომიური ერთეულების გამოცნობა; ეკოსისტემის ძირითადი ტიპები, ცოცხალ ორგანიზმებსა და ბიოსფეროს შორის არსებული კავშირები; დარგობრივი ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის მეთოდები, ნაცნობი და უცნობი პრობლემის გადასაჭრელად დარგობრივი ცოდნის გამოყენების გზები.

ბიოლოგების პროფესიულ მომზადებასთან ერთად პროგრამა ითვალისწინებს საბუნებისმეტყველო და სხვა ხელშემწყობი (ფიზიკა, ქიმია, კალკულუსი, კომპიუტერული უნარ-ჩვევები) მეცნიერებების საფუძვლების ცოდნას. ცოცხალ ორგანიზმებთან/გარემოში (ველზე) მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევების, ცოცხალ ორგანიზმთან მუშაობის ეთიკური ასპექტების გაცნობიერებას.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები	15 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები	20 ECTS კრედიტი
სპეციალობის სავალდებულო კურსები	120 ECTS კრედიტი
სპეციალობის არჩევითი კურსები	20 ECTS კრედიტი
თავისუფალი კრედიტები ²	5 ECTS კრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- აქვს თეორიული საბაზო განათლება ბიოლოგიაში.
- შეუძლია დარგობრივი ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის მეთოდების ცოდნის დემონსტრირება.
- აქვს ნაცნობი და უცნობი პრობლემის გადასაჭრელად დარგობრივი ცოდნის გამოყენების უნარი.
- გააჩნია სტრუქტურული ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე (მოლეკულური დონიდან ეკოსისტემის დონემდე) მიმდინარე მოვლენების შესახებ ბიოლოგიური ცოდნა.
- შეუძლია უჯრედებისა და ქსოვილების ძირითადი ტიპების და მათი ფუნქციების ცოდნის დემონსტრირება.
- ესმის ძირითადი ბიოქიმიური პროცესები, რომლებიც საფუძვლად უდევს ორგანიზმის არსებობას.

<ul style="list-style-type: none"> ▪ აქვს მიკრობიოლოგიური განათლება. ▪ გააჩნია ცოდნა მემკვიდრეობის მოლეკულური საფუძვლების შესახებ. ▪ აქვს თეორიული ცოდნა მცენარეთა, ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგიაში და ორგანიზმებში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებს აკავშირებს გარემო პირობებთან. ▪ შეუძლია თანამედროვე ევოლუციური თეორიების განხილვა. ▪ შეუძლია შესაბამისი ტერმინოლოგიის, ტაქსონომიისა და კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპების ცოდნის დემონსტრირება და მნიშვნელოვანი ტაქსონომიური ერთეულების გამოცნობა. ▪ აქვს უნარი აღწეროს მნიშვნელოვან ტაქსონომიურ ერთეულებს შორის ძირითადი განსხვავება. ▪ შეუძლია ეკოსისტემის ძირითადი ტიპების აღწერა, ცოცხალ ორგანიზმებსა და ბიოსფეროს შორის არსებულ კავშირებში გარკვევა. ▪ აქვს გარკვეული ცოდნა ქიმიასა და ფიზიკაში, რომელიც საკმარისია ბიოლოგიური მოვლენების ქიმიური და ფიზიკური საფუძვლების გაცნობიერებისათვის.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ აქვს ქიმიურ და ბიოლოგიურ ლაბორატორიებში მუშაობის პრაქტიკული (დარგობრივი) უნარ-ჩვევები. ▪ აქვს თანამედროვე მეთოდების ათვისების და გამოყენების უნარი. ▪ აქვს ძირითადი მეთოდების გამოყენებით სავსე პირობებში სავსე კვლევების დამოუკიდებლად წარმოების, ასევე ახალი სავსე კვლევის მეთოდების ათვისების უნარი. ▪ აქვს ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებაში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში საჭიროებისამებრ გამოყენების უნარი.
<p>დასკვნის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ აქვს ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებაში თეორიებზე, კონცეფციებზე და პრაქტიკულ საკითხებზე არგუმენტირებული მსჯელობის, ანალიზის, სინთეზის და დასკვნების გაკეთების უნარი. ▪ შეუძლია პროფესიული სიტუაციების გააზრება. ▪ აქვს ბიოლოგიური პრობლემის მრავალმხრივი ხედვის და ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის გაკეთების უნარი. ▪ შეუძლია სავსე პირობებში აღებული მასალის რკვევა, დასაბუთებული დასკვნის გაკეთება და ანგარიშის დაწერა.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე კოლეგებთან – აკადემიურ პერსონალთან. ▪ აქვს მოპოვებული ინფორმაციის ბიოლოგიური ტერმინოლოგიის გამოყენებით აუდიტორიისთვის ზეპირად, პრეზენტაციის ფორმით გადაცემის უნარი.
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ აქვს სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების გამოყენების უნარი. ▪ აქვს ბიოლოგიური მეცნიერებების სიახლეების მიდევნების, ლიტერატურასთან რეგულარულად და დამოუკიდებლად მუშაობის და დარგში უახლესი სამეცნიერო ინფორმაციის ფლობისთვის ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. ▪ შეუძლია საკუთარი პროფესიული საქმიანობის შეფასება, პროფესიული განვითარების აუცილებლობის გაცნობიერება, სწავლის საჭიროების განსაზღვრა და სწავლის პროცესის დაგეგმვა.
<p>ღირებებულები</p>

- აქვს როგორც ლოკალურ ისე ეროვნულ დონეზე პროფესიული ფასეულობის გაზიარების და პრაქტიკაში რეალიზების უნარი.
- აქვს კრიტიკული აზროვნების და თვითკრიტიკის უნარი.
- შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულების შენარჩუნება.
- შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის დამოუკიდებლად გამოყენება.
- შეუძლია საველე და/ან ლაბორატორიულ პირობებში ცოცხალ ორგანიზმებზე გამოკვლევების ჩატარება ეთიკური პრინციპებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით.
- შეუძლია გარემოს დაცვის ვალდებულებების გაცნობიერება.

ეკოლოგია

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკოლოგიის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

- შესძინოს სტუდენტებს პროფესიულ დონეზე სწავლებისთვის საჭირო თეორიული ცოდნა და განუვითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბიოლოგიურ და ეკოლოგიურ დისციპლინებში, ასევე მიაწოდოს გარკვეული ცოდნა საბუნებისმეტყველო და სხვა (კალკულუსი, კომპიუტერული უნარ-ჩვევები, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია) მეცნიერებათა საფუძვლების შესახებ.
- გააცნოს სტუდენტებს ძირითადი ეკოლოგიური ფაქტორები და მათი მოქმედების სპეციფიკა მცენარეთა და ცხოველთა ცალკეულ ორგანიზმებზე, სახეობრივ პოპულაციებზე და ეკოსისტემებზე, რომ შეძლონ გაანალიზონ ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთობა და კავშირი გარე სამყაროსთან.
- გამოუმუშაოს სტუდენტებს შემენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.
- შესძინოს სტუდენტებს ცოდნა და გამოცდილება, რომელიც პროგრამის დასრულების შემდეგ საშუალებას მისცემს დასაქმდეს შესაბამისი პროფილის საგანმანათლებლო სამეცნიერო დაწესებულებებსა და საწარმოებში.
- პროგრამის მიზანია უზრუნველყოს აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სტანდარტების შესაბამისი კურსის ჩატარება; მიანიჭოს სტუდენტს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნორმების შესაბამისი ბაკალავრის ხარისხი.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები	15 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები	20 ECTS კრედიტი
სპეციალობის სავალდებულო კურსები	120 ECTS კრედიტი
სპეციალობის არჩევითი კურსები	20 ECTS კრედიტი
თავისუფალი კრედიტები ²	5 ECTS კრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- განსაზღვრავს ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთ და გარემომცველ სამყაროსთან დამოკიდებულების კანონზომიერებას.
- ფლობს სხვადასხვა დონეზე (მოლეკულური დონიდან ეკოსისტემის დონემდე) მიმდინარე ბიოლოგიური და ეკოლოგიური მოვლენების შესახებ ფართო ცოდნას.
- იცნობს ეკოსისტემის ძირითად ტიპებს და განიხილავს ორგანიზმთა პოპულაციის საკითხებს.
- ერკვევა ბიოსფეროში არსებულ ცოცხალი ორგანიზმებს შორის ურთიერთკავშირების ფორმებში.
- აღწერს გარემოში არსებული ეკოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებას მცენარეთა და ცხოველთა სამყაროზე.
- აანალიზებს გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების თავისებურებებს.
- ერკვევა ბიომრავალფეროვნების და ბიოკონსერვაციის საფუძვლებში, ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პრინციპებში.
- იცნობს გარემოს ფაქტორების გავლენას ადამიანის ჯამრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, ასევე შრომისუნარიანობის შენარჩუნების კანონზომიერებებს.

<ul style="list-style-type: none"> ▪ ფლობს გარემოს დაცვის და ეკოლოგიური სამართლის საფუძვლებს, ბუნებათრესურსულ და ბუნებათდაცვით ურთიერთობებს. ▪ ერკვევა გარემოს ბიომონიტორინგისა და ექსპერტიზის საფუძვლებში, რომელიც ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების აუცილებელი პირობაა. ▪ ფლობს ქიმიასა და ფიზიკას იმ დონეზე, რომელიც აუცილებელია ბიოლოგიური და ეკოლოგიური მოვლენების ქიმიური და ფიზიკური საფუძვლების გაცნობისათვის.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ იყენებს შეძენილ ცოდნას მართებულად მომავალი სამეცნიერო მოღვაწეობის სწორად დასაგეგმარებლად. ▪ იყენებს ეკოლოგიის ძირითად კვლევის მეთოდებს. ▪ ფლობს სავლე კვლევების ძირითად მეთოდებს. ▪ იყენებს თანამედროვე ტექნიკურ და ანალიტიკურ მეთოდებს ორგანიზმებსა და პოპულაციებს შორის გენეტიკური კავშირების შესწავლისთვის.
<p>დასკვნის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ ფლობს აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის, პრობლემების იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარს. ▪ გაიაზრებს პროფესიული სიტუაციებს. ▪ ფლობს ეკოლოგიური პრობლემების მრავალმხრივი ხედვის და ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის გაკეთების უნარს.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ ახდენს მსჯელობისა და მისგან გამომდინარე დასკვნების ნათლად, ზუსტად და ადრესატისათვის მისაღები ფორმით მიწოდებას. ▪ მსჯელობს კურსით გათვალისწინებულ კონკრეტულ საკითხებზე და აფიქსირებს თავის აზრს სათანადო ტერმინოლოგიის გამოყენებით.
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ ფლობს დამოუკიდებლად მუშაობის უნარს. იყენებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და ელექტრონულ რესურსებს. ▪ ახდენს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივ შეფასებას და ადგენს შემდგომში სწავლის საჭიროებას. ▪ აფასებს საკუთარ პროფესიულ საქმიანობას. ▪ რეგულარულად და დამოუკიდებლად მუშაობს ლიტერატურასთან, ფლობს შესაბამის დარგში უახლეს სამეცნიერო ინფორმაციას.
<p>ღირებულებები</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ ფლობს კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარს. ▪ ინარჩუნებს განსხვავებულ სიტუაციებში პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს. ▪ იყენებს შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრს. ▪ აცნობიერებს გარემოს დაცვის ვალდებულებებს. ▪ აცნობიერებს ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების აუცილებლობას.

გამოყენებითი ბიომეცნიერებები

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: გამოყენებითი ბიომეცნიერებების ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

- შესძინოს სტუდენტს ღრმა და სისტემური ცოდნა ბიოლოგიური პროცესების მოლეკულური და ბიოქიმიური საფუძვლების შესახებ.
- საბაზისო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიების დარგში.
- გამოუმუშაოს ბიოლოგიურ სისტემებთან მიმართებაში ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზის ჩატარების უნარი.
- გააცნოს ის მიდგომები და ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება ბიოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად.
- გამოუმუშავოს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.
- განუვითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, როგორცაა: საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან მოპოვებისა და დამუშავების უნარი; პროექტის დაგეგმარების უნარი; ჯგუფში და ინდივიდუალური მუშაობის უნარი; პრობლემების გაანალიზებისა და მათი პოტენციური გადაწყვეტის ოპტიმალური გზების პოვნისა და რეალიზაციის უნარი და სხვა.
- შესძინოს ცოდნა და გამოცდილება, რომელიც აუცილებელია, რათა კურსდამთავრებულებმა შეძლონ მუშაობა შესაბამისი პროფილის საგანმანათლებლო სამეცნიერო დაწესებულებებსა და საწარმოებში, ასევე არაპროფილირებულ ორგანიზაციებში, სადაც ყურადღება ეთმობა ზოგადი უნარ-ჩვევების დემონსტრირებას, ან გააგრძელონ სწავლა მაღალ საფეხურებზე.
- პროგრამის მიზანია უზრუნველყოს აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სტანდარტების შესაბამისი კურსის ჩატარება; მიანიჭოს სტუდენტს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნორმების შესაბამისი ბაკალავრის ხარისხი.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო	15 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო სავალდებულო	10 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები	15 ECTS კრედიტი
სპეციალობის სავალდებულო	90 ECTS კრედიტი
სპეციალობის არჩევითი მოდულები	35 ECTS კრედიტი
პროფესიული პრაქტიკა ინდუსტრიაში	15 ECTS კრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ბაკალავრი მიიღებს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას როგორც ფუნდამენტურ, ისე განსაკუთრებით გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიების სფეროში; ცხოველური და მცენარეული ორგანიზმების სტრუქტურულ-ფუნქციურ შესწავლასთან ერთად, ბაკალავრიატის სტუდენტები დაეუფლებიან ბიოტექნოლოგიის როგორც თეორიულ საფუძვლებს, ასევე გამოყენებით დისციპლინებს, საინფორმაციო და კვლევით ტექნოლოგიებთან ურთიერთობის, ქიმიურ-ბიოლოგიურ ლაბორატორიებში მუშაობის პრაქტიკულ (დარგობრივ) უნარ-ჩვევებს. ბაკალავრებს ექნებათ გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო ეთიკური ნორმები. დასაქმებაზე ორიენტირებული პრაქტიკა უზრუნველყოფს მუშაობის უნარ-ჩვევებს, პრობლემების ავტონომიურად

გადაწყვეტის, დროის დაგეგმვის და ოპტიმალური ორგანიზების უნარების განვითარებას, რომელიც დაეხმარება მათ შემდგომ დასაქმებაში.

ცოდნა და გაცნობიერება

- ბაკალავრი მიიღებს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას როგორც ფუნდამენტურ, ისე განსაკუთრებით გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიების სფეროში;
- ცხოველური და მცენარეული ორგანიზმების სტრუქტურულ-ფუნქციურ შესწავლასთან ერთად, ბაკალავრიატის სტუდენტები დაეუფლებიან ბიოტექნოლოგიის როგორც თეორიულ საფუძვლებს, ასევე გამოყენებით დისციპლინებს, საინფორმაციო და კვლევით ტექნოლოგიებთან ურთიერთობის, ქიმიურ-ბიოლოგიურ ლაბორატორიებში მუშაობის პრაქტიკულ (დარგობრივ) უნარ-ჩვევებს.
- ბაკალავრებს ექნებათ გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო ეთიკური ნორმები. დასაქმებაზე ორიენტირებული პრაქტიკა უზრუნველყოფს მუშაობის უნარ-ჩვევებს, პრობლემების ავტონომიურად გადაწყვეტის, დროის დაგეგმვის და ოპტიმალური ორგანიზების უნარების განვითარებას, რომელიც დაეხმარება მათ შემდგომ დასაქმებაში.
- საბუნებისმეტყველო (ქიმია, ფიზიკა) და ხელშემწყობი ზუსტი მეცნიერებების (მათემატიკა; IT და კომპიუტერული ტექნოლოგიები) საფუძვლების, ძირითადი პრინციპებისა და კონცეფციების ცოდნა;
- ბიოლოგიის ფუნდამენტური დისციპლინების (უჯრედული ბიოლოგია, გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია, ზოგადი ფიზიოლოგია, და სხვა) ფართო ცოდნა;
- გამოყენებითი ბიოლოგიის ფუნდამენტური დისციპლინების (ბიოქიმია, მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია, ბიოტექნოლოგია, მეცნიერული კვლევის მოდელირება და სხვა) ცოდნა;
- გამოყენებითი ბიომეცნიერებების სხვადასხვა დისციპლინების, კვების ბიოტექნოლოგიის, გარემოს დაცვის ბიოტექნოლოგიის, ჯანდაცვის ბიოტექნოლოგიის დარგობრივი საკითხების ღრმა ცოდნა და გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- ბიოლოგიური კვლევის დამოუკიდებლად და ჯგუფში განხორციელების უნარი თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- სასწავლო ლაბორატორიაში მუშაობის უნარ-ჩვევები;
- გამოყენებითი ბიომეცნიერების სტანდარტული მეთოდებით პრაქტიკული მუშაობის დაგეგმვა და განხორციელება;
- პედაგოგის მიერ მიწოდებული ლაბორატორიული დავალების პრაქტიკულად განხორციელების და მოსალოდნელი შედეგის პროგნოზირების უნარი;
- რაოდენობრივი ანალიზის (მათ შორის სტატისტიკური) ჩატარების უნარი;
- მონაცემების დამუშავებისათვის კომპიუტერული პროგრამების გამოყენების უნარი;
- ექსპერიმენტული მონაცემების და შედეგების დამოუკიდებელი ანალიზის უნარი.

დასკვნის გაკეთების უნარი

- გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის თანამედროვე მეცნიერული მიღწევების კატეგორიზაცია, არსებული ცოდნის გაანალიზება და შეფასება;
- გამოყენებითი ბიოლოგიის მეცნიერული, სოციალური (მათ შორის ეთიკური) და გარემოს დაცვის ასპექტების შედარებითი ანალიზი;
- ფუნდამენტური საბუნებისმეტყველო ცოდნის დაკავშირება გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის ძირითადი ასპექტებთან;

კომუნიკაციის უნარი

<ul style="list-style-type: none"> ▪ სხვადასხვა ფორმატის სამეცნიერო-კომუნიკაციური უნარ-ჩვევების არსებობა. სამეცნიერო ინფორმაციის გადაცემის უნარი: სამეცნიერო მოხსენების გაკეთება. პრეზენტაციების მომზადება, მონაცემთა წარდგენა; ▪ პერსონალური მიღწევების დემონსტრირება სათანადო პორტფოლიოს მომზადების ფორმით; ▪ სამეცნიერო სტატიის დაწერა და გაფორმება სტუდენტური კონფერენციებისათვის. მისი სტრუქტურისა და ლექსიკონის ცოდნა; ▪ ვერბალური კომუნიკაციის უნარი როგორც აკადემიურ, ასევე არაპროფესიულ აუდიტორიასთან; ▪ საკუთარი დასკვნებისა და არგუმენტაციის ფორმულირება და მიწოდება აუდიტორიისათვის; ▪ დისკუსიაში მონაწილეობის უნარი; ▪ გამოყენებით ბიოლოგიაში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი.
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ სხვადასხვა წყაროებიდან (სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა, აუდიო, ვიდეო მასალები, ინტერნეტ რესურსები და სხვ) საბუნებისმეტყველო დისციპლინების, გამოყენებითი ბიომეცნიერებების ცალკეული დარგების სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი; ▪ დამოუკიდებლად მუშაობა გამსაზღვრული პრობლემის ან მისი ცალკეული კომპონენტების გადასაჭრელად; ▪ არსებული რესურსების შეფასება და სწავლის პროცესში მათი გამოყენების უნარი; ▪ საკუთარი ცოდნის კრიტიკულად შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარი.
<p>ღირებულებები</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება; ▪ ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა; ▪ ბიოეთიკური პრობლემის გადაჭრის პროცესში მორალური და ეთიკური ღირებულებების შეფასება

ფიზიკა

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ფიზიკაში.

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

მისცეს სტუდენტს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესაბამისი განათლება და გამოუმუშაოს მას შესაბამისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები. პროგრამის ათვისების შემდეგ ბაკალავრს უნდა ჰქონდეს ზოგადი ფიზიკის, შესაბამისი მათემატიკური აპარატის და თეორიული ფიზიკის საწყისების ღრმა ცოდნა, აგრეთვე ფიზიკური ექსპერიმენტების ჩატარებისა და კომპიუტერული უნარ-ჩვევები. პროგრამის სტრუქტურა გარდა ძირითადი (major) სპეციალობისა, იძლევა დამატებითი (minor) სპეციალობისა და არჩევითი კურსების ათვისების შესაძლებლობას.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები	15 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები	20 ECTS კრედიტი
სპეციალობის სავალდებულო კურსები	120 ECTS კრედიტი
სპეციალობის არჩევითი კურსები	20 ECTS კრედიტი
თავისუფალი კრედიტები ²	5 ECTS კრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- მათემატიკური აპარატის (დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა, ვექტორული და ტენზორული ანალიზი) ღრმა ცოდნა.
- ზოგადი ფიზიკის (მექანიკა, თერმოდინამიკა, ელექტრომაგნეტიზმი, ოპტიკა) მნიშვნელოვანი თეორიების ღრმა ცოდნა.
- თეორიული ფიზიკის საწყისების (კლასიკური მექანიკა, ფარდობითობა, კვანტური მექანიკა და სტატფიზიკა) ცოდნა.
- თანამედროვე ფიზიკის ელემენტების (ატომი და ბირთვი, მყარი სხეულები, ასტრონომია) ცოდნა.
- ფიზიკის მნიშვნელოვანი სფეროებისა და იმ მიდგომების ცოდნა, რომლებიც ფიზიკის სხვადასხვა სფეროში გამოიყენება.
- ბუნებაში მიმდინარე ფიზიკური მოვლენების ახსნის უნარი და ფიზიკური კვლევის პრინციპების ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

<ul style="list-style-type: none"> ▪ მათემატიკური აპარატის გამოყენების უნარი; ▪ კომპიუტერული გამოთვლებისა და კომპიუტერული მოდელირების უნარი; ▪ განსხვავებულ სიტუაციებში ფიზიკური პრობლემის სწორად შეფასება, ანალოგიების მითითება და ამოცანის გადაჭრის ცნობილი მეთოდების გამოყენების უნარი; ▪ ექსპერიმენტის დამოუკიდებლად შესრულების, ექსპერიმენტული; ▪ მონაცემების აღწერის, ანალიზის და კრიტიკული შეფასების უნარი; ▪ ფიზიკური მოვლენის გააზრება, საჭირო მიახლოებების გაკეთება და მისი სამუშაო მოდელის შექმნის უნარი; ▪ ფიზიკური კვლევის პრინციპების ფიზიკის გარდა სხვა სფეროში გამოყენების უნარი;
<p>დასკვნის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ აქვს ფიზიკის თეორიებზე, კონცეფციებზე და პრაქტიკულ საკითხებზე არგუმენტირებულ მსჯელობის, ანალიზის და სინთეზის უნარი; ▪ აქვს ფიზიკური პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის უნარი; ▪ შეუძლია სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემის გაგება, ესმის პასუხისმგებლობა ჯანდაცვისა და გარემოს წინაშე; ▪ შეუძლია სიტუაციების ანალიზი ფიზიკური თეორიების გამოყენებით და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ ზეპირი და წერიტი ფორმით კომუნიკაციის უნარი; ▪ ქართულ და უცხოურ ენებზე საკუთარი კვლევის ან ლიტერატურული რეფერატის წარდგენის უნარი; ▪ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითი გამოყენების უნარი; ▪ ჯგუფში მუშაობის და ადაპტაციის, დაკვირვების, მოსმენის, კითხვის დასმის უნარი; ▪ დასახული მიზნის მისაღწევად დროის სწორად დაგეგმვისა და მართვის უნარი;
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია ფიზიკური და სხვა თეორიული ლიტერატურის, ასევე ინფორმაციის სხვა წყაროების მოძიება და გამოყენება; ▪ აქვს ფიზიკური მეცნიერებების სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი; ▪ აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროება და დამოუკიდებლად სწავლის უნარი; ▪ შეუძლია საკუთარი პროფესიული საქმიანობის შეფასება და შემდგომში სწავლის საჭიროების განსაზღვრა.
<p>ღირებულებები</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ აქვს როგორც ადგილობრივ ისე ეროვნულ დონეზე პროფესიული ფასეულობის გაზიარების და პრაქტიკაში რეალიზების უნარი; ▪ კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი; ▪ განსხვავებულ სიტუაციებში პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შენარჩუნების უნარი; ▪ კვლევის ეთიკური და მორალური ასპექტების გაცნობიერების უნარი; ▪ გარემოს დაცვის ვალდებულებების შეგნების უნარი.

პედაგოგიური ფაკულტეტი

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო

უმაღლესი განათლების საფეხური: ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 300 კრედიტი

პროგრამის მიზანი

მოამზადოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი დაწყებითი საფეხურის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, შესაბამისი პროფესიული სტანდარტის, მასწავლებლის პროფესიული კოდექსითა და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულებების პრინციპების მატარებელი მასწავლებელი, რომელიც იქნება რეფლექსიური, სიახლეების მიმღები და დამწერგავი პედაგოგიურ პრაქტიკაში, ორიენტირებული იქნება უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე და შეძლებს იმუშაოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურის I-IV კლასებში საგნობრივი ჯგუფის (ქართული, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება), V-VI კლასებში ერთ-ერთი საგნის (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) მასწავლებლად, ასევე, არაფორმალურ განათლებაში.

მოამზადოს დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი-მკვლევარი, რომელსაც ექნება თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ჩაატაროს წინასწარ დაგეგმილი კვლევა თავის დარგში, მოახდინოს მონაცემების შეგროვება და გააკეთოს დასაბუთებული დასკვნა.

პროგრამის სტრუქტურა

თავისუფალი კომპონენტების მოდული	50 ECTS კრედიტი
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/ საგნობრივი ჯგუფის საგნობრივი და მეთოდური მოდული	180 ECTS კრედიტი
სასკოლო პრაქტიკის და პრაქტიკის კვლევის მოდული	70 ECTS კრედიტი
სულ	300 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირების მიზნით:

- იცნობს და განსაზღვრავს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების ძირითად პრინციპებს;
- იცის როგორ შექმნას მოსწავლისათვის მოტივირებული სასწავლო გარემო - ფიზიკური, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური;
- იცის და ახდენს იდენტიფიცირებას, როგორ შექმნას ინკლუზიური, სწავლისა და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო;

- იცის და აღწერს კლასის მართვისა და კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ეფექტიან სტრატეგიებს;
- იცის სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორები და აცნობიერებს თანამშრომლობით გარემოს მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების მიზნით:

- იცნობს და აღწერს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმას, დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივ სტანდარტებს;
- იცნობს და აღწერს ბავშვის განვითარების ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს;
- იცის განსაზღვრავს დაწყებით კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდებს, გზებს და საშუალებებს;
- იცის ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტზე დაყრდნობით მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა;
- იცის საგანმანათლებლო ბეჭდური და ICT რესურსების მოძიება, შექმნა და ახდენს მის სასწავლო პროცესში მიზნობრივად გამოყენებას;
- ჩამოთვლის პიროვნების განვითარებისა და განათლების თეორიებს, აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის და წარმართვისას;
- იცნობს და ჩამოთვლის მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ძირითად მიდგომებს;
- იცის სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული სტრატეგიები და მათი გამოყენების პერსპექტივები;
- განსაზღვრავს მდგრადი განვითარების მიზნებს და პრინციპებს, აცნობიერებს მდგრადი განვითარების პრინციპების სწავლების მნიშვნელობას პიროვნების ჩამოყალიბებაში, სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდაში;
- აცნობიერებს და აღწერს კლასგარეშე საქმიანობის როლსა და მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციის, სწავლის და მრავალმხრივი განვითარებისათვის;
- იცის და ახდენს მოსწავლის შეფასებას (მათ შორის სსსმ მოსწავლის) ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით;
- იცის და ჩამოთვლის შეფასების ტიპებს, პრინციპებს და მეთოდებს. იცის და განსაზღვრავს როგორ გაანალიზოს შეფასების შედეგები;
- იცის და აყალიბებს შეფასების კრიტერიუმებსა და რუბრიკების შედგენის ძირითად პრინციპებს.

პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის მიზნით:

- იცის და აღწერს პროფესიული განვითარების ძირითად პრინციპებს, ფორმებს და გზებს;
- იცნობს და აღწერს განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციებისა და კვლევების შედეგებს;
- იცნობს და განსაზღვრავს განათლების მეცნიერებების კვლევის მეთოდებს და მათი გამოყენების შესაძლებლობებს;

იცის და ხსნის პრაქტიკის კვლევის სპეციფიკას, წარმართვის თავისებურებებს და პროგნოზირებს კვლევის შედეგების გამოყენების მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირების მიზნით:

- შეუძლია შექმნას დადებითი სასწავლო გარემო მოსწავლეების ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, მათი კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით და ხელი შეუწყოს კლასში თითოეული მოსწავლის ინტეგრაციას და მათ მოტივაციას;
- შეუძლია უსაფრთხო თავისუფალი სასწავლო გარემო შექმნა თითოეული მოსწავლის პიროვნული, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური განვითარებისათვის;
- იყენებს ბავშვის განვითარების ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს;
- იყენებს დაწყებით კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდებს, გზებს და საშუალებებს;
- შეუძლია სსსმ მოსწავლეების ინტეგრირება სასწავლო გარემოში სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე;
- იყენებს პრაქტიკაში კლასის მართვის სტრატეგიებს;
- შეუძლია კლასში კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების გაანალიზება და ადეკვატური რეაგირება;
- იყენებს პრაქტიკაში მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობს სტრატეგიებს მათი ინდივიდუალური განსხვავებების გათვალისწინებით;
- შეუძლია მშობელთა (სხვა კანონიერ წარმომადგენლებთან) ჩართულობის ხელშეწყობა მოსწავლეთა გააზრებულად სწავლებისათვის;

მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების მიზნით:

- ადგენს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გრძელვადიან და მოკლევადიან სასწავლო გეგმებს;
- შეუძლია გაკვეთილის დაგეგმვა ყველა კომპონენტისა და მათ შორის კავშირების გათვალისწინებით. დაგეგმვისას შეუძლია შიდასაგნობრივი და საგანთაშორის კავშირების გათვალისწინება;
- შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით ადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმას;
- იძვეს, ქმნის და იყენებს პრაქტიკაში დამხმარე რესურსებს და ICT ტექნოლოგიებს სასწავლო გეგმის მიზნებისა და კონკრეტული კლასის მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით.
- ახდენს მოსწავლეებში ციფრული მოქალაქეობის უნარების განვითარებას;
- იყენებს ეფექტიანად სასწავლო პროცესში პიროვნების განვითარებისა და განათლების თეორიებს;
- არჩევს და იყენებს მოტივაციის ამაღლების სტრატეგიებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით;
- შეუძლია მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობა მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით;
- პრაქტიკაში მიზნობრივად იყენებს სწავლისა და სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს.
- სწავლების პროცესში შეუძლია მდგრადი განვითარების პრინციპების სასწავლო თემებში ინტეგრირება;
- გეგმავს კლასგარეშე საქმიანობას (საკლუბო, საწრეო, სასწავლო და სოციალური პროექტების) მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.
- მიზნობრივად იყენებს მოსწავლეთა შეფასების მეთოდებს თითოეული მოსწავლის მიღწევისა და პროგრესის შესაფასებლად;
- ეფექტიანად იყენებს განმავითრებელ შეფასებას თითოეული მოსწავლის კოგნიტური და პიროვნული განვითარებისთვის;
- ადგენს შეფასების სქემებსა და რუბრიკებს და მათზე დაყრდნობით ახდენს მოსწავლეთა ობიექტური შეფასება;

პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის მიზნით:

- თვითშეფასების, კოლეგებისაგან, დირექციისაგან, მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან მიღებული უკუკავშირისა და მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკული ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და პროფესიული განვითარების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა;
- იძებს და იყენებს პრაქტიკაში განათლების მეცნიერებებში არსებულ ცოდნას, ტენდენციებს და თანამედროვე კვლევებს საკუთარი პროფესიული განვითარებისათვის და პედაგოგიური პრაქტიკის სრულყოფისთვის.
- შეუძლია კვლევების დაგეგმვა, შესაბამისი ინსტრუმენტების შექმნა/მოძიება, განხორციელება ან/და მოსწავლეების კვლევით პროექტებში ჩართვა;

სასკოლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეუძლია პრობლემის/საჭიროების იდენტიფიცირება, ანალიზი, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და მათი ეფექტიანობის შეფასება;

დასკვნის უნარი

- დამოუკიდებლად აანალიზებს, კრიტიკულად აფასებს და იყენებს სწავლა/სწავლების პროცესში რთულ, არასრულ და წინააღმდეგობრივ მონაცემებს;
- აანალიზებს და კრიტიკულად უდგება დარგში ახალ ინფორმაციას, მათი სინთეზისა და დასკვნის გამოტანის საფუძველზე ახდენს მტკიცებულების და/ან საწინააღმდეგო არგუმენტის მოყვანას;
- შეიმუშავებს კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით სწავლა/სწავლების პროცესში განსხვავებულ სტრატეგიებს და იყენებს მას სწავლის შედეგების შეფასების დაგეგმვა-განხორციელებაში;
- აჯამებს როგორც ზეპირად, ისე წერილობით სწავლა/სწავლების შეფასების შედეგებიდან მიღებული მონაცემებს სწავლების გასაუმჯობესებლად;
- გამომუშავებული აქვს რაოდენობრივი მსჯელობის უნარი, შეუძლია რაოდენობრივი სახით მიწოდებული ინფორმაციის (ცხრილები, დიაგრამები, მათემატიკური გამონათქვამები) დამუშავება, ანალიზი, მსჯელობა და რეკომენდაციების მომზადება. შეუძლია გამოყენებითი ხასიათის რაოდენობრივი ამოცანების გადაჭრა.

კომუნიკაციის უნარი

- აყალიბებს აზრს და შეუძლია კომუნიკაცია, მათ შორის უცხო ენაზე სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- აქვს ინფორმაციის, დარგობრივი ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და რეზიუმირების უნარი;
- ფლობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, აქვს ინტერნეტისა და სხვა ელექტრონული წყაროების გამოყენების უნარი კომუნიკაციისა და ინფორმაციის მოძიებისათვის, დამოუკიდებლად ითვისებს ახალ საინფორმაციო ტექნოლოგიებს;
- შეუძლია მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, თემთან საქმიანი თანამშრომლობა და ეფექტური კომუნიკაცია კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარებისათვის;
- აქვს გუნდური მუშაობის უნარი;

სწავლის უნარი

- კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა სასწავლო-საინფორმაციო რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით;
- აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობას;
- აქვს საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი;
- აქვს პროფესიული სუბორდინაციის/ადაპტაციის უნარი;

ღირებულებები

- აცნობიერებს განათლების ინკლუზიურობისა და მოსწავლეთა მოტივაციის მნიშვნელობას პოზიტიური, უსაფრთხო/კონფლიქტებისგან თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნისთვის;
- აცნობიერებს მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, თემთან თანამშრომლობის მნიშვნელობას უსაფრთხო (ფიზიკური, სოციალური და ემოციური) სასწავლო გარემოს ფორმირებისთვის.
- აცნობიერებს, რომ ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტები და განათლების მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნა მისი პედაგოგიური საქმიანობის ამოსავალია.
- მისთვის მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლე, როგორც პიროვნება. სწამს, რომ დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს როგორც მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას, მის პიროვნულ და კოგნიტურ განვითარებას, ასევე მათ ინტეგრაციას სასკოლო საზოგადოებაში.
- ფლობს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების დებულებებს (ბავშვთა უფლებების კონვენციას, ადამიანის უფლებების დეკლარაციას, კანონს ზოგადი განათლების შესახებ, ეროვნული სასწავლო გეგმებს, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტს, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს და სხვ.) ითვალისწინებს მათ სასწავლო პროცესში და ესწრაფის მათ დასამკვიდრებლად;
- შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ლიბერალური ღირებულებების ჩამოყალიბებაში, აქვს მოვლენების ინტელექტუალური და ეთიკური შეფასების უნარი.
- შეუძლია პლაგიატობის თავიდან აცილება, სხვათა ნაშრომების ციტირებისა და რეფერირების წესების დაცვით;
- ორიენტირებულია უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, სხვადასხვა გზით სიახლეების ათვისებასა და მათ პრაქტიკაში დანერგვაზე;
- აცნობიერებს კვლევაზე დაფუძნებული სასკოლო პრაქტიკის სრულყოფის მნიშვნელობას

მედიცინის ფაკულტეტი

ფარმაცია

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაციის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი



პროგრამის მიზანი

პროგრამის ძირითადი მიზანია - მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ფარმაციის ბაკალავრები, რათა მათ შეძლონ თანამედროვე ფარმაცევტული სექტორის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ღირსეული პროფესიული საქმიანობა. ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების საფუძვლიანი შესწავლა და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამა (იხ. დანართი 1) უზრუნველყოფს სწავლების პირველ საფეხურზე დასახული შემდეგი ამოცანების წარმატებით გადაჭრას:

- 1) ძირითადი სპეციალობის საბაზისო კურსების დაუფლება;
- 2) აკადემიური და პროფესიული კომპეტენციების გამომუშავება და განვითარება;
- 3) სასწავლო პროფესიული პრაქტიკის გავლა;
- 4) პრაქტიკაში ცოდნის გამოყენება.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები	30 ECTS კრედიტი
არჩევითი კურსები	10 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	200 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

ცოდნა და გაცნობიერება

ფარმაციის ბაკალავრი რეალურად აცნობიერებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა სახელმწიფოსთვის გამართული, ჯანსაღი ფარმაცევტული სისტემის ფუნქციონირება და კლინიკურ კონტექსტში მოსახლეობის მხარდაჭერა, განსაკუთრებით მძიმე სოციალური ვითარების, სტიქიური უბედურებების, ეთნიკური კონფლიქტების და პანდემიების დროს. საბუნებისმეტყველო, სამედიცინო და ფარმაცევტული დისციპლინების თანამედროვე მეთოდებით შესწავლა სტუდენტს აძლევს სისტემურ ცოდნას შემდეგ საკვანძო საკითხებთან მიმართებაში:

1. სამკურნალო ნივთიერებების მოქმედების მოლეკულური მექანიზმები, ორგანიზმში შეყვანის გზები. შხამიანი და ძლიერმოქმედი მედიკამენტების დიფერენცირების პრინციპები, გვერდითი და ტოქსიკური ეფექტების პროგნოზირება და მათი თავიდან აცილება;
2. ფარმაკოკინეტიკურ და ფარმაკოდინამიკურ პროცესებზე მოქმედი ფაქტორების თავისებურებები, პაციენტთა გარკვეული კატეგორიების (მოხუცები, ბავშვები, ორსულები) მკურნალობის სპეციფიკა.
3. სამკურნალო პრეპარატების კომბინირება, თავსებადობა და მკურნალობის პროცესში ანტაგონიზმის და სინერგიზმის სახეების გათვალისწინება;
4. ფარმაკოლოგიური ჯგუფების მიხედვით პრეპარატების კლასიფიკაცია, მედიკამენტების დანიშვნის ჩვენებები, უკუჩვენებები, გვერდითი ეფექტები და დოზირების სქემები.
5. ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური სუბსტანციების ქიმიური აღნაგობა, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დამზადების, სტანდარტიზაციის, ანალიზის და გამოყენების თავისებურებები;

6. ბიობიექტები; რეკომბინანტული ცილები როგორც სამკურნალო საშუალებები; ინჟინერული ენზიმოლოგია; გენომიკა და პროტეომიკა; უჯრედშიგა რეგულაციის მოლეკულური მექანიზმები და მათი გამოყენება ბიოტექნოლოგიურ წარმოებაში;
7. იმუნობიოტექნოლოგია; ონკოვაქცინები; ანტიბიოტიკების ტექნოლოგია; სტეროიდების, ვიტამინების და ამინომჟავების ბიოტექნოლოგია;
8. წამლის ფორმათა ტექნოლოგიაში გამოყენებული ძირითადი ცნებები და ტერმინები, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტები; წამლის ფორმათა კლასიფიკაცია. დოზირება; წამალთა სააფთიაქო და საქარხნო ტექნოლოგია;
9. კოსმეტოლოგიისა და პლასტიკური ქირურგიის ძირითადი მიმართულებები, ბაზისური ტერმინების დეფინიცია; ადამიანის კანის ტიპოლოგია, ეპიდერმისის ბიოქიმიური და მორფოლოგიური დახასიათება, ბუნებრივი კანის კომპონენტები და დერივატები (ფილაგრინი, რეტიკულინი, ელასტინი, ჰიალურონის მჟავა); პილინგი, ტონიზაცია, ჰიდრატაცია, რეგენერაცია;
10. კოსმეტიკური საშუალებებით კანის დაცვა აგრესიული ფაქტორებისგან, ულტრაიისფერი სხივებისგან; აკნეს და ფსორიაზის მკურნალობის სპეციფიკა; ორალური და დენტალური კოსმეტოლოგია; ანტიპერსპირანტები, დეოდორანტები;
11. სამკურნალო პრეპარატების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი; წამალთა ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდების ზოგადი სისტემატიზაცია, არსი, შესაძლებლობები, გამოყენებითი ასპექტები, პრაქტიკული სამუშაოების წარმოებისათვის გამოყენებული ხელსაწყოების აგებულება და მუშაობის პრინციპები, მიღებული შედეგების დამუშავების ალგორითმი და ინტერპრეტაციის სპეციფიკა;
12. ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფო პოლიტიკა და სამართლებრივი საფუძვლები. ფარმაცევტული სამსახური, როგორც ჯანდაცვის შემადგენელი ნაწილი. სოციალური ფარმაცია და ფარმაცეკონომიკა; სამკურნალო საშუალებათა ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის სახელმწიფო სისტემა საქართველოში. მჯო-ს წამლის ხარისხის ლაბორატორიული გამოკვლევის სათანადო პრაქტიკა სლპ - **GLP**;
13. ფარმაცევტულ დაწესებულებათა ნომენკლატურა. აფთიაქი, როგორც ფარმაცევტული სისტემის საცალო რგოლი. მისი სტრუქტურა, ფუნქციები და ამოცანები. აფთიაქის განყოფილებების მუშაობის ორგანიზაცია. წამლის მომზადების ორგანიზაცია. შიდასააფთიაქო კონტროლი; ფარმაცევტული დარგის არაფორმალური რეგლამენტაცია. ფარმაცევტული პროფესიული თვითშეგნება, ეთიკა და დეონტოლოგია. ფარმაცევტისა და პაციენტის ურთიერთობის ეთიკა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაცია - სათანადო სააფთიაქო პრაქტიკა GPP - „პაციენტი ფოკუსში“;
14. სტაციონარულ ავადმყოფთა ფარმაცევტული დახმარების ორგანიზაცია. სტაციონარის აფთიაქი, მისი სტრუქტურა. მოთხოვნილების გამოწერისა და შხამ-ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების შექმნის, შენახვის, გაცემისა და აღრიცხვის წესები; ფარმაცევტული მარკეტინგული ლოჯისტიკა. სააფთიაქო საქონლის მოძრაობის ორგანიზაცია. ფარმაცევტული ბაზა, როგორც საქონელგამტარი ქსელის ერთ-ერთი რგოლი. მისი სტრუქტურა, ფუნქციები და ამოცანები.
15. ფარმაცევტული მენეჯმენტის თეორია და პრაქტიკა; მენეჯმენტი და მართვა, მენეჯმენტის მეთოდები. მართვის სისტემები, სტრუქტურები და ფორმები; ორგანიზაცია და მისი გარემო. უფლებამოსილებათა განაწილება. ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია და მისი განვითარება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ ფარმაციის ბაკალავრს ექნება ფარმაცევტული და სამედიცინო დისციპლინების სიღრმისეული ცოდნა და ის შემოღებს:

1. ფარმაცეკონომიის გამოყენებით განახორციელოს სამკურნალო პრეპარატების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი, მიღებული შედეგების სწორი ინტერპრეტაციით;
2. სწორად აღიქვას კავშირი მოქმედი ნივთიერების ქიმიურ სტრუქტურას, წამლის მომზადების ტექნოლოგიასა და მის ფარმაცეკოლოგიურ ეფექტს შორის;
3. დამოუკიდებლად დაამზადოს სხვადასხვა წამლის ფორმები (ფხვნილები, აბები, მიქსტურები, მალამოები, საინექციო ხსნარები და ა.შ.) შესაბამისი გამოთვლების და ტექნოლოგიური სტადიების თანმიმდევრობის დაცვით;

<ol style="list-style-type: none"> 4. გაითვალისწინოს მცენარეული წარმოშობის ნედლეულის მიღების, შენახვის, გამოყენების და სტანდარტიზაციის თავისებურებები; 5. მოახდინოს წამალთა დიფერენციაცია ფარმაკოლოგიური ჯგუფების მიხედვით, დანიშვნის ჩვენებების, გვერდითი ეფექტების და უკუჩვენებების მიხედვით; 6. გამოიყენოს წამლები და სხვა თერაპიული საშუალებები პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით; 7. სწორად გაატაროს პროფილაქტიკური და ჰიგიენური ღონისძიებები განსაკუთრებით პანდემიების და ბუნებრივი კატაკლიზმების დროს; 8. დამოუკიდებლად მოიპოვოს ფარმაციის სფეროში საჭირო ინფორმაცია, ადეკვატურად, კრიტიკულად შეაფასოს მოვლენები და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება; 9. გაითვალისწინოს და დაიცვას სახელმწიფოს პოლიტიკა ფსიქოტროპულ და შხამ-ნარკოტიკულ სამკურნალო პრეპარატებთან მიმართებაში; 10. მოახდინოს ფარმაცევტული დაწესებულების მენეჯმენტის ობიექტური შეფასება და იმსჯელოს მართვის სისტემის ეფექტურობაზე.
<p>დასკვნის უნარი</p>
<p>ფარმაციის ბაკალავრს შესწევს ლიმიტირებული ინფორმაციის პირობებში მოვლენების განვითარების პროგნოზირების, სწორი დასკვნების გამოტანის, დინამიკაში ცვლილებების მართვის, სათანადო არგუმენტების საფუძველზე ქმედებების არქიტექტონიკის ფორმირების და ეფექტური გადაწყვეტილების მიღების უნარი (იხ. დანართი 2).</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შეუძლია: კოლეგებთან კომუნიკაციის დამყარება. კოლექტივში კოორდინირებული საქმიანობა, სხვადასხვა წყაროებიდან ფარმაციის სფეროში სპეციფიკური პროფესიული ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, სამეცნიერო საზოგადოების წინაშე აკადემიურ დონეზე ანგარიშის წარმოდგენა, კომენტარების, შენიშვნებისა და რჩევების მიღება, საკვანძო საკითხებთან მიმართებაში საკუთარი პოზიციის გამოხატვა, დაცვა და დისკუსიაში აქტიური მონაწილეობა (როგორც მშობლიურ, ასევე ერთ-ერთ ევროპულ ენაზე). გარდა ამისა, სასწავლო პროცესი ხელს უწყობს გარკვეული კატეგორიის პაციენტებთან მიმართებაში პრობლემური ქცევის განსაზღვრის, მართვის და პროფესიული ჩარევის ამოცნობის უნარის ფორმირებასაც.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>ფარმაციის ბაკალავრს შესწევს სასწავლო, სამეცნიერო, ნორმატიულ ცნობარებსა და სხვა წყაროებთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარი. სწავლის პროცესის კრიტიკულად შეფასება და შემდგომი პროფესიული დახელოვნების მიზნით საკუთარი ცოდნის პრიორიტეტებისა და საჭიროებების განსაზღვრა.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას, განსაკუთრებით: ძლიერმოქმედი, ფსიქოტროპული და ტერატოგენული ეფექტის მქონე სამკურნალო საშუალებების დოზების შემოწმებისას და გაცემისას;</p> <p style="text-align: center;">„Medicamenta heroica in manu imperiti sunt, ut gladius in dextra furiosi (in dextra manu)!“</p> <p>კრიტიკულად, „ცივი გონებით“ აფასებს ახალი მედიკამენტების შესაძლებლობებს, რადგან მართალია, ფარმაცევტული კომპანია წამლის შექმნის პროცესში აქცენტს აკეთებს მის ეფექტურობაზე, შემდეგ ტოქსიკურობასა და ბოლოს რენტაბელურობაზე, მაგრამ რეალურად (<i>a posteriori</i>) ეს თანმიმდევრობა შესაძლოა დარღვეული იყოს პრაგმატიზმის სასარგებლოდ.</p> <p style="text-align: right;">„Manifestum non eget probatione!“</p>

სამაგისტრო დისერტაციაზე ან თეზისზე მუშაობისას აცნობიერებს, როგორც სამეცნიერო სამყაროში არსებული დაუწერელი კანონების (აკადემიური პატიოსნების), ასევე კვლევის შედეგად მიღებული უარყოფითი შედეგების ობიექტურად წარმოჩენის მნიშვნელობასაც.

„Melius est nomen bonum quam magnae divitiae!“

ესმის, რომ XXI საუკუნეში აივ-ინფექცია და ვირუსული ჰეპატიტები ყოველთვის არ ასოცირდება ამორალური ქმედებების კანონზომიერ შედეგთან;

„Nulla regula sine exceptione!“

ითვალისწინებს საქართველოში არსებულ სოციალურ ფონს და მაქსიმალური გულისხმიერებით ეკიდება მოსახლეობის ინფორმაციულ და კლინიკურ მხარდაჭერას;

„Salus populi suprema lex!“

ათვითცნობიერებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ფარმაცევტულ სექტორში მძიმე კატეგორიის პაციენტებთან ურთიერთობისას პროფესიული ეთიკის დაცვა და მომაკვდავი ადამიანის სასიცოცხლო ჰორიზონტის შენარჩუნება;

„Ne noceas, si juvare non potes!“

მკურნალ ექიმებთან შეთანხმებით უზრუნველყოფს პაციენტისთვის ხელმისაწვდომი, ეფექტური მედიკამენტების შერჩევას;

„Praesente medico nihil nocet!“

პატივს სცემს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს. ფარმაციის მაგისტრისთვის დომინანტია პრინციპი -

„Ignavia est jacere dum possis surgere!“.

ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია - მოამზადოს შედეგზე ორიენტირებული, თანამედროვე მოთხოვნების, შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი, რომელსაც შესწავლილი ექნება:

- საბაზისო სამედიცინო მეცნიერებების საფუძვლები;
- სამედიცინო რეაბილიტაციის პრინციპები, ვადები, ჩვენებები და უკუჩვენებები;
- მოსალოდნელი გართულებები და რეაბილიტაციის თანამედროვე სტრატეგიები;
- სამედიცინო რეაბილიტაციის ფორმები, მეთოდები და ცალკეული მეთოდიკები;
- ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირებისა და შენარჩუნების პროცესების ძირითადი კანონზომიერებები;
- ორგანიზმის ადაპტაციური შესაძლებლობების დინამიური შეფასებისა და კორექციის მეშვეობით მისი აღდგენისა და გამლიერების საშუალებები;
- სხვადასხვა დაავადებების სამკურნალო-რეაბილიტაციური ღონისძიებების ჩატარება;
- ადამიანის ორგანიზმის ფუნქციური რეზერვების აღდგენის ან დაკარგული ფუნქციის კომპენსაციის, მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხის ამაღლებისაკენ მიმართული ოპტიმალური, ინდივიდუალური პროგრამების ფორმირების სტრატეგია.

კურსდამთავრებულს ასევე ექნება:

- მისი კომპეტენციის შესაბამისი კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- კონკრეტული ამოცანის დასმის და მისი გადაწყვეტის უნარი;
- მორალური ღირებულებებისა და ეთიკური პრინციპების სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენებისა და დაცვის უნარი;
- ინდივიდუალური და სპეციალური სავარჯიშო და სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავების უნარი, დაავადებათა პროფილაქტიკისა და გართულებების თავიდან ასაცილებლად;
- პრაქტიკული რეკომენდაციების რელევანტურად გამოიყენების უნარი;
- ადამიანის ორგანიზმის ფიზიკური და ფუნქციური მდგომარეობის შეფასების უნარი დატვირთვებისა და დასვენების პერიოდში;
- სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვის უნარი.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები	27 ECTS კრედიტი
არჩევითი კურსები	3 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	210 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ეცოდინება:

- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის თანამედროვე თეორიები, პრინციპები, მეთოდები და საშუალებები;
- ადამიანის ორგანიზმისა და მისი შემადგენელი ელემენტების ანატომიური, ფიზიოლოგიური თავისებურებები;
- ადამიანის პათოლოგიური პროცესების ეთიოლოგია და პათოგენეზი;

- ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესები;
- ფიზიკურ ვარჯიშებთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური ფაქტორები და მათი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე;
- ტრავმატოლოგიის ძირითადი ცნებები, ტრავმული მდგომარეობის ზოგადი შეფასება და დაზიანებისას პირველადი დახმარება;
- ზოგადი ჰიგიენის ნორმები და მოთხოვნები;
- მოძრაობის კინემატიკა და ცალკეული მოძრაობების ანალიზი;
- ფიზიოთერაპიის სახეები და თავისებურებები;
- მასაჟის ფორმები და სახეები, ორგანიზმზე მასაჟის მექანიზმის ზემოქმედება;
- კინეზოთერაპია, კლასიფიკაცია და ადამიანის ორგანიზმზე ფიზიკური ვარჯიშის კლინიკური და ფიზიოლოგიური მნიშვნელობა;
- ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება და დატვირთვების ინდივიდუალური გეგმის შედგენა;
- დიაგნოსტიკური, პრევენციული და აღდგენითი-სამკურნალო ტექნოლოგიების ცოდნა;
- გაცნობიერებული აქვს ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირებისა და შენარჩუნების პროცესების კანონზომიერებები, მისი აღდგენისა და გაძლიერების შესაძლებლობები;
- აქვს ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ღრმა ცოდნა;
- აცნობიერებს კომპლექსური კლინიკური პრობლემების გადაჭრის გზებს;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს აქვს უნარი:

- შეიმუშავოს ინდივიდუალური სარეაბილიტაციო პროგრამები ექიმთან შეთანხმებით;
- განსაზღვროს სარეაბილიტაციო ღონისძიებები და წარმატებით განახორციელოს დასახული პროგრამა;
- შეაფასოს პაციენტთა ფუნქციური მდგომარეობა და რეაბილიტაციური პოტენციალი;
- დამოუკიდებლად ჩაატაროს სამედიცინო რეაბილიტაციის პროცედურები: კინეზოთერაპია, მასაჟი;
- შეუძლია სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება;

დასკვნის უნარი

- გააჩნია ღრმა კლინიკური აზროვნება;
- შეუძლია კვლევის არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული ანალიზი;
- აქვს მიღებული ცოდნის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის და პრაქტიკაში დანერგვის უნარი;
- შეუძლია რისკის იდენტიფიცირების საფუძველზე პაციენტის დახმარების სტრატეგიის შესახებ დასკვნის გაკეთება;
- შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და მისი კრიტიკულად შეფასება;

კომუნიკაციის უნარი

- შეუძლია სამედიცინო კონტექსტში ეფექტური წერილობითი და ვერბალური ფორმით საკუთარი აზრების და შეხედულებების ჩამოყალიბება, დიალოგის წარმართვა ქართულ და უცხოურ ენაზე კოლეგებთან და პაციენტებთან, მათ შორის თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით;
- შეუძლია კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მისაღების მიზნით;
- აქვს ჯგუფში/გუნდში მუშაობის, სუბორდინაციის და ადაპტაციის, დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის უნარი. გააჩნია ასევე არავერბალური კომუნიკაციის უნარი;
- განვითარებული აქვს კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის, პროფესიული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.

<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, ლიტერატურის გამოყენებით დამოუკიდებლად ცოდნის ამადლება და შემდგომი სწავლის დაგეგმვა; ▪ აქვს დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვის და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი; ▪ შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და მისი კრიტიკული შეფასება; ▪ აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობას; ▪ აქვს საკუთარი ცოდნის და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი; <p>კვლევის უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ გამომუშავებული აქვს ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის უნარი, პრობლემური საკითხების იდენტიფიკაციისა და ფართო კონტექსტთან მათი დაკავშირების, კვლევით მოპოვებული მასალის ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევები და ფორმალური პროფესიული წერილობითი ენა; ▪ იცნობს კვლევის წარმართვის ეთიკის პრინციპებს.
<p>ღირებულებები</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ აქვს მედიცინის კონტექსტში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა, შეუძლია პაციენტის უფლებების დაცვა; ▪ შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა ნებისმიერ პირთან; ▪ კულტურასთან, სქესთან, რელიგიასთან და ჯანმრთელობის რისკთან ასოცირებული ეთიკური ასპექტების, ცრურწმენების და ტაბუსთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული აქვს საკუთარი დამოკიდებულება; ▪ პაციენტთან და კოლეგებთან ურთიერთობისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით, პატივის სცემს მათ არჩევანს, აღიარებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და ავტონომიას.

საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი

სატრანსპორტო ლოჯისტიკური სისტემის ორგანიზაცია და მართვა

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინჟინერიის ბაკალავრი ტრანსპორტში

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს სატრანსპორტო სფეროსთვის ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კონკურენტულ ბიზნეს-გარემოში სატრანსპორტო გადაზიდვებით დასაქმებული ფირმების ეფექტური ფუნქციონირება და მდგრადი განვითარება, განახორციელოს კომუნიკაციური პოლიტიკის ფორმირება; რაც მიიღწევა:

მოდული 1. სატრანსპორტო მომსახურების მომხმარებელთა (ტვირთვამგზავნები და ტვირთმიმღებები) და გადამზიდავი ფირმების ინტერესების ჰარმონიზაციის საფუძველზე. გარე ფაქტორების ცვლილებების შესაბამისად ბაკალავრი ახდენს გადაზიდვების პროცესში მონაწილე სუბიექტების საქმიანობათა ანალიზს, მათ კოორდინაციას და რეგულირებას, იკვლევს სატრანსპორტო მომსახურების ბაზარს, მის კონიუნქტურას, გადაზიდვებზე მოთხოვნილებისა და მოთხოვნის დინამიკას და მათ შესაბამისად განსაზღვრავს სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ფირმის სტრატეგიას კონკურენციის პირობებში, ამზადებს წინადადებებს სატრანსპორტო მომსახურების პაკეტის სრულყოფის შესახებ, მონაწილეობს საფასო პოლიტიკის განსაზღვრაში, სატრანსპორტო გადაზიდვებზე მოქმედი ტექნოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით ირჩევს მულტიმოდალური გადაზიდვების უმოკლეს და უსწრაფეს სისტემებს.

მოდული 2. მონაწილეობს ტრანსპორტის სერვისით და მოძრაობის უსაფრთხოების ორგანიზაციის საკითხებით დაკავებული სამსახურების სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის პროგრამების შემუშავებაში და მათ პრაქტიკულ განხორციელებაში. ახდენს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ადგილის და სიტუაციების აღწერას და დაფიქსირებას, მონაწილეობს მათი ანალიზის პროცესში. უსაფრთხო მოძრაობის ორგანიზაციის მიზნით აწარმოებს დაკვირვებებს სატრანსპორტო საშუალებათა ნაკადების ინტენსივობაზე, დაამუშავებს და ზემდგომ სტრუქტურებს წარუდგენს რეკომენდაციებს მოძრაობის ნიშნების, შუქნიშნების თუ საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი სხვა საშუალებების პარამეტრების გონივრული ცვლილებების შესახებ.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები (15 კრედიტი)	15 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (72,5 კრედიტი)	74 ECTS კრედიტი
მიმართულების არჩევითი კურსები -15 კრედიტი;	18 ECTS კრედიტი
პროგრამის სავალდებულო კურსები (85 კრედიტი)	82 ECTS კრედიტი
პროგრამის არჩევითი მოდულები	51 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

ბაკალავრს აქვს მიწოდების ერთიანი ლოჯისტიკური ჯაჭვის ცალკეული რგოლების შემადგენელი ელემენტების დანიშნულების, აღწერილობის და იქ მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების ფართო ცოდნა. ესმის მისი მომავალი პროფესიის არსი და სოციალური მნიშვნელობა, იმ დისციპლინათა ძირითადი პრობლემები, რომლებიც განსაზღვრავენ ტრანსპორტის სფეროში მისი საქმიანობის

<p>კონკრეტულ მიმართულებებს, ხედავს მათ ურთიერთკავშირს ცოდნათა მთლიან სისტემაში. შეუძლია იმ ფაქტორების გამოცალკევება და კრიტიკული გააზრება, რომლებიც უზრუნველყოფენ:</p> <p>მოდული 1. სატრანსპორტო გადაზიდვებით დასაქმებული ფირმების მდგრად ფუნქციონირებასა და განვითარებას. აცნობიერებს სატრანსპორტო ლოჯისტიკური ცენტრების მოწყობის ტექნიკას და ტექნოლოგიებს;</p> <p>მოდული 2. ტრანსპორტის სერვისული მომსახურების და მოძრაობის უსაფრთხოების ორგანიზაციის და მართვის პროცესებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>
<p>ტრანსპორტის ბაკალავრს შეუძლია ტექნიკურ-ინტელექტუალური სისტემების შეფასება და მათი ოპტიმალური მართვის მეთოდების შერჩევით ახდენს მომხმარებელთა და სატრანსპორტო მომსახურების შემსრულებელი ფირმების ინტერესთა ჰარმონიზაციას.</p> <p>მოდული 1. გარე ფაქტორების ცვლილებების შესაბამისად ბაკალავრი ოპერატიულად აკეთებს გადაზიდვების პროცესში მონაწილე სუბიექტების საქმიანობათა ანალიზს, ახდენს მათ კოორდინაციას და რეგულირებას ახალი გამოწვევების შესაბამისად. წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის მიზნით წინასწარ განსასზღვრული მითითებების შესაბამისად იკვლევს სატრანსპორტო მომსახურების ბაზარს, გადაზიდვებზე, მოთხოვნილებისა და მოთხოვნის დინამიკას და მათ შესაბამისად განსაზღვრავს გადამზიდავი ფირმის სტრატეგიას კონკურენციის პირობებში.</p> <p>ბაკალავრი აფასებს სატრანსპორტო მომსახურების მომხმარებელთა მოთხოვნებს, გადამზიდავი ფირმის შესაძლებლობებს, სატრანსპორტო დარგის სპეციფიკას და გადაზიდვების უახლესი ტექნოლოგიების და მართვის ორგანიზაციის პრინციპების მაქსიმალური გათვალისწინებით აღწევს მაღალეფექტურ საბოლოო შედეგს სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე.</p> <p>მოდული 2. ირჩევს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა კვლევის და ანალიზის თანამედროვე ტექნოლოგიებს და იყენებს მათ პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>
<p>ბაკალავრს გააჩნია უნარი დასახოს მიზნები და ჩამოაყალიბოს ამოცანები, რომლებიც უკავშირდება სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ სისტემებში პროფესიული ფუნქციების რეალიზებას, მათ გადასაჭრელად ისარგებლოს შესწავლილი მეცნიერებების მეთოდებით.</p> <p>შეუძლია საპროექტო საქმიანობის განხორციელება ტრანსპორტის სფეროში, იცის სისტემური ანალიზის პრინციპები, უნარი შესწევს ააგოს და გამოიყენოს მოდელები სხვადასხვა მოვლენათა აღსაწერად და დიაგნოსტიკისათვის, მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე დადოს სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის საჭირო რეალური დასკვნები.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>ბაკალავრს შესწევს უნარი გაწიოს პროფესიული საქმიანობა უცხოენოვან გარემოში, დაუფლებულია აზროვნების კულტურას, იცის მისი ზოგადი ფენომენები, შეუძლია წერილობით და ზეპირ მეტყველებებში სწორად ჩამოა-ყალიბოს სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სისტემების ორგანიზაციის და მართვის სტრატეგიებთან დაკავშირებული საკვანძო პოსტულატები.</p> <p>მზადაა საკომპერაციოდ კოლეგებთან და კოლექტივში სამუშაოდ, გაცნო-ბილია ტექნიკურ-ინტელექტუალური სისტემების მართვის პრობლემებს, შეუძლია მოაწყოს შემსრულებელთა სამუშაო ადგილები, იპოვოს და მიიღოს მოქმედების ეფექტური გზები მმართველობით გადაწყვეტილებათა ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნათა პირობებში. ლოჯისტიკური მენეჯმენტის პრინციპებს აყალიბებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შემოქმედებით გამოყენებით.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>ბაკალავრს შესწევს უნარი მეცნიერების განვითარების და ცვლადი სოციალური პრაქტიკის შემთხვევაში გადააფასოს შეძენილი გამოცდილება, გადაანალიზოს თავისი შესაძლებლობები და ტრანსპორტის</p>

სფეროში შეიძინოს ახალი ცოდნა. თავისი პროფესიული მოღვაწეობის სახეობისა და ხასიათის შეცვლის შემთხვევაში აქვს ახალ პროექტებზე მუშაობის მეთოდური და ფსიქოლოგიური მზადყოფნა.

ღირებულებები

იცის, იყენებს და ხელს უწყობს იმ ეთიკური და სამართლის ნორმების გადრმავებას, რომლებიც არეგულირებენ ადამიანების ურთიერთობებს ღია სამოქალაქო საზოგადოების და გარემომცველი სამყაროსადმი. ესმის ბუნების და საზოგადოების შემეცნების თანამედროვე მეცნიერული მეთოდების შესაძლებლობები და ფლობს მათ იმ დონეზე, რაც საჭიროა იმ ამოცანათა გადასაჭრელად, რომელთაც აქვთ პრაქტიკული-გამოყენებითი შინაარსი და რომლებიც წარმოიქმნიებიან პროფესიული ფუნქციების შესრულებისას. დაუშვებლად აღიქვამს პლაგიატის გამოყენებას, პატივისცემით ეპყრობა სხვის აზრს და სხვისგანაც ითხოვს შემოქმედებითი აზრისადმი, წერილობითი ნაშრომისადმი თუ პრაქტიკული მიზნებისათვის განკუთვნილი პრივატული მასალისადმი პატივისცემას.

ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინჟინერიის ბაკალავრი ტრანსპორტის დარგში

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში დასაქმებული მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება ავტოსატრანსპორტო საწარმოთა და სერვისული ცენტრების მდგრადი ფუნქციონირება და განვითარება; ავტოსატრანსპორტო საშუალებათა საექსპლოატაციო საიმედოობის გაზრდა; გადაზიდვების ეფექტურობის ამაღლების უზრუნველყოფა; შედეგად მომხმარებლის, გადამზიდავი კომპანიების და ავტომობილების ტექნიკური ექსპლოატაციის სფეროში დასაქმებული სუბიექტების საერთო ინტერესების განხორციელება.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები	15 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები	65 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები	18 ECTS კრედიტი
პროგრამის სავალდებულო კურსები	91 ECTS კრედიტი
პროგრამის არჩევითი მოდულები	51 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

სატრანსპორტო პროცესში ავტომობილების ექსპლუატაციის პირობების ცოდნა; ავტომობილების დანიშნულებისა და შესაძლებლობების აღწერა; გადასაზიდი ტვირთების სახეობებისა და მგზავრთგადაყვანების სპეციფიკიდან გამომდინარე საუკეთესო საექსპლუატაციო თვისებების მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შერჩევა და გადაზიდვების პროცესში ექსპლუატაციისას მათი ეფექტური გამოყენების პირობების განსაზღვრა; ავტოსატრანსპორტო საწარმოში მართვისა და ტექნოლოგიური პროცესების ორგანიზაციის პროგრესული მეთოდების ცოდნა; ავტომობილის კვანძებში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების ცოდნა; ავტომობილების დიაგნოსტიკის პერიოდულობის და საიმედოობის განსაზღვრა; ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სამუშაოების შესრულების მაღალი ხარისხით უზრუნველყოფის პრინციპების ცოდნა; ავტოკომპანიის მარაგ-ნაწილებით და საექსპლუატაციო მასალებით მომარაგების ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრა; თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნა; ავტოკომპანიის ტექნოლოგიური ზონებისა და სასაწყობო მეურნეობის მოწყობა-რეკონსტრუქციის სამუშაოების შესრულების ცოდნა; ავტომობილების ტექნიკური მომსახურების და რემონტის ტექნოლოგიური პროცესების ცოდნა; ავტოსატრანსპორტო კომპანიების ეკონომიკური, ორგანიზაციულ-მმართველობითი, საწარმო-ტექნოლოგიური საქმიანობის, პროექტირებისა და რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩატარება; ავტოსატრანსპორტო საწარმოთა განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია მიზნის დასმა, ამოცანების ფორმულირება და გადამწყვეტი პროფესიონალური ფუნქციების რეალიზაცია;

დაგროვილი ცოდნის გამოყენებით, შეუძლია შემსრულებელთა კოლექტივის მაღალეფექტური მუშაობის ორგანიზება; ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებების პოვნა და გამოყენება წინააღმდეგობრივი მოთხოვნების პირობებში;

პრაქტიკული და თეორიული მომზადების საფუძველზე იცის საწარმოო ურთიერთობათა საფუძვლები და საწარმოო სისტემების და კოლექტივების მართვა ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით;

ავტოსატრანსპორტო საწარმოში მართვისა და ტექნოლოგიური პროცესების ორგანიზაციის პროგრესული მეთოდების დანერგვა;

ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სამუშაოების შესრულების მაღალი ხარისხით ჩატარება;

ეგმ-ზე არსებული პროგრამული საშუალებების გამოყენება; მონაცემების მომზადება, მონაცემების ბანკის გამოყენება, ავტომობილის ძირითადი აგრეგატების დატვირთულობის განსაზღვრის მეთოდების გამოყენება;

ავტომობილების დიაგნოსტიკების სტრუქტურულ შედეგობრივი და ფუნქციონალური მოდელების შედგენა;

საწარმოოს ტექნოლოგიური ზონებისა და სასაწყობო მეურნეობის მოწყობა-რეკონსტრუქციის სამუშაოების შესრულება;

საავტომობილო გადაზიდვების დაგეგმვა და მიწოდების განხორციელება.

დასკვნის უნარი

იცის სისტემური ანალიზის პრინციპები, შეუძლია გამოიყენოს მოდელები სხვადასხვა მოვლენების აღწერისა და პროგნოზირებისათვის, მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზისათვის; იცნობს მოთხოვნებს ჰუმანიტარულ და სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერებების სფეროში, შეუძლია სოციალური პრობლემების და პროცესების მეცნიერული ანალიზი, შეუძლია ამ მეცნიერებების მეთოდების გამოყენება პროფესიონალური და სოციალური მოღვაწეობისათვის;

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია პროფესიონალური კვალიფიკაციის ამაღლება და მოღვაწეობა უცხოენოვან გარემოში; ფლობს აზროვნების კულტურას, იცის მისი ზოგადი კანონები, შეუძლია წერით და ზეპირ მეტყველებაში სწორად (ლოგიკურად) გააფორმოს მისი შედეგები;

სწავლის უნარი

შეუძლია პროფესიონალური კვალიფიკაციის ამაღლება და მოღვაწეობა უცხოენოვან გარემოში; ფლობს აზროვნების კულტურას, იცის მისი ზოგადი კანონები, შეუძლია წერით და ზეპირ მეტყველებაში სწორად (ლოგიკურად) გააფორმოს მისი შედეგები;

ღირებულებები

აქვს მეცნიერული წარმოდგენა ცხოვრების ჯანსაღ წესზე. ფლობს ფიზიკური თვითსრულყოფის მეთოდებს და ჩვევებს;

იცის ეთიკური და უფლებრივი ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ადამიანთა ურთიერთობებს სხვა ადამიანებთან, საზოგადოებასთან, გარემოსთან, შეუძლია მათი გათვალისწინება ეკონომიური და სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების შემუშავებისას;

ელექტრული ინჟინერია

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინჟინერიის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ელექტროინჟინერიის დარგის ბაკალავრი, რომელიც საბაზისო ელექტროტექნიკურ განათლებაზე დაფუძნებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მიღწეული დონით შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველ საფეხურს.

პროგრამა წარმოადგენს ღრმა ელექტროტექნიკურ განათლებაზე დაფუძნებულ და ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული ისეთი მონათესავე დარგებისა და სპეციალიზაციების ერთობლიობას, როგორებიცაა:

- ელექტროენერგეტიკა
- ბიოსამედიცინო ელექტრონიკა
- ტელეკომუნიკაცია
- კრიმინალისტიკური ტექნიკა და ტექნიკური ექსპერტიზა
- ელექტროენერგეტიკის ეკონომიკა.

პროგრამის **სტრუქტურული თავისებურებებიდან** გამომდინარე პროგრამის ყველა მოდული დამატებით ისახავს **სპეციფიურ მიზანს**, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ დარგს ან სპეციალიზაციას. კერძოდ,

ელექტროენერგეტიკის სასწავლო მოდულის სპეციფიური მიზანია:

მოამზადოს ინჟინერიის ბაკალავრი ენერგეტიკასა და ელექტროინჟინერიაში, რომელსაც გააჩნია საკმარისი თეორიული ცოდნა ელექტროენერგეტიკული საწარმოების ტექნოლოგიური პროცესების მართვისა და ტექნიკური აღჭურვილობის ექსპლუატაციის განსახორციელებლად, დარგის ეკოლოგიური და ეკონომიკური ასპექტების პრაქტიკულ საქმიანობაში გასატარებლად.

ბიოსამედიცინო ელექტრონიკის სასწავლო მოდულის სპეციფიური მიზანია:

მოამზადოს ინჟინერიის ბაკალავრი ენერგეტიკასა და ელექტროინჟინერიაში, რომელსაც გააჩნია თანამედროვე სამედიცინო დაწესებულებების სადიაგნოსტიკო, თერაპიულ და ქირურგიული, ასევე პორტატულ სამედიცინო აპარატურისა და მოწყობილობების მუშაობის პრინციპების თეორიული ცოდნა და მისი პრაქტიკაში ექსპლუატაციისა და მომსახურების უნარი .

ტელეკომუნიკაციის სასწავლო მოდულის სპეციფიური მიზანია:

მოამზადოს ინჟინერიის ბაკალავრი ტელეკომუნიკაციაში, რომელსაც მიღწეული თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით შეუძლია სატელეკომუნიკაციო საშუალებების ექსპლუატაცია და მომსახურება დადგენილი მოთხოვნების, მოქმედი ნორმების, წესებისა და სტანდარტების დაცვით.

კრიმინალისტიკური ტექნიკისა და ტექნიკური ექსპერტიზის სასწავლო მოდულის სპეციფიური მიზანია:

მოამზადოს ინჟინერიის ბაკალავრი, რომელსაც ექნება საკმარისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები კრიმინალისტიკის სფეროში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციისა და მომსახურების, ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებისა და შესაბამისი დასკვნების გაკეთებისათვის.

ელექტროენერგეტიკის ეკონომიკის სასწავლო მოდულის სპეციფიური მიზანია:

მოამზადოს ინჟინერიის ბაკალავრი, რომელსაც ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგიის საფუძვლიანი თეორიული ცოდნისა და ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე, შეუძლია შეასრულოს საშუალო რგოლის მმართველობითი საქმიანობა ელექტროენერგეტიკის სხვადასხვა დანიშნულების ორგანიზაციებში.

პროგრამის სტრუქტურა

ზოგადსაუნივერსიტეტო კურსები	15 ECTS კრედიტი
ზოგადსაფაკულტეტო კურსები	68 ECTS კრედიტი
პროგრამის სავალდებულო კურსები (87,5 კრედიტი)	85 ECTS კრედიტი

არჩევითი მოდულები (55 კრედიტი - 5 მოდული)	54 ECTS კრედიტი
არჩევითი საგნები	18 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

ზოგადი: სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;

დარგობრივი: შეუძლია ზუსტი და ფუნდამენტური საბუნებისმეტყველო ძირითადი ცნებების განსაზღვრა და პროფესიული საქმიანობისათვის მისადაგება.

გაცნობიერებული აქვს ელექტრომაგნიტური ველის, როგორც მატერიის განსაკუთრებული ფორმის, არსებობა და მასთან დაკავშირებული გამოვლინებები.

გააჩნია საინჟინრო მიმართულების კონკრეტული დარგების, შესაბამისი ძირითადი ობიექტების, მოვლენებისა და პროცესების ცოდნა, შეუძლია მათი იდენტიფიცირება და შეფასება. **კერძოდ,**

✓ **ელექტროენერგეტიკისათვის:**

გააჩნია საბაზო ცოდნა ელექტრული ენერჯის წარმოების, გადაცემისა და განაწილების ტექნოლოგიური პროცესების, ელექტროენერგეტიკული სისტემების მართვის და ელექტროენერგეტიკული დანადგარების ფუნქციონირების შესახებ;

შეუძლია საკმარისი ცოდნის დემონსტრირება ელექტროენერგეტიკაში გამოყენებული მასალების ძირითადი ტიპებისა და თვისებების, ელექტრული ხელსაწყოებისა და მოწყობილობების, გაზომვის მეთოდებისა და საშუალებების შესახებ.

✓ **ტელეკომუნიკაციისათვის:**

გააჩნია სქემოტექნიკური დაპროექტების, საკომუტაციო კვანძების გათვლისა და აგების, ანალოგური და დისკრეტული (ციფრული) შეტყობინების სისტემებისა და აპარატურის, მონაცემთა გადაცემისა და სატელეფონო კავშირის ქსელების, ელექტრონული მართვის კომპლექსების, მობილური კავშირის სისტემების თოერიული საფუძვლებისა და მოქმედების პრინციპების; მრავალარხიანი და რადიოსარელეო კავშირის საფუძვლების; კავშირგაბმულობის სისტემების, ელექტროაკუსტიკისა და ელექტროკავშირგაბმულობის კვების მოწყობილობების საფუძვლების ცოდნა.

გადაცემის მრავალარხიანი სისტემების, მიწისპირა და კოსმოსური რადიოკავშირის, რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის მიმღებ-გადამცემებისა და საანტენო-საფიდერო ტექნიკის აგებისა და მოქმედების ინფორმაციის შეკრების, დამუშავების, შენახვისა და გადაცემის სისტემების თეორიული შესაძლებლობებისა და აგების პრინციპების; ინფორმაციული უსაფრთხოებისა და არასანქცირებული ჩართვებისაგან ინფორმაციის დაცვის მეთოდების ცოდნა.

✓ **ბიოსამედიცინო ელექტრონიკისათვის:**

გააჩნია ბიოსამედიცინო ინჟინერიის და სამედიცინო ფიზიკის ძირითადი საკითხების ცოდნა. შეუძლია რადიოელექტრონულ კომპიუტერულ მოწყობილობებში გამოყენებული ძირითადი ანალოგური და ციფრული კვანძების ელექტრონული და ფუნქციონალური სქემების მუშაობის პრინციპების საკმარისი ცოდნის დემონსტრირება.

შეუძლია მიკროპროცესორულ მოწყობილობათა (ჩაშენებული სისტემების, პორტატული სამედიცინო აპარატურა, მობილური ტელეფონები და კავშირგაბმულობის სხვა სახეები) ელექტრონული და სტრუქტურული სქემების, თანამედროვე სამედიცინო და ელექტროგამზომი ხელსაწყოებისა და მათი მუშაობის პრინციპების აღწერა და განმარტება.

ელექტრული ენერჯის გარდამქმნელების, რეგულატორების მეორადი ძალური კვანძების და ბლოკების მუშაობის პრინციპების აღწერა.

✓ **კრიმინალისტიკური ტექნიკისა და ტექნიკური ექსპერტიზისათვის:**

შეუძლია კრიმინალისტიკური კვლევისათვის აუცილებელი თეორიული საფუძვლების, კრიმინალისტიკური ტექნიკის, ექსპერტიზის თანამედროვე ხერხების საშუალებებისა და მეთოდების ცოდნის დემონსტრირება;

გააჩნია კრიმინალისტიკური ტექნიკის, კრიმინალისტიკური და ტექნიკური ექსპერტიზის ფუნდამენტური თეორიების, პრინციპებისა და კონცეფციების ცოდნა;

✓ **ელექტროენერგეტიკის ეკონომიკისათვის:**

გააჩნია საბაზო ცოდნა ელექტრული ენერჯის წარმოების, გადაცემისა და განაწილების ტექნოლოგიური პროცესების, ელექტროენერგეტიკული სისტემების მართვის და ელექტროტექნიკური დანადგარების ფუნქციონირების შესახებ;

აქვს ცოდნა ეკონომიკის ძირითადი კანონებისა და პრინციპების შესახებ და შეუძლია ელექტროენერგეტიკასთან მისი დაკავშირება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ზოგადი:

სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

დარგობრივი:

შეუძლია საბაზო საბუნებისმეტყველო და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება საინჟინრო პრაქტიკაში, კერძოდ, ელექტროტექნიკურ ცოდნაზე დაფუძნებული მონათესავე ისეთი დარგებისათვის, როგორცაა: ელექტროენერგეტიკა, ტელეკომუნიკაციები, ბიოსამედიცინო ინჟინერია და კრიმინალისტიკური ტექნიკა და ტექნიკური ექსპერტიზა.

შეუძლია განხორციელოს არჩეული დარგისათვის დამახასიათებელი საპროექტო, სასერვისო და საინსტალაციო სამუშაოები.

შეუძლია ძირითადი ტექნოლოგიური სისტემებისა და მოწყობილობის, ტექნიკური ობიექტების ექსპლუატაცია მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენებით;

შეუძლია არჩეული დარგისათვის დამახასიათებელი ტექნიკური ობიექტების ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მოთხოვნების ფორმულირება და ფლობს მათი რეალიზაციის საშუალებებს.

შეუძლია არჩეული დარგისათვის შესაბამისი საქმიანობის გარემოსათვის უვნებლად წარმართვა;

საწარმოო პროცესში უსაფრთხო პირობების შექმნა და უზრუნველყოფა, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

შეუძლია პროფესიული ფუნქციების განხორციელება. კერძოდ,

✓ **ელექტროენერგეტიკისათვის:**

ელექტროენერგეტიკული ობიექტების ძირითადი და დამხმარე მოწყობილობების ელემენტებისა და სქემების, ელექტროენერგეტიკული დანადგარების მუშაობის რეჟიმებისა და ძირითადი საბაზო ენერგეტიკული მახასიათებლების გაარგარიშება არსებული მეთოდებით, შერჩევა და შედეგების გამოყენება;

არსებული ტექნოლოგიური პროცესების განხორციელებაში მონაწილეობა;

ელექტრული სადგურებისა და ელექტრული ქსელების ძირითადი ელემენტების შეერთებების სქემების, სარეო დაცვისა და ავტომატიკის სისტემების, ელექტროტექნიკურ დანადგარებში იზოლაციისა და გადამეტაბვების შერჩევა არსებული მეთოდებით;

კონკრეტული პირობებისათვის ელექტროტექნიკური მასალების და მათი პარამეტრების შერჩევა და მათი გამოყენება დანიშნულების მიხედვით.

✓ **ტელეკომუნიკაციისათვის:**

ტელეკომუნიკაციის ქსელებში და ინფორმაციის დამუშავების მოწყობილობებში და სისტემებში პროცესების მოდელირება და მათი ტექნიკური ექსპლუატაციის ალგორითმების პრაქტიკაში გამოყენება. სატელეკომუნიკაციო სისტემებისა და მოწყობილობების საექსპლუატაციო და სასერვისო მომსახურება.

ტელეკომუნიკაციის ხელსაწყოების, მოწყობილობების, არხებისა და ტრაქტების მახასიათებლების გაზომვა და გაზომვის შედეგების დამუშავება;

მოწყობილობა-დანადგარების ინსტალაცია და ექსპლუატაცია;

კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით საწარმოო ინფორმაციის დამუშავება.

✓ **ბიოსამედიცინო ელექტრონიკისათვის:**

სადიაგნოსტიკო, თერაპიულ და ქირურგიულ აპარატურის აუდიო-ვიდეო და კომპიუტერულ ტექნიკის, ასევე პორტატული სამედიცინო აპარატურის **გამოყენება**;
 თანამედროვე სამედიცინო აპარატურის **მომსახურება და რემონტი**.

✓ **კრიმინალისტიკური ტექნიკისა და ტექნიკური ექსპერტიზისათვის:**
 პროცესუალური მოვალეობის შესრულების დროს ტექნიკის თანამედროვე სწრაფმოქმედი და საიმედო ტექნოლოგიებისა და სწავლის პროცესში მიღებული უნარ-ჩვევების **გამოყენება** კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩასატარებლად.

✓ **ელექტროენერგეტიკის ეკონომიკისათვის:**
 ელექტროენერგეტიკული ობიექტების, ძირითადი და დამხმარე მოწყობილობების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების **გაარგარიშება, განმარტება და შეფასება**;
 სხვადასხვა დანიშნულების ელექტროენერგეტიკული დანადგარების მუშაობის რეჟიმების, მოწყობილობებისა და მათი პარამეტრების, ელექტროენერგეტიკული ობიექტების სქემებისა და ძირითადი საბაზო ენერგეტიკული მაჩვენებლების **გაანგარიშება და შერჩევა**.

დასკვნის უნარი

ზოგადი:
 სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.

დარგობრივი:
 შეუძლია ტექნიკური ან ტექნოლოგიური პრობლემის **იდენტიფიცირება და ფორმულირება**;
 შეუძლია პროფესიული ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებული **მიზნის დასახვა**, ამოცანების **ფორმულირება** და მათი გადაჭრისათვის შესწავლილი მეთოდების **გამოიყენება**.
 შეუძლია საპროექტო ობიექტებისა და სისტემებისათვის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მოთხოვნების **ფორმულირება**.
 შეუძლია განხორციელებულ საქმიანობაზე **დასკვნის გაკეთება** და დადგენილი ფორმების მიხედვით ანგარიშების **შედგენა**.

კომუნიკაციის უნარი

ზოგადი:
 იძულებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.

დარგობრივი:
 შეუძლია მმართველობითი საქმიანობის განხორციელება, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება აზრთასხვაობის პირობებში;
 შეუძლია **გუნდში (ჯგუფში) ეფექტურად მუშაობა და პრეზენტაციების გაკეთება კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით**;
 შეუძლია შესაბამისი დარგის საჭიროებისათვის აუცილებელი მეთოდების და **კომპიუტერული პროგრამების გამოყენება**;
 შეუძლია მარტივი პროექტების **შემუშავება და მართვა**;
 შეუძლია ქართულ და უცხო ენაზე ზოგადი ხასიათის **დიალოგის წარმართვა** პროფესიულ თემაზე;
 შეუძლია დოკუმენტაციისა და საქმიანი **წერილების შედგენა**.

სწავლის უნარი

ზოგადი:
 საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.

დარგობრივი:

აცნობიერებს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების საჭიროებას. აქვს უნარი განსაზღვროს საკუთარი პროფესიული ზრდის აუცილებლობა და შესაძლებლობები. შეუძლია შემდგომი პროფესიული ზრდის მიზნით თავად მოიძიოს ინფორმაცია და რესურსები. შეუძლია სწავლის გაგრძელება სწავლების შემდეგ საფეხურზე.

ღირებულებები

ზოგადი:

ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა, ფლობს ჰუმანიზმის პრინციპებს.

დარგობრივი:

იცის ის ეთიკური და საკანონმდებლო ნორმები, რომელთა საფუძველზეც უნდა მოქმედებდეს საზოგადოებაში.

გააჩნია კრიტიკულად აზროვნების უნარი საკუთარ საქმიანობის მიმართ და ცდილობს დარგში მიღწეული ახალი ცოდნის მოპოვებას.

გააჩნია ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულების შეგნება, სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების აუცილებლობის გააზრება. პასუხისმგებლობით ეკიდება გარემოს დაცვას.

მშენებლობა

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

ზოგადსაინჟინრო და სპეციალურ დისციპლინებში საბაზისო ცოდნის შექმნის საფუძველზე ჩამოყალიბოს მომავალ მშენებლობის ბაკალავრს კომპლექსური ცოდნა და უნარ-ჩვევები სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების პროექტირების და მშენებლობის პროცესში შუალედური რგოლის სპეციალისტის ფუნქციების შესასრულებლად. განუვითაროს საპროექტო და სამშენებლო წარმოებისათვის საჭირო ზოგადტრანსფერული და დარგობრივი კომპეტენციები. სამშენებლო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბების საფუძველზე მისცეს უახლესი ტექნოლოგიების, ეკონომიკური ტენდენციების და ღირებულებების გაცნობიერებისა და საქმიანობაში გამოყენების საშუალება.

პროგრამის სტრუქტურა

ზოგადსაინჟინრო კურსები	15 ECTS კრედიტი
ზოგადსაფაკულტეტო კურსები	68 ECTS კრედიტი
ზოგადსაფაკულტეტო არჩევითი კურსები	18 ECTS კრედიტი
პროგრამის სავალდებულო კურსები	94 ECTS კრედიტი
არჩევითი მოდულების კურსები	45 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- მშენებლობის სფეროსათვის დამახასიათებელი შენობა-ნაგებობების დაპროექტების, მშენებლობის წარმოების, ნაგებობების ექსპლუატაციის, რემონტის და ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების და მართვის პრინციპების ცოდნა;
- მოწინავე ახალი ტექნოლოგიების გაცნობიერება და მათი დანერგვის პროცესში მონაწილეობა;
- კონსტრუქციების და ნაგებობების საიმედოობის შეფასება შესაბამისი რეკომენდაციების მიხედვით;
- კონსტრუქციების და შენობა-ნაგებობების განხილვა მათი თავისებურებების გათვალისწინებით;
- წარმოდგენილი პროექტების შედარებისა და ოპტიმალური ვარიანტის შერჩევის პროცესში ტექნიკური ფუნქციების შესრულება;
- საჭირო ნედლეულის, რეაგენტების, მასალების, მზა პროდუქციის ტექნიკური პარამეტრების ცოდნა;
- სამშენებლო ბაზრის ძირითადი პრინციპების და პერსპექტივების ცოდნა-გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- სხვადასხვა სახის სამშენებლო ობიექტებზე ტექნიკური შუალედური რგოლის ფუნქციების შესრულება: საპროექტო და სხვა სახის დოკუმენტაციის (პროექტის, ხარჯთაღრიცხვის, მასალების სერთიფიკატების, მიღება-ჩაბარების აქტების და სხვა) დანიშნულების მიხედვით გამოყენება, სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია, ტექნიკური პირობების დაცვა, მანქანებისა და მოწყობილობების ექსპლუატაციის ორგანიზაცია, შრომის ორგანიზაცია და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- დაზიანებების აღმოჩენა, დიაგნოსტიკა და რეკომენდაციების შემუშავება ტექნიკური პირობების შესაბამისად;
- შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციისას პარამეტრების გაანგარიშება-გამოთვლა;

<ul style="list-style-type: none"> ▪ მასალებისა და ნაკეთობების შერჩევა და შეთავაზება ამა თუ იმ სამუშაოთა შესასრულებლად; ▪ მშენებლობის კვლევით და დაკვალვით სამუშაოებში მონაწილეობა საჭირო ინსტრუმენტების გამოყენებით; ▪ შენობებისა და ნაგებობების პროექტირების პროცესში არქიტექტორის კონსტრუქტორის, მენეჯერის დამხმარე ფუნქციათა შეთავსება; ▪ სამუშაოთა ორგანიზაციული სქემების დაგეგმვა, სახარჯთაღრიცხვო და საფინანსო დოკუმენტაციის შედგენა, მშენებლობის წარმოების ოპტიმალური ვარიანტების შერჩევა არსებული მეთოდების გამოყენებით; ▪ უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ინტენსიფიკაცია; საჭიროების შემთხვევაში ხელმძღვანელობის საკუთარ თავზე აღება და მიღებული შედეგების შეჯამება.
<p>დასკვნის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ მშენებლობის ახალი ტექნოლოგიების ანალიზი და არსებულ პირობებში მათი დანერგვის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება; ▪ სამუშაოთა წარმოების განსხვავებული მეთოდების შედარებითი ანალიზი და საუკეთესო ვარიანტის შესახებ დასკვნის გამოტანა; ▪ მშენებლობის პროცესის შემადგენელი კომპონენტების ალტერნატიული ვარიანტების მოძიება და მათი ანალიზის საფუძველზე სწორი დასკვნის გამოტანა; ▪ საჭიროების შემთხვევაში ხელთ არსებული ინფორმაციების კრიტიკის უნარი.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ ზოგად და პროფესიულ თემებზე საკუთარი აზრების ნათლად გამოხატვა შესაბამისი განმარტებებით მშობლიურ და უცხო ენაზე; ▪ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მშენებლობის სფეროს საპროექტო, ტექნიკურ-ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საქმიანობაში; ▪ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების უნარი; ▪ საქმიანობის შედეგების დოკუმენტირება და პრეზენტაციის ორგანიზება პროფესიულ და არაპროფესიულ გარემოში; ▪ ადექვატური რეაგირება ალტერნატიულ აზრზე, საკუთარი შეხედულების დაცვა შესაბამისი არგუმენტების მოყვანით.
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მშენებლობის სფეროში მიღებული საკუთარი ცოდნის შედარება შრომის ბაზარზე არსებულ ცოდნის დონესთან, პრაქტიკულ და თეორიულ მოთხოვნების გათვალისწინებით; ▪ სასწავლო პროგრამის კურსების ანალიზის საფუძველზე იმ დისციპლინების შერჩევა, რომლებიც უზრუნველყოფენ დასაქმების თვალსაზრისით დასახული მიზნის მიღწევას. სწავლის შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობის განსაზღვრას და დარგის კონკრეტული მიმართულების შერჩევას.
<p>ღირებულებები</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ განსხვავებული აზრის პატივისცემა; საკუთარი აზრის დაცვა და დასაბუთება; ▪ თვითკრიტიკა. კრიტიკა პროფესიული და ადამიანური ეთიკის დაცვით; ▪ საქმიანობის პროცესში სამართლიანობის პრინციპების დაცვა; ▪ ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის საკითხების გათვალისწინება მშენებლობის ყველა სტადიაზე.

ხარისხის მართვა და ტექნიკურ ეკონომიკური ექსპერტიზა

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინჟინერიის ბაკალავრი ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემებში

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

მომზადდოს საინჟინრო საქმის ბაკალავრი ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემების მიმართულებით, რომელსაც შეუძლია საწარმოთა ტექნოლოგიური პროცესების მეტროლოგიური ექსპერტიზის საფუძველზე, პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის მართვის ორგანიზებაში მონაწილეობა; საზომ საშუალებათა ოპტიმალურად შერჩევა; გაზომვების ჩატარება და შედეგების დამუშავებაში მონაწილეობა; საექსპერტო დასკვნის შედგენაში მონაწილეობა; მონიტორინგის ჩატარება; შემსრულებელთა კოლექტივის მაღალეფექტურ ორგანიზებულ მუშაობაში მონაწილეობა.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები	15 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები	65 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები	18 ECTS კრედიტი
პროგრამის სავალდებულო კურსები	142 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს ცოდნა:

- ფიზიკურ სიდიდეთა საერთაშორისო ერთეულებისა და გაზომვის ერთიანი სახელმწიფო სისტემის შესახებ;
- სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემის შესახებ;
- გაზომვის მეთოდებისა და საშუალებების შესახებ;
- გაზომვის სიზუსტესა და პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებელთა შორის დამოკიდებულებაზე;
- გაზომვის ცდომილებათა სახეებსა და მათი წარმოშობის წყაროებზე;
- ნორმატიულ ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენაზე წაყენებული მოთხოვნების;
- პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლებზე;
- პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიცირებაზე;
- ტექნოლოგიური პროცესების კონტროლსა და პროცესების მართვის ზოგად პრინციპებზე;
- საზომ საშუალებათა შერჩევის პრინციპებზე;
- უნივერსალურ საზომ საშუალებათა მუშაობის სქემებზე;
- გაზომვის შედეგების დამუშავების ძირითადი პრინციპებზე;
- ექსპერტიზის ჩატარების ზოგადი პრინციპებზე;
- საზომ საშუალებათა გამოყენებისა და დამოწმების სქემებზე;
- პროდუქციის (მათ შორის კვების პროდუქტების) საანალიზოდ მომზადების ზოგად წესებზე; ნიმუშების აღების, აწონვის და რეაქტივების მომზადების ხერხების ძირითადი მეთოდებზე;
- ზომათა ჯაჭვების შედგენისა და გაანგარიშების ძირითადი პრინციპებზე;
- საწარმოთა ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების ძირითად სქემებზე;
- საწარმოთა ხარისხის მართვის სისტემის შედგენის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებზე.

აცნობიერებს:

- ✓ მეტროლოგიის თეორიულ საფუძვლებს;
- ✓ ფიზიკურ სიდიდეთა გაზომვის ერთიანი სისტემის არსს;
- ✓ სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემის არსს;
- ✓ საზომ საშუალებათა პერიოდულად დამოწმების აუცილებლობის არსს;
- ✓ ხარისხიანი პროდუქციის მიღებისათვის გაზომვის მეთოდისა და საშუალებების ოპტიმალურად შერჩევის აუცილებლობას;
- ✓ გაზომვის შედეგების დამუშავების საფუძველზე პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელთა გაუმჯობესების რეალურ შესაძლებლობას;
- ✓ საწარმოო პროცესების მართვაში მეტროლოგიური სამსახურის როლსა და შესაძლებლობებს;
- ✓ ხარისხის მართვის ძირითად პრინციპებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია:

- მონაწილეობა მიიღოს საზომ საშუალებათა შერჩევაში, გაზომვების ჩატარებასა და შედეგების დამუშავებაში, საექსპერტო დასკვნის შედგენაში;
- მონაწილეობა მიიღოს ნორმატიულ ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენასა და დოკუმენტების მეტროლოგიური ექსპერტიზის ჩატარებაში;
- ინტელექტუალური საკუთრების ობიექტისათვის პირველადი განაცხადის სწორად ფორმულირება და საპატენტო უწყებისათვის მიწოდება;
- მონაწილეობა მიიღოს პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელთა დადგენაში, გაზომვასა თუ კონტროლში, ასევე პროდუქციის ექსპერტიზისა და მონიტორინგის ჩატარებაში;
- მონაწილეობა მიიღოს საწარმოო უბანზე ხარისხის მაჩვენებელთა მართვის სისტემის შემუშავებაში;
- საწარმოო სისტემებისა და კოლექტივების მართვაში მონაწილეობა ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით.

დასკვნის უნარი

შეუძლია:

- საწარმოში გაზომვის მეთოდისა და საშუალების დასაბუთებულად შერჩევაში მონაწილეობა;
- გაზომვის შედეგების დამუშავება, გაანალიზება და დასკვნის შედგენაში მონაწილეობა;
- საწარმოში სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის ძირითადი ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე მონაცემთა შეგროვება და მათი შესაბამისობის ანალიზი;
- ნორმატიულ ტექნიკური დოკუმენტების მეტროლოგიური ექსპერტიზის დასკვნების შედგენაში მონაწილეობა;
- საწარმოში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის გაფორმებისათვის საჭირო მასალების მოგროვება და წინასწარი საექსპერტო დასკვნების შედგენაში მონაწილეობა;
- ანგარიშებისა და მონიტორინგის მაჩვენებელთა დოკუმენტების გაანალიზებასა და დასკვნის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა;
- საწარმოთა ტექნოლოგიური პროცესების მეტროლოგიური ექსპერტიზის საფუძველზე, პროდუქციის ხარისხის მართვის ორგანიზების საკითხებზე დასკვნების შედგენაში მონაწილეობა.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია:

- თანამედროვე კომპიუტერულ-პროცესორული სისტემების, უქაღალდო დოკუმენტების, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება; თანამედროვე სტანდარტული საინჟინრო ამოცანათა გათვლა; ტექნოლოგიური რესურსების კომპეტენტური გამოყენება;
- ინფორმაციული ბაზებითა და ინტერნეტ გვერდებით სარგებლობა; იდეებისა და ინფორმაციის ზუსტად და თანმიმდევრულად გადაცემა; პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ელემენტარული ინფორმაციის მოძიება და მიწოდება უცხოურ ენაზე.

<p>უნარი აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ გუნდში მუშაობის; ▪ დამოუკიდებლად მუშაობის; ▪ იყოს კრიტიკული და თვითკრიტიკული; ▪ საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის.
<p>სწავლის უნარი</p>
<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ხელმძღვანელის მითითებით ან სპეციალურ ლიტერატურაში საჭირო ინფორმაციის მოძიების გზით მიიღოს ახალი ცოდნა პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე; ▪ სწავლის სტრატეგიის დაგეგმვა და ორგანიზაცია; ▪ ახალ სიტუაციებთან ადაპტირება; ანალიზი და ინტერპრეტირება; ▪ მიღებული ცოდნის ანალიზის საფუძველზე დაადგინოს სწავლის მაგისტრატურაში გაგრძელების აუცილებლობა და შესაძლებლობა.
<p>ღირებულებები</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ იცნობს და აღიარებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს; ▪ შეუძლია ეძებოს ინტელექტუალურ - ტექნიკურ სისტემებში წარმოქმნილი სარისკო სიტუაციების ჰუმანური მეთოდებით გადაჭრის გზები; ▪ იცის, იყენებს და ხელს უწყობს იმ ეთიკური და სამართლის ნორმების გაღრმავებას, რომლებიც არეგულირებენ ადამიანების ურთიერთობებს, ღია სამოქალაქო საზოგადოებისა და გარემომცველი სამყაროსადმი.

კვების ინდუსტრიის ინჟინერია, საწარმოო პროცესების და მანქანების მართვა

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამრეწველო ინჟინერიის და ტექნოლოგიის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

შრომითი ბაზრის მოთხოვნილებიდან გამომდინარე მოამზადოს ინჟინერიის მიმართულებით ბაკალავრი „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ სპეციალობით, რომელიც საბაზისო განათლებაზე დაფუძნებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მიღწეული დონით შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველ საფეხურს, დარგობრივი მიმართულებით სტუდენტს განუვითაროს კომპეტენციები ტექნიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ხასიათის ამოცანების გადასაჭრელად და შეძენილი კომპეტენციების საფუძველზე ჰქონდეს მრავალმხრივი, ასევე პიროვნული განვითარების შესაძლებლობა. ჩამოუყალიბოს სამოქალაქო ღირებულებები და პატრიოტიზმის პრინციპები.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები	15 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები	83 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები	18 ECTS კრედიტი
ზოგადტექნიკური სავალდებულო კურსები	70 ECTS კრედიტი
არჩევითი მოდულები	54 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

ზოგადი:

სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;

დარგობრივი:

კვების ინდუსტრიის ინჟინერია, საწარმოო პროცესების და მანქანების მართვა სპეციალიზაციის კურსდამთავრებულმა იცის:

- საბუნებისმეტყველო და ზოგადტექნიკური საგნების ძირითადი ცნებები, კანონები და თეორიული საფუძვლები;
- ეკონომიკური დისციპლინების საფუძვლები;
- ტექნოლოგიური პროცესები და მათი ავტომატიზირებული მართვა;
- ტექნოლოგიური მოწყობილობების მოქმედების, სერვისის, მონტაჟის და ექსპლუატაციის პრინციპები;
- შეუძლია სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ზოგადი:

სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

დარგობრივი:

<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ტექნოლოგიური მანქანების, კვანძების, დეტალების ნახაზების გამოხაზვა და წაკითხვა; ▪ დარგის მცირე საწარმოების დაგეგმარების, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ლოჯისტიკის საკითხების გადაწყვეტის პროცესში მონაწილეობის მიღება; ▪ ტექნოლოგიური მანქანების, კვანძების, დეტალების ტექნოლოგიური დამუშავების პროცესების გაგება და გააზრება;
<ul style="list-style-type: none"> • ტექნოლოგიური მანქანების ექსპლუატაცია, სარემონტო სამუშაოების წარმოება და ავტომატური მართვის სისტემების ოპერირება; • ტექნოლოგიური, პრინციპული, კონსტრუქციული, კინემატიკური სქემების შედგენა, თანამედროვე მოწყობილობების და მათი მართვის მეთოდების შერჩევა წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით.
<p>დასკვნის უნარი</p>
<p>ზოგადი: სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.</p> <p>დარგობრივი: მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ტექნოლოგიური მოწყობილობების მდგომარეობის შეფასება; ▪ მათი მუშაობისას შექმნილი ავარიული სიტუაციების ანალიზი; ▪ შეუძლია შესწავლილი თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება; ▪ ოპტიმალური ვარიანტის ამოცნობა და პრობლემის თავიდან აცილების გზების შემუშავება.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>ზოგადი: იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.</p> <p>დარგობრივი: შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით საჭირო ინფორმაციის მოძიება და დამუშავება; ▪ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართულ და რომელიმე უცხო ენაზე;
<p>სწავლის უნარი</p>
<p>ზოგადი: საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;</p> <p>დარგობრივი: შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ შეისწავლოს ტექნოლოგიური მანქანების და აპარატების აგებულება და მუშაობის პრინციპები; ▪ შეისწავლოს ტექნოლოგიურ მოწყობილობებში მიმდინარე პროცესები; ▪ განსაზღვროს აუცილებლობა სწავლის დონის შემდგომი გაღრმავების და სრულყოფის შესახებ; ▪ შრომის ბაზრის შესწავლის საფუძველზე განსაზღვროს შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა და საჭიროება.
<p>ღირებულებები</p>

ზოგადი:

ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

დარგობრივი:

- ფლობს ჰუმანიტარული ცოდნის საფუძვლებს;
- იცის ის ეთიკური და საკანონმდებლო ნორმები, რომელთა საფუძველზეც უნდა მოქმედებდეს საზოგადოებაში.
- მუშაობის პროცესში ხელმძღვანელობს პროფესიული და ადამიანური ეთიკის ნორმებით;
- გათავისებული აქვს წარმოების ეკოლოგიური პრობლემები;
- იცავს შრომისა და სიცოცხლის უსაფრთხოების ნორმებს;
- გათავისებული აქვს ის საფრთხეები, რაც შეიძლება გამოიწვიოს ტექნოლოგიური მანქანის და მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლამ.

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია



უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: გარემოს ინჟინერიისა და
უსაფრთხოების ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სპეციალისტთა მომზადება გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების ბაკალავრის კვალიფიკაციით, რომლებიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებენ:

- გარემოში მიმდინარე პროცესების, გარდაქმნებისა და გარემოსდაცვითი პრობლემების კრიტიკულ გააზრებას.
- კონკრეტულ ეკოლოგიურ პრობლემებზე და გარემოსდაცვით ღონისძიებებზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას, გარემოს დაცვის ინჟინერიისა და უსაფრთხოების სფეროს კომპლექსური საკითხების საფუძვლიანი ცოდნის საფუძველზე;
- გარემოს დაცვის ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული ტექნოლოგიებისა და საშუალებების გამოყენებით;
- საქმიანობათა გარემოზე ზემოქმედების მექანიზმების განხილვას განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზის სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით;
- საქმიანობათა გარემოზე მავნე ზემოქმედების აღკვეთისა და შეზღუდვის ტექნიკისა და მეთოდების გამოყენებას, რომლებიც მიმართულია გარემოს დაცვის სფეროში დამტკიცებული მოთხოვნების, მოქმედი ნორმების, წესებისა და სტანდარტების დაცვისაკენ;

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის სავალდებულო კურსები	105 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები	15 ECTS კრედიტი
პროგრამისათვის სავალდებულო კურსები	105 ECTS კრედიტი
პროგრამის არჩევითი კურსები	15 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- აქვს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა გარემოს დაცვის საინჟინრო და ტექნოლოგიური ღონისძიებების შესახებ;
- ფლობს გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების ძირითად საფუძვლებს;
- აცნობიერებს გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ეკოლოგიის პრობლემებს;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად შეუძლია კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება მრეწველობის სხვადასხვა დარგში გარემოს დაცვითი ღონისძიებების, გარემოზე ზემოქმედების აღკვეთისა და შეზღუდვის მეთოდებისა და ტექნიკის შერჩევა-ანგარიშის მიზნით.

<ul style="list-style-type: none"> - შეუძლია გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების ხარისხის შეფასებისა და ანალიზის მეთოდების გამოყენება გარემოს დაცვის სფეროში არსებული სამართლებრივი და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის, სხვადასხვა ლიტერატურის, ცნობარებისა და გამოცემების გამოყენებით შეუძლია განახორციელოს საწარმოო კონტროლი დამტკიცებული გარემოსდაცვითი მოთხოვნების, მოქმედი ნორმების, წესების და სტანდარტების დაცვაზე;
<p>დასკვნის უნარი</p>
<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ადგილობრივი, რეგიონული და გლობალური ეკოლოგიური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გამომწვევი მიზეზების კრიტიკული ანალიზი; - საქმიანობათა გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების ხარისხის შეფასება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება ამ ზემოქმედების აღკვეთისა და შეზღუდვის გზების შესახებ; - გაანალიზოს გარემოსდაცვითი ღონისძიებები სხვადასხვა სახის სამრეწველო საქმიანობის დაგეგმვისას და განხორციელებისას.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> - შეუძლია გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე; - აქვს ტექნოლოგიური მოწყობილობების, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებისა და სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი; - პროფესიული მოვალეობების შესრულებისას იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, მათ შორის უცხოურ ენაზე.
<p>სწავლის უნარი</p>
<p>შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>აქვს მაღალი პროფესიული, ეთიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა:</p> <ul style="list-style-type: none"> - გათავისებული აქვს საწარმოო გამონაბოლქვებისაგან ატმოსფეროს დაცვის, ჩამდინარე წყლების გაწმენდის მნიშვნელობა, საინჟინრო გადაწყვეტილებების გამოყენების უსაფრთხოების ნორმების დაცვა; - აცნობიერებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების აუცილებლობას გლობალური და რეგიონალური მასშტაბებით; - აქტიურად მონაწილეობს გარემოს დაცვის ტექნოლოგიური, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარებაში.

სასურსათო ტექნოლოგია

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

მომზადოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სასურსათო ტექნოლოგიის ზოგადი საფუძვლების ცოდნითა და ფართო დარგობრივი კომპეტენციებით. მისცეს სტუდენტებს ფუნდამენტალური განათლება ზუსტ, საბუნებისმეტყველო და ზოგად საინჟინრო მეცნიერებებში.

მომზადოს სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრები, რომლებიც კომპეტენციების ფარგლებში შეძლებენ თანამონაწილეობას შემდეგ აქტივობებში:

- ✓ კვების პროდუქტების წარმოებისათვის გამოყენებული ნედლეულის თვისებების განსაზღვრას და მის საფუძველზე ტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვა და მართვა;
- ✓ ტექნოლოგიური დანადგარების შერჩევა და მათ უსაფრთხო ექსპლოატაცია;
- ✓ ახალი სანედლეულო რესურსების გამოვლენა, შეფასება და მათ საფუძველზე ახალი თაობის უსაფრთხო პროდუქციის წარმოება;
- ✓ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანა, დარგის პრობლემების განსაზღვრა, მათი გადაჭრის გზების ძიება და მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება;
- ✓ დარგობრივ საწარმოებსა და ლაბორატორიებში ტექნოლოგიური ფუნქციების შესრულება.

სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაცია ენიჭება სტუდენტს, რომელსაც გააჩნია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული სწავლების პირველ საფეხურზე მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაბამისი დონე.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები	15 ECTS კრედიტი
პროგრამული მიმართულების სავალდებულო კურსები	95 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები	15 ECTS კრედიტი
სპეციალობის სავალდებულო კურსები	105 ECTS კრედიტი
სპეციალობის არჩევითი კურსები	10 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.

- ✓ აქვს საბაზისო ცოდნა ზუსტ, საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ, ზოგად-საინჟინრო დისციპლინებში და შეუძლია ამ ცოდნის ინტეგრირება სპეციალობის დაუფლებაში;
- ✓ იცის მცენარეულ და ცხოველურ ორგანიზმებში არსებული ძირითად ნაერთთა კლასები, შედგენილობა, თვისებები და მათი როლი კვების მრეწველობაში;
- ✓ იცნობს მიკროორგანიზმების უჯრედის ძირითად ტიპებს, მათ ფუნქციებს და უჯრედის შემადგენელი ნივთიერებების მეტაბოლიზმის საფუძვლებს;
- ✓ ესმის ძირითადი ბიოქიმიური, მიკრობიოლოგიური, კოლოიდური, თერმოდინამიკური, მექანიკური პროცესები, რომლებიც საფუძველად უდევს კვების პროდუქტების წარმოებას;

- ✓ იცის სასურსათო პროდუქტების მომზადებისათვის საჭირო ნედლეულისა და მასალების კლასიფიკაცია, მათი თვისებების აღწერა, შერჩევა სტანდარტის შესაბამისად და მომზადება კონკრეტული კვების პროდუქტების წარმოებისათვის; აქვს უნარი აღწეროს კვების პროდუქტები მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით;
- ✓ შეუძლია არატრადიციული მცენარეული ნედლეულის მოძიება და აცნობიერებს, რომ მისი გადამუშავებით შექმნილი სასურსათო პროდუქტია მრავალფეროვანს გახდის სამომხმარებლო ბაზარს და ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას;
- ✓ აქვს სასურსათო ტექნოლოგიების ირგვლივ ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის უნარი; იცნობს დარგობრივ ტერმინოლოგიას და კვების პროდუქტების კლასიფიკაციის პრინციპებს;
- ✓ იცის სხვადასხვა კვების პროდუქტის წარმოების ტექნოლოგიური რეგლამენტები და მათი რეგულირების მექანიზმები; აღწერს სასურსათო პროდუქტების ტექნოლოგიებს, ცალკეული ტექნოლოგიური პროცესის განმარტებით, ამ დროს მიმდინარე გარდაქმნების ჩამოთვლითა და შეფასებით, მზა პროდუქტების მიღების გზებს;
- ✓ შეუძლია ჩამოაყალიბოს ბიოტექნოლოგიური პროცესების საფუძვლები, საკვები ნარჩენების დამუშავების ფერმენტული და მიკრობული მეთოდების შერჩევა, აღწერა;
- ✓ განიხილავს სასურსათო პროდუქტთა საწარმოების ტექნოლოგიური მოწყობილობებს პარამეტრების შერჩევით, ექსპლოატაციის პირობებს უსადაგებს ტექნოლოგიურ პროცესებს;
- ✓ იცის კვების ფიზიოლოგია და ჰიგიენა, სასურსათო პროდუქტთა სერთიფიცირების პირობები, მისი აუცილებლობის გამოკვეთა და ჩატარების პროცედურების ფორმულირება; განიხილავს სასურსათო ტექნოლოგიებში სამაცივრო ტექნიკის საკითხებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

- ✓ შეუძლია სხვადასხვა კვების პროდუქტების წარმოების ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და მზა ნაწარმის ტექნო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური კონტროლი;
- ✓ შეუძლია კონკრეტული კვების პროდუქტების (მარცვალი, პურ-ფუნთუშეული, მაკარონი, საკონდიტრო, ხორცი და ხორცპროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები, საზოგადოებრივი კვების პროდუქტები) წარმოების ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა და განხორციელება;
- ✓ აფასებს საწარმოო წუნს, დეფექტებს, დაავადებებს და პროდუქციის შემდგომი გადამუშავების შესაძლებლობებს;
- ✓ შეუძლია სასურსათო წარმოების შესაბამისი მანქანებისა და აპარატების მატერილური, თბური და ენერგეტიკული ბალანსის შედგენა;
- ✓ ანგარიშობს მზა ნაწარმის გამოსავლიანობას და საწარმოო რეცეპტურებს;
- ✓ შეუძლია სასურსათო პროდუქტთა საწარმოების ტექნოლოგიური მოწყობილობების ექსპლოატაციის პირობებისა და უსაფრთხოების დაცვა და აღნიშნულის გათვალისწინებით ტექნოლოგიური მოწყობილობების გაანგარიშება;
- ✓ შეუძლია წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ექსპერიმენტების დაგეგმვა და ჩატარება;
- ✓ შეუძლია კომპიუტერული ტექნიკისა და კვლევითი მოწყობილობების გამოყენება.

დასკვნის უნარი

სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.

- ✓ შეუძლია კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა, გაანალიზება, ერთმანეთთან შედარება-დაკავშირება და დასკვნის გაკეთება კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად;

<ul style="list-style-type: none"> ✓ შეუძლია სასურსათო ტექნოლოგიების პრობლემების გადასაწყვეტად მონაცემების მოძიება, განზოგადება და გამოყენება; ✓ აგროვებს, ერთმანეთთან აკავშირებს, ადარებს და მხედველობაში იღებს ახალ მონაცემებს; ანალიზს უკეთებს მიღებულ ინფორმაციას, შეუძლია მოსალოდნელი შედეგების დიფერენცირება, მათი შეფასება და დასაბუთებული დასკვნის გაკეთება; ✓ აქვს დარგობრივ სფეროში წერილობითი ანგარიშის მომზადების უნარი.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულად და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ აქვს თანამედროვე კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ბიბლიოთეკებისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების გამოყენების უნარი; ✓ შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ და უცხოურ ენებზე; ✓ შეუძლია თავისი ნაშრომის (რეფერატის, მოხსენების) საჯარო წარმოდგენა-პრეზენტაცია, კითხვებსა და შენიშვნებზე პასუხის გაცემა შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით; ✓ შეუძლია დისკუსიებში მონაწილეობის მიღება, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან.
<p>სწავლის უნარი</p>
<p>საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ინფორმაციის დიფერენცირებისა და კრიტიკულად შეფასების საფუძველზე შეუძლია შეაფასოს და შეაჯამოს შეძენილი ცოდნა და განსაზღვროს დაუფლებული უნარების გამოყენების შესაძლებლობები; ✓ აქვს დამოუკიდებლად სწავლის უნარი; ✓ ასრულებს ხელმძღვანელის დავალებებს პროფესიულ საქმიანობაში განხორციელებისათვის.
<p>ღირებულებები</p>
<p>ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ აცნობიერებს საუნივერსიტეტო განათლების როლსა და მნიშვნელობას მრავალმხრივ განათლებული პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. განსაზღვრული აქვს ღირებულებები: ეთიკის ნორმები, უნარ-ჩვევები, საკუთარი აზრის დაცვა, განსხვავებული აზრის პატივისცემა, თვითკრიტიკა, პროფესიული კრიტიკა; ✓ პრაქტიკული საქმიანობის პროცესს წარმართავს შრომის დისციპლინის, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და მეცნიერული ორგანიზაციის მეთოდების გამოყენებით; ✓ სასურსათო პროდუქციის წარმოებისას იცავს ეფექტურობის, უსაფრთხოების, ხარისხიანობის და ხელმისაწვდომობის პრინციპებს; ✓ გაცნობიერებული აქვს კვების მრეწველობის როლი ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის განსაზღვრაში და ჯანსაღი საკვები პროდუქტების მნიშვნელობა ერის კეთილდღეობისათვის.

გამოყენებითი დიზაინი

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიზაინის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

მოდული „კოსტუმის დიზაინი“

პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს ცოდნა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის დიზაინის თანამედროვე თეორიისა და პრაქტიკის, მატერიალური კულტურის ისტორიული და ტრადიციული მიმდინარეობების, კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური მიღწევებისა და თანამედროვე ნაწარმის მხატვრული დაგეგმარების შესახებ, რათა მან შეძლოს წარმატებით იმუშაოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში და ფირმებში, როგორც დიზაინერმა, ასევე ტანსაცმლის და ფეხსაცმლის ტექნოლოგმა, მოდელიორმა და კონსტრუქტორმა. პროგრამა იძლევა სამომხმარებლო დანიშნულების პროდუქციის- ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის დამზადების სფეროში სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო ცოდნის მიღების შესაძლებლობას ახალი, მოდური, მაღალესთეტიკური პროდუქციის შექმნისა და მაღალ კონკურენტუნარიანი პროდუქციით სამომხმარებლო ბაზრის დაპყრობის მიზნით.

სურვილის შემთხვევაში კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

მოდული „ტექსტილის დიზაინი“

პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს მრავალმხრივი და საფუძვლიანი ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები სხვადასხვა დანიშნულების ტექსტილის და დეკორატიულ-გამოყენებითი ნაწარმის (ბატკი, გობელენი, თექა, მხატვრული ტრიკოტაჟი) დიზაინისა და დამზადების ტექნოლოგიის მიმართულებით. პროგრამა იძლევა დიზაინის სფეროში მოღვაწეობისა და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას. საბაკალავრო პროგრამა ეფუძნება დეკორატიულ-გამოყენებითი ნაწარმის დამზადების ტრადიციული და ეროვნული გამოცდილების თანამედროვე ტექნოლოგიების ჭრილში გაანალიზებისა და რეალიზაციის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას.

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს დიზაინერად სახელმწიფო და კერძო ბიზნეს-სტრუქტურებსა და ფირმებში. მისი საქმიანობა უკავშირდება ახალი, მოდური, მაღალესთეტიკური, კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას; კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია: დეკორატიულ-გამოყენებითი ნაწარმის საწარმოები და სახელოსნოები, სამოდულო სახლები, საგამოფენო დარბაზები, სარეკლამო სააგენტოები. სურვილის შემთხვევაში კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები	15 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები	15 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები	90 ECTS კრედიტი
სპეციალობის სავალდებულო კურსები	115 ECTS კრედიტი
სპეციალობის არჩევითი კურსები	5 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

მიმართულება-კოსტუმის დიზაინი

გაცნობიერებული აქვს მსოფლიო ხელოვნებისა და კულტურის ისტორიის საფუძვლები, კოსტუმის კონსტრუქციის განვითარების ისტორია; გააჩნია წარმოსახვითი აზროვნება, მშენებლობის დანახვის,

<p>აღქმისა და გადმოცემის უნარი, როგორც გრაფიკული, ისე ფერწერული საშუალებებით; გააჩნია ცოდნა ადამიანის ანატომიის და ანთროპოლოგიის შესახებ; შეუძლია სხვადასხვა დანიშნულების ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტყავ-საგალანტერეო ნაწარმის ესკიზის შესრულება, შესაბამისად დასამზადებელი მასალის შერჩევა, კონსტრუირებისა და ტექნოლოგიური პროცესების კვალიფიციური გადაწყვეტა და მასალაში განხორციელება.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>
<p>შეუძლია სპეციალისტის წინაშე მდგარი შემოქმედებითი ამოცანის გადასაჭრელად მხატვრული გემოვნების, მხატვრული ხერხებისა და საშუალებების გააზრებული გამოყენება, შემოქმედებითი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციებისა და ინსტრუქციების მიხედვით; ტრადიციული და უახლესი ტექნოლოგიური მეთოდებით, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ესკიზის შესაბამისი კონსტრუქციის დამუშავება და მოდელის მასალაში შესრულება ტექნოლოგიური რეჟიმების დაცვით; პროექტის/ნამუშევრის შესახებ დეტალური წერილობითი აგარიშის მომზადება; პრეზენტაციის დაგეგმვა და ეფექტურად წარმართვა სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებით; ზოგად-ესთეტიკური მხატვრული გემოვნების კრიტიკული შეფასება და პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>
<p>შეუძლია ახალი ინფორმაციის მიღება და იდეების ანალიზი; აქვს უნარი თვალი ადევნოს მსოფლიო მოდის ტენდენციებს. ჩამოაყალიბოს დასაბუთებული დასკვნა, შემდგომი წარმატების მისაღწევად; თემის, იდეებისა თუ მოვლენების მხატვრულ ფორმაში განხორციელებისას შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთკავშირების გამოვლენა, მსჯელობა, გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; შეუძლია ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე სტანდარტული მეთოდების გამოყენებით კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება და დასკვნის გაკეთება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, როგორც დარგის სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან; აქვს უნარი დაამყაროს კომუნიკაციები სხვადასხვა მოდის სახლებთან, საკუთარი საპროექტო წინადადების გაცნობის მიზნით და შემდგომი რეალიზებისათვის; შეუძლია საკუთარი კონცეფციის პროფესიულ გარემოში გადატანა და აპრობირებული მეთოდების ესთეტიკური ნორმების დაცვით საზოგადოების წინაშე წარმოჩენა; შეუძლია ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ გამართულ მოდის ჩვენებებში მონაწილეობა, კონტაქტების დამყარება ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>შეუძლია სწავლისა და შესაბამისად შეძენილი ცოდნის ობიექტურად შეფასება და სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროების განსაზღვრა; შეუძლია დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით აიმაღლოს განათლების დონე; შეუძლია ინიციატივის გამოჩენა.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>პროფესიული საქმიანობით - შემოქმედებითი ამოცანების გადაჭრის საშუალებით, ხელს უწყობს ერის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას და მომავალ თაობაში ეროვნული ტრადიციების შესწავლის ინტერესის გაღვივებას; ხელს უწყობს ახალგაზრდა თაობის მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას; აღიარებს რა, ფუნდამენტური საუნივერსიტეტო განათლების დიდ მნიშვნელობას, ეწევა მის აქტიურ პროპაგანდას საზოგადოებაში.</p>

ფარმაცევტული პრეპარატების ქიმია და ტექნოლოგია

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია მსოფლიოში პერსპექტიულ დარგს წარმოადგენს, კიდევ უფრო აქტუალურია ამ დარგის განვითარება ფარმაცევტული ტექნოლოგიის მიმართულებით. თანამედროვე ფარმაცევტული მეცნიერების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს უსაფრთხო, ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატების წარმოება, რომლებსაც არ ახასიათებს თანმდევი ეფექტები. ამ მიზნით, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბუნებრივი სამკურნალო ნედლეული, რადგანაც მათ არ ახასიათებთ ის ნაკლოვანებები, რაც დამახასიათებელია მრავალი სინთეზური წარმოშობის სამკურნალო საშუალებებისადმი. საქართველოს უნიკალური სანედლეულო რესურსები ამ მიმართულებით განვითარების საფუძველს იძლევა, ხოლო ის ტრადიციები, რომლებიც ქვეყანას გააჩნია ალორმინების პროცესშია. საქართველოში იქმნება ფარმაცევტული კორპორაციები და საწარმოები, რომლებიც საკუთარ პროდუქციას უშვებენ და ორიენტირებულნი არიან, როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებზე. ქვეყანაში შეიქმნა სამუშაო ადგილები და გაჩნდა მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე.

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება ფარმაცევტული პრეპარატების ქიმიისა და ტექნოლოგიის სფეროში; მისცეს სტუდენტებს ფუნდამენტალური განათლება ქიმიურ და ბიოლოგიურ მეცნიერებებში; შეუქმნას პირობები აკადემიური და კარიერული წინსვლისათვის; მოამზადოს ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის ბაკალავრები, რომლებსაც ექნებათ ანალიტიკური აზროვნების და გადაწყვეტილებების მიღების უნარი და რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებენ:

- ❖ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ქიმიური ანალიზისა და სინთეზის განხორციელებას, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიის შემუშავებასა და ორგანიზაციას;
- ❖ ქიმიური, ფარმაცევტული და კოსმეტიკური საშუალებებისა და სამკურნალო ფორმების დამზადებას, ტექნოლოგიური პროცესებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების შერჩევას, მათი სწორად განთავსებისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველყოფის ჩათვლით;
- ❖ ფარმაცევტული და პარფიუმერულ-კოსმეტიკური საშუალებების დამამზადებელი საწარმოების ძირითადი მაჩვენებლების განსაზღვრას, ქიმიური და ფარმაცევტული საქონლის მარკეტინგული კვლევის წარმოებას, ფარმაცევტული ორგანიზაციების და დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მართვას;
- ❖ სამკურნალო საშუალებების და სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ხარისხის კონტროლს დამუშავების, მიღების, გამოყენებისა და შენახვის ეტაპებზე, ფარმაცევტული პროდუქციის გამოკვლევებს და კონტროლს საერთაშორისო სტანდარტების და მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები	15 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები	15 ECTS კრედიტი
პროგრამული მიმართულების სავალდებულო კურსები	80 ECTS კრედიტი
სპეციალობის სავალდებულო კურსები	115 ECTS კრედიტი
სპეციალობის არჩევითი კურსები	15 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>
<p>პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულები შეიძენენ საფუძვლიან ცოდნას იმ საბაზო და სპეციალურ დისციპლინებში, რომლებიც გათვალისწინებულია საბაკალავრო პროგრამით; ბაკალავრებს ეცოდინებათ: სამკურნალო პრეპარატების ქიმიური შედგენილობა, ექსპერიმენტის განხორციელების ძირითადი მეთოდები; ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების ძირითადი მიმართულებები, ფარმაცევტული, პარფიუმერული და კოსმეტიკური საშუალებების დამზადებისა და შენახვის ტექნოლოგიები, ფარმაცევტული წარმოების ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები და მოწყობილობები; ფარმაცევტული პროდუქციის ხარისხის შეფასების მეთოდები.</p> <p>აცნობიერებენ: დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე უსაფრთხოებისა და შრომის ჰიგიენის დაცვის აუცილებლობას; ინჟინრული გადაწყვეტილების გავლენას ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებზე; ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში ფარმაცევტული წარმოების განვითარების როლს, მნიშვნელობასა და პერსპექტივებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>
<p>ამ პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები ეწევიან პრაქტიკულ საქმიანობას ქიმიურ, ბიოლოგიურ და ფარმაცევტულ საწარმოებში, შესაბამისი დარგის სხვა ორგანიზაციებში; აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ მეთოდები, სიახლეები და თანამედროვე საშუალებები ქიმიურ და ფარმაცევტულ საინჟინრო პრაქტიკაში.</p> <p>მათ შეუძლიათ:</p> <ul style="list-style-type: none"> - წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად დაგეგმონ და ჩაატარონ ექსპერიმენტები; - სისტემების, ელემენტების ან პროცესების შემუშავება ტექნოლოგიურობის და მდგრადობის, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ფაქტორების გათვალისწინებით; - ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიური სქემის მომზადება. ძირითადი მაჩვენებლების ანგარიში; - ქიმიური, ფარმაცევტული და კოსმეტიკური საშუალებების ხარისხის შეფასება; - ტექნიკური პრობლემების იდენტიფიცირება, ფორმულირება და გადაწყვეტა.
<p>დასკვნის უნარი</p>
<p>პროგრამის გავლის შედეგად ბაკალავრებს შეეძლებათ სხვადასხვა დარგობრივი პრობლემების გადასაწყვეტად მონაცემების ანალიზი, შეპირისპირება და დასაბუთებული დასკვნის გამოტანა. შეეძლებათ გამოიკვლიონ და გაანალიზონ ქიმიურ და ფარმაცევტული ტექნოლოგიებში ახალი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა. შედეგად: განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, მოწინავე იდეების და თანამედროვე ტექნოლოგიების განზოგადება ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების მიმართულებით (ტექნოლოგიური, ეკონომიკური, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფაქტორების გათვალისწინებით), რაც შესაბამისი არგუმენტაციით იქნება გამყარებული.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>კურსდამთავრებულებს ექნებათ უნარი და შესაძლებლობა ეფექტურად იურთიერთონ წერითი და ზეპირი მოხსენებების სახით, შეძლებენ აწარმოონ აკადემიურად გამართული წერილობითი და ელექტრონული კორესპონდენციები. უცხო ენის ცოდნა აუცილებელია, როგორც უცხოელებთან თავისუფალი კომუნიკაციის, ისე დარგის შესაბამისი ლიტერატურის გაცნობის დონეზე. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მათ შეუძლიათ ლათინურ ენაზე შესაბამისი დონის კომუნიკაცია; ისინი შეძლებენ სამკურნალო პრეპარატების დამზადების ტექნოლოგიის, ხარისხის კონტროლის და შენახვის მარეგლამენტირებელი პირობების, ნორმატიული დოკუმენტების გაცნობასა და დამუშავებას.</p>
<p>სწავლის უნარი</p>

ითვალისწინებს მოწინავე იდეებს აკადემიური განათლების მისაღებად, მათ შორის უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე. აქვს საკუთარი ცოდნის შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარი. ცოდნის განახლების უნარი.

ბაკალავრებს შეექმნებათ ნათელი წარმოდგენა დარგის სპეციალიზაციებზე და მიმართულებებზე, რაც მათ საშუალებას მისცემს განსაზღვრონ თუ რა მიმართულებით განაგრძობენ საკუთარი ცოდნის სრულყოფას სწავლების შემდგომ საფეხურზე.

ღირებულებები

მათ აქვთ მაღალი პროფესიული, ეთიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

აფასებენ დამკვიდრებულ ღირებულებებს და მონაწილეობენ ახალი ღირებულებების ფორმირებაში. ფარმაცევტული პრეპარატების დამზადებისა და წარმოებისას იცავენ ეფექტურობის, უსაფრთხოების, ხარისხიანობის და ხელმისაწვდომობის პრინციპებს.

აგრარული ფაკულტეტი ტურიზმი

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე უახლოესი ათწლეულების განმავლობაში ტურიზმი ქართული ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგად არის მიჩნეული, ამდენად რეგიონების კულტურულ - ეკონომიკურ წინსვლასაც აღნიშნული დარგის განვითარება განაპირობებს, რაც გულისხმობს ტურისტული ინფრასტრუქტურის და ინდუსტრიის განვითარებას. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სფეროში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე. ამდენად, მოთხოვნა ტურისტული ინდუსტრიისათვის კვალიფიცირებულ პროფესიულ კადრებზე დღეისათვის ქვეყნის მასშტაბით საკმაოდ მაღალია. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროგრამის მიზანია მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში, რომელსაც შეეძლება ტურისტული ორგანიზაციების (ტუროპერატორული ფირმების, ტურისტული სააგენტოების, ტურისტული კომპანიების, სასტუმროების და სხვ.) მართვა. ასევე ტურისტული ბაზრის კვლევა, თანამედროვე ტურისტული პროგრამების დამუშავება, ტურისტული პროდუქტის წარმოება, ფორმირება, ბაზარზე წინწაწევა და რეალიზაცია.

პროგრამის სტრუქტურა

ძირითადი სპეციალობის დამხმარე სავალდებულო კურსები	40 ECTS კრედიტი
ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები	15 ECTS კრედიტი
ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები	125 ECTS კრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა/გაცნობიერება
<p>ზოგადი კომპეტენციები - აქვს ფართო ცოდნა ტურიზმის სფეროში, კრიტიკულად იაზრებს მის თეორიებსა და პრინციპებს, აცნობიერებს კომპლექსურ საკითხებს.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები - ფლობს საფუძვლიან საბაზისო ცოდნას ტურისტულ ინდუსტრიაში ჩართული ორგანიზაციების (ტუროპერატორების, სააგენტოების, სერვისის მიმწოდებელი ობიექტების) საქმიანობის შესახებ, გაცნობიერებული აქვს ტურიზმის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, იცნობს ტურიზმის ეკონომიკის, მენეჯმენტისა და მარკეტინგის თეორიას, პრინციპებსა და კონცეფციებს, სტატისტიკის საფუძვლებს, საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციულ პოტენციალს, საქართველოს მატერიალურ-კულტურულ ძეგლებს.</p>
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

<p>ზოგადი კომპეტენციები - შეუძლია ტურიზმის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები - შეუძლია ტურისტული პროდუქტის შექმნა, პრეზენტაცია და მომსახურების ფასების გაანგარიშება; ტურისტულ-საექსკურსიო მარშრუტების შერჩევა და გიდის ფუნქციის შესრულება; შეუძლია დასაქმდეს ტურისტული ინდუსტრიის ფირმებსა და საწარმოებში მენეჯერის, ადმინისტრატორის და სხვა პოზიციებზე. ამავე დროს შეუძლიათ პროფესიულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>
<p>ზოგადი კომპეტენციები - შეუძლია ტურიზმის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემების ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები - შეუძლია შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით ტურისტული ბაზრის კვლევისა და ანალიზის საფუძველზე ახალი პროდუქტის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>ზოგადი კომპეტენციები - შეუძლია: ტურიზმის სფეროსათვის იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენაზე; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები - შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ და უცხოურ ენებზე, ტურიზმის სფეროში თავისი დასკვნების საჯარო წარმოდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით, როგორც სპეციალისტთან, ისე არასპეციალისტთან. ინტერნეტის საშუალებით ინფორმაციის მოპოვება მისი საქმიანობისათვის საჭირო საკითხებთან დაკავშირებით.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>ზოგადი კომპეტენციები - შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები - ინფორმაციის დიფერენცირებისა და კრიტიკულად შეფასების საფუძველზე შეუძლია შეაფასოს და შეაჯამოს შეძენილი ცოდნა, იზრუნოს მის მუდმივ განახლებაზე და განსაზღვროს დაუფლებული უნარების გამოყენების შესაძლებლობები.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>ზოგადი კომპეტენციები - მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები - საქმიანობას წარმართავს პროფესიული ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვის, ქვეყნის კანონმდებლობისა და მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ქარტიის პატივისცემის, ასევე საკუთარი სამშობლოს ისტორიულ - კულტურული მემკვიდრეობის და ტრადიციების შენარჩუნებისა და წარმოჩენის ნიშნით.</p>

აგრონომია

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია - მოამზადოს აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი, რომელიც დაეუფლება: სოფლის დარგობრივი მეურნეობის გაძლიერებას; სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბიოლოგიურ თავისებურებებსა და მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიებს; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მეთოდებს; მიწის რაციონალური გამოყენების წესებს; მიწათმოქმედებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების შესაძლებლობებს; ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების აგრომელიორაციულ ხერხებს; აგრობიოლოგიურ მეურნეობათა შექმნის თავისებურებებს; ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისას, მისი დაცვისა და კვლავწარმოების ძირითად პრინციპებს.

პროგრამის სტრუქტურა

სპეციალობის დამხმარე სავალდებულო კურსები	40 ECTS კრედიტი
ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები	65 ECTS კრედიტი
სასპეციალიზაციო მოდულები(არჩევითი)	60 ECTS კრედიტი
არჩევითი კურსები	15 ECTS კრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსების წარმატებით დამთავრების შემთხვევაში სტუდენტი:

- აღწერს მეჩაიეობის დარგის მდგომარეობას, დეტალურად ჩამოაყალიბებს ჩაის როგორც ეკოლოგიური კულტურის როლის შესახებ და აკავშირებს მის მნიშვნელობას ფერდობებზე. ეროზიის საწინააღმდეგო მოვლენებთან.
- განიხილავს სუბტროპიკულ მეხილეობას როგორც წამყვან დარგს რეგიონში. დეტალურად აღწერს მათ ჯგუფების მიხედვით, იცის ჯიშების დახასიათება და მათი მოვლა-მოყვანის საფუძვლები.
- განსაზღვრავს მცენარეთა მორფოლოგიურ და ანატომიურ აგებულებასა და ზრდის კანონზომიერებებს. დააკავშირებს მათ გარემო პირობებისადმი დამოკიდებულებას და გამოარჩევს სახეობისა და მთელი მცენარეული საფარის მიხედვით. იცის სუბტროპიკული ხეხილოვნების, ჩაის კულტურის და ვენახის ბოტანიკური დახასიათება, დააკავშირებს მათ სავეგეტაციო პერიოდთან და მოსავლიანობის პროგნოზირებასთან.

- დეტალურად ჩამოაყალიბებს მიწათმოქმედების მეთოდებს, განიხილავს ნიადაგის დამუშავების ხერხებს და იცის სარეველა მცენარეების კლასიფიკაცია, აგროქიმიური ანალიზის მეთოდები, ბუნებრივი რესურსების სახეები და მისი სარგებლობის ფორმები.
- აღწერს სამელიორაციო და სამექანიზაციო ღონისძიებებს ნიადაგების სამეურნეო თვისებების შესაბამისად. განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დარაიონებისათვის აგროტექნოლოგიურ და აგროეკოლოგიურ გარემოს.
- განმარტავს მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების წესებსა და პირობებს.
- აღწერს სასოფლო-სამეურნეო დარგობრივი მიმართულების შესაბამისად თესლბრუნვისა და ორგანო-მინერალური სასუქების გამოყენების როლს უხვი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად.
- დეტალურად ჩამოაყალიბებს ბუნებრივი რესურსების: მიწის (ნიადაგი), წყლის, ჰაერის, ტყის, წიაღისეულისა და რეკრეაციული გარემოს შეფასების, მათი დაცვისა და გაუმჯობესების აგროეკოლოგიურ ტექნოლოგიებს.
- იცის და ახასიათებს მიწის რესურსების ფონდს, დეტალურად აყალიბებს მისი სარგებლობის ფორმებს, აღწერს ტყის რესურსებსა და დაცული ტერიტორიების კატეგორიებს, იხილავს ბიომრავალფეროვნების და წყლის შენარჩუნების პირობებს, განმარტავს ნიადაგის ეროზიასა და ღვარცოფსაში მდგომარეობას, აცნობიერებს სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის წესებს, იცის საკურორტო, ტურისტული და სხვა რეკრეაციული ზონების დაცვა.
- აღწერს ნიადაგის წარმოქმნის პროცესებს. ჩამოაყალიბებს ნიადაგის შედგენილობასა და თვისებებს. შეაფასებს ნიადაგის გენეზისს და კლასიფიკაციის შესაბამისად გამოარჩევს ნიადაგის ტიპებს. განიხილავს ნიადაგის გეოგრაფიას.
- აღწერს მცენარეთა სასიცოცხლო ფაქტორებს. კლასიფიკაციის მიხედვით ჩამოთვლის სარეველა მცენარეებს. განმარტავს მათთან ბრძოლის ღონისძიებებს. განიხილავს ნიადაგის დამუშავების ხერხებს და სისტემებს. გამოარჩევს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგიებს.
- დეტალურად აყალიბებს გენეტიკურ კანონზომიერებებს, რომელიც საფუძვლად უდევს მცენარეთა ახალი ფორმებისა და ჯიშების გამოყვანას.
- იცის მინდვრის კულტურების ჯიშები და გამოარჩევს მორფოლოგიური ნიშნებით. შეუძლია სწორად შეარჩიოს სამრეწველოდ გავრცელებული მინდვრის კულტურები და ჯიშები რეგიონების მიხედვით.
- იცნობს ბოსტნეული კულტურებს ღია და დახურული გრუნტისთვის. იცის მისი ბიოლოგიური თავისებურებები და მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია;
- დეტალურად ჩამოაყალიბებს ს/ს ნედლეულის აღების, ტრანსპორტირების, პირველადი დამუშავების, შენახვის და გადამუშავების თავისებურებებს.
- იცის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შენახვაზე მოქმედი ფაქტორები, შენახვის დროს მიმდინარე ცვლილებები და შენახვის მეთოდები.
- გაცნობიერებული აქვს სტანდარტიზაციის მნიშვნელობა და აღწერს სტანდარტებს, მათ სტრუქტურას.
- იცის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შენახვის სპეციფიკა და შესანახი სათავსოების ტიპები.
- იცის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის (ჩაის, თამბაქოს, ეთერზეთოვანი, ცხიმზეთოვანი და ტექნიკური კულტურების, ციტრუსოვნების, სუბტროპიკული ხეხილისა და ხილ-ბოსტნეულის) გადამუშავების ტექნოლოგიის საფუძვლები.
- გაცნობიერებული აქვს ჩაის წარმოების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა და აკავშირებს მას დარგის განვითარების მიმართულებებთან.
- ზოგადად იცის საქართველოს ტყეების უმთავრესი მცენარეები (ხეები, ბუჩქები, ბალახები), მათი სახელები, ბოტანიკური აღწერა, გარეგანი სახე, გავრცელების არეალი, მათი სასარგებლო თვისებები, მნიშვნელობა და გამოყენება, ტყის პრობლემები და მათი გადაწყვეტის ღონისძიებები. ტყის კულტურების გამოყენების შესაძლებლობა მწვანე მშენებლობაში.
- დეტალურად აღწერს სასოფლო სამეურნეო კულტურების მავნე მწერებს მათი სახეობრივი დასახელების მიხედვით, კვების სპეციალიზაცია, გამორჩევა სასარგებლო მწერებისაგან და მათი გამრავლების სახეები. განიხილავს მათ ურთიერთობას გარემოსთან და მცენარის დაზიანების ფორმებს. (ფესვის ტუბერის, ღეროს, ტოტების, ფოთლების დანაყოფების). სასოფლო სამეურნეო კულტურების დაავადებების გამომწვევი ორგანიზმების სიმპტომების აღწერა. მათი გამოვლენა, თუ

რომელი მიკროორგანიზმებით არის გამოწვეული (სოკოებით, ბაქტერიები ვირუსებით, მიკოპლაზმებით) ეს დაავადება. სწორი ბრძოლის ღონისძიებების მისადაგება.

კომუნიკაციის უნარი

- შეუძლია კომუნიკაცია პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, (პრობლემები, იდეები, ინოვაციები, პრობლემის გადაჭრის გზები) დარგის წამყვან სპეციალისტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, როგორც მშობლიურ ენაზე. შეუძლია ინოვაციური პროექტების ანგარიშების მომზადება და პრეზენტაცია ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენებით.
- განმარტავს მიწის რესურსების ფონდისა და მისი სარგებლობის ფორმების შესახებ, კამათობს ტყის რესურსებისა და დაცული ტერიტორიების კატეგორიების, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მეთოდების შესახებ და განმარტავს წყლის რესურსების გამოყენების პირობებს და დაცვას. რეაგირებს ნიადაგის ეროზიასა და ღვარცოფსაში ტერიტორიების მდგომარეობაზე. ასწავლის სასარგებლო წიაღისეულის სარგებლობის წესებს. პრეზენტაციას ახდენს საკურორტო-ტურისტული და სხვა რეკრეაციული ზონებით სარგებლობის ფორმებსა და ბიომიმართულებებზე.
- შეაჯამებს ორგანო-მინერალური მელიორანტების გამოყენების პირობებს. განმარტავს მათი გამოყენებით სამელიორაციო სავარგულებზე მოსავლიანობის გადიდებას. ასწავლის სამელიორაციო მექანიზმების გამოყენების წესებს. დაიცავს მისივე ხელმძღვანელობით შესაბამის აგრომელიორაციულ ტექნოლოგიებს.
- ჩამოაყალიბებს სამელიორაციო ნიადაგების ფიზიკო-ქიმიურ თვისებებს. განმარტავს მათი მდგომარეობის გაუმჯობესების პროექტს. კამათობს მოსავლიანობის გადიდების აგროტექნოლოგიაზე. ხელმძღვანელობს მომზადებული პროექტის შესრულებას.
- შეუძლია სასოფლო სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებებზე ახალი ინფორმაციების მოპოვება. ლოგიკური აზროვნება, პრობლემების გაცნობიერება, ჩამოყალიბება, ხელმძღვანელთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე.
- ხელმძღვანელობს ზღვის გეოლოგიური მოქმედების სწავლებას. შეაჯამებს მიწის ქერქში მიმდინარე ტექნიკური ძვრების მოსალოდნელ მდგომარეობას. ჩამოაყალიბებს ზღვის გეოლოგიური გამოკვლევის შედეგებს და მდგომარეობას.

სწავლის უნარი

- შეუძლია: წყაროების მოძიება და დამუშავება დამოუკიდებლად ახალი ცოდნის მიღებისთვის;
- შეარჩევს მასალას ეროზირებული ნიადაგებისათვის კომპლექსურ სამელიორაციო ღონისძიებათა სისტემის შესახებ, შეისწავლის ნიადაგის ეროზიულ მოვლენებს, შესწავლილი მასალის საფუძველზე შეაფასებს ეროზიის ხარისხს და დაადგენს რეკულტივაციის პირობებს;
- განსაზღვრავს ნიადაგის სწორად დამუშავების ხერხებს და მეთოდებს. დაადგენს სარეველებისსახეობებს და მათთან ბრძოლის ღონისძიებებს.
- ინფორმაციის დიფერენცირების საფუძველზე შეაფასებს და შეაჯამებს მევენახეობისკურსით შეძენილი ცოდნა და განსაზღვრავს დაუფლებული უნარების გამოყენების შესაძლებლობას.
- მსჯელობს ორგანიზმების ინდივიდუალური განვითარების, მემკვიდრეობისა და ცვალებადობის პროცესების ხელოვნურად მართვის შესაძლებლობებზე. აფასებს გენეტიკური კანონზომიერებების მართვით ადამიანისათვის საინტერესო ახალი ჯიშებისა და ფორმების შექმნის შესაძლებლობებს.
- შეარჩევს სასუქების ფორმებს ნიადაგის საჭიროების მიხედვით; დაუკავშირებს მას სასოფლო-სამეურნეო კულტურის სავეგეტაციო პერიოდს; განმარტავს სასუქით გამოკვების აუცილებლობას.
- მსჯელობს კულტივირებადი უჯრედების როლზე მცენარეთა სელექციურ პროცესში, მცენარეთა მასობრივ უსქესო გამრავლებასა და სარგავი მასალის ვირუსებისა და სხვა პათოგენებისაგან გაჯანსაღებაში.
- სწავლობს ლითოსფეროში მიმდინარე გეოლოგიური პროცესების სიხშირეს და მსჯელობით აფასებს მდგომარეობას. რანჟირებით ასახავს ნიადაგთ-მწარმოქმნელი ქანების ღირებულების განსაზღვრავს.
- შეაფასებს სხვადასხვა ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთქმედებას ნიადაგში. შეისწავლის მათ ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერებას. დააკავშირებს ორგანიზმების ცხოველმოქმედების პროცესებს გარემომცველ გარემოსთან მიმართებაში.

- აქვს უნარი შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი და დაგეგმოს შემდგომი სწავლის საჭიროება

ღირებულებები

- განსაზღვრავს, ატმოსფეროს გავლენით ჩამოყალიბებულ პირობებს მიკროკლიმატის შესახებ. დაასაბუთებს, ურბანიზაციის პირობებს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ. რეკომენდირებას უწევს ტყის კულტურებს ქარსაფარი ზოლის გასაშენებლად.
- მისთვის უმთავრესი ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ მცენარე წარმოადგენს დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნების (ყველა ცოცხალ ორგანიზმს უზრუნველყოფს საკვებითა და ჟანგბადით, ამცირებს ჰაერში ნახშირორჟანგის შემცველობას) და დედამიწაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების უმთავრეს პირობას.
- შეაფასებს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა უხვი მოსავლის მიღების შესაძლებლობებს მაღალმოქალაქეობრივი და დარგობრივი ღირებულებების გათვალისწინებით. იგივე ღირებულებების ათვალისწინებით განახორციელებს აგრომელიორაციული ღონისძიებებს და შეიმუშავებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაფართოების შესაძლებლობებს. გადაწყვეტს სამეურნეო ბრუნვაში ახლად მელიორირებული ნიადაგების დაბრუნების ღირებულებას.
- პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციაში მოქმედებს მათ შესაბამისად, აქვს დისციპლინირებული და პუნქტუალური მიდგომა დაკისრებული მოვალეობისადმი, ასევე შეუძლია მარტივი ფინანსური ხარჯთაღრიცხვის წარმოება.
- აცნობიერებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებების უარყოფით სამეურნეო მნიშვნელობას და განსაზღვრავს მათ წინააღმდეგ გამოსაყენებელ პესტიციდების ნორმებს, დოზებს და კონცენტრაციას პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.
- უმთავრესი ღირებულებაა როგორ შეუნარჩუნოს ტყეს სიცოცხლე და მართოს მცენარეთა ზრდა-განვითარების პროცესი ეკოლოგიური წონასწორობისათვის. იყენებს ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებებს და წარმოქმნის შემთხვევაში პროფესიული ღირებულებების გათვალისწინებით ახდენს ხანძრის ლიკვიდაციას. ცდილობს ტყის კულტურების გამოყენებას მწვანე მშენებლობაში.
- შეისწავლის რა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული დაცული ტერიტორიების ბუნებრივი პირობების უნიკალურობას, აცნობიერებს და ღირებულია მისთვის მისი დაცვის მნიშვნელობამსოფლიო ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და აღდგენის საქმეში.
- მსჯელობს სასოფლო-სამეურნეო მონიტორინგის ობიექტების შესახებ; შეაფასებს კომპლექსური ეკოლოგიურ-ტოქსიკური მონიტორინგის შედეგებს, შეაჯამებს და დარგობრივი ღირებულებების გათვალისწინებით გამოიტანს დასკვნას ეკოლოგიურად უსაფრთხო აგროტექნოლოგიების დასამუშავებლად.
- პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციაში მოქმედებს მათ შესაბამისად, აქვს დისციპლინირებული და პუნქტუალური მიდგომა დაკისრებული მოვალეობისადმი, ასევე შეუძლია მარტივი ფინანსური ხარჯთაღრიცხვის წარმოება.

აგროინჟინერია

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აგროინჟინერიის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს საკმარისი თეორიული ცოდნა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებზე; შეძენილი ცოდნის საფუძველზე ჰქონდეს სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემებისა და პროცესების პრაქტიკული ანალიზის უნარი; შეძლოს მათი გათვალისწინება ტექნიკური, ეკოლოგიური და სოციალური პროექტების დამუშავების დროს; ფლობდეს ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და დამუშავების კომპიუტერულ მეთოდებს.

პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ღრმა ცოდნა სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვაში, მისცეს ტრანსპორტის წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრის უნარი, რომელიც უზრუნველყოფს რაოდენობრივად და ხარისხობრივად მზარდი სატრანსპორტო პარკის უფრო ეფექტიან გამოყენებას, გადაზიდვების ახალი ფორმების დანერგვას.

პროგრამა იძლევა აგროინჟინერიის სფეროში მოღვაწეობისა და კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკაზე ორიენტირებული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას. პროგრამაში დიდი ყურადღება ექცევა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შერწყმას.

პროგრამის სტრუქტურა

ძირითადი სპეციალობის (major) სავალდებულო კურსები	105 ECTS კრედიტი
<p>მოდული (არჩევითი):</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ სოფლის მეურნეობის მექანიზაცია ✓ სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვები 	60 ECTS კრედიტი
არჩევითი-ელექტიური დისციპლინები	15 ECTS კრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას.

იცნობს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, შესწავლილი აქვს ტრაქტორების, ავტომობილების და სოფლის მეურნეობის მანქანების კონსტრუქციები, მათი მუშაობის პრინციპები და ექსპლუატაციის თავისებურებები. იცის: სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანისა და აღების თანამედროვე ტექნოლოგიები და შესაბამისი მანქანათა შლეიფი; მეცხოველეობის მექანიზაციის ტექნოლოგიური პროცესები; სამელიორაციო მანქანების კონსტრუქციები და მუშაობის პრინციპები; მცირე მექანიზაციის ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების აქტუალობა და აუცილებლობა მეურნეობრიობის მრავალფორმიანობის პირობებში; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ეფექტურად გამოყენების ხერხები, მეთოდები და ანალიზი; სამანქანო-სატრაქტორო აგრეგატების რეგულირების, ტექნიკური სერვისისა და მანქანათა საიმედოდ მუშაობის ძირითადი პრინციპები.

სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვების ტექნოლოგიური პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზაციის მეთოდები; დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოების კოორდინაციისა და ორგანიზაციის საკითხები; გადაზიდვების დაგეგმვისას სატრანსპორტო ლოჯისტიკის პრინციპების გამოყენების

მეთოდები; გადაზიდვების მონიტორინგის საინფორმაციო უზრუნველყოფის მეთოდები; ექსპედიციების თეორიული საფუძვლები; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის პირობებში უსაფრთხოების, შრომისა და გარემოს დაცვის საკითხები.

სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას;

იცნობს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, შესწავლილი აქვს ტრაქტორების, ავტომობილების და სოფლის მეურნეობის მანქანების კონსტრუქციები, მათი მუშაობის პრინციპები და ექსპლუატაციის თავისებურებები. იცის: სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანისა და ადების თანამედროვე ტექნოლოგიები და შესაბამისი მანქანათა შლეიფი; მეცხოველეობის მექანიზაციის ტექნოლოგიური პროცესები; სამელიორაციო მანქანების კონსტრუქციები და მუშაობის პრინციპები; მცირე მექანიზაციის ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების აქტუალობა და აუცილებლობა მეურნეობრიობის მრავალფორმიანობის პირობებში; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ეფექტურად გამოყენების ხერხები, მეთოდები და ანალიზი; სამანქანო-სატრაქტორო აგრეგატების რეგულირების, ტექნიკური სერვისისა და მანქანათა საიმედოდ მუშაობის ძირითადი პრინციპები.

სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვების ტექნოლოგიური პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზაციის მეთოდები; დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოების კოორდინაციისა და ორგანიზაციის საკითხები; გადაზიდვების დაგეგმვისას სატრანსპორტო ლოჯისტიკის პრინციპების გამოყენების მეთოდები; გადაზიდვების მონიტორინგის საინფორმაციო უზრუნველყოფის მეთოდები; ექსპედიციების თეორიული საფუძვლები; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის პირობებში უსაფრთხოების, შრომისა და გარემოს დაცვის საკითხები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

შეუძლია: მექანიზებულ სამუშაოთა სახეების შესაბამისი ენერგეტიკული საშუალებების შერჩევა; კონკრეტულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოსათვის სამანქანო-სატრაქტორო აგრეგატის შემადგენლობის გაანგარიშება და ნატურაში შედგენა; აგრეგატის ოპტიმალური საექსპლუატაციო მაჩვენებლების გაანგარიშება-დადგენა; მექანიზებული სამუშაოების აღრიცხვა, ოპტიმალური კინემატიკური პარამეტრების შერჩევა, სამანქანო-სატრაქტორო აგრეგატების ექსპლუატაციისას დანახარჯების გაანგარიშება; მექანიზებულ სამუშაოთა დაპროექტება; ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოვლა-მოყვანისა და ადების სამანქანო ტექნოლოგიების შერჩევა კონკრეტული საწარმოო პირობებისათვის; სოფლის მეურნეობაში ტრანსპორტის გამოყენების დაგეგმვა; ფერმერულ მეურნეობებში მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენება; მანქანათა ტექნიკური სერვისითა და საიმედოდ მუშაობის უზრუნველყოფა.

სხვადასხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვების რაციონალური სატრანსპორტო-ტექნოლოგიური სქემების დამუშავება და სატრანსპორტო პროცესის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა; დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოების დაგეგმვა და ორგანიზაცია, დამტვირთავი მანქანების შერჩევა და მათი ექსპლუატაციის პირობების დადგენა; გადაზიდვების პროცესზე ოპერატიული მონიტორინგის განხორციელება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვის უსაფრთხოების პირობების შემუშავება, გადაზიდვების ექსპედიციების პროცესის დაგეგმვა და ორგანიზაცია.

დასკვნის უნარი

სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.

პროფესიულ სფეროში დამოუკიდებელი საპროექტო მოღვაწეობა, იცის სისტემური ანალიზის პრინციპები, შეუძლია გამოიყენოს მეთოდები სხვადასხვა მოვლენების აღწერისა და პროგნოზირებისათვის. მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზისათვის; შეუძლია განსხვავებულ

სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი; შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გარეშე სამუშაო პროცესში გამოვლენილი პრობლემების გადაწყვეტა.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სპეციალობასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე. იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს პროფესიული თვალსაზრისით. შეუძლია კომუნიკაცია უცხოურ ენებზე სპეციალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

შეუძლია კოლეგებთან ფუნქციების განაწილების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის ტექნიკური ან სხვა საკითხებისა და პრობლემების მოგვარების მიზნით კომუნიკაცია. შეუძლია სამუშაო ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის, ტექნიკური დოკუმენტაციის, ინსტრუქციების, შენიშვნების გაგება; სამუშაო გეგმისა და ანგარიშის შედგენა; საჭიროების შემთხვევაში მომხმარებელთან, დამქირავეებელთან ელემენტარული კომუნიკაცია უცხო ენაზე; შეუძლია ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება სამსახურებრივი საქმიანობისათვის, აქვს კოლეგებთან და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელ პირებთან ურთიერთობის უნარი.

სწავლის უნარი

საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.

აქვს უნარი მეცნიერების განვითარების და სოციალური პრაქტიკის ცვლილების პირობებში დაგროვილი გამოცდილებებისა და ცოდნის კრიტიკულად შეფასების. შეუძლია საკუთარი შესაძლებლობების ანალიზის საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

ღირებულებები

ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა აფასებს თავის და სხვის ღირებულებებს.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მექანიზებულ სამუშაოების კრიტიკულ და არაპროგნოზირებად სიტუაციებში იცავს საქმიანობისადმი დაწესებულ ეთიკურ ნორმებს, უზიარებს მათ კოლეგებს. ფლობს ფიზიკური თვითსრულყოფის მეთოდებს და ჩვევებს; არის პუნქტუალური და მოწესრიგებული, არეგულირებს კოლეგებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობებს.

აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

მომზადოს ზოგადი ტრანსფერული და ფართო დარგობრივი კომპეტენციების მქონე სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი ძირითადი სპეციალობით – „აგრონედლეულის კვების ტექნოლოგია და ექსპერტიზა“ და აღნიშნულის მიზნით შეასწავლოს ნედლეულის სახისა და ხარისხისგან დამოკიდებულებით ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტთა: ჩაის, თამბაქოს, სუბტროპიკული ხილ-ბოსტნეულის კონსერვების, ეთერზეთების, მცირეალკოჰოლიანი, უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების წარმოების ტექნოლოგია და ექსპერტიზა.

მომავალ სპეციალისტს გამოუმუშაოს ახალი სანედლეულო რესურსების გამოვლენის, მათი შეფასების უნარი და შეასწავლოს ახალი სახის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიები და მზა პროდუქციის ექსპერტიზის ხერხები და პირობები.

კურსდამთავრებულმა შეძლოს სასურსათო პროდუქტთა ექსპერტიზის ჩატარება მეთოდის, სახელმწიფო სტანდარტისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების გამოყენებით.

მისცეს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის, დარგის პრობლემის განსაზღვრის, მისი გადაჭრის გზების ძიების და მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების უნარი.

უზრუნველყოს სტუდენტის თავისუფალი არჩევანი სასწავლო პროგრამის ფარგლებში ელექტიური საგნებისა და დამატებითი სპეციალობის (minor) პროგრამის არჩევისას ისე, რომ მიღწეული იყოს საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგი.

პროგრამის სტრუქტურა

სპეციალობის დამხმარე სავალდებულო კურსები	40 ECTS კრედიტი
ძირითადი სპეციალობის (major) სავალდებულო კურსები	125 ECTS კრედიტი
არჩევითი ელექტიური კურსები	15 ECTS კრედიტი
დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა ¹	60 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას;
- აქვს საბაზისო ცოდნა ზუსტ, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ დისციპლინებში, შეუძლიათ ამ ცოდნის ინტეგრირება სპეციალობის დაუფლებაში;
- გაცნობიერებული აქვს, რომ აგრონედლეულის, კერძოდ ხილ-ბოსტნეულისა და სუბტროპიკული კულტურების გადამუშავებით მექანილი სასურსათო პროდუქტთა მრავალფეროვანს გახდის სამომხმარებლო ბაზარს და ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას;
- იცის აგრონედლეულის გადამუშავებით მიღებული კვების პროდუქტთა წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის ძირითადი საწარმოო ჯიშები, კლასიფიკაცია, მათი დახასიათება, ერთმანეთთან შედარება, შერჩევა სტანდარტის შესაბამისად და გადამუშავების სქემის მისადაგება აგრონედლეულის გადამამუშავებელი წარმოებისათვის;
- იცის შერჩეული ხილ-ბოსტნეულისა და სუბტროპიკული ნედლეულის ქიმიური შედგენილობა, მათი რაოდენობრივი და თვისობრივი ცვალებადობის აღწერა, ამ ცვლილებების მიზეზები,

პროცესები, რომლებიც საფუძვლად უდევს მათი ცხოველმყოფელობის დროს მიმდინარე ნივთიერებათა ცვლას, ნედლეულის ქიმიური შედგენილობის გარდაქმნის მიმართულებები და მზა პროდუქციის ექსპერტიზის მეთოდები და პირობები;

- იცის ფერმენტებისა და მიკროორგანიზმების კლასიფიცირება, მეორეული წარმოშობის მცენარეული ნივთიერებების წარმოქმნის ფერმენტული და მიკრობული გზების აღწერა და გაცნობიერებული აქვს მათი როლი ბუნებასა და წარმოებაში მიმდინარე ბიოტექნოლოგიური პროცესებისა და ექსპერტიზის შედეგებისათვის;
- დეტალურად ჩამოაყალიბებს ბიოტექნოლოგიური პროცესების ქიმიურ საფუძვლებს და შეუძლია მიკრობიოლოგიური სინთეზის საფუძვლების შეცნობა;
- იცნობს ფერმენტების ქიმიურ ბუნებას, მოქმედების კინეტიკას, სპეციფიკურობას, გამოყოფის, გაწმენდის და განსაზღვრის მეთოდებს, აკავშირებს მათ ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობასთან და საბოლოო პროდუქტის, როგორც ხარისხობრივ, ისე, სანიტარულ-ჰიგიენურ შეფასებასა და ექსპერტიზასთან;
- განიხილავს, ჩამოთვლის და აღწერს თბოტექნიკისა და სამაცივრო ტექნიკის საკითხებს (მუშა სხეულები, წვის პროცესები, იდეალური და რეალური აირების პირდაპირ და შექცევად ციკლები, თბოცვლის საკითხები, სითბოს გაცემის გზები, ორთქლების სახეები, საქვაბე დანადგარები, კომპრესორები, ლოკომოტივები, შიგაწვის ძრავები, თბომალოვანი დანადგარები, სიცივის გამოყენების სფეროები, მაცივარ-მანქანებისა და აგრეგატების ტიპები, მაცივრების სისტემები და ყინულის წარმოების ტექნიკა), აკავშირებს მათ სასურსათო პროდუქტთა საწარმოების პროცესებთან და აპარატებთან, შეუძლია ამ პროცესების შესაბამისი მანქანებისა და აპარატების სქემების განხილვა და პარამეტრების შედარება;
- აღწერს აგრონედლეულიდან კვების პროდუქტთა წარმოების სხვადასხვა ტექნოლოგიებს, ცალკეული ტექნოლოგიური პროცესებითა და კონტროლით, ამ დროს მიმდინარე გარდაქმნების ჩამოთვლითა და შეფასებით, მზა პროდუქციის მიღების და მათი ექსპერტიზის გზებს;
- განიხილავს აგრონედლეულის გადამამუშავებელი სასურსათო პროდუქტთა საწარმოების ტექნოლოგიური მოწყობილობებს პარამეტრების შერჩევით, მათი ექსპლოატაციის პირობებს და უსადაგებს კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს;
- იცის კვების ფიზიოლოგია და ჰიგიენა, სასურსათო უსაფრთხოების საკითხები და სასურსათო პროდუქტთა სერტიფიცირების პირობები, მისი აუცილებლობის გამოკვეთა და ჩატარების ფორმულირება;
- შეუძლია ხილ-ბოსტნეულისა და სუბტროპიკული ნედლეულის პროდუქტთა ექსპერტიზის პროცესის წარმართვა და სასურსათო პროდუქტთა სერტიფიცირება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- ზოგიერთი მეთოდების გამოყენება პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- განსაზღვრავს აგრონედლეულისა და მისი გადამამუშავებით მიღებულ კვების პროდუქტთა ძირითადი ქიმიური კომპონენტების რაოდენობრივ და თვისობრივ ცვლილებებს სხვადასხვა ფიზიკურ-ქიმიური მეთოდის გამოყენებით, აფასებს მიღებულ მონაცემებს, ამოიცნობს კვების პროდუქტთა ექსპერტიზის შედეგებს;
- გამოიყენებს სტანდარტს სასურსათო ნედლეულისა და პროდუქტების ხარისხობრივი მაჩვენებლებით განსაზღვრისა და ექსპერტიზისათვის ნორმების დასაცავად;
- აქვს უნარი შეადგინოს სასურსათო წარმოების პროცესების შესაბამისი მანქანებისა და აპარატების მატერიალური, თბური და ენერგეტიკული ბალანსი;
- შეუძლია სასურსათო პროდუქტთა საწარმოების ტექნოლოგიური მოწყობილობების ექსპლოატაციის პირობების უზრუნველყოფა, უსაფრთხოების დაცვა და აღნიშნულის გათვალისწინებით ტექნოლოგიური მოწყობილობების გაანგარიშება;
- შეუძლია წარმოების ტექნო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური კონტროლი, ხილ-ბოსტნეულისა და სუბტროპიკული კულტურების ნედლეულის გადამამუშავების ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა, შეცვლა მითითების შესაბამისად და მზა პროდუქციის ექსპერტიზისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა;

- აქვს უნარი შეაფასოს სასურსათო პროდუქტთა: ჩაის, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების, ღვინის თამბაქოს, ეთერზეთისა და ცხიმზეთის, ლუდის, უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ორგანოლექტიკური მაჩვენებლები, ამოიცნოს დაბალი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია, წიწვი; შეაფასოს სხვადასხვა პროცესების გამომწვევი ორგანიზმები მიკროსკოპული შესწავლით სანიტარულ-ჰიგიენური შეფასებისა და ექსპერტიზის ჩატარებისას;
- შეუძლია სასურსათო უსაფრთხოების საკითხების, სასურსათო პროდუქტთა სერტიფიცირების პროცესების, სერტიფიცირების აუცილებლობის გამოკვეთა და სასურსათო პროდუქტთა სერტიფიცირების პროცედურების ორგანიზება;
- შეუძლია ხილ-ბოსტნეულისა და სუბტროპიკული ნედლეულის გადამუშავებით მიღებული სასურსათო პროდუქტების ექსპერტიზა და სერტიფიცირება.

დასკვნის უნარი

- სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე, განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.
- აგროვებს, ერთმანეთთან აკავშირებს, ადარებს და მხედველობაში იღებს ახალ მონაცემებს;
- ანალიზს უკეთებს მიღებულ ინფორმაციას, შეუძლია მოსალოდნელი შედეგების დიფერენცირება, მათი შეფასება და დასკვნის გაკეთება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით;
- შეუძლია სიტუაციის ანალიზი, პრობლემის გამოცალკავება და მისი მოგვარების გზების ძიება, საკუთარი არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
- აქვს სამუშაოს დაგეგმვისა და მის დაწყებამდე, პრიორიტეტის გამოყოფის უნარი.

კომუნიკაციის უნარი

- იღებებს, არსებული პრობლემების და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;
- მონაწილეობს დისკუსიებში დარგის სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, მათ შორის უცხოურ ენაზე და შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- შეუძლია საკონფერენციო მოხსენებების, რეფერატის მომზადება და პრეზენტაცია;
- შემოქმედებითად გამოიყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

სწავლის უნარი

- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- შეუძლია მონაწილეობა მიიღოს, როგორც ჯგუფურ, ისე დამოუკიდებელ მუშაობაში;
- შეუძლია ცოდნის დონის რეგულარულად ამაღლება ლიტერატურისა და სხვა წყაროების გამოყენებით;
- აქვს გააზრებული შემდგომში სწავლის გაგრძელების საჭიროება საკუთარი ცოდნის შეფასებაზე დაყრდნობით და განსაზღვრით;
- ასრულებს ხელმძღვანელის დავალებებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის.

ღირებულებები

- ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა;
- განსაზღვრული აქვს ღირებულებები: ეთიკის ნორმები, უნარ-ჩვევები, საკუთარი აზრის დაცვა, განსხვავებული აზრის პატივისცემა, თვითკრიტიკა, პროფესიული კრიტიკა;
- მისთვის მნიშვნელოვანია სასურსათო პროდუქტების წარმოების დარგის განვითარება სუბტროპიკული კულტურების ნედლეულის ბაზის გაზრდის ხარჯზე;

- გააჩნია მაღალ პროფესიული ღირებულებები, პასუხისმგებლობით ეკიდება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების საკითხს, სასურსათო პროდუქტთა ექსპერტიზის მნიშვნელობას და ისწრაფის მის დასამკვიდრებლად;
- გაცნობიერებული აქვს ჯანსაღი საკვები პროდუქტების მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის და ჯანსაღი კვების ხელშეწყობა მნიშვნელოვანი ღირებულებაა მისთვის.

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი მენეჯმენტი

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მენეჯმენტის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს მენეჯმენტის ბაკალავრის ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ დარგის ფართო თეორიულ ცოდნას ბიზნესის ძირითად ფუნქციონალურ მიმართულებებში და აქვთ ცვალებად ეკონომიკურ გარემოში ადაპტაციის, მიზნის ჩამოყალიბების, გადაწყვეტილების მიღების, სტრატეგიული ხედვის, ცალკეული პრობლემების გადაჭრის ახალი და ორიგინალური გზების დასახვის პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამით ბაკალავრის მომზადების აქტუალობა განპირობებულია რეგიონული ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ხასიათით და ადგილობრივი ფირმების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნილებით ისეთ სპეციალისტებზე, რომლებსაც მართვის თანამედროვე მეთოდებისა და პრინციპების თეორიულ ცოდნასთან ერთად აქვთ რეგიონული ბიზნესის ძირითად ფუნქციონალურ მიმართულებებში (საზღვაო გადაზიდვები, ლოჯისტიკული ფირმები, საზღვაო ნავსადგურები, სატრანსპორტო საწარმოები, საბანკო და მიკრო-საფინანსო დაწესებულებები) მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის წინაშე მდგარი პრობლემების ანალიზის უნარი და შეუძლიათ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება. ამასთან, გაცნობიერებული აქვთ ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობა, ასევე გააჩნიათ კერძო და სახელმწიფო ინტერესების ჰარმონიულ ურთიერთობათა ჩარჩოში მოქცევის უნარი.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები	ECTS კრედიტი
საფაკულტეტო კურსები	ECTS კრედიტი
პროგრამის ძირითადი კურსები	ECTS კრედიტი
არჩევითი კურსები	ECTS კრედიტი
სულ	ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს აქვს:

- თეორიული პრინციპების, დებულებების გააზრებისა და შეფასების უნარი;
- თვითანალიზის უნარი;
- ახალ, გაუთვალისწინებელ და ცვალებად გარემოში მოქმედებისა და ადაპტაციის უნარი;
- საკითხის სხვადასხვა წრილში განხილვის და განსხვავებული მიდგომებით მოგვარების უნარი;
- სათანადო პრაქტიკული სტრატეგიების განსაზღვრის უნარი;
- გუნდური მუშაობის და სხვებთან ერთად პროფესიული განვითარების უნარი;
- ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების: ოპერაციული მენეჯმენტის, პროექტების მართვის, ლოჯისტიკის, მარკეტინგისა და კადრების მართვის, ფინანსებისა და ბუღალტერიის, ზოგადი მენეჯმენტის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა და აგრეთვე აცნობიერებს მათ ურთიერთზემოქმედებას.

გარდა ამისა, საფუძვლიანად აქვს გაცნობიერებული და იცის მის მიერ შერჩეული დარგისა და ქვედარგის სპეციფიკა, კერძოდ:

საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის კონცენტრაციის კურსდამთავრებულმა

იცის:

- დარგის განვითარების ზოგადი ტენდენციები და სატრანსპორტო საწარმოს სტრატეგიული ამოცანები;
- ტრანსპორტის სფეროში მართვის კანონზომიერებები და მენეჯერის ძირითადი ფუნქციები;
- საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები და მეთოდები;
- ტვირთების კლასიფიკაცია, სატრანსპორტო მახასიათებლები და მათი გავლენა სატრანსპორტო პროცესის ორგანიზაციაზე; სხვადასხვა ტვირთების გადაზიდვის წესები; ტვირთების ხარისხის განსაზღვრის მეთოდები; ტრანსპორტირების ნორმატიული ბაზა;
- ლოგისტიკის გამოყენების მეთოდოლოგიური საფუძვლები;
- საწყობსა და ტრანსპორტზე ტვირთების რაოდენობრივი აღრიცხვის მეთოდები;
- სატვირთო გემის შედგენის წესი; საერთო მოთხოვნები სატვირთო გემისადმი;
- სატრანსპორტო პროცესის ტექნიკური საშუალებები და მათი ექსპლუატაციის თავისებურებები.

გაცნობიერებული აქვს:

- სხვადასხვა კატეგორიის ტვირთის გადაზიდვის ორგანიზაციის თავისებურებები;
- საზღვაო ნავსადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და ნავსადგურების ტექნოლოგიური პროცესი;
- სატრანსპორტო და გადამტვირთავი მანქანების ტექნოლოგიური მახასიათებლები;
- სატრანსპორტო საექსპედიტორო მომსახურების ორგანიზაციული საკითხები;
- კომერციული საქმიანობის ორგანიზაციის, სატარიფო პოლიტიკის, აგენტირების, ექსპედიტორული და საშუამავლო საქმიანობის, ხელშეკრულების სწორად გაფორმების პროცესის მნიშვნელობა სატრანსპორტო პროცესის სრულ ციკლში.

მცირე ბიზნესის მართვის კონცენტრაციის კურსდამთავრებულმა იცის:

- ბიზნესის ზოგადი ცნებები, თანამედროვე ფორმები და განვითარების ძირითადი ტენდენციები, მცირე ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სტრატეგიები, მცირე საწარმოებში ბიზნესის ორგანიზაციისა და დაგეგმვის თავისებურებები, ბიზნეს-გეგმის შედგენის პროცედურები და ბიზნეს-გეგმის რეალიზაციაზე მოქმედი ფაქტორები.
- კონკურენტული სტრატეგიის სახეები და შეუძლია ბიზნესის კონკურენტუნარიანობის შეფასება;

გაცნობიერებული აქვს:

- მცირე ბიზნესის ადგილი და როლი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში; მცირე ფირმების ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობის მექანიზმების და მათი მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ცოდნის მნიშვნელობა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს აქვს:

- ორგანიზაციაში პროცესების მართვის ძირითადი უნარები: პროცესების იდენტიფიცირება. ეფექტიანობის გაზომვა, ბიზნეს-პროცესის მონაწილეების განსაზღვრა და სხვა;
- ძირითადი მარკეტინგული უნარები: მარკეტინგული მონაცემების შეგროვება და გაანალიზება, ბაზრის შესაძლებლობების განსაზღვრა და შესაბამისი ქმედებების განხორციელება და სხვა;
- ძირითადი ფინანსური უნარები: ფინანსური დოკუმენტების ინტერპრეტაცია, ფინანსური ინფორმაციის ანალიზი და ანგარიშგების მომზადება/წარდგენა, საბუღალტრო აღრიცხვის სისტემების გამოყენება, ბიუჯეტირება და სხვა;
- პროექტის მართვის უნარი: მიზნის ფორმულირება; მიზნების, ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრა; დროითი ჩარჩოების დაგეგმვა და მართვა; პასუხისმგებლობის ფარგლებში ამოცანების, საჭირო რესურსების განსაზღვრა და სხვა;

- სტანდარტული, ასევე ახალი მეთოდისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით საქმიანობის, ინსტრუქციების მიხედვით პროფესიული სამუშაოს შესრულების უნარი;
- მმართველობით სფეროში მიღებული თეორიული ცოდნის კვალიფიციურად გამოყენების, არგუმენტების ჩამოყალიბების, მათი დაცვის და პრობლემების გადაწყვეტის უნარი.

გარდა ამისა, ფლობს მის მიერ არჩეული კონცენტრაციის შესაბამის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, კერძოდ:

საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის კონცენტრაციის კურსდამთავრებულს შუძლია:

- ტრანსპორტის მენეჯმენტის ტექნოლოგიის პრაქტიკაში დანერგვა, რომელიც მოიცავს ინფორმაციის მიღების, დამუშავების, მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავების, სისტემური ანალიზის საქმეში შესაბამისი პროგრესული ტექნიკის გამოყენებას;
- ტიპური ამოცანების იდენტიფიცირება ლოგისტიკური მეთოდების გამოყენებით;
- პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის სწორად გაფორმება;
- სტრატეგიების დამუშავება კომერციულ, მარკეტინგულ ან სავაჭრო ტექნოლოგიურ სფეროებში.
- ლოგისტიკური ჯაჭვების და სქემების შერჩევა სავაჭრო ორგანიზაციებისათვის, ლოგისტიკური პროცესების მართვა და ოპტიმალური ლოგისტიკური სისტემების მოძებნა;
- ტრანსპორტის მუშაობის დაგეგმვა და დანახარჯების განსაზღვრა ტვირთის გადაზიდვაზე;
- ტვირთების დაუცველობის შემთხვევების დროულად გამოავლენა და ღონისძიებების დასახვა მათ გადასაჭრელად;
- სატრანსპორტო მახასიათებლების გათვალისწინებით ტვირთების კომპლექტაცია სასაწყობე და სატრანსპორტო სათავსოებში, გადაზიდვის სატრანსპორტო ტექნოლოგიური სისტემებისა და სატვირთო ერთეულის გამსხვილების საშუალებების შერჩევა.

მცირე ბიზნესის მართვის კონცენტრაციის კურსდამთავრებულს შუძლია:

- მცირე ბიზნესში საქმიანობის განხორციელება დაგეგმვა და მართვა მისი სპეციფიკის გათვალისწინებით და აღნიშნულ სეგმენტში პრობლემების გადაწყვეტა სფეროსათვის დამახასიათებელი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.
- მცირე ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემების - მარკეტინგული, ორგანიზაციული, სამართლებრივი ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების შეგროვება/იდენტიფიცირება. აგრეთვე აღნიშნულ თემატიკაში სიტუაციების ანალიზი, მცირე ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორებისა და პრიორიტეტული სფეროების დადგენა, მცირე ბიზნესის სტიმულირების მექანიზმების შემუშავება;

გამომუშავებული აქვს:

- სამეწარმეო გარემოს შეფასების, სტრატეგიული დაგეგმვის და ბიზნესის მოდელირების, ბიზნეს-გეგმის დამოუკიდებლად დამუშავების პრაქტიკული უნარ- ჩვევები.

დასკვნის გაკეთების უნარი

კურსდამთავრებულს აქვს:

- ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესებისა და ტენდენციების ანალიზის, რისკების შეფასების, შესაბამისი დასკვნების გაკეთებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი.

კურსდამთავრებულს შეუძლია:

პირველად და მეორად ინფორმაციულ წყაროებზე დაყრდნობით მონაცემთა ლოგიკური განზოგადება, შესაბამისი დასკვნების გამოტანა და მათი პრეზენტაცია.

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს აქვს:

- პროფესიული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები; შეუძლია ანგარიშის მომზადება და პრეზენტაცია წერილობითი და ელექტრონული ფორმით როგორც მშობლიურ, ასევე ინგლისურ ენაზე;

<p>შეუძლია:</p> <p>თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება და აქტიური კომუნიკაცია ბიზნეს პარტნიორებთან და ბიზნესის მარეგულირებელ საჯარო სამსახურებთან.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>კურსდამთავრებულს გამოუმუშავებული აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სწავლისთვის საჭირო პირადი მოთხოვნების განსაზღვრის, გააზრების და გადაწყვეტის უნარი როგორც ზოგად, ისე პროგრამასთან დაკავშირებულ სფეროებში. <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • სწავლის და დამოუკიდებელი მუშაობის დროის დაგეგმვა და ორგანიზება; • სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება;
<p>ღირებულებები</p>
<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • დამოუკიდებელი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის ან კოლეგიალური დახმარების პირობებში, წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების შესაბამისად; • მის მიერ განხორციელებული მმართველობითი საქმიანობის შეფასება და ანალიზი; <p>გაცნობიერებული აქვს:</p> <p>ეთიკის ფასეულობების, სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა ბიზნესის სფეროში და მათი დამკვიდრების აუცილებლობა თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში.</p>

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ქართული ლიტერატურა

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ქართული ლიტერატურის ისტორიაში

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

მაგისტრანტთა მიერ ბაკალავრიატში ქართულ ლიტერატურაში შეძენილი ცოდნის გაღრმავება; ქართულ ლიტერატურაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის მომზადება; ლიტერატურულ მოვლენათა არსში ღრმად წვდომის, კრიტიკულად განსჯის, საკუთარ შეხედულებათა ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბებისა და წერილობითი ფორმით გამოხატვის უნარის განვითარება; ინტერდისციპლინარული კვლევებისადმი ინტერესის გაღვივება და განსხვავებული მეთოდების არსში გარკვევა; ქართული მწერლობის მთლიანი პროცესისათვის დამახასიათებელ ტენდენციათა სიღრმისეულად გააზრება.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	30 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	60 ECTS კრედიტი
სამაგისტრო	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- მაგისტრს შეძენილი ექნება ქართული ლიტერატურის პრობლემური საკითხების ღრმა, საფუძვლიანი და სისტემური ცოდნა, რაც საშუალებას მისცემს, შეიმუშაოს ახალი, ორიგინალური იდეები და შეხედულებები;
- გაერკვევა პრობლემათა არსში და რეალურად შეძლებს მათ გადასაჭრელ გზათა მოძებნას;
- ჩამოყალიბებული ექნება ლიტერატურული მოვლენებისადმი მისეული თვალთახედვით მიდგომის უნარ-ჩვევები;
- მაღალპროფესიულ დონეზე განიხილავს, განმარტავს და შეაფასებს ლიტერატურულ ტექსტებსა და სამეცნიერო ნაშრომებს;
- ღრმად და არგუმენტირებულად გაიაზრებს ქართული ლიტერატურის განვითარების მთლიან პროცესსა და მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს;
- ქართული მწერლობის განვითარების უმნიშვნელოვანეს ტენდენციებსა და პრობლემურ საკითხებს განიხილავს, განმარტავს და შეაფასებს მსოფლიო ლიტერატურის შესაბამის მოვლენებთან მიმართებით;
- მაღალპროფესიულად იქნება დაუფლებული ინტერნეტ-რესურსებსა და ინფორმაციის მოპოვების სხვა საშუალებებს;
- გამომუშავებული ექნება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

<ul style="list-style-type: none"> ➤ შეძლებს ლიტერატურულ მოვლენათა გააზრებას ,გაანალიზებასა და შეფასებას ახლებური თვალთახედვით; ➤ კომპლექსური მიდგომის საფუძველზე მოძებნის პრობლემათა გადასაჭრელ გზებს; ➤ უახლესი მეთოდების გამოყენების საფუძველზე განახორციელებს ლიტერატურულ მოვლენათა დამოუკიდებლად კვლევას; ➤ ქართული ლიტერატურის პრობლემურ საკითხებს ახსნის და შეაფასებს ერთმთლიან კულტუროლოგიურ კონტექსტში; ➤ შეძენილ ცოდნას გამოიყენებს მეცნიერული კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის მაღალპროფესიულ დონეზე წარსამართად.
<p>დასკვნის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ➤ უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით მოახდენს მოვლენათა კრიტიკულ გაანალიზებას და სათანადოდ არგუმენტირებულ დასკვნათა ჩამოყალიბებას; ➤ მოძებნის პრობლემათა გადაჭრის გზებს; ➤ დამოუკიდებლად შეაფასებს ლიტერატურულ პროცესებს და მოახდენს მათ ინოვაციურ სინთეზს.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ➤ შეძლებს საკუთარი შეხედულებების, დასკვნებისა და არგუმენტების საფუძველზე კომუნიკაციის დამყარებას აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე; ➤ საკუთარ მოსაზრებებს გამოხატავს ზეპირადაც და წერილობითი ფორმითაც; ➤ მონაწილეობას მიიღებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით გამართულ კამათში, სადაც ჩამოაყალიბებს, განმარტავს და დაიცავს საკუთარ შეხედულებებს; მოახდენს მათ პრეზენტაციასა და შეჯამებას.
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ➤ მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებს პროფესიული დონის სისტემატურად სრულსაყოფასა და ამაღლებას; ➤ მოახერხებს სწავლებისა და მეცნიერული კვლევის დამოუკიდებლად წარმართვას, საამისოდ საჭირო საკითხთა მართებულად გაცნობიერებასა და სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვას; ➤ მოიძიებს სათანადო სამეცნიერო ლიტერატურასა და წყაროებს ბიბლიოთეკებში, არქივებში, მუზეუმებსა თუ ინტერნეტში.
<p>ღირებულებები</p>
<ul style="list-style-type: none"> ➤ დაიცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს და სხვათა დამსახურების კეთილსინდისიერად შეფასების საფუძველზე შეეცდება დაამკვიდროს ახალი სამეცნიერო ღირებულებები; ➤ განუმტკიცდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, ლიტერა-ტურული, მეცნიერული და სხვა სახის დიდმნიშვნელოვანი მოვლენებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა და პრობლემური საკითხებისადმი სწორი მოქა-ლაქეობრივი პოზიცია; ➤ გაულრმავდება ეროვნული თვითშეგნება.

ქართველური ენათმეცნიერება

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ქართველურ ენათმეცნიერებაში

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია ქართველური ენათმეცნიერების შესწავლა მსოფლიო ენათმეცნიერული კვლევების კონტექსტში.

მსოფლიოს უძველეს ენებს შორისაა იბერიულ-კავკასიური ენები (ქართველური, აფხაზურ-ადიღური, დაღესტნური და ჩეჩნურ-ინგუშური); ამათგან სულ მცირე თხუთმეტსაუკუნოვანი წერილობითი ტრადიცია აქვს მხოლოდ ქართულ სამწიგნობრო ენას; შესაბამისად, მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო ენისა და სხვა ქართველური ენობრივი ერთეულების ფონემატური სტრუქტურის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც კავკასიოლოგიის, ასევე, ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით.

თანამედროვე მეთოდოლოგიით ქართველური ენობრივი სამყაროს სწავლება და კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია ქართველოლოგიისთვის, ვინაიდან ბოლო 200 წელიწადში, ენათმეცნიერების ჩამოყალიბების პერიოდში, საქართველოში მეცნიერების განვითარება ძირითადად იგეგმებოდა რუსეთის იმპერიის ინტერესების გათვალისწინებით. ქართველური ენათმეცნიერების იდეოლოგიზება განსაკუთრებით ინტენსიურად ხდებოდა საბჭოთა პერიოდში; შესაბამისად, დღეს არსებითი მნიშვნელობა აქვს საბჭოური იდეოლოგიემებისგან თავისუფალი ენათმეცნიერული აზრის განვითარებას. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ქართული ენის ძველი თუ ახალი გრამატიკები შექმნილია ლათინური ენის გრამატიკის ბაზაზე, რის გამოც ბევრი საკუთრივ ლინგვისტური კვალიფიკაცია ხელოვნურია (რასაც კარგად წარმოაჩენს ის პრობლემები, რომელიც დღეს იქმნება ქართული ენის მანქანური მოდელირების პროცესში). ჩვენი პროგრამის მიზანია, ხელი შეეწყოს ქართული ენის ბუნების შესაბამისი ლოგიკური გრამატიკული მოდელების აგებას.

ქართული სამწიგნობრო ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა. საქართველოს სახელმწიფოებრივი ღირსების საკითხია, ერთი მხრივ, ქართული ენის საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლა, გასაგებად და მარტივად ჩამოყალიბებული ენობრივი წესების/ნორმების სწავლება, მეორე მხრივ კი, სამწიგნობრო ენის ლექსიკის გამრავალფეროვნება ქართველური დიალექტური მასალით, საკუთარი სიტყვაწარმოებითი საშუალებებით და დაზღვევა ბარბარიზმებით დამძიმებისაგან და სხვ. შესაბამისად, ჩვენი სამაგისტრო პროგრამის მიზანია ისეთი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე მაგისტრების აღზრდა, რომლებიც ღირსეულად დაძლევენ თანამედროვე გამოწვევებს; კერძოდ, სამაგისტრო პროგრამის ამოცანაა, მაგისტრანტმა საფუძვლიანად შეისწავლოს:

1. საერთოქართველურ და არქაულ სამწიგნობრო ენობრივ სისტემასთან ქართველური ტერიტორიული კილოების (მეგრულ-ლაზურის, სვანურის, ფხოურის...) მიმართება;
2. ქართული სამწიგნობრო ენის ისტორია;
3. ქართული ანბანისა და ქართული ენის ფონემების მიმართება (ისტორიული დინამიკა);
4. სხვადასხვა ავტორის ხედვის გათვალისწინებით: ქართველური (სამწიგნობრო ენისა და ქართველური კილოების) ფონემატური სტრუქტურა, სახელური და ზმნური პარადიგმები, ქართველური სინტაგმა და ისტორიული ლექსიკა;
5. ქართველური კილოური ჯგუფები (მეგრულ-ლაზური, სვანური, ფხოური, ჰერული, მესხური, ფერეიდნული, ჩვენებურების ქართული და ცენტრალური კილოები; ქართველური დიალექტოლოგიის მოდულში 20 კრედიტი ეთმობა სვანური და ზანური კილოური ჯგუფების პრაქტიკულ შესწავლას/.

შენიშვნა: ქართველური ქვესისტემების შესწავლის მიზნით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი უნივერსიტეტის დაფინანსებით ყოველწლიურად ატარებს დიალექტოლოგიურ ექსპედიციებს, რომლებშიც მონაწილეობენ უნივერსიტეტის მაგისტრანტებიც /ექსპედიციები განხორციელდა

შემდეგ კუთხეებში: რაჭაში, ლეჩხუმში, იმერეთში, სამეგრელოში, სვანეთში, ხევსურეთში, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში/.

6. ქართველური დიალექტების ლექსიკა, როგორც ქართული სამწიგნობრო ენის მარაგი;
7. ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და ნორმალიზაციის თეორიული კურსი...

წარმოდგენილი სასწავლო კურსების მიხედვით სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს სთავაზობს, შეისწავლოს და თავად გააანალიზოს თანამედროვე მეცნიერული შეხედულებები ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ.

პროგრამა მიზნად ისახავს, აგრეთვე, მაგისტრანტს გამოუმუშაოს მკვლევრის უნარ-ჩვევები. ამ მიზნით პროფესორის ხელმძღვანელობით მაგისტრანტი სწავლის პერიოდში მოამზადებს სამაგისტრო ნაშრომს, რომელშიც აკადემიურად იქნება დამუშავებული მოცემული თემის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა და იქნება მეცნიერული სიახლის შემცველი (სამაგისტრო ნაშრომი მტკიცდება მესამე სემესტრში, დაცვა კი შედგება მეოთხე სემესტრში).

პროგრამის სტრუქტურა	
საკურსო შრომა	5 ECTS კრედიტი
სასწავლო კურსები	85 ECTS კრედიტი
სამაგისტრო ნაშრომი	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები
ცოდნა და გაცნობიერება
სამაგისტრო პროგრამის გავლის პროცესში მაგისტრანტი გაიღრმავებს ცოდნას ქართველური ენობრივი სამყაროს ისტორიაში; მიიღებს აკადემიურ ცოდნას ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური ენა-კილოების ფონეტიკა-ფონოლოგიაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში; შეისწავლის ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
<p>პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს ექნება მაგისტრატურის შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია (საგნების მიხედვით ცოდნის მიღების შესახებ იხ. "კონკრეტული სასწავლო კურსებისა და კომპეტენციების მიმართების სქემა"), რომელსაც ის გამოიყენებს სწავლების პროცესში და სწავლის შემდგომ ეტაპზე. ასევე, მაგისტრი დაუფლებული იქნება სისტემურ უნარებს, რაც საშუალებას მისცემს მას, იოლად შეძლოს ადაპტირება ახალ სიტუაციებში, თანამედროვე მეთოდოლოგიით იკვლიოს (იმუშაოს) ინდივიდუალურად და, საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფთან ერთად.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემდეგ მაგისტრს ექნება საკმარისი კვალიფიკაცია, საჯარო და კერძო სკოლებში წარმატებულად ასწავლოს ქართული სალიტერატურო ენა და ქართველთა ენობრივი სამყარო; შეეძლება წარმატებულად განსაზღვროს სწავლების სტრატეგია და მართოს სწავლების პროცესი.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემდეგ მაგისტრი სრულფასოვნად იქნება მომზადებული ლინგვისტიკის, ქართველოლოგიისა და ფილოლოგიის დარგების დოქტორანტურისათვის. მაგისტრატურის სასწავლო პროგრამის დასრულებისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგად მიღებული ცოდნის, კვალიფიკაციისა და კომპეტენციის გამოყენებით კურსდამთავრებულს შეეძლება საერთაშორისო ველში არსებული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის გააზრება და კრიტიკული შეფასება; კურსდამთავრებულს შეეძლება: ცოდნის ინტეგრირება, ქართული ენის სწავლება, ცალკეული ლინგვისტური (სამეცნიერო) ამოცანების გადაჭრა და ქართული ენის ბუნების შესაბამისი ლოგიკური გრამატიკული მოდელის წარმატებული ძიება და სხვ.</p> <p>სამაგისტრო პროგრამაში წარმოდგენილი მოდულების მიხედვით მიღებული ცოდნა საშუალებს მისცემს კურსდამთავრებულს, თავისი ცოდნა გამოიყენოს სწავლის გაგრძელების პერსპექტივის განსაზღვრისათვის; კერძოდ:</p>

<p>"ქართული სამწიგნობრო ენის" მოდულის შესაბამისად მიღებული ცოდნა /ქართული სალიტერატურო ენის ფონემათა დისტრიბუციის წესები, ბგერათშეერთების კანონზომიერებები (სხვადასხვა ავტორის მიხედვით); სახელისა და ზმნის პარადიგმატული სისტემა; მორფოლოგიური და სემანტიკური კატეგორიები; ქართული ენის წინადადების აგების სპეციფიკა, ქართული ენის სინტაქსური თავისებურებები; ქართული ენის ტერმინოქმნადობის ისტორია, თავისებურებები; ქართული ეპიგრაფიკული და ხელნაწერი ტექსტების პალეოგრაფიული ანალიზი.../ საშუალებას მისცემს მაგისტრს, იკვლიოს სტანდარტული ენის თავისებურებანი /სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში სტანდარტული ენის კვლევის მიმართულებით/.</p> <p>"ქართველური დიალექტოლოგიის" მოდულის შესაბამისად მიღებული ცოდნა /ქართველური დიალექტების ფონემატური სტრუქტურის თავისებურებები; ფონემათა ნაირსახეობანი ქართველურ კილოებში; ბგერათა და ბგერათკომპლექსთა ცვლილების კანონზომიერებები; ქართველური სამეტყველო ერთეულების სახელური და ზმნური პარადიგმები (სახელთა ბრუნება, ზმნის უღლება, მწკრივთა სისტემა...); მეგრულ-ლაზური და სვანური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ენობრივი ნიშნები; მეგრულ-ლაზური და სვანური დიალექტური ტექსტების გრამატიკული ანალიზი;</p> <p>ქართველური ქვესისტემების ძირითადი სინტაქსური მოვლენები (სახელური და ზმნური შესიტყვებები); ზეპირი თუ დიალექტური მეტყველებისათვის დამახასიათებელი მარტივი სინტაქსური კონსტრუქციების სტრუქტურული ნიშნები.../ საშუალებას მისცემს მაგისტრს, იკვლიოს დიალექტების თავისებურებანი /სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში დიალექტოლოგიის მიმართულებით/.</p> <p>"საეკლესიო მწერლობის ენის" მოდულის შესაბამისად მიღებული ცოდნა /ბგერათა სისტემა საეკლესიო ენის არქაულ ვარიანტში (საერთოქართველურთან და საერო სამწიგნობრო ენასთან მიმართებით); ფონეტიკური პროცესები ადრეული ქართული ხელნაწერების მიხედვით; ქართული საეკლესიო მწერლობის ენის მორფოლოგიური თავისებურებანი; ენაში მომხდარი მორფოლოგიური ცვლილებები; ქართული საეკლესიო მწერლობის სხვადასხვა ჟანრის (აგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული) თხზულებათა, ბიბლიურ ტექსტთა თარგმანების სინტაქსური კონსტრუქციები; ხელნაწერ ტექსტებზე მუშაობა; ქართული საეკლესიო მწერლობის ლექსიკა; მისი მიმართება საერო მწერლობის ლექსიკასთან; ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზები.../ საშუალებას მისცემს მაგისტრს, იკვლიოს საეკლესიო ენის თავისებურებანი /სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში საეკლესიო მწერლობის ენის კვლევის მიმართულებით/.</p>
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>
<p>მაგისტრს შეეძლება სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, საკამათო საკითხებზე დისკუსია, თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტების საშუალებით მკაფიოდ და კორექტულად კამათი, საკუთარი პოზიციისა თუ თვალსაზრისის ნათლად წარმოდგენა, არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა...</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>ჩვენი სამაგისტრო პროგრამის გავლის პროცესში მაგისტრანტს გამოუმუშავდება თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების დახმარებით სამეცნიერო კვლევისთვის შესაბამისი ინფორმაციული წყაროებისა და ლიტერატურული მასალის მოძიებისა და გამოყენების უნარი; ასევე, შეეძლება ინტერნეტ-რესურსების გამოყენება, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი დაუფლებული იქნება სისტემურ უნარებს, რაც საშუალებას მისცემს მას, იოლად შეძლოს ადაპტირება ახალ სიტუაციებში, იკვლიოს (იმუშაოს) ინდივიდუალურად და, საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფთან ერთად.</p>
<p>ღირებულებები</p>

აკადემიური პარამეტრებით შეაფასოს თავისი და სხვათა დამოკიდებულება ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი ღირებულებებისადმი;

ენათმეცნიერების მიმართულებით გარკვეული წვლილი შეიტანოს ახალი ღირებულებების (კვლევის შედეგების სტანდარტების, ასევე, კვლევის შედეგების შეფასების ახალი სისტემისა და შეფასების კრიტერიუმების) დამკვიდრებაში.

ინგლისური ენა და ლიტერატურა

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ინგლისურ ფილოლოგიაში

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სასწავლო პროგრამა 'ინგლისური ენა და ლიტერატურა' გულისხმობს ბაკალავრიატის დონეზე სტუდენტის მიერ შეძენილი ზოგადი ფილოლოგიური ცოდნის სიღრმისეულ გაფართოებას და ახალი დარგობრივი კომპეტენციების შეძენასა და განვითარებას. პროგრამა მოიცავს ინგლისური ენათმეცნიერებისა და ინგლისური ლიტერატურათმცოდნეობის მოდულებს და მიზნად ისახავს მაგისტრანტის ჩამოყალიბებას მაღალი კომპეტენციის მქონე ფილოლოგ-ანგლისტად, რომელსაც ექნება ღრმა ცოდნა დარგის განვითარების თავისებურებათა შესახებ და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის. ამ მიზნიდან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამა ისახავს შემდეგ კონკრეტულ ამოცანებს:

- განავითაროს მაგისტრანტთა დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციები ინგლისური ფილოლოგიის ფარგლებში (როგორც ლინგვისტიკის ისე ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით) და მეთოდოლოგიურად შემდგომი საფუძვლის შეუქმნას მათ უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლის გასაგრძელებლად;
- სასწავლო და კვლევითი პროცესების ინტეგრირების გზით მაგისტრანტს შესძინოს მეცნიერული თეორიების ანალიზის, კრიტიკული შეფასებისა და კონსტრუქციული და დასაბუთებული დასკვნების გამოტანის, დამოუკიდებლად მეცნიერული მუშაობისა და კვლევის, ემპირიული მასალისა და კრიტიკული ლიტერატურის დამოუკიდებელი მოძიების უნარ-ჩვევები;

სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს მათი ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, რაც კურსდამთავრებულს დაეხმარება საკუთარი დარგობრივი ცოდნისა და უნარების ადაპტაციაში აკადემიური თუ სხვა ნებისმიერი კონტექსტის მოთხოვნების მიხედვით.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	25 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	65 ECTS კრედიტი
სამაგისტრო	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- გაეცნობა ლინგვისტიკის ცალკეული დარგების თეორიული საფუძვლებსა და კვლევათა მეთოდოლოგიურ თავისებურებს. მათ შორისაა ფუნქციონალური გრამატიკა, სემანტიკა, ლინგვისტური პრაგმატიკა, კომუნიკაციური ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა;
- შეისწავლოს ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდებს (ლინგვოსტილისტიკა, დისკურსის ანალიზი, მხატვრული ტექსტის ანალიზი და ინტერპრეტაცია, თარგმანის თეორია და პრაქტიკა);
- დაეუფლება ლიტერატურათმცოდნეობის ძირითად მიმართულებებს და ლიტერატურული ჟანრების განვითარების ისტორიას, ეტაპობრივად გაეცნობა (მიზნობრივად შერჩეული ლიტერატურული ტექსტის კითხვა) საპროგრამო ნაწარმოებებს (ინგლისური რომანის ისტორიული პოეტიკა, ინგლისური დრამის ისტორიული პოეტიკა, ინგლისური ლირიკის ისტორიული პოეტიკა, ინგლისური ლიტერატურა და თეატრი, მითოსი ანგლო-ამერიკულ მოდერნისტულ ლიტერატურაში);

<ul style="list-style-type: none"> ▪ დაეუფლება ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებსა და ინტერპრეტაციის ტექნიკებს (დ/ე და ამერიკული ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურის თეორია, შედარებით-ტიპოლოგიური ლიტმცოდნეობის საფუძვლები); ▪ შესაძლებლობა მიეცემა შეიგნოს ინგლისური ფილოსოფიური აზროვნების კულტურის სპეციფიკური ფორმები, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ინგლისური ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტრადიციების ჩამოყალიბება (დარგის ფილოსოფია); გაეცნობა კულტურის რაობას, მის ფუნქციებს, სტრუქტურას და კულტურათა სოციოდინამიკას (კულტუროლოგიის საფუძვლები).
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>
<p>სტუდენტს ჩამოუყალიბდება:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ფილოლოგიური კვლევის სხვადასხვა მიმართულებების პრობლემებისა და მეთოდების გამოყენების უნარი; ▪ მოძიებული სამეცნიერო ლიტერატურის, დამუშავებისა და თარგმნა-კომენტირების უნარი; ▪ როგორც ლინგვისტური, ისე ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების განხორციელებისათვის ემპირიული მასალის, ლიტერატურის მოძიების, შერჩევის, შეფასებისა და დალაგების, კვლევის შედეგების შეჯერების უნარი; ▪ ფილოლოგიის სფეროს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისათვის ინტერდისციპლინარული მიდგომის გამოყენებით ორიგინალური გზების მოძიების უნარი; ▪ საკუთარი მაღალი ენობრივი კომპეტენციის (ინგლისურ ენაში) აკადემიურ გარემოში გამოყენების უნარი; ▪ ავთენტური ტექსტების შერჩევისა და კითხვის, ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომპეტენციის განხორციელების, დარგობრივ საკითხებზე დისკურსის წარმართვის და კრიტიკული შეხედულების კონსტრუქციული გზით გამოხატვის უნარი.
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>
<p>მაგისტრანტს შეეძლება:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ინგლისური ფილოლოგიის სფეროში ძირითადი პრობლემების ჩამოყალიბება, მონაცემების შეგროვება, სისტემატიზაცია და მეცნიერული ანალიზი კვლევის რელევანტური მეთოდოლოგიის გათვალისწინებით; ▪ მოპოვებული ინფორმაციისა და მონაცემების კრიტიკული ანალიზის შედეგად სათანადო დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; ▪ პროგრამის ფარგლებში ათვისებული ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველზე უახლესი ინფორმაციის ინოვაციური სინთეზირება საკუთარი კვლევის ინტერესების და მიზნების შესაბამისად.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>პროგრამის გავლის შემდეგ მაგისტრანტი შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ კომუნიკაციის მაღალ დონეზე წარმართვას (როგორც ენობრივი გამართულობის, ისე ფუნქციური ადექვატურობის თვალსაზრისით) აკადემიურ საზოგადოებაში მშობლიურ და ინგლისურ ენებზე; ▪ კურსის განმავლობაში შესწავლილი თეორიული დებულებებისა თუ დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში მიღებული დასკვნების და განზოგადებების პრეზენტაციას; ▪ ტექნიკური საშუალებების (აუდიო, ვიდეო, DVD, კომპიუტერი, პროექტორი, პოსტერი) გამოყენებას კვლევის შედეგებისა და სასწავლო მასალის აუდიტორიისათვის თვალსაჩინოდ მიწოდების მიზნით; ▪ ინტერნეტრესურსების აქტიურად გამოყენებას სასწავლო-კვლევით პროცესში, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე კვლევების შედეგად მიღებული სიახლეების სწრაფ ხელმისაწვდომობას.

<p>სწავლის უნარი</p>
<p>პროგრამის შედეგად მაგისტრანტს ჩამოუყალიბდება:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ საკუთარი შესაძლებლობების ობიექტურად შეფასების უნარი; ▪ როგორც ჯგუფური, ისე დამოუკიდებელი სწავლის უნარი; ▪ სწავლის სტრატეგიების მდიდარი რეპერტუარი; ▪ ცოდნის სამომავლო გაღრმავების გეგმების სწორად განსაზღვრის უნარი; ▪ დროის მართებულად ორგანიზების უნარი, რაც ვლინდება დამოუკიდებელი სამუშაოს სწორ განაწილებასა და დროულ შესრულებაში; ▪ სირთულეების გადალახვის საკუთარი სტრატეგიის შემუშავების უნარი; ▪ სწავლის პროცესის დაგეგმვასა და საკუთარი კვლევის მიმართულებების განსაზღვრაში მონაწილეობის უნარი.
<p>ღირებულებები</p>
<p>სამაგისტრო პროგრამის გავლა განუვითარებს მაგისტრანტს უნარს:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ გაიაზროს საკუთარი პასუხისმგებლობა საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და მულტიკულტურული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის; ▪ გაიაზროს, ობიექტურად შეაფასოს და პატივი სცეს სხვა კულტურულ და ნაციონალურ საფუძველზე წარმოქმნილი შეხედულებებს; ▪ ზუსტად განსაზღვროს გარკვეულ ენობრივ თუ მენტალურ სტერეოტიპებთან საკუთარი და სხვათა დამოკიდებულება და მონაწილეობა მიიღოს მათ მიმართ ახლებური პოზიციის ჩამოყალიბებაში; ▪ დაიცვას აკადემიური პატიოსნების პრინციპები სასწავლო და კვლევითი მუშაობის პროცესში.

გერმანული ენა და ლიტერატურა

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი გერმანულ ფილოლოგიაში

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამა გერმანულ ენასა და ლიტერატურაში გულისხმობს ბაკალავრიატის დონეზე შეძენილი ზოგადი განათლების კონკრეტულ და სიღრმისეულ გაფართოებას. სამაგისტრო პროგრამის ერთიანობას უზრუნველყოფს დარგობრივი დისციპლინების სტრატეგიული კოორდინაცია და მთელი პროგრამისათვის საერთო სავალდებულო და არჩევითი კურსების მიზანმიმართული შერჩევა. მსგავსი სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება საქართველოს, ევროპის, კანადის წამყვან უნივერსიტეტებში: ბერლინის, ბრემენის, ჰაიდელბერგის, კიოლნის, დიუსელდორფის, იენის უნივერსიტეტებში (გფრ), დალჰაუზის უნივერსიტეტში (ჰალიფაქსი, კანადა).

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს გერმანული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა გერმანულ ფილოლოგიაში. სასწავლო პროცესი გულისხმობს გერმანულენოვან კომუნიკაციას, მუშაობას ავთენტურ და კრიტიკულ ტექსტებზე. სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიულ სპეციალიზაციას, რაც სრულყოფს ბაკალავრიატში შეძენილ ცოდნას, ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წილის მნიშვნელოვან ზრდას, უნარების გაღრმავებას გერმანულ ენასა და ლიტერატურაში შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის, დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შექმნას გერმანული ფილოლოგიის ფარგლებში და მეთოდოლოგიურად შემდგომი საფუძვლის შექმნას უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე-დოქტორანტურაში- სწავლის გასაგრძელებლად.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი საგნებისათვის განკუთვნილია	25 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	65 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

მაგისტრს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა გერმანულ ფილოლოგიაში: გერმანულ ენათმეცნიერებაში იგი დაუფლებულია ლინგვისტურ დისციპლინათა პრობლემატიკას (ტექსტის ლინგვისტიკა, ლინგვისტური სტილისტიკა, პრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა, გერმანული ენა), ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდებს და ლინგვისტური კვლევის ტექნიკას, აქვს ღრმა, დარგობრივი ცოდნა გერმანულ ლიტერატურათმცოდნეობაში გერმანული თეორიულ-ესთეტიკური და ფილოსოფიური აზროვნების ჭრილში (გერმანული რომანის, დრამის, ლირიკის ისტორიული პოეტიკა), ეუფლება დას. ევროპული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებს, ასევე სხვადასხვა პერიოდისა და ჟანრის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტაციის ტექნიკას. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წილის მნიშვნელოვანი გაზრდით (საკურსო შრომა, სამაგისტრო ნაშრომი) სტუდენტს შემუშავებული აქვს ორიგინალური სამეცნიერო იდეა, იმას გაცნობიერებული აქვს გერმანულ ფილოლოგიაში ცალკეული საენათმეცნიერო თუ ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემის გადაჭრის გზებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

<p>გერმანულ ფილოლოგიაში დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შეძენით მაგისტრს აქვს კოგნიტურ-მეთოდოლოგიური საფუძველი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე-დოქტორანტურაში-სწავლის გასაგრძელებლად, ასევე მეცნიერული კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებისა და სრულყოფისათვის. ენობრივი კომპეტენციების გაღრმავების საფუძველზე მისი ცოდნა არის სკალირების C პირველი დონის შეესატყვისი. მაგისტრატურის დასრულების შემდგომ მას შეუძლია გერმანისტიკაში (ლინგვისტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში) ახალი, ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდების გამოყენებით, ასევე სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის გერმანული ლიტერატურული ტექსტის (რომანი, დრამა, ლირიკა) თეორიულ-ჰოეტოლოგიური ანალიზი თანამედროვე ლიტერატურითი თეორიების, ლიტერატურის კრიტიკისა და ფილოსოფიის საფუძვლების გათვალისწინებით.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>
<p>სამაგისტრო პროგრამის ათვისების შედეგად მაგისტრანტს აქვს გერმანისტიკაში მეცნიერული თეორიების ანალიზის, კრიტიკული შეფასებისა და პოლემიკის, დასაბუთებული დასკვნების გამოტანის უნარი, დამოუკიდებლად მეცნიერული მუშაობისა და კვლევის, კრიტიკული ლიტერატურის მოძიების უნარ-ჩვევები, უახლეს სამეცნიერო მონაცემებზე დაყრდნობით გერმანისტიკაში ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი. ყოველივე ამის შედეგად მას აქვს ცალკეული დისციპლინების შესახებ არსებული სამეცნიერო ნაშრომების კრიტიკული ანალიზის უნარი, რისი შედეგიცაა მაგისტრანტის საკურსო და სამაგისტრო შრომები.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>ძირითადი უცხო ენის მაღალ დონეზე შესწავლით და დამატებით მეორე ევროპული ენის კარგი ფლობით მაგისტრს შეუძლია უცხოურ ენაზე წარმართოს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, დისკუსია, ჩამოყალიბოს კრიტიკული მოსაზრებები. მაგისტრი ეუფლება გერმანული ფილოლოგიის დისციპლინების უახლეს მეთოდოლოგიასა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევით მეთოდებს, მას შეუძლია მათი პრაქტიკული გამოყენება, სამეცნიერო კონცეფციებისადმი კრიტიკული მიდგომა. მას იცის სასწავლო და კვლევითი მუშაობის ორგანიზების სტრატეგიები, შეუძლია მათი დამოუკიდებლად გამოყენება, ასევე მშობლიურ და უცხოურ ენებზე დარგობრივი სასწავლო და სამეცნიერო კომუნიკაცია, იგი იყენებს თანამედროვე ინტერდისციპლინარული სამეცნიერო-კვლევითი მეთოდის მეშვეობით მუშაობის პროცესში თვითშეფასების მეთოდებს. მაგისტრს გათვალისწინებული აქვს აკადემიური პატიოსნების სტანდარტები და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევები.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>მაგისტრს შეუძლია ქართულ და უცხოურ ენაზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა და კრიტიკული მოსაზრებების ჩამოყალიბება, კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება ფილოლოგიური ანალიზისას, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული გამოყენება, გერმანული ფილოლოგიის სფეროში კვლევითი ხასიათის ნაშრომის დაგეგმვა, ზეპირ და წერილობით ფორმაში ჩამოყალიბება და დადგენილი სტანდარტის ფორმით წარმოდგენა, კვლევის შედეგების პრეზენტაცია, გერმანულ ფილოლოგიაში ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება, გერმანული ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემების გადაჭრის პროცესში ზოგადი კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარების ადეკვატურად გამოყენება და ინოვაციური გადაწყვეტილების მიღება, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროცესში თვითშეფასების მეთოდის გამოყენება.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>მაგისტრს აქვს სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობა, შეუძლია სხვათა აზრის გათვალისწინება და პატივისცემა, დამოუკიდებელი სწავლა და კვლევა, ჯგუფური მუშაობა და კვლევითი პრობლემატიკის პროექტირება, ასევე ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. ამ</p>

საკითხში მისთვის განსაკუთრებით ღირებულია ჰუმანიზმის ის ტენდენციები, რაც ლიტერატურათმცოდნეობითი და სხვა ტიპის დისციპლინების შესწავლის გზით შეიძინა.

ფრანგული ენა და ლიტერატურა

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ფრანგულ ფილოლოგიაში

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა ფრანგულ ფილოლოგიაში. სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს მაგისტრანტთა პროფესიულ სპეციალიზაციას, რაც სრულყოფს ბაკალავრიატში შეძენილ ცოდნას, ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, საწავლო პროცესი გულისხმობს ფრანგულენოვან კომუნიკაციას, მუშაობას ავთენტურ და კრიტიკულ ტექსტებზე. პროგრამა ასევე ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წილის მნიშვნელოვან ზრდას, უნარების გაღრმავებას ფრანგულ ფილოლოგიაში შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის, დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შეძენას ფრანგული ფილოლოგიის ფარგლებში და მეთოდოლოგიურად შემდგომი საფუძვლის შექმნას უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე-დოქტორანტურაში- სწავლის გასაგრძელებლად.

პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო კურსები	70 ECTS კრედიტი
არჩევითი კურსები	20 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

მაგისტრანტს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ფრანგულ ფილოლოგიაში: ფრანგულ ენათმეცნიერებაში იგი ფლობს ლინგვისტურ დისციპლინათა პრობლემატიკას (ტექსტის ლინგვისტიკა, ლინგვისტური სტილისტიკა, პრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა, ფრანგული ენა), ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდებს და ლინგვისტური კვლევის ტექნიკას, აქვს ღრმა, დარგობრივი ცოდნა ფრანგულ ლიტერატურათმცოდნეობაში ფრანგული თეორიულ-ესთეტიკური და ფილოსოფიური აზროვნების ჭრილში (ფრანგული რომანის, დრამის, ლირიკის ისტორიული პოეტიკა), ფლობს დას. ევროპული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებს, აცნობიერებს ფრანგულ ფილოლოგიაში ცალკეული საენათმეცნიერო თუ ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემის გადაჭრის გზებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ფრანგულ ფილოლოგიაში დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შეძენით სტუდენტს აქვს კოგნიტურ-მეთოდოლოგიური საფუძველი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე-დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად, ასევე მეცნიერული კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებისა და სრულყოფისათვის. ენობრივი კომპეტენციების გაღრმავების საფუძველზე მისი ცოდნა არის სკალირების C პირველ დონის შესატყვისი. მაგისტრანტს შეუძლია რომანისტიკაში (ლინგვისტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში) ახალი, ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდების გამოყენებით, ასევე სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის ფრანგული ლიტერატურული ტექსტების (რომანი, დრამა, ლირიკა) თეორიულ-პოეტოლოგიური ანალიზი თანამედროვე ლიტმცოდნეობითი თეორიების, ლიტერატურის კრიტიკისა და ფილოსოფიის საფუძვლების გათვალისწინებით.

<p>დასკვნის უნარი</p>
<p>მაგისტრანტი ფლობს რომანისტიკაში მეცნიერული თეორიების ანალიზის, კრიტიკული შეფასებისა და პოლემიკის, დასაბუთებული დასკვნების გამოტანის უნარს, დამოუკიდებლად მეცნიერული მუშაობისა და კვლევის, კრიტიკული ლიტერატურის მოძიების უნარ-ჩვევებს, უახლეს სამეცნიერო მონაცემებზე დაყრდნობით რომანისტიკაში ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარს.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>მაგისტრანტს შეუძლია უცხოურ ენაზე წარმართოს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, დისკუსია, ჩამოყალიბოს კრიტიკული მოსაზრებები. მაგისტრანტი ფლობს ფრანგული ფილოლოგიის დისციპლინების უახლეს მეთოდოლოგიასა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევით მეთოდებს, შეუძლია მათი პრაქტიკული გამოყენება, სამეცნიერო კონცეფციებისადმი კრიტიკული მიდგომის ჩამოყალიბება. მაგისტრანტმა იცის სასწავლო და კვლევითი მუშაობის ორგანიზების სტრატეგიები, შეუძლია მათი დამოუკიდებლად გამოყენება, ასევე შეუძლია მშობლიურ და უცხოურ ენებზე დარგობრივი საწავლო და სამეცნიერო კომუნიკაცია, ფლობს თანამედროვე ინტერდისციპლინარული სამეცნიერო-კვლევით მეთოდებს და მუშაობის პროცესში თვითშეფასების მეთოდებს. მაგისტრანტი ითვალისწინებს აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევებს.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>მაგისტრანტს შეუძლია ქართულ და უცხოურ ენაზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა და კრიტიკული მოსაზრებების ჩამოყალიბება, კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება ფილოლოგიური ანალიზისას, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული გამოყენება, ფრანგული ფილოლოგიის სფეროში კვლევითი ხასიათის ნაშრომის დაგეგმვა, ზეპირ და წერილობით ფორმაში ჩამოყალიბება და დადგენილი სტანდარტის ფორმით წარმოდგენა, კვლევის შედეგების პრეზენტაცია, ფრანგულ ფილოლოგიაში ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება, ფრანგული ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემების გადაჭრის პროცესში ზოგადი კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარების ადეკვატურად გამოყენება და ინოვაციური გადაწყვეტილების მიღება, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროცესში თვითშეფასების მეთოდების გამოყენება.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>მაგისტრანტს აქვს სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობა, შეუძლია სხვათა აზრის გათვალისწინება და პატივისცემა, დამოუკიდებელი სწავლა და კვლევა, ჯგუფური მუშაობა და კვლევითი პრობლემატიკის პროექტირება. მას შეუძლია ასევე ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. ამ საკითხში მისთვის განსაკუთრებით ღირებულია ჰუმანიზმის ის ტენდენციები, რაც ლიტერატურათმცოდნეობით და სხვა ტიპის დისციპლინების შესწავლის გზით შეიძინა.</p>

რუსული ენა და ლიტერატურა

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი რუსულ ფილოლოგიაში

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ფილოლოგი, რომელსაც ექნება ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა რუსული ენისა და ლიტერატურის დარგში, გააზრებული ექნება რუსული ენის როგორც სისტემის ფუნქციონალური თავისებურებები, მისი განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და ტენდენციები; გარკვეული იქნება ლიტერატურის თეორიისა და კრიტიკის, უახლესი რუსული ლიტერატურის პრობლემურ საკითხებში; სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს გამოუმუშავებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარს, მოამზადებს სპეციალისტს შემდეგი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის, ჩამოუყალიბებს მას საკუთარი დასკვნების საჯაროდ წარდგენის, მკაფიოდ დასაბუთების უნარს, შესაბამის ცოდნასა და უნარებზე დაყრდნობით.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	15 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	75 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

სტილისტური თავისებურებათა გათვალისწინებით საფუძვლიანად იცის რუსული სალიტერატურო ენა - რუსულ ენაზე სწორად და თავისუფლად მეტყველება, კითხვა, წერა, მოსმენილის აღქმა-გაგება; გაცნობიერებული აქვს რუსული ენის ფუნქციონალური მრავალფეროვნება, მისი ფონეტიკური, გრამატიკული და სტილისტური ნორმები; გაცნობიერებული აქვს რუსული ენის სისტემა და სტრუქტურა; გააზრებული აქვს რუსული ენის კავშირი სხვა ენებთან და მისი ტიპოლოგიური თავისებურებები, იცის მისი განვითარების თანამედროვე ეტაპის, მისი ლინგვოკულტუროლოგიის სპეციფიკა; რუსული ენათმეცნიერების თანამედროვე პრობლემები და აქტუალური საკითხები. საფუძვლიანად იცის რუსული ლიტერატურის განვითარების ისტორია, თანამედროვე რუსული ლიტერატურის ტენდენციები; გაცნობიერებული აქვს მისი ადგილი და როლი მსოფლიო კულტურაში, ლიტერატურული პროცესების კანონზომიერებები; იცის მხატვრული ნაწარმოების ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი ინტერპრეტაციის თეორიები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს აქვს რუსულ ენაზე დარგობრივი დისკურსის წარმართვის, საკუთარი აზრის ნათლად და დეტალურად გადმოცემის უნარი; სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის მშობლიურ და რუსულ ენაზე გამოყენების უნარი; სპეციალური ტექსტების თარგმნის უნარი როგორც რუსული ენიდან მშობლიურ ენაზე, ისე პირიქით, ასევე ამ ტექსტების რეფერირებისა და რედაქტირების უნარი; კურსდამთავრებულს შეუძლია ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება ქართულ და რუსულ ენებზე, საკუთარი ცოდნის მობილიზება და მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლისი მეთოდების მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება.

დასკვნის უნარი
<p>კურსდამთავრებულს შეუძლია დასახული საკვლევი პრობლემის წარმოჩენა, გააზრება, ანალიზი; განსაზღვრული გზების დასახვა მისი გადაჭრისათვის სათანადო მეთოდების გამოყენებით; გამომუშავებული აქვს პრობლემის გაანალიზების შედეგად ლოგიკური დასკვნების გაკეთების უნარი. აღნიშნული უნარის გამოვლენა უპირველეს ყოვლისა შეუძლია სამაგისტრო ნაშრომის შექმნისა და დაცვის პროცესში.</p>
კომუნიკაციის უნარი
<p>კურსდამთავრებულს აქვს ქართულ და რუსულ ენაზე კომუნიკაციის უნარი სამეტყველო სიტუაციის ფაქტორების ერთობლიობისა და სალიტერატურო ნორმების გათვალისწინებით როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით; დაუფლებულია საუბრის ხელოვნებას. შეუძლია კომუნიკაციის უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება.</p>
სწავლის უნარი
<p>კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულების განსაზღვრა, საკუთარი ცოდნის გაანალიზება/შეფასება; იმის განსაზღვრა, თუ რა ცოდნა და უნარები უნდა შეიძინოს დასახული ამოცანის შესასრულებლად; გამომუშავებული აქვს შესასწავლი საგნის ასათვისებლად საჭირო სტრატეგიული უნარები - დაგეგმვის, ეტაპებად დაყოფის, სირთულეების განსაზღვრის, ხარვეზების გაანალიზებისა და აღმოფხვრის. შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, ავლენს სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად დაგეგმის მაღალ დონეს.</p>
ღირებულებები
<p>გაცნობიერებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, ექნება პატიოსანი დამოკიდებულებას პროფესიული მოვალეობის მიმართ; მაგისტრანტს ექნება პატივისცემა ჰუმანიზმის, ქართული, რუსული და ზოგადად მსოფლიო კულტურის ღირებულებებისადმი, სწრაფვა ახალი ღირებულებების დამკვიდრებისადმი.</p>

აღმოსავლური ფილოლოგია

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: 1. არაბული ფილოლოგიის მაგისტრი 100513. 2. თურქულ ფილოლოგიის მაგისტრი 100514. 3. სპარსული ფილოლოგიის მაგისტრი 100515

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

საქართველოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან (არაბული, ირანული და თურქული სამყაროები) ისტორიული და თანამედროვე მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა ჩვენი ქვეყნისათვის აღმოსავლური ფილოლოგიის დარგებს აქტუალურსა და სტრატეგიულად მნიშველოვანს ხდის.

პროგრამა მოამზადებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრს აღმოსავლური ფილოლოგიის (არაბული ფილოლოგიის, თურქული ფილოლოგიის, სპარსული ფილოლოგიის) სპეციალობით, რომელსაც აღმოსავლური (არაბული / თურქული / სპარსული) ენის, ლიტერატურის, ისტორიოგრაფიისა და საქართველოსთან კულტურულ-ისტორიული კონტაქტების თავისებურებების ღრმა ცოდნა ექნება. პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი უნარების გაღრმავებას შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის.

ქვემოთ მოყვანილი კურსები ორიენტირებულია აღმოსავლური ფილოლოგიის (არაბული ფილოლოგიის, თურქული ფილოლოგიის, სპარსული ფილოლოგიის) სპეციალისტთა განათლების გაღმავებაზე როგორც თეორიულ, ასევე სპეციალურ საგნებში.

სამაგისტრო პროგრამა გულისხმობს ბაკალავრიატის დონეზე შემენილი ზოგადი განათლების კონკრეტულ და სიღრმისეულ გაფართოებას. პროგრამის ერთიანობას უზრუნველყოფს შიდადარგობრივი დისციპლინების სტრატეგიული კოორდინაცია და მთელი პროგრამისათვის საერთო სავალდებულო კურსების მიზანმიმართული შერჩევა.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის სავალდებულო კურსები	10 ECTSკრედიტი
სპეციალიზაციის სავალდებულო კურსები	95 ECTSკრედიტი
სპეციალიზაციის არჩევითი კურსები	15 ECTSკრედიტი
სულ	120 ECTSკრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

აღმოსავლური ფილოლოგიის მაგისტრატურის კურსდამთავრებული ფლობს სისტემურ ცოდნას სპეციალობის ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში. მას აქვს ფუნდამენტური და პრაქტიკული მოზადება აღმოსავლური ფილოლოგიის შესაბამის დარგში და სრულყოფილად ფლობს სპეციალობას.

აქვს სისტემური ცოდნა:

1. ენის თეორიულ გრამატიკაში;
2. დიალექტოლოგიასა და არეალისტიკაში;
3. შესაბამის ენათა შედარებით გრამატიკასა და ლექსიკოლოგიაში;
4. შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის (არაბულ) საენათმეცნიერო შრომებში;
5. სათარჯიმნო დოკუმენტაციის და საქმიანი მიმოწერის აღმოსავლური ენიდან (არაბული/თურქული/სპარსული) ქართულად და პირუკუ თარგმნის; საქმიანი საუბრების არაბულიდან ქართულად და პირუკუ სათარჯიმნო პრაქტიკაში.

6. დარგის ძველი, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ლიტერატურის (არაბული / თურქული / სპარსული) წყაროების, ისტორიის, ტენდენციების, სტრუქტურული მოდელების, ჟანრობრივ და ენობრივ-სტილისტურ თავისებურებებსა და ვერსიფიკაციის საკითხებში.
7. ქართულ-აღმოსავლურ ენობრივ და ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიულ-კულტურული კონტექსტის სპეციფიკასა და თავისებურებებში;
8. ყურანის, როგორც ლიტერატურული და ისლამური იდეოლოგიის ძეგლის საფუძვლებისა და ყურანის შუა საუკუნეების არაბ კომენტატორების ნააზრევის შესახებ;
9. მახლობელი აღმოსავლეთის (არაბული სამყარო, თურქეთი, ირანი) ეთნოლოგიისა და კულტურის შესახებ.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მაგისტრს აქვს ფუნდამენტური სამეცნიერო და პრაქტიკული მომზადება, სრულყოფილად ფლობს აღმოსავლური ფილოლოგიის სპეციალობას, შეუძლია მიღებული მეცნიერული ცოდნის, უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოყენება. მაგისტრის კომპეტენცია წვდება სხვადასხვა ლიტერატურული, ლინგვისტური გამოკვლევებისა თუ კონცეფციების შეფასებას.

მაგისტრს აქვს ფუნდამენტური სამეცნიერო ცოდნის საფუძვლები აღმოსავლური ფილოლოგიის (არაბული ფილოლოგია / თურქული ფილოლოგია / სპარსული ფილოლოგია) დისციპლინებში და სრულყოფილ დონეზე ფლობს დარგს.

მას შეუძლია მეცნიერული ცოდნის, უნარ-ჩვევების, მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპების პრაქტიკული გამოყენება კონკრეტული სამეცნიერო-პრაქტიკული, საინფორმაციო-ძიებითი და სხვა ამოცანების გადაწყვეტაში, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დაგეგმვა, ორგანიზება და ხელმძღვანელობა, ენობრივი და ლიტერატურული მოვლენებისა და პროცესების არსისა და გენეზისის წვდომა და კრიტიკული შეფასება, მათი ანალიზი თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით.

მას აქვს სხვადასხვა ლიტერატურული და ლინგვისტური გამოკვლევებისა თუ კონცეფციების კრიტიკული შეფასების უნარი.

გააჩნია სამეცნიერო შინაარსის ტექსტების რედაქტირების, რეფერირებისა და რეცენზირების, პუბლიკაციისათვის ხელნაწერებისა და სამეცნიერო დოკუმენტების მომზადების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი.

მაგისტრს აქვს ენობრივი და ლიტერატურული ფაქტების, პროცესებისა და მოვლენების ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში დამოუკიდებლად კვლევის განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

მიღებული მეცნიერული ცოდნის, უნარ-ჩვევების, მეცნიერული საქმიანობის ორგანიზაციის პრინციპების პრაქტიკული გამოყენება კონკრეტული ანალიტიკური, სამეცნიერო-პრაქტიკული, საინფორმაციო-ძიებითი, მეთოდური და სხვა ამოცანების გადაწყვეტაში.

დასკვნის უნარი

მაგისტრს აღმოსავლური ფილოლოგიის კვლევების ასპექტებიდან, კერძოდ, ლინგვისტური, ძველი, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე აღმოსავლური პოეზიისა და პროზის, ლიტერატურის ისტორიის და თეორიის, პოეტიკის, ვერსიფიკაციის და ყურანის პრობლემემატიკიდან რთული და არასრული ინფორმაციისა და უახლეს კვლევებზე დაყრდნობით შეუძლია დარგისდ აქტუალურინ საკითხების კვლევა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.

მას დამოუკიდებლად შეუძლია სამეცნიერო-თეორიული კვლევის, პრაქტიკული მუშაობის წარმართვა და სხვადასხვა წყაროს კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა.

კომუნიკაციის უნარი

მაგისტრს შეუძლია იდეების, თავისი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ აღმოსავლურ და რომელიმე ევროპულ ენაზე წარდგენა. მას აქვს პროფესიულ წრეებში თავისუფალი კომუნიკაციისა და აკადემიური სტანდარტებისა და

<p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით ლინგვისტური და ლიტერატურული მონაცემების შესაბამის თეორიულ ცოდნასა და ჩვევებზე დაყრდნობით ისტორილ-კულტურულ ასპექტში ანალიზისა და პრეზენტაციის, საკვლევ თემატიკაზე ჯგუფური პრინციპით მუშაობის უნარი.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>მაგისტრს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, ავლენს სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალ დონეს. შეეძლება ქართულ და უცხოურ ენაზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა და მოსაზრებების ჩამოყალიბება, კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით აღმოსავლური ფილოლოგიის შესაბამის დარგში კვლევითი ხასიათის შრომის დაგეგმვა, პრობლემების გადაჭრა და კვლევის შედეგების პრეზენტაცია.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>მაგისტრი აფასებს თავის და სხვების დამოკიდებულებას ღირებულებებისადმი. ახლო აღმოსავლეთის ხალხებთან ურთიერთობის პროცესს ხშირად აფერხებს მათი მენტალიტეტისა და ფსიქოლოგიის, ტრადიციული ღირებულებების გაუთვალისწინებლობა. აღმოსავლური ფილოლოგიის სპეციალობის მაგისტრს ამ გარემოებათა გაითვალისწინებით შეუძლია ტოლერანტული დამოკიდებულების გამოჩენა ახლო აღმოსავლეთის მრავალფეროვანი მემკვიდრეობისა და ტრადიციის მიმართ, სხვათა აზრის გათვალისწინება, ახალი ღირებულებების ფორმირების პროცესში ჩართვა და წვლილის შეტანა.</p>

ხელოვნების თეორია

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მაგისტრანტს კომპლექსურად შეასწავლოს ხელოვნების სახეების პრობლემატიკა და მისცეს მას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნა ხელოვნების ცალკეული მიმართულებების (მუსიკა, სახვითი ხელოვნება, თეატრი, კინო) თეორიაში, გააცნოს ფუნდამენტური ცნებები, ცნობები და პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ ხელოვნების საგნის მხატვრული სახის სპეციფიკას, მის სტრუქტურას, ფორმაქმნადობის ნიშნებს, მხატვრული ნაწარმოების ფუნქციონირების მექანიზმს. პროგრამა ითვალისწინებს მოამზადოს ხელოვნებათმცოდნე, რომელსაც ექნება ღრმა სისტემური და კომპლექსური ცოდნა ხელოვნებათმცოდნეობის საკითხებში და შეძლებს თანამედროვე და აქტუალური კვლევების წარმართვას. პროგრამა მიზნად ისახავს მაგისტრანტი აღჭურვოს ხელოვნების თეორიის მეთოდოლოგიის ცოდნით, რომელიც მას გამოუმუშავებს ნაწარმოების გააზრების, ანალიტიკური უნარ-ჩვევების, შეფასების კრიტერიუმებს, რაც განსაკუთრებით აქტუალური და პრობლემურია თანამედროვე ხელოვნების აღქმის თვალსაზრისით. საკითხისადმი კომპლექსური მიდგომიდან გამომდინარე, პროგრამა ინტერდისციპლინარული ხასიათისაა და ხელს შეუწყობს კარგად მომზადებული და ფართოდ ერუდირებული თეორეტიკოსის ჩამოყალიბებას. რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-კულტურული განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით მაგისტრი შეძლებს დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შექმნას ხელოვნების თეორიის ფარგლებში. პროგრამა ხელს უწყობს ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების დამკვიდრებას და მეთოდოლოგიურად შემდგომი დონის შექმნას უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად, ან დამოუკიდებელი კვლევისათვის.

პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო კურსები	65 ECTS კრედიტი
აჩევითი კურსები	25 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

მაგისტრანტს ექნება ხელოვნებათმცოდნეობის ცალკეული მიმართულებების თეორიის ღრმა და სისტემური ცოდნა: სახვითი ხელოვნების თეორიაში, მუსიკის სტილთა თეორიაში, ხელოვნების სემიოტიკაში, ხელოვნების ფილოსოფიაში, ხელოვნების ფსიქოლოგიაში ევროპული და ამერიკული თეატრის პრობლემურ საკითხებზე, ზოგადად ევროპული და ამერიკული დრამის თეორიისა და თეატრზე, კინოს თეორიაში, ფილმის ანალიზისა და თანამედროვე კინემატოგრაფიის ძირითად ტენდენციებზე, მხატვრულ კრიტიკასა და თეორიაში, მხატვრული ლიტერატურის ხელოვნების სხვადასხვა დარგებში ინტერპრეტაციის ცალკეულ საკითხებში; იგი დაეუფლება თეორიის შინაარსს, მეთოდოლოგიურ ბაზას, ესთეტიკურ საფუძვლებს, ხელოვნების დინამიკის კანონზომიერებას, ძირითად მხატვრულ კატეგორიებს, მხატვრული ნაწარმოების ფუნქციონირების მექანიზმს და მისი ფორმაქმნადობის სტრუქტურული ელემენტების კანონებს; გააცნობიერებს სტილს როგორც მხატვრულ-ესთეტიკურ და ისტორიულ კატეგორიას, სხვადასხვა ჟანრის პოეტიკის საკითხებს; შეძლებს გამოკვეთოს განსახვავებული ეტაპების და მხატვრული მიმდინარეობების ესთეტიკური მახასიათებლები; შეძენილი სისტემური ცოდნა მაგისტრანტს

<p>საშუალებას მიცემს გააცნობიეროს ხელოვნების ცალკეული პრობლემების კომპლექსურად გადაჭრის გზები, მოახდინოს ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდების გამოყენება, დაეუფლოს ხელოვნებათმცოდნეობის ქვედარგების კვლევის მეთოდებს, ასევე სხვადასხვა პერიოდის და მიმდინარეობის მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოების ხელოვნების სხვა დარგში ინტერპრეტაციის თავისებურებებს, ახალი ფორმაქმნადობის პრონციპებს. მაგისტრანტი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წილის მნიშვნელოვანი გაზრდითა (საკურსო შრომა, სამაგისტრო ნაშრომი) და დაგროვილი სისტემური ცოდნით გააცნობიერებს ხელოვნების თეორიის ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს, იგი თავად შეიმუშავებს და განახორციელებს ორიგინალურ სამეცნიერო იდეებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> <p>ხელოვნების თეორიაში დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შეძენით მაგისტრანტი შეძლებს ახალი და უახლესი ხელოვნების წინაშე მდგომი კომპლექსური პრობლემების დამოუკიდებლად და ორიგინალურად გადაჭრას; იგი დამოუკიდებლად განახორციელებს ნებისმიერი სირთულის ამოცანების დაგეგმვასა და წამოჭრილი საკითხთა გადაწყვეტას მაღალ პროფესიულ დონეზე; დაასაბუთებს, თუ როგორ აისახება ეპოქის ესთეტიკური პრინციპები ხელოვნების ამა თუ იმ დარგში; მაგისტრანტი თავისუფლად შეძლებს მიღებული ცოდნის რეალიზებას სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად შესრულებისას; სამეცნიერო ნაშრომის დაცვას და პრეზენტაციას; დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შეძენით მაგისტრანტს ექნება საფუძველი განათლების მესამე საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად, ან დამოუკიდებელი კვლევის წარმოებისათვის.</p>
<p>დასკვნის უნარი</p> <p>შესწავლილი მასალის გააზრებით მაგისტრანტი შეძლებს ლოგიკურად და დასაბუთებულად დასკვნების ჩამოყალიბებას; კრიტიკული ლიტერატურის მოძიების, შეკრებისა და მასალის დამოუკიდებლად დამუშავების უნარ-ჩვევების გამოყენებით შეძლებს კვლევის წარმართვას; სპეციალობის ფართო პროფილიდან გამომდინარე, (ხელოვნებათმცოდნეობა, სემიოტიკა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია) მაგისტრს გამოუმუშავდება სამეცნიერო მონაცემებზე დაყრდნობით კრიტიკული ანალიზის უნარი; ლოგიკური ანალიზისა და სინთეზური აზროვნების საშუალებით იგი ეფექტურად განაზოგადებს ცალკეული ნაწარმოების სტილურ და სემანტიკურ თავისებურებებს თანამედროვე ეპოქის ზოგადი ღირებულებების ფონზე.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p> <p>მაგისტრანტი შეძლებს ქართულ ენაზე საკუთარი შეხედულებების არგუმენტირებულად გადმოცემას და დაცვას პროფესიულ და აკადემიურ აუდიტორიასთან; დისკუსიაში მონაწილეობას და საკუთარი მოსაზრებების გამოხატვას; ახალი ნაწარმოების წერილობით და ზეპირ შეფასებას აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით; თანამედროვე ინტერდისციპლინარული სამეცნიერო-კვლევითი მეთოდოლოგიის, თვითშეფასების მეთოდებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და პოლემიკის წარმართვის აკადემიურ სტანდარტების დაცვით მაგისტრანტი თავს დაიმკვიდრებს შესაბამის სფეროში.</p>
<p>სწავლის უნარი</p> <p>მაგისტრანტს შეეძლება სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა; კრიტიკული მოსაზრებების ჩამოყალიბება; სწავლის პროცესის თავისებურების გაცნობიერება და მისი სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვა; კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება ნაწარმოების თუ მხატვრული მოვლენის ანალიზისას; სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული გამოყენება და ხელოვნებათმცოდნეობის სფეროში კვლევითი ხასიათის ნაშრომის დამგეგმვა; ზეპირი და წერილობითი ფორმით კვლევითი ამოცანის ჩამოყალიბება და დადგენილი სტანარტის ფორმით კვლევის შედეგების პრეზენტაცია; სახელოვნებო სფეროში ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება და ინოვაციური გადაწყვეტილების მიღება; სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროცესში თვითშეფასების მეთოდების გამოყენება.</p>

ღირებულებები

ხელოვნების თეორიის სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინარული ხასიათიდან გამომდინარე, მაგისტრანტს პროფესიულ დონეზე ჩამოუყალიბებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების შეფასების უნარს; სხვადასხვა კულტურებისა და ხელოვნების ნიმუშების ურთიერთშედარების საფუძველზე იგი გამოკვეთს საკუთარი ეროვნული კულტურისა და ხელოვნების ღირებულებებს, განსაკუთრებულობას, სპეციფიკას, რაც დაეხმარება მას, პატივი სცეს სხვათა განსხვავებულ აზრს და კორექტულად დაიცვას საკუთარი მოსაზრებები კვლევის, პრეზენტაციის და კამათის დროს; დაგროვილი მეცნიერული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე ჰუმანიზმის იდეებიდან გამომდინარე, მას შეეძლება ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში, გარკვეულწილად, საკუთარი წვლილის შეტანაც.

ამერიკისმცოდნეობა

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ამერიკისმცოდნეობის სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა აღნიშნულ დარგში. სამაგისტრო პროგრამა აფართოებს ბაკალავრიატში შეძენილ ცოდნას, ავითარებს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს. პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წილის მნიშვნელოვან ზრდას, უნარების გაღრმავებას ამერიკისმცოდნეობაში შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის; ასევე, დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შექმნას და მეთოდოლოგიურად შემდგომი საფუძვლის შექმნას უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში - სწავლის გასაგრძელებლად.

სამაგისტრო პროგრამა შედგება სამი მოდულისაგან: ისტორია, ლიტერატურა, საზოგადოება/კულტურა. პროგრამაში ჩართული არიან მსოფლიო ისტორიის, ინგლისური ფილოლოგიის, არქეოლოგიისა და სიბველეთმცოდნეობის, ეკონომიკის, გეოგრაფიის დეპარტამენტები. დღეს, როდესაც ასე ინტენსიურად მიმდინარეობს და ვითარდება მრავალმხრივი პარტნიორული თანამშრომლობა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, აქტუალურ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს ახალგაზრდა, კვალიფიციური ამერიკისმცოდნეობის აღზრდის საკითხი.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	15 ECTS კრედიტი
ძირითადი კურსები	75 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

სტუდენტს უნდა ექნეს ღრმა და სისტემური ცოდნა ამერიკისმცოდნეობაში; უნდა ექნეს უნარი კომპლექსურად აღიქვას ქვეყანა. ინტერდისციპლინური მიდგომის წყალობით, უნდა შეძლოს ერთმანეთს დაუკავშიროს მოვლენები სხვადასხვა სფეროდან, მოახდინოს მათი კომპლექსური ანალიზი და გამოიტანოს ლოგიკური დასკვნები; გარდა ამისა უნდა შეიძინოს ღრმა დარგობრივი ცოდნა ამერიკული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ ისტორიაში, პოლიტიკაში, გეოგრაფიაში, ლიტერატურაში, ფილოსოფიაში, კულტურაში; უნდა დაეუფლოს ამერიკული ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის, კულტურისა და საზოგადოების ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდებს; სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წილის მნიშვნელოვანი გაზრდით (რეფერატი, სამაგისტრო ნაშრომი ამერიკის ისტორიის, ლიტერატურის, საზოგადოებისა და კულტურის, მკვიდრ ამერიკელთა თუ გენდერულ საკითხებზე) სტუდენტმა უნდაქ გააცნობიეროს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის გზები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ, დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შეძენით სტუდენტს უნდა ექნეს კოგნიტურ-მეთოდოლოგიური საფუძველი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში - სწავლის გასაგრძელებლად მეცნიერული კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებისა და სრულყოფისათვის. დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გაღრმავების საფუძველზე მისი ცოდნა უნდა იყოს სკალირების C პირველი დონის შეესატყვისი. მაგისტრატურის დასრულების

<p>შემდგომ მან უნდა შეძლოს ამერიკისმცოდნეობაში კვლევის განხორციელება სამეცნიერო ხელმძღვანელის მითითებებით და უახლესი მეთოდების გამოყენებით; სტუდენტებს უნდა ექნეთ ცოდნა და პრაქტიკული უნარები, გადაწყვიტონ სხვადასხვა დარგობრივი თუ ზოგადი პრობლემური საკითხები და მათ გადასაჭრელად მიმართონ სტანდარტულ თუ სპეციფიკურ მეთოდებს. მათ უნდა შეძლონ ასევე, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.</p>
<p>დასკვნის უნარი</p> <p>მაგისტრანტმა უნდა შეძლოს ამერიკისმცოდნეობის მულტიდისციპლინური დარგის სხვადასხვა სფეროში ძირითადი პრობლემების ჩამოყალიბება, ცალკეული თემების შესახებ წერილობითი თუ ზეპირი მსჯელობა, სისტემატიზაცია და კრიტიკული ანალიზის შემდეგ სათანადო დასაბუთებული დასკვნების გამოტანა, ასევე განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით.</p> <p>სამაგისტრო პროგრამამ მაგისტრანტს უნდა შეძინოს ამერიკისმცოდნეობაში დამოუკიდებლად მეცნიერული მუშაობის, კვლევის და ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p> <p>მაგისტრანტს უნდა ექნეს უნარი ამერიკისმცოდნეობის საკითხების მიხედვით, თანამიმდევრულად და აკადემიურად ჩამოაყალიბოს იდეები, მოსაზრებები და ინფორმაციები, როგორც სპეციალისტთა, ასევე არასპეციალისტთა გასაგები ტერმინოლოგიითა და ენით. მან უნდა შეძლოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით გადასცეს თავისი ცოდნა ქართულენოვან და უცხოენოვან მსმენელს; ასევე, მოამზადოს წერილობითი და ზეპირი ანგარიშები სხვადასხვა ტიპის აუდიტორიისთვის.</p>
<p>სწავლის უნარი</p> <p>მაგისტრანტმა უნდა შეძლოს ქართულ და უცხოურ ენაზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა და კრიტიკული მოსაზრებების ჩამოყალიბება, კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება საკითხის ანალიზისას, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული გამოყენება, ამერიკისმცოდნეობის სფეროში კვლევითი ხასიათის ნაშრომის დაგეგმვა, ზეპირი და წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება და დადგენილი სტანდარტის ფორმით წარმოდგენა, კვლევის შედეგების პრეზენტაცია, ასევე ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება, ზოგადი მეთოდოლოგიური უნარების ადეკვატურად გამოყენება და ინოვაციური გადაწყვეტილების მიღება, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროცესში თვითშეფასების მეთოდის გამოყენება. მაგისტრანტს უნდა შეეძლოს საკუთარი სასწავლო პროცესის თანმიმდევრულად და მარავალმხრივად გააზრება, შეფასება და შემდგომი სწავლის გაგრძელებისათვის საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრა.</p>
<p>ღირებულებები</p> <p>მაგისტრანტს უნდა ექნეს სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობა, შეეძლოს სხვათა აზრის გათვალისწინება და პატივისცემა, დამოუკიდებლად სწავლა და კვლევა, ჯგუფური მუშაობა და კვლევითი პრობლემატიკის პროექტირება. მისთვის განსაკუთრებით ფასეული უნდა იქნეს ჰუმანიზმის ისეთი ტენდენციები, როგორიცაა სხვათა მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა და დაფასება.</p>

ევროპისმცოდნეობა

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ევროპისმცოდნეობის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამა ევროპისმცოდნეობაში მულტიდისციპლინარული პროგრამაა, რომლის მიზანია, მისცეს სტუდენტს ევროპულ საზოგადოებასთან, მის კულტურასთან, ფასეულობებთან, ისტორიულ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ ფართო ცოდნა, გააცნოს სტუდენტებს ევროპაში მიმდინარე პროცესები სხვადასხვა დისციპლინის პერსპექტივიდან. პროგრამა ითვალისწინებს ევროპის სოციოკულტურული, გეოპოლიტიკური, ეკონომიკური ერთობის, ღირებულებების, ევროინტეგრაციის საკითხების შესწავლას. პროგრამა იძლევა შესაბამისი კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობას, როგორც ჰუმანიტარული, ენა-ლიტერატურა-კულტურა და სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებების, ევროპის პოლიტიკა და ეკონომიკა, კუთხით.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ევროპისმცოდნეობის სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა აღნიშნულ დარგში. პროგრამა სტუდენტს მისცემს ფართო ცოდნას ევროპის წამყვანი ქვეყნების ისტორიის, იდეების, კულტურის, ეკონომიკის, სამართლის, ინსტიტუციური, მმართველობის სისტემის, სოციალური პროცესებისა და სხვა სფეროების შესახებ მსოფლიო-ისტორიული პროცესების კონტექსტში; ასევე ფართო თეორიული ცოდნას ევროპის ქვეყნების ინტეგრაციის იდეებზე, კონცეფციებზე, პროცესებზე; ჩამოყალიბებს ევროპის ისტორიის, კულტურის, ევროკავშირის ენობრივი პოლიტიკის, ევროპასთან საქართველოს კულტურული ურთიერთობების კომპეტენციას. პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი უნარების გადრმავებას ევროპისმცოდნეობაში შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის სავალდებულო კურსები	30 ECTS კრედიტი
პროგრამის არჩევითი მოდულის ძირითადი კურსები	45 ECTS კრედიტი
არჩევითი კურსები	10 ECTS კრედიტი
პრაქტიკა	5 ECTS კრედიტი
კვლევითი კომპონენტი:	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

პროგრამის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული აცნობიერებს ევროკავშირის ინსტიტუტების როლს, ფუნქციებს და მნიშვნელობას ევროპის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კონტექსტში; გამოიმუშავებს ევროპული მოვლენების, პროცესებისა და პოლიტიკის გააზრებისა და ადეკვატურად რეაგირების უნარს. კურსდამთავრებული აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ევროპისმცოდნეობაში. ინტერდისციპლინარული მიდგომის საფუძველზე, შეძლებს ერთმანეთს დაუკავშიროს მოვლენები სხვადასხვა სფეროდან, მოახდინოს მათი კომპლექსური ანალიზი და გამოიტანოს ლოგიკური დასკვნები. გარდა ამისა, ფლობს ღრმა დარგობრივ ცოდნას ევროპის ქვეყნების ისტორიაში, პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სამართალში, ლიტერატურაში, ფილოსოფიაში, კულტურაში. კურსდამთავრებულს აქვს ფართო ცოდნა ევროპის ქვეყნების ენობრივი ლანდშაფტის, ლიტერატურული პროცესების, ისტორიის, იდეების, ხელოვნების, კულტურის, სახელმწიფოებრივი მოწყობის, ეკონომიკის და პოლიტიკის შესახებ,

ევროკავშირის ინსტიტუტების ჩამოყალიბების და განვითარების, მათი სტრუქტურებისა და ფუნქციების შესახებ. პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წილის მნიშვნელოვანი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ, შექმნილი კოგნიტურ-მეთოდოლოგიური საფუძველების, დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების გათვალისწინებით კურსდამთავრებული შეძლებს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე-დოქტორანტურაში-სწავლის გაგრძელებას, მეცნიერული კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებისა და სრულყოფის მიზნით. მაგისტრატურის დასრულების შემდგომ ის შეძლებს ევროპისმცოდნეობაში ახალი, ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას უახლესი მეთოდების გამოყენებით, კურსდამთავრებულს ექნება ცოდნა და პრაქტიკული უნარები, გადაწყვიტოს სხვადასხვა დარგობრივი თუ ზოგადი პრობლემური საკითხები და მათ გადასაჭრელად მიმართოს სტანდარტულ თუ სპეციფიკურ მეთოდებს. კურსდამთავრებული შეძლებს ასევე, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს ევროპისმცოდნეობის მულტიდისციპლინარული ქვედარგის სხვადასხვა სფეროში ძირითადი პრობლემების ჩამოყალიბებას, ცალკეული თემების შესახებ წერილობით თუ ზეპირ მსჯელობას, სისტემატიზაციას და კრიტიკული ანალიზის შემდეგ სათანადო დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას, ასევე განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზის სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით. სამაგისტრო პროგრამა კურსდამთავრებული შესძენს ევროპისმცოდნეობაში დამოუკიდებლად მეცნიერული მუშაობისა და კვლევის, უახლეს სამეცნიერო მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარს.

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს ექნება ძირითადი უნარი თანმიმდევრულად და აკადემიურად ჩამოაყალიბოს იდეები და მოსაზრებები ევროპისმცოდნეობის საკითხების ირგვლივ. დარგის სფეროს შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით ქართულ და უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი; იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშების მომზადება; პრობლემებისა და თემების განსხვავებული პერსპექტივებისა და განზომილებების ჩამოყალიბება.

სწავლის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს წავლის დამოუკიდებლად წარმართვას და კრიტიკული მოსაზრებების ჩამოყალიბებას, კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას საკითხის ანალიზისას, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული გამოყენებას, ევროპისმცოდნეობის სფეროში კვლევითი ხასიათის ნაშრომის დაგეგმვას, ზეპირ და წერილობით ფორმაში ჩამოყალიბებას და დადგენილი სტანდარტის ფორმით წარმოდგენას, კვლევის შედეგების პრეზენტაციას, ასევე ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების მოძიებას, ზოგადი მეთოდოლოგიური უნარების ადეკვატურად გამოყენებას და ინოვაციური გადაწყვეტილების მიღებას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროცესში თვითშეფასების მეთოდიკის გამოყენებას. კურსდამთავრებული შეძლებს საკუთარი სასწავლო პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად გააზრებას, შეფასებას და შემდგომი სწავლის გაგრძელებისათვის საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრას.

ღირებულებები

კურსდამთავრებული ფლობს სოციალურ და ეთიკურ პასუხისმგებლობას, შეუძლია სხვათა აზრის გათვალისწინება და პატივისცემა, დამოუკიდებელი სწავლა და კვლევა, ჯგუფური მუშაობა და კვლევითი პრობლემატიკის პროექტირება. ასევე შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. ამ

საკითხში მისთვის განსაკუთრებით ფასეული იქნება ჰუმანიზმის ის ტენდენციები, როგორცაა სხვათა მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა და დაფასება. დამოუკიდებლად გააგრძელებს სწავლას და განახორციელებს პროფესიულ საქმიანობას.

ევროპის და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორია

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ისტორიის მაგისტრი ევროპისა და ამერიკის ახალ და უახლეს ისტორიაში

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

ისტორიული მეცნიერების თანამედროვე მიღწევების საფუძველზე ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალობით მაგისტრების მომზადება. მაგისტრანტები შეისწავლიან სხვადასხვა სახის ისტორიული წყაროების და მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ევროპის წამყვანი ქვეყნების და აშშ-ს ისტორიულ-პოლიტიკური განვითარების უმთავრეს მომენტებს, შეიძენენ და განავითარებენ დამოუკიდებელი კვლევა-ძიებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. ასევე პროგრამა უზრუნველყოფს კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლების შესაძლებლობას სწავლის მომდევნო საფეხურზე დოქტორანტურაში.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	15 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	75 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება
ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას ახალი და უახლესი ისტორიის უმთავრესი პრობლემების, ევროპის წამყვანი ქვეყნების და აშშ-ს ისტორიულ-პოლიტიკური განვითარების უმთავრესი მომენტების შესახებ; საკუთარი კვლევითი პრობლემატიკის ირგვლივ იცნობს სხვადასხვა თეორიულ მიდგომებს და მათი კრიტიკული გააზრების საფუძველზე აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს ახალი იდეის სახით.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
განსაზღვრავს შესაბამისი კომპეტენციის დონეზე კვლევის მეთოდებს და პრიორიტეტულ მიმართულებებს, აფასებს ისტორიულ პროცესს ობიექტურად და კომპლექსურად; ადგენს თვისებრივად ახალი არგუმენტირებული ცოდნის მიღების გზებს; შეუძლია ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების იდენტიფიცირება-კლასიფიცირება; კარგად ორიენტირებს და პროფესიონალურ დონეზე ერკვევა გაუთვალისწინებელ, (წინასწარ დაუგეგმავ) მულტიდისციპლინარულ გარემოში.
დასკვნის უნარი
კურსდამთავრებულს შეუძლია პრობლემის განზოგადება და ლოგიკური დასკვნების გაკეთება; ის აფასებს სხვა მკვლევართა მიღწეულ შედეგებს და ნათლად აყალიბებს განსხვავებულ შეხედულებებს; ახდენს უახლესი კვლევების კრიტიკულ გაანალიზებას და იძლევა არგუმენტირებულ დასკვნებს.
კომუნიკაციის უნარი
კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და მეთოდოლოგიური პრობლემების კომუნიკაცია აკადემიურ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხო ენაზე; მაგისტრი იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებს და ავლენს პროფესიული კამათის, მოსმენის, განსხვავებული აზრის პატივისცემის უნარს.

<p>სწავლის უნარი</p>
<p>მაგისტრანტი დამოუკიდებლად იძიებს შესაბამის წყაროებს, ლიტერატურას და ადგენს მათ მნიშვნელობას დასმული პრობლემის გადასაჭრელად. აღრმავებს და აფართოებს შემდგომი სწავლისათვის საჭირო უკვე ათვისებულ სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ ბაზას. მას შეუძლია სტრატეგიულად და მაღალ დონეზე დაეგმოს შემდგომი სწავლის საჭიროება და გზები.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>მაგისტრი იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს; გამორჩეულად იცნობს და აფასებს დასავლურ ღირებულებებს, დემოკრატias, ლიბერალიზმს, პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებს, თანამონაწილეს საკუთარ გარემოში მათი დამკვიდრების პროცესში.</p>

ლინგვისტიკა

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ლინგვისტიკაში

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მაღალკვალიფიციური ფართო პროფილის ლინგვისტი, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთის სივრცეშიც. აღნიშნული პროგრამა მაგისტრანტს მისცემს შესაძლებლობას წარმართოს თანამედროვე და აქტუალური სამეცნიერო კვლევა, გააცნობს მათ თანამედროვე ენათმეცნიერების თითქმის ყველა მიღწევას, შეასწავლის დარგის ისტორიის ყველა ღირებულ მიდგომას, კვლევის სპეციალური მეთოდებს, არსებულ მიმდინარეობებს, გამოუმუშავებს ლინგვისტური კვლევის თანამედროვე უნარს, ჩამოუყალიბებს და განუვითარებს პიროვნულ პასუხისმგებლობას მეცნიერული კვლევის დროს;

ლინგვისტიკის მაგისტრმა თავისუფლად უნდა შეძლოს ენათა თეორიული თუ შედარებითი კვლევა სწავლებისა თუ მუშაობის სხვადასხვა ეტაპებზე.

ლინგვისტიკის მაგისტრი იქნება გამორჩეული მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება. აღნიშნული პროგრამა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	15 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	75 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

შეუძლია პრობლემის დასმა, კვლევის მიზნის ფორმულირება და გადაჭრის გზების აღწერა, ავლენს მიღებულ სპეციალიზაციაში შესაბამისი პროფესიული დონის დემონსტრირების უნარს, შეუძლია კვლევის ახალი, ალტერნატიული გზების და სტრატეგიის გამოკვლევა. მაგისტრი ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას ენათმეცნიერების უმთავრესი პრობლემების და საკუთარი კვლევითი პრობლემატიკის ირგვლივ, იცნობს სხვადასხვა თეორიულ მიდგომებს და მათი კრიტიკული გააზრების საფუძველზე აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს.

შეიძენს ზოგადი და დარგობრივი ლინგვისტიკის ღრმა და სისტემურ ცოდნას, გააცნობიერებს კულტურათაშორისი პრობლემების გადაჭრის გზებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

იძიებს შესაბამის წყაროებს, ლიტერატურას და ადგენს მათ მნიშვნელობას დასმული პრობლემის გადასაჭრელად. განსაზღვრავს კვლევის მეთოდებს და თავისებურად ახალი არგუმენტირებული ცოდნის მიღების გზებს. პროფესიონალურად ასკვნის ლინგვისტური ფაქტების იდენტიფიცირება-კლასიფიცირებას და განსაზღვრავს კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებებს. კურსდამთავრებული კარგად ორიენტირებს და პროფესიონალურ დონეზე ერკვევა გაუთვალისწინებელ, (წინასწარ დაუგეგმავ) მულტიდისციპლინარულ გარემოში და კვლევას დამოუკიდებლად წარმართავს.

დასკვნის უნარი
<p>ახდენს პრობლემის განზოგადებას და გამოაქვს ლოგიკური დასკვნები. ხედავს სხვა მკვლევართა მიღწეულ შედეგებს, აფასებს მათ სათანადოდ და ნათლად აყალიბებს განსხვავებულ შეხედულებებს, ახდენს უახლესი კვლევების კრიტიკულ გაანალიზებას და იძლევა არგუმენტირებულ დასკვნებს, შემოქმედებითად უდგება და ახდენს მოპოვებული ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს.</p>
კომუნიკაციის უნარი
<p>ავლენს პროფესიული კამათის, მოსმენის, განსხვავებული აზრის პატივისცემის და საკუთარის დასაბუთების მეცნიერულ დონეს.</p> <p>შეუძლია საკუთარი და სხვების, არგუმენტაციისა და მეთოდოლოგიური პრობლემების კომუნიკაცია აკადემიურ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, იცნობს და იცავს აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს, იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო-ტექნოლოგიურ საშუალებებს.</p>
სწავლის უნარი
<p>აქტიურად მონაწილეობს, როგორც საკუთარი ასევე სხვათა სწავლებასა და სწავლის თანამედროვე მიდგომების დანერგვაში. აღრმავებს და აფართოებს შემდგომი სწავლისათვის საჭირო უკვე ათვისებულ სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ ბაზას. დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარ სწავლას, სრულად აცნობიერებს ამ პროცესის თავისებურებებს და შეუძლია სტრატეგიულად და მაღალ დონეზე დაგეგმოს შემდგომი სწავლის საჭიროება და გზები.</p>
ღირებულებები
<p>მაგისტრანტი დაიცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს და სხვათა დამსახურების კეთილსინდისიერად შეფასების საფუძველზე შეეცდება დაამკვიდროს ახალი სამეცნიერო ღირებულებები; განუმტკიცდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, ლიტერატურული, მეცნიერული და სხვა სახის დიდმნიშვნელოვანი მოვლენებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა და პრობლემური საკითხებისადმი სწორი მოქალაქეობრივი პოზიცია; გაულრმავდება ეროვნული თვითშეგნება. იცავს თავის პროფესიულ საქმიანობაში და სხვებთან დამოკიდებულებაში მეცნიერული ობიექტურობის პრინციპებს და სწავლა-სწავლების პროცესში ხელს უწყობს მათ განვითარებას. კრიტიკულად აფასებს საკუთარ და კოლეგების შესაძლებლობებს ეთიკის ნორმების დაცვით.</p> <p>ლინგვისტიკის მაგისტრი გამორჩეულად იცნობს და აფასებს კვლევის დასავლურ ღირებულებებს.</p>

საქართველოს ისტორია

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საქართველოს ისტორიის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამა - "საქართველოს ისტორია", სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო კვლევის ერთობლიობას წარმოადგენს და თეორიული მასალებისა და ისტორიული წყაროების შეჯერების საფუძველზე მოამზადებს კვალიფიციურ სპეციალისტს საქართველოს ისტორიის მიმართულებით.

სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიზნებია:

- ბაკალავრიატში შეძენილი ცოდნის გაღრმავება;
- მეცნიერული კვლევის უნარების ათვისება;
- კვლევის ახალი მეთოდების შესწავლა და მეცნიერული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება რაც უპირატესი პირობაა ცოდნის მიღებისა სწავლების მესამე საფეხურზე;
- სწავლის პროცესში მაგისტრანტი შეისწავლის მისანიჭებელი კვალიფიკაციისათვის შესაბამისი დისციპლინების კომპლექსს, რომელიც საკვალიფიკაციო თემასთან ერთად ხელს შეუწყობს მაგისტრის კვლევის უნარის გაღრმავებას.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	15 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	75 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება
საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხების დეტალური და საფუძვლიანი ცოდნა. ქართული საისტორიო და სასულიერო აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპების ღრმა შეცნობა. საქართველოს როლის შეცნობა და გამოკვეთა მსოფლიო პოლიტიკური პროცესების ცალკეულ და გადამწყვეტ ეტაპებზე. საქართველოს როლის განსაზღვრა მსოფლიო ისტორიის განვითარებასთან მიმართებაში.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
ისტორიული პერიოდების, ისტორიულ წყაროთა, მონოგრაფიულ ნაწარმოებთა აღწერა შედარება და კლასიფიცირება ისტორიული მოვლენის შეფასებისას. წყაროთა შერჩევა და საკუთარი იდეის წარმოდგენა. საისტორიო სწავლების მეთოდისა და მეთოდოლოგიის დახმარებით დიდაქტიკური უნარჩვევების განსაზღვრა და გადმოცემის უნარებთან მისადაგება.
დასკვნის უნარი
საკუთარი არგუმენტაციის ლოგიკურად ჩამოყალიბება, დალაგება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. დარგობრივი ცოდნის, მეცნიერული იდეებისა და მიდგომების კრიტიკული განმარტება, კლასიფიკაცია, სინთეზი და ანალიზი.

<p>ადრე მიღებული ცოდნის ახლადშემენილ ცოდნასთან შეპირისპირება და ურთიერთკავშირში არგუმენტირებულად გაანალიზება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>ინფორმაციის მოპოვების მიზნით სამეცნიერო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენების უნარი. სხვადასხვა ჯგუფებთან საერთო ენის გამონახვისა და თანამშრომლობის უნარი. სახელმწიფო ენაზე კომუნიკაციის უნარი.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>სამეცნიერო ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვებისა და შერჩევის უნარი. საკვლევი ინფორმაციის დიფერენცირებულად აღქმისა და სტრუქტურული ელემენტების შერჩევის უნარი. მუშაობის ეფექტურად დაგეგმის უნარი.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო იდეებისა და ღირებულებების განსაზღვრა. მათი პატივისცემა და დაცვა. ისტორიული საზრისის, მოვლენებისა და ფაქტების შეცნობა და პატივისცემა. სწრაფვა ახალი და პროგრესული ღირებულებების დასამკვიდრებლად. სპეციალობის ინტერესებისა და საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის დაცვა.</p>

არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი არქეოლოგიაში

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

- საქართველოს კულტურული და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით, ევროპულ საგანმანათლებლო სისტემაში არსებული თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მოამზადოს უმაღლესი განათლების II საფეხურისათვის განსაზღვრული კომპეტენციებით, სათანადო ცოდნითა და შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური კადრები ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი ცენტრებისა და არქეოლოგიური ექსპედიციებისათვის, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ არქეოლოგიური ძეგლების კვლევაში (არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა, გათხრა, ფიქსაცია, არტეფაქტების კამერალური დამუშავება, რესტავრაცია-კონსერვაცია, პუბლიკაციისათვის მომზადება). საქართველოსათვის არქეოლოგია პრიორიტეტული დარგია და დიდი ყურადღება ექცევა არქეოლოგიური ძეგლების კვლევას, რაც უპირველეს ყოვლისა საბიუჯეტო და საგრანტო დაფინანსების გაზრდაში გამოიხატა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრთან და ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმთან მჭიდრო თანამშრომლობით წარმატებით ახორციელებს ქუთაისისა და იმერეთის რეგიონის არქეოლოგიურ კვლევას.
- კადრების მომზადება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებისა (მუზეუმები, ადგილობრივი და საერთაშორისო ძეგლთა დაცვითი პროგრამები) და ტურიზმის სფეროსათვის.
- სწავლების შემდეგი საფეხურისათვის მომზადება. (დოქტურანტურა).

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	30 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	55 ECTS კრედიტი
საკურსო ნაშრომი	5 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

მაგისტრს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა:

- ✓ სავალდებულო არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია და საქართველოს არქეოლოგიაში (ანტიკური ეპოქის და ადრეიზანტიური ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ); ეგეოსური სამყაროს ისტორიასა, არქეოლოგიასა და კულტურაში; ბერძნული და რომაული სამყაროს არქეოლოგიასა და ხელოვნებაში; ბიზანტიურ ცივილიზაციაში; ანტიკური ქვეყნების ისტორიასა და ეთნოლოგიაში; ანტიკური ხანის საქართველოს საომარ ხელოვნებაში; საქართველოს სოციალურ-კულტურულ დინამიკასა და ეთნოლოგიაში; არქეოლოგიურ წყაროებში; ანტიკური ლიტერატურის პოეტიკაში და ენათმეცნიერებაში; ძველ ბერძნულ და ლათინურ ენებში; ერთ-ერთ უცხო (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ) ენაში; ინფორმაციულ ტექნოლოგიებში; სამეცნიერო წერის საფუძვლებში.

მაგისტრს შეუძლია

- ✓ დარგის წყაროთმცოდნეობითი ბაზის და სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა და შეფასება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ინტერდისციპლინარული მეთოდების მეშვეობით. სამეცნიერო

ნაშრომის წერის პრინციპების და მათი გაფორმების წესების გამოყენება. ინფორმაციის კლასიფიკაცია, ფაქტების შეჯერება და არგუმენტაცია.

- ✓ საქართველოს სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლების გამორჩევა და აღწერა. მათი ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების განსაზღვრა. ასევე მათგან ცალკეული ელემენტების გამოკვეთა და შეფასება. არქეოლოგიური წყაროების სახეობების გარჩევა, მათი შემადგენლობის და დამზადების ტექნიკის განსაზღვრა, კლასიფიკაცია. ისტორიული წყაროების გამოყენება, მათი ანალიზი და შეფასება.
- ✓ ანტიკური და ბიზანტიური ცივილიზაციების გავლენის განსაზღვრა ქართული კულტურის განვითარებაზე და თავის მხრივ ქართული ცივილიზაციის როლის გააზრება ევროპის კულტურულ სივრცეში. ანტიკური ქვეყნების ისტორიის რაობის გააზრება და ისტორიული პროცესის განვითარების კანონზომიერების ფლობა.
- ✓ კლასიკური ენების და ლიტერატურის მნიშვნელობის გაცნობიერება ანტიკური და ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის განვითარებაში.
- ✓ განხილვა ანტიკური ცივილიზაციის მსოფლმხედველობრივი საფუძვლებისა და მისი განვითარების კანონზომიერებებისა. ანტიკური არქექტიპისათვის შესაბამისი ფილოლოგიური, ისტორიული და ზოგადად კულტუროლოგიური ხასიათის კომენტარების გაკეთება. სიმბოლეთმცოდნეობითი სამეცნიერო ტერმინოლოგიური აპარატით ოპერირება.
- ✓ მოპოვებული არქეოლოგიური მასალების კვლევისას წარმოქმნილი ამოცანების გამოკვეთა. ახალი იდეების შემუშავების გზით მის წინაშე წარმოქმნილი ცალკეული სამეცნიერო პრობლემების არსში გარკვევა და მათი გადაჭრის გზების გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მაგისტრს შეუძლია

- ✓ არქეოლოგიური ძეგლების და მასალების დამოუკიდებელი კვლევა უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით. წარმოქმნილი კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა ინტერდისციპლინარული ცოდნისა და დარგობრივი კომპეტენციების გამოყენებით.
- ✓ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების განსაზღვრა. ადგილობრივი და უცხოური არტეფაქტების გამოყოფა და კლასიფიცირება, გამოკვლევა და თეორიულ ცოდნასთან დაკავშირება. რესტავრაცია-კონსერვაციის მეთოდების გამოყენება.
- ✓ ანტიკური კულტურის აქტუალურ საკითხთა გააზრება როგორც ანტიკურობასთან, ისე სხვა კულტურულ პლასტებთან მიმართებაში. ბერძენ-რომაელთა ეთნოსისადმი დამახასიათებელი ეთნიკური კულტურის ელემენტების გამოცნობა.
- ✓ სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობა - სპეციალური და მულტიდისციპლინარული სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა, გააზრება და კრიტიკული ათვისება. ისტორიის წყაროს აღწერა, მისი გადმოცემა ზეპირად და წერითი ფორმით. ასევე წარმოქმნილი სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტის ახალი და ორიგინალური გზების ძიება.
- ✓ მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და კვალიფიკაციის საფუძველზე, კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით სტრუქტურულად გამართული საკურსო და სამაგისტრო ნაშრომის შექმნა, მათ შორის საოფისე პროგრამების მეშვეობით.
- ✓ ტექსტების, სურათების, დიაგრამის, ანიმაციის საშუალებით საპრეზენტაციო დოკუმენტების შექმნა. საოფისე პროგრამების მონაცემების ურთიერთგაცვლა და ოპერაციული სისტემების საშუალებით დოკუმენტების ორგანიზაცია და მართვა.
- ✓ ბერძნული და ლათინურენოვანი წყაროების გამოყენება - ავთენტური ტექსტების შერჩევა, თარგმნა, დამუშავება და კომენტირება. ლექსიკონებისა და მონაცემთა ბაზის გამოყენება.
- ✓ სასწავლო კურსის ფარგლებში საკვლევი საკითხის განსაზღვრა, სამეცნიერო მასალის მოძიება, სისტემატიზაცია და ანალიზი. სამუხეუმო და საარქივო ფონდებზე მუშაობა.

<p>არგუმენტირებული დასკვნის უნარი</p>
<p>მაგისტრს შეუძლია</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესწავლილი მასალის საფუძველზე კვლევის წარმართვა - საკვლევი პრობლემის შესაბამისი წერილობითი და ნივთიერი წყაროების მოძიებისა და მათი დამოუკიდებელი დამუშავების გზით მოპოვებული რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება. მსოფლიო არქეოლოგიური პროცესის ზოგადი გააზრება და ამ პროცესში საქართველოს არქეოლოგიური რეალობის ჩვენება. ✓ ანტიკური ცივილიზაციების, საქართველოს არქეოლოგიური მემკვიდრეობისა და უახლესი აღმოჩენების ლოგიკური ანალიზი. მიღებული სამეცნიერო ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის მეშვეობით საკუთარი დაკვირვებების წერილობითი თუ ზეპირი სახით ჩამოყალიბება. სამეცნიერო პრობლემათა გადაჭრის გზების მოძიება და საკუთარი გადაწყვეტილებების არგუმენტირება. ✓ საკამათო საკითხებზე დისკუსიისათვის თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტების მკაფიოდ ფორმულირება, განზოგადება და სინთეზირება საკუთარი კვლევის ინტერესების და მიზნების შესაბამისად.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>მაგისტრს შეუძლია</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ მშობლიურ და უცხოურ ენაზე (უპირატესად ინგლისური) თავისი დასკვნების, არგუმენტაციის და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია დარგისა და მომიჯნავე სფეროს აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებაში სპეციალური ტერმინოლოგიის და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. ✓ საკუთარი სამეცნიერო შეხედულებების, მოსაზრებების, დასკვნების და არგუმენტების, კვლევის შედეგების ნარატიული ფორმით გადმოცემა და ზეპირი პრეზენტაცია. ✓ პროფესიული საქმიანობის სფეროში სამეცნიერო დისკუსიაში და დებატებში მონაწილეობა. კამათში ეთიკური ნორმების გამოყენებით საკუთარი სამეცნიერო შეხედულებების დაცვა და არგუმენტირება. ✓ კვლევისათვის შესაბამისი ინფორმაციული წყაროების (მათ შორის ინტერნეტ-რესურსების) აღმოჩენა და გამოყენება სამეცნიერო და სასწავლო პროცესში. საკუთარი და სხვისი კვლევის შედეგების სწორად კომენტირება, ანოტირებას, რედაქტირება და შეფასება აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით.
<p>სწავლის უნარი</p>
<p>მაგისტრს შეუძლია</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების საფუძველზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა - ახალი სამეცნიერო-სასწავლო ინფორმაციის მოპოვება, შეთვისება და ადეკვატურად გამოყენება. სამეცნიერო ბრუნვაში შემოსული ახალი სამეცნიერო მასალების გაცნობა-დამუშავება. ახალი მეთოდების შესწავლა და გამოყენება. დამოუკიდებელი მუშაობისათვის გამოყოფილი დროის სწორი მენეჯმენტის განხორციელება. ✓ არქეოლოგიის და მომიჯნავე სფეროებში თითოეული დისციპლინის სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება. მათ დასაუფლებლად შესაბამისი სტრატეგიის მაღალ დონეზე დაგეგმვა და შესაბამისი მეთოდოლოგიის შერჩევა. ✓ საკუთარი ცოდნისა და კომპეტენციების ობიექტურად შეფასება და გაანალიზება. ✓ სამეცნიერო ინტერესების და საკვლევი მიმართულების განსაზღვრა. კვლევითი ნაშრომის (საკურსო და სამაგისტრო) დაგეგმვა, ამოცანების განსაზღვრა და შესრულება.

ღირებულებები

მაგისტრს შეემღება

- ✓ საკუთარი ქვეყნის ისტორიის და კულტურისადმი პატივისცემა, პატრიოტიზმი და ეროვნული სიამაყე.
- ✓ საკაცობრიო ცივილიზაციის მიღწევათა გაზიარება და ფასეულებათა სისტემის აღიარება.
- ✓ ტოლერანტული დამოკიდებულება ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, კულტურული და პოლიტიკური უმცირესობების მიმართ.
- ✓ პროფესიული ეთიკის პატივისცემა და მის ფორმირებაში მონაწილეობა. აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვა.
- ✓ საკაცობრიო და პროფესიული ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების სწორად შეფასება. საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერება საზოგადოების წინაშე.
- ✓ არქეოლოგიასა და ანტიკურ ცივილიზაციებში შემენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების საფუძველზე ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

კლასიკური ფილოლოგია

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კლასიკური ფილოლოგიის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას განაპირობებს: საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და კულტურული კონტაქტები როგორც ანტიკურ საბერძნეთთან და რომთან, ისე ბიზანტიასთან და თანამედროვე საბერძნეთთან; საქართველოში მნიშვნელოვანი ბერძნული დიასპორის არსებობა; ანტიკური და ბიზანტიური სამყაროს როლი და მნიშვნელობა როგორც ევროპული ცივილიზაციის, ისე ქართული კულტურის ფორმირების პროცესში, კლასიკური ფილოლოგიის როლი და ადგილი მსოფლიოს ყველა წამყვანი უნივერსიტეტის კურიკულუმში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალწლოვანი სამეცნიერო კონტაქტები კლასიკური ფილოლოგიის წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებთან და ამ ტრადიციის გადრმავეების აუცილებლობა, რადგან საქართველოში იგი ჯერჯერობით კლასიკური ფილოლოგიის შემსწავლელი ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია. კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა მომავალში ხელს შეუწყობს: ანტიკური, კულტურული ფასეულობების შესწავლასა და ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის განვითარებას; ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის სიღრმისეულ გააზრებას ანტიკურობის, ბიზანტიური და ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში; საქართველოსა და საბერძნეთს შორის უკვე არსებული ურთიერთობების, ქართულ-ბერძნული მრავალსაუკუნოვანი და მრავალმხრივი კავშირების გადრმავეებას.

სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტები, კლასიკური ენების, ანტიკური ლიტერატურისა და კულტურის მკვლევარები.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	30 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	55 ECTS კრედიტი
საკურსო ნაშრომი	5 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტმა იცის: ანტიკური ეპოსი, ლირიკა, დრამა, პროზა ღრმად და სისტემურად; ამ ჟანრებთან დაკავშირებული სამეცნიერო პრობლემატიკა; სრულად და ფრაგმენტულად მოღწეული ნაწარმოებების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა; ძველი ბერძნული და ლათინური ტექსტების სიმბოლიკა და სტილი; ანტიკური ეპოსის რეცეფციის ძირითადი მიმართულებები; ძველი ბერძნული და ლათინური ენების ისტორია; ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის განვითარების ეტაპები და მათი თავისებურებები; დიალექტების თავისებურებები და მათი ჩამოყალიბების ისტორია; მეტრული ლექსთწყობის თეორია, ანტიკური ლექსთწყობის სისტემა, ანტიკური და თანამედროვე ლიტერატურული კონცეფციები; ანტიკური ტრადიციულობის საფუძველი თანამედროვე მხატვრულ აზროვნებაში; ანტიკური ტრადიციის მუდმივობის ისტორიული და კულტურული მიზეზები; ანტიკურობაში გენდერული კვლევების უმთავრესი პრობლემატიკა და თეორიები; ძველი ბერძენი და რომაელი ავტორის (შერჩევით) ცხოვრებისა და შემოქმედების განვითარების ძირითადი ეტაპები და თავისებურებები; შერჩეული ნაწარმოების/ნაწარმოებების მხატვრული და კონცეპტუალური</p>

მხასიათებლები; თანამედროვე ბერძნული და იტალიური ენების გრამატიკა, სტილისტიკა, ლექსიკა, ფრაზეოლოგია, იდიომატიკა; ლათინური და იტალიური ენების შედარებითი გრამატიკის საფუძვლები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია - არსებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების მოძიება ლინგვისტური, ლიტერატურათმცოდნეობითი, კომპარატიული კვლევის მეთოდების გამოყენებით; კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება და რეფერატული ნაშრომის მომზადება კლასიკური ფილოლოგიის ამა თუ იმ დისციპლინის ცალკეულ ასპექტთა შესახებ; კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებულ კვლევით პროექტებში მონაწილეობა; ძველ ბერძნულ და ლათინურ ტექსტთა ანალიზი და ინტერპრეტაცია ანტიკური და თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიების გათვალისწინებით; ბერძნული და ლათინური პოეტური ტექსტების მეტრული თვალსაზრისით სწორი კითხვა; კლასიკური ფილოლოგიის სფეროს აქტუალური, რთული და კომპლექსური სამეცნიერო პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება; ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.

დასკვნის უნარი

აქვს კლასიკური ფილოლოგიის სფეროში შემავალი დისციპლინების რთული და კომპლექსური პრობლემატიკის კრიტიკული ანალიზის შედეგად ლოგიკური დასკვნებისა და არგუმენტების ჩამოყალიბების უნარი; არსებული უახლესი ინფორმაციის, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის (თანამედროვე ჰიპოთეზების, თეორიებისა და კონცეფციების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; კლასიკური ფილოლოგიის სფეროში მიღებული უახლესი ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი; ძველი ბერძნული და ლათინური ენების მორფოლოგიის, სინტაქსისა და სტილისტიკის განმარტების უნარი მშობლიურ ენასთან მიმართებაში; დამოუკიდებლად, ან მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის მოპოვების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის, ინტერნეტის გამოყენებით, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით. მოპოვებული ან/და მიღებული ინფორმაციის კრიტიკული შეფასების, არგუმენტირებისა და სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; მრავალმხრივი ანალიზის, ფილოლოგიური და შესაბამისი ინტელექტუალური კონტექსტის გააზრების უნარი - შეუძლია სპეციფიკური პრობლემის შეჯამება ევროპულ ლიტერატურასა და კულტურასთან მიმართებაში.

კომუნიკაციის უნარი

სტუდენტს აქვს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კლასიკური ფილოლოგიის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით ქართულად და იმ უცხო ენაზე (ენებზე), რომელსაც ის ფლობს, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი მოსაზრებების, იდეების, არგუმენტებისა და დასკვნების გაზიარების მიზნით; კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული უახლესი ელექტრონული რესურსების – საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი; აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ლათინურად კომუნიკაციის უნარი; თანამედროვე ბერძნულ და იტალიურ ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი საშუალო სირთულის სინტაქსური კონსტრუქციებისა და ფრაზების გამოყენებით. ჯგუფური მუშაობის, დისკუსიაში მონაწილეობის, პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები; შეუძლია დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა, მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა; აქვს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებისა და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემის უნარი; პროფესიულ წრეებში ვერბალური და წერილი კომუნიკაციის კულტურა.

<p>სწავლის უნარი</p>
<p>სტუდენტს აქვს კლასიკური ფილოლოგიის სფეროში არსებული როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული პუბლიკაციების, ინტერნეტის გამოყენებით ინფორმაციის დამოუკიდებლად და ეფექტურად მოპოვების უნარი; კლასიკური ფილოლოგიის სფეროში დამოუკიდებლად სწავლისა და სამეცნიერო კვლევის გაგრძელების უნარი; სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი; საკუთარ თავზე მუშაობის და ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფის უნარი; სიტუაციაში ადაპტირების და სამუშაოს დაწყებამდე შესასრულებელი გეგმის შედგენის უნარი, შეუძლია პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვა, სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლისათვის საჭირო პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა. აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა; კლასიკური ფილოლოგიის სფეროში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების უნარ-ჩვევები; დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, სპეციალური, ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის გაღრმავების უნარი.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>სტუდენტს აქვს კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ღირებულებების მიმართ თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი; კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი; კლასიკური ფილოლოგიის ღირებულებების საერთო ევროპული და საკაცობრიო მნიშვნელობის გაცნობიერების უნარი და მათ მიმართ პატივისცემის გრძნობა; კლასიკური და თანამედროვე ევროპული ცივილიზაციების ორგანული კავშირის შეფასების უნარი; იცის კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; სოციალური და ეთიკური, მორალური პასუხისმგებლობის გამომუშავება; პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა; აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვა; აქვს ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკა; კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.</p>

ფილოსოფია-რელიგიის კვლევები

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი არქეოლოგიაში

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამა - “ფილოსოფია-რელიგიის კვლევები” ინტერდისციპლინური ხასიათის პროგრამაა, რომლის მიზანია მოამზადოს კადრი ფილოსოფიური და რელიგიური სწავლებების მიმართულებით, რომელსაც შეეძლება თანამედროვე და აქტუალური სამეცნიერო კვლევების წარმართვა, საზოგადოებაში ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა, ფილოსოფიის მაგისტრი შეძლებს ფილოსოფია-რელიგიის კვლევების სინთეზური ცოდნით გადაჭრას ღირებულებათა სისტემებით, სამეცნიერო თეორიების ცოდნით, იდეოლოგიური პროგრამების შემუშავებით, რელიგიათმშორისი ურთიერთობების, მისიონერული იმპერატივის, პროზელიტიზმისა და რელიგიური თავისუფლების პრობლემები.

ფილოსოფია და რელიგია ცალკეულად ინტერდისციპლინური დარგებია და მათი სრულფასოვანი სწავლება-კვლევა შესაძლებელია მხოლოდ ერთობლივი სწავლება-კვლევის მეთოდით, რაც ბუნებრივად იძლევა ობიექტურ მეცნიერულ შედეგებს. სინთეზური სწავლება-კვლევის პრინციპით არის განსაზღვრული ფილოსოფიისა და რელიგიური სწავლების მეთოდოლოგია.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს მაგისტრანტის სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტერესების კონცენტრირებას ფილოსოფია-რელიგიების კვლევების სფეროში და მაგისტრანტს საშუალებას აძლევს მიიღოს ფართო ცოდნა ფილოსოფიისა და რელიგიის კვლევების დარგში.

საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს ამზადებს ფილოსოფიურ და რელიგიურ პრობლემებზე მიმდინარე სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო მსჯელობებში აქტიური მონაწილეობისათვის; აძლევს ცოდნას თანამედროვე გლობალიზაციის პროცესებში გარკვევისათვის, მასში ფილოსოფიისა და რელიგიის ფაქტორის გააზრება-შეფასებისათვის და ა.შ. პროგრამა მიზანია მოამზადოს კვალიფიციური კადრი თანამედროვე ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, რელიგიის თეორიების ცოდნასა და კვლევების მეთოდოლოგიაში; გაარკვეოს მაგისტრანტი მრავალმიმართულებიან-მრავალკომფლექსურ სამეცნიერო კონცეფციებში.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	30 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	55 ECTS კრედიტი
საკურსო ნაშრომი	5 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- ✓ მაგისტრს გააჩნია ფილოსოფიისა და რელიგიის კვლევების დარგში ფართო და სისტემური ცოდნა, რომელიც განათლების პირველი საფეხურით მიღებული ცოდნის გაღრმავება-კვლევების კონტექსტში, მისი გამოყენებისა და ახალი იდეების შემუშავების საშუალებას იძლევა;
- ✓ აქვს ემპირიული მასალის, ინფორმაციის შეგროვება და აგუფების, სამეცნიერო პრობლემის ინტერპრეტაციის უნარი; ფლობს დარგში არსებულ სამეცნიერო ტერმინოლოგიას და მუშაობის მეთოდებს;

<ul style="list-style-type: none"> ✓ ღრმად აქვს გაცნობიერებული ზოგადად დარგის ინტერდისციპლინარული ხასიათი, იცნობს სასპეციალიზაციო და დარგობრივ ძირითად პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს, რის საფუძველზეც უნარი შესწევს მიღებული ცოდნა გამოიყენოს კვლევითი მიზნებისათვის; ✓ გააჩნია ფილოსოფიურ-რელიგიური ანალიზის და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევები; იცნობს სწავლება-კვლევის ტრადიციულ და ინოვაციურ მეთოდებს.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ✓ ფილოსოფია-რელიგიის შედარებითი კვლევების მიმართულებით მიღებული ცოდნის გამოყენება კომპლექსურ პრობლემებში გარკვევისათვის; ✓ თეორიული და ემპირიული მასალის შეჯერების საფუძველზე, დარგში მიმდინარე პროცესების განსაზღვრა-ანალიზის დაწერვა პრაქტიკულ საქმიანობაში; ✓ მიღებული ცოდნა გამოიყენოს ახალ, გაუთვალისწინებულ გარემოში, ან (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში; ✓ სასწავლო პროცესში ზოგად-ფილოსოფიური და რელიგიური პრობლემების მოძიება-აღმოჩენა, მათი გადაწყვეტის ადეკვატურ-ეფექტური რეკომენდაციების შემუშავება და პრაქტიკულ გარემოში დაწერვა; ✓ კონკრეტული თემატიკის ფარგლებში მიმდინარე დისკუსია-პოლემიკაში ჩართვის, სადააო არგუმენტების ანალიზი და კრეატიული გადაწყვეტის უნარი; თანამედროვე სასწავლო მეთოდების დაწერვის უნარი სასწავლო-საგანმანათლებლო სფეროში; ✓ სიტუაციაში ადაპტირების და მუშაობის პროცესში გადაწყვეტილების მიღების უნარი;
<p>დასკვნის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ✓ აქვს დარგში არსებული უახლესი მეცნიერული კვლევების განზოგადება-ინტეგრირების უნარი; ✓ შეუძლია განყენებული მონაცემებისა თუ სიტუაციების ანალიზი დარგის შესაბამისი სტრატეგიულ-ინოვაციური მეთოდების გამოყენებით; ✓ არგუმენტებით მსჯელობისა და ფორმულირებით გადმოცემის, სტრუქტურის ელემენტთა ურთიერთზეგავლენის გააზრების უნარი; ✓ შეუძლია სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ✓ მაგისტრს შეუძლია ფილოსოფიისა და რელიგიის დარგებისათვის დამახასიათებელი კანონების გამოყენებით სწორი მსჯელობა, მშობლიურ ენაზე და უცხო ენაზე საზოგადოებისათვის კვლევის შედეგების აკადემიურ დონეზე არგუმენტირებულად მიწოდება; ✓ აქვს აკადემიური კომუნიკაციის, კოლეგიალობის დაცვის და ინტერდისციპლინარ ჯგუფში მუშაობის უნარი; ✓ საკუთარი აზრისა და დასკვნების ჩამოყალიბების უნარი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენების საფუძველზე;
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ✓ აქვს სწავლის დროისა და პროცესის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი; სამუშაო გეგმის დამოუკიდებლად შედგენის, პრიორიტეტების გამოკვეთის, სწავლის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა-გამოყენების უნარი; ✓ მაგისტრანტს გაცნობიერებული აქვს ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა, რაც ეხმარება სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვაში, რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; შესწევს უნარი შეაფასოს სწავლება თანმიმდევრულად და მრავალმხრივად და შეუძლია სწავლის დროს მიღებული ცოდნისა და უნარების დამოუკიდებლად სრულყოფა დარგობრივ საქმიანობაში;

- ✓ აქვს სხვადასხვა სახით (არქივებში, ბიბლიოთეკებსა და ინტერნეტ-რესურსებში) დარგის ირგვლივ არსებული ლიტერატურისა და წყაროების მოძიების, დანუშავებისა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანის უნარი;

ღირებულებები

- ✓ გაცნობიერებული აქვს დარგის თეორიული ცოდნისა და ღირებულებების მნიშვნელობა ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ, რელიგიური და სოციალური პროგრესის საქმეში; გააჩნია მათი მნიშვნელობის შეფასების უნარი;
- ✓ აქვს განსხვავებული აღმსარებლობის პროფესიულ აუდიტორიასთან, ეთნიკურ-აღმსარებლობითი ნორმების დაცვით, ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის უნარ-ჩვევები;
- ✓ გაცნობიერებული აქვს პროფესიული, სოციალური, რელიგიური და ეთიკური ნორმები; იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს, ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას;
- ✓ შესწევს უნარი ჩაერთოს საზოგადოების ეროვნულ-სოციალური თვითშეგნების განმტკიცების პროცესში.

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირება

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს ბიზნეს პროცესების მართვისა და კვლევითი უნარებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური მენეჯერი, რომელსაც შესწევს უნარი, ერთი მხრივ, დააკვირდეს და გაანალიზოს ბიზნეს გარემოში მიმდინარე პროცესები, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები როგორც გუნდში, ისე ინდივიდუალურად და, მეორე მხრივ, გააგრძელოს სწავლა უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე.

პროგრამის სტრუქტურა

ზოგადი სასწავლო კურსები	45 ECTS კრედიტი
თავისუფალი კრედიტები	15 ECTS კრედიტი
არჩევითი კონცენტრაციები(ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, აგრობიზნესის მენეჯმენტი, მარკეტინგი)	60 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და განცობიერება

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ღრმად და საფუძვლიანად არის დაუფლებული საბაზრო პროცესების როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს, კომპანიის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდებსა და პრინციპებს, მენეჯერის საქმიანობასთან დაკავშირებულ მმართველობითი აღრიცხვის ძირითად საკითხებს, კაპიტალის სტრუქტურისა და აქტივების შემადგენლობის ფორმირების საერთო პრინციპებს, ფულადი ნაკადებისა და ფინანსური რისკების მართვის მეთოდებს საწარმოს კრიზისული განვითარების პირობებში და ფინანსური მართვის მექანიზმებს; რისკების მართვის ორგანიზაციას ბიზნეს გარემოში, რისკების მართვის კონტროლის, რისკების მართვის ბიუჯეტირების და რისკების მართვის ეფექტიანობის შეფასების მეთოდებს; ბიზნესის სფეროში მოვლენებისა და პროცესების დინამიკის ეკონომიკურ-სტატისტიკური პროგნოზირების და სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიღების რაოდენობრივ მეთოდებს, ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის რაოდენობრივი შეფასების, ინფორმაციის საიმედოობისა და ხარისხის გაზომვის ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენების ასპექტებს; ფინანსური სტრატეგიის ფორმირებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და მათი დაძლევის გზებს; ბიზნეს სფეროში მოლაპარაკებების წარმატებით წარმართვისა და კონფლიქტების მართვის ხელოვნებას.

ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტის კონცენტრაციით - მაგისტრანტს სიღრმისეულად აქვს შესწავლილი ფინანსური ბაზრების სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდები, მატერიალური და ადამიანური რესურსების მართვის მეთოდოლოგია, საქართველოს თანამედროვე სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა და ფუნქციონირების თავისებურებები, სადაზღვევო პროდუქტების რეალიზაციის არხები და აქტუარული გათვლების მეთოდები; საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობების მონაწილეების ფუნქციები და საქმიანობის პრინციპები, კორპორაციულ საწარმოთა სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შეფასებისა და ბუღალტრულად დამუშავების გზები; ფინანსური, შესაბამისობისა და

ეფექტიანობის აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია; ბიზნეს-პროგნოზირების მეთოდოლოგია და ბიზნეს-პროცესების სამართლებრივი რეგულირების საკითხები.

მენეჯმენტ-მარკეტინგის კონცენტრაციით - ღრმად და საფუძვლიანად აქვს შესწავლილი საერთაშორისო გარემოში საბაზრო მოდელის პარამეტრებისა და კრიტერიუმების მოქმედების მექანიზმები, საწარმოო პროცესის მართვის ტექნიკა და ტექნოლოგია, საწარმოო პროდუქტზე მოთხოვნის წარმოქმნის სპეციფიკა და საწარმოო მომხმარებლის ქცევა; მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების თავისებურებები როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების თანამედროვე მოდელები; მარკეტინგული კომუნიკაციის როლი ბიზნესში, ბრენდინგის მნიშვნელობა მარკეტინგულ სტრატეგიაში, ძლიერი ბრენდის შექმნისა და წინ წაწევის მეთოდები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

კურსდამთავრებულს შეუძლია თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევების საფუძველზე წარმატებული ბიზნეს-სტრატეგიების შემუშავება, კომპანიის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება, ბიზნესის საერთაშორისო და ეროვნულ პოლიტიკურ-სოციალურ გარემოსთან ადაპტირება, მოლაპარაკებების ეფექტური სტრატეგიის შერჩევა, კონფლიქტების მიზეზების გამოვლენა და მათი დარეგულირება; სწორი მენეჯერული გადაწყვეტილების მიღება, გასული და მიმდინარე პერიოდის მონაცემების გაანალიზების გზით სამეურნეო სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის მოსალოდნელი რისკების შეფასება, კომპანიის საკუთარი და მოზიდული კაპიტალის ეფექტიანი მართვა, კომპანიის წინაშე მდგომი კომპლექსური ინვესტიციური პრობლემების გადაჭრის ორიგინალური გზების დასახვა და მათი რეალიზება.

ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტის კონცენტრაციით - კურსდამთავრებულს თავისუფლად შეუძლია კომერციული ბანკების საქმიანობის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება და მართვა, ბანკის ფინანსური რესურსების მართვა, ბანკის კლიენტის მომსახურების მართვა, ფინანსურ ბაზრებზე არსებული უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება, სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვების მართვა, ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების კურსის პროგნოზირება და გარიგებების დადება, მოსალოდნელი ტრენდების და შესაძლებლობების შეფასება და მათზე რეაგირება; ქვეყნის საგადასახდელი ბალანსის წაკითხვა და შეფასება; სამეურნეო სუბიექტის ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შემუშავება და დანერგვა, შიდა აუდიტის სუბიექტების შექმნა ცალკეულ დაწესებულებებში, კორპორაციის სამეურნეო ოპერაციების ასახვა შინაარსის მიხედვით, სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების ასახვა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

მენეჯმენტ-მარკეტინგის კონცენტრაციით - კურსდამთავრებულს შეუძლია საერთაშორისო გარემოში კომპანიის მართვის კლასიფიკატორის შემუშავება, საერთაშორისო ვაჭრობის ინსტრუმენტებით მანიპულირება, სწრაფად ცვალებად გარემოში საწარმოს ეფექტური მართვა; მარკეტინგული კომუნიკაციური სისტემის ფორმირება - პერსონალური გაყიდვების, გასაღების სტიმულირებისა და პირდაპირი მარკეტინგის გამოყენება ბიზნესში; ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოში მარკეტინგული სამსახურის ორგანიზება და წარმართვა; მმართველობითი გადაწყვეტილების მომზადების, მიღებისა და რეალიზაციის თავისებურებები. მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება ინტერნეტ-სისტემის გამოყენებით; პროდუქციის ფორმირება, ფასწარმოქმნა და დისტრიბუციის პროცესის წარმართვა საწარმოში.

დასკვნის უნარი

<p>კურსდამთავრებული ახდენს ბიზნეს სფეროს რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული აუდიტორული დასკვნების ჩამოყალიბებას და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე წარმატებული მოლაპარაკებების წარმოების, კონფლიქტების ეფექტური მართვის, კომპანიის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების შესახებ ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის დამყარება დაინტერესებულ პირებთან.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>შეუძლია ბიზნეს სფეროს სიღრმისეული შესწავლის მიზნით კვლევის მეთოდოლოგიის დამოუკიდებლად განსაზღვრა.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესგარემოში ურთიერსარგებლიანობის პრინციპების შეფასება, ბიზნესეთიკის ნორმების დაცვა და საერთაშორისო ბიზნეს გარემოს შესწავლის საფუძველზე ახალი ღირებულებების დამკვიდრება ბიზნეს სფეროში.</p>

ჟურნალისტიკა

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი ჟურნალისტიკაში

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამა ფოკუსირებულია რეგიონული ჟურნალისტიკის განვითარებაზე, რეგიონში არსებულ მედიასაშუალებებში მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე. პროგრამა განკუთვნილია ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრიატდამთავრებულთათვის. შესაბამისად, პროგრამის მიზანია ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლოს და გამოუმუშაოს ჟურნალისტიკისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, მოამზადოს როგორც მაღალკვალიფიციური ჟურნალისტი, რაც ქართულ მედიას და განსაკუთრებით იმერეთის რეგიონულ მედიას, შემატებს განათლებულ, პროფესიული ჩვევების თვალსაზრისით კარგად მომზადებულ, კონკურენტუნარიან კადრს.

შემოთავაზებული პროგრამამ უნდა უზრუნველყოს:

- მაგისტრების მომზადება ჟურნალისტიკის სპეციალიზაციით; მათი ცოდნის გაღრმავება და გამდიდრება თანამედროვე უცხოური და ქართული ჟურნალისტიკის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების გათვალისწინებით.
- მაგისტრები შეისწავლიან ჟურნალისტიკის მენეჯმენტს, თანამედროვე პოლიტიკის, ეკონომიკისა და ყოფის აქტუალურ საკითხებს, მოვლენების ანალიზის ფორმებსა და საკითხისადმი პროფესიული მიდგომის მეთოდებს.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	15 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	65 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამის ათვისებით კურსდამთავრებული ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას ჟურნალისტიკის ძირითადი ტენდენციების შესახებ, როგორც იმუშაოს წყაროებთან და მონაცემთა ბაზებთან.

აცნობიერებს მედიასისტემების როლს დემოკრატიზაციისა და საზოგადოების განვითარების პროცესში; მედიისა და მედიამკვლევარის როლს და მნიშვნელობას საზოგადოებაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ტექსტის სტრუქტურირება, მიზნის გათვალისწინებით სხვადასხვა სახის ტექსტის შექმნა;
- შემოქმედებით მუშაობა სხვადასხვა ფორმებით-წერილობით, ზეპირი, ხმასთან და გამოსახულებასთან;
- დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობა კვლევების წარმოებისას;
- მედიის სხვადასხვა სახის დასაფუძნებლად განახორციელოს კვლევითი პროექტების და მედიისა და კომუნიკაციის სფეროში პროექტების დამოუკიდებლად მართვა;
- ანალიტიკური მასალის მომზადება და მედიაკრიტიკა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მართვა, მედიაკამპანიის დაგეგმვა და განხორციელება;

<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია წარმატებული სარეკლამო კამპანიის დაგეგმვა; ▪ ვებტექნოლოგიების გამოყენებით ინტერნეტრადიოს, ინტერნეტელევიზიის, ინტერნეტგაზეთისა და ჟურნალის დაფუძნება.
<p>დასკვნის უნარი</p>
<p>რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკულად გააზრება და დასაბუთებული დასკვნების გამოტანა; აქვს დოკუმენტებზე მუშაობის ჩვევები, რაც გამოისახება პრობლემების და ამოცანების შესატყვისი ინფორმაციის გამოყოფაში, დამუშავებასა და კლასიფიცირებაში, შენახვასა და ადეკვატურ გამოყენებაში.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ რესპონდენტებთან კორექტული უთიერთობების დამყარება; ▪ დისკუსიებში აქტიური მონაწილეობის მიღება; ▪ არგუმენტების დამარწმუნებლად ფორმულირება და ეფექტურად გამოხატვა; ▪ კრიტიკული აზრის საფუძვლიანად გამოთქმა და განსხვავებული მოსაზრებების გათვალისწინება
<p>სწავლის უნარი</p>
<p>შეუძლია სხვადასხვა წყაროდან დამოუკიდებლად ინფორმაციის მოპოვება; საკუთარი დროის ოპტიმალური განაწილება; პრიორიტეტების დამოუკიდებლად დასახვა და გეგმის თანმიმდევრული მიყოლა; აქვს ლიტერატურაზე სიღრმისეული მუშაობის ჩვევები; შეუძლია სასწავლო პროცესის კრიტიკული ანალიზი და შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>პროგრამის შესწავლის შედეგად მაგისტრანტს ჩამოუყალიბდება პროფესიული შეგნება და თვითშეგნება, ობიექტურობა და პრინციპულობა; პრაქტიკულ მუშაობაში მაგისტრები დაამკვიდრებენ ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა პროფესიული ჟურნალისტური სტანდარტისა და ეთიკური ნორმების დაცვა.</p>

საჯარო მმართველობა

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია თეორიული მასალების, ისტორიული წყაროებისა და მრავალფეროვანი თეორიული მიდგომების ანალიზის საფუძველზე მოამზადოს სპეციალისტები და ანალიტიკოსები სოციალური მეცნიერებების სფეროში. პროგრამაში მოცემული სალექციო კურსები წარმოდგენილია კონკრეტული წყაროებისა და სოციალური მეცნიერებების თანამედროვე მიდევნების ანალიზის საფუძველზე, რაც გვაძლევს საჯარო მმართველობის სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტების კვლევის საშუალებას. მაგისტრანტი შეისწავლის შესაბამისი დისციპლინების კომპლექსს_საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას, დიპლომატიის ისტორიას, საერთაშორისო სამართლის საფუძვლებს, პოლიტიკურ მეცნიერებებს. სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს გამოუმუშავებს დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევითი მუშაობის უნარს. იგი ამზადებს სპეციალისტებს შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის. სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მომავალი საჯარო მოხელეების მომზადებას.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა - „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამის წარმატებით გავლა კურსდამთავრებულს უქმნის მყარ საფუძველს სწავლების შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	15 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	70 ECTS კრედიტი
პრაქტიკა	5 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>კურსდამთავრებულს საფუძვლიანად აქვს შესწავლილი პოლიტიკური მეცნიერებების ცნებით-კატეგორიული აპარატი, საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდოლოგია; იდეოლოგიებისა და მსოფლიო პოლიტიკური პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, საერთაშორისო სამართლის ძირითადი კონვენციები, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ურთიერთდამოკიდებულება, საერთაშორისო პოლიტიკური ტენდენციებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემების მიზეზები და შედეგები, ეროვნული და რეგიონული პოლიტიკის თავისებურებები და მსოფლიო პოლიტიკურ ტენდენციებთან მათი ურთიერთკავშირი.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> <p>კურსდამთავრებულს თავისუფლად შეუძლია პროფესიული ტერმინოლოგიისა და მეთოდების გამოყენება კვლევის წარმოებისას, გლობალური, რეგიონული, ეროვნული პოლიტიკური მოვლენების ანალიზი, საჯარო მმართველობის სხვა სოციალურ მეცნიერებებთან დაკავშირება, მრავალმხრივი დარგობრივი ინფორმაციის დამუშავება და კლასიფიცირება.</p> <p>საერთაშორისო პოლიტიკური ტენდენციებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემების გაანალიზება, საერთაშორისო ორგანიზაციების როლის შესწავლა საერთაშორისო ურთიერთობებში და</p>

<p>მათი საქმიანობის სპეციფიკა, ეროვნული და რეგიონული პოლიტიკის თავისებურებების გათვალისწინება და მათი ურთიერთკავშირი პოლიტიკურ ტენდენციებთან.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>
<p>საკუთარი მოსაზრების ლოგიკურად ჩამოყალიბება და არგუმენტირებული მსჯელობა; დისკუსიის წარმართვის უნარი, საკუთარი მოსაზრების დაცვისა და სხვისი აზრის პატივისცემა, მსჯელობის ლოგიკის წვდომა, მრავალმხრივი დარგობრივი ინფორმაციის მიმართ კრიტიკული და ანალიტიკური დამოკიდებულება, ინტერპრეტაციის უნარი.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ პროფესიული ინფორმაციის მოპოვების მიზნით თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენების უნარი. ▪ სახელმწიფო ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით ცოდნის დამაჯერებლად და დასაბუთებულად წარმოჩენის უნარი. ▪ კომუნიკაბელურობა, გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის უნარი, ცვალებად გარემოსთან შეგუებისა და ზეგეგმიური მუშაობის უნარი; ▪ საჯარო, კერძო და არასამთავრობო სტრუქტურებთან პროფესიული ურთიერთობებისა და ინფორმაციის გაცვლის უნარი.
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ დარგობრივი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების უნარი. ▪ დამოუკიდებელი მუშაობის ეფექტურად დაგეგმვის უნარი. ▪ დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით პროფესიული ცოდნის განახლებისა და პროფესიული განვითარების უნარი.
<p>ღირებულებები</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ ზოგად საკაცობრიო იდეების და მიღწევების დაცვა და პატივისცემა; ▪ ეროვნული ფასეულობების და ღირებულებების, ტრადიციების დაცვა და პატივისცემა; ▪ ახალი ფასეულობების და ღირებულებების ფორმირებაში და მათ დამკვიდრებაში მონაწილეობის სწრაფვა და სურვილი; ▪ სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი გამოირჩევა მარალი სამოქალაქო შეგნებით და პროფესიული აქტიურობით, ეთიკით და კულტურით, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი ფრთხილი დამოკიდებულებით, პატიოსნებით და ღირსებით, პასუხისმგებლობის გრძნობით, საწირო ნებისა და თანმიმდევრობის გამომჟღავნებით, საკუთარი პროფესიის არსის და სოციალური ღირებულებების და დანიშნულების კარგი გააზრებით.

სისხლის სამართალი

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სისხლის სამართლის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს:

- ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება და კურსდამთავრებულის აღჭურვა როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამართლებრივი სივრცის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციით; აქცენტის გაკეთება ანალიტიკური და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე;
- მაგისტრანტის მომზადება საადვოკატო, საპროკურორო და სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისათვის, შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- პრაქტიკასა თუ თეორიაში არსებული პრობლემური საკითხების გამოვლენა, საკუთარი პოზიციის, პრობლემის გადაჭრის და ობიექტური დასკვნების გაკეთების და ანალიტიკური აზროვნების უნარის გამომუშავება;
- სამართლის მაგისტრმა უნდა შეძლოს ჯგუფური მუშაობა კოლეგებთან, პრობლემური საკითხების გადაწყვეტა კოლექტიურად და სხვათა შეხედულებების მოსმენა, შეფასება და გაზიარება;
- პროგრამასთან დაკავშირებული კვლევების ხარისხის გაცნობიერება; დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის სამართლებრივი არგუმენტაციის კრიტიკისა და სინთეზის უნარ-ჩვევების ფლობა, სხვა საჭირო კომპეტენციების განვითარება და სწავლის გაგრძელება სადოქტორო პროგრამაზე;
- სისხლის სამართლის მაგისტრი უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული და საერთაშორისო სამართლით აღიარებულ მოთხოვნებს. მას უნდა შეეძლოს პროფესიული ეთიკის ძირითადი ღირებულებების დაცვა და პატივს უნდა სცემდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ძირითად პრინციპებს;
- სამაგისტრო პროგრამა ამზადებს სტუდენტს საადვოკატო, საპროკურორო და სამოსამართლო საქმიანობისათვის. შესაბამისად აღნიშნული სფეროები განსაზღვრავს სამართლის მაგისტრის სამომავლო დასაქმებას.

პროგრამის სტრუქტურა

თეორიული კომპონენტები	60 ECTS კრედიტი
პროფესიული პრაქტიკა	30 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>ზოგადი კომპეტენციები: აქვს სწავლების სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას. გაცნობიერებული აქვს შესაბამისი სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები: სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის საკვანძო საკითხების განსაზღვრა და გაანალიზება; სისხლის სამართლის პროცესში ძირითადი პრობლემების გამოკვეთა და დასმული პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობის ჩამოყალიბება. სისხლის სამართლის ძირითადი და აქტუალური საკითხების ღრმა ანალიზი.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>

<p>ზოგადი კომპეტენციები: განმარტების მეთოდების გამოყენებით შეუძლია სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები: თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ეფექტური გამოყენება და პრობლემის გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება, კონკრეტულ სიტუაციაში პრობლემის დანახვა და შეფასება.</p> <p>ამ პრობლემათა გადასაწყვეტად კონკრეტული პრაქტიკული სტრატეგიის შემუშავება; პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა, პრაქტიკული მუშაობის დაგეგმვა-ორგანიზება; ეფექტური იურიდიული პრაქტიკის განხორციელებისათვის მიზნებისა და პრინციპების, საქმის სამართლებრივ-ფაქტობრივი ვერსიების ფორმულირება; მოვლენებისა და პროცესების კომპლექსური და ობიექტური შეფასება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p> <p>ზოგადი კომპეტენციები: ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკის ან მეცნიერული მიდგომების პირობებში შეუძლია ცვლილებების ანალიზი და გამომდინარე დასკვნის ჩამოყალიბება.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები: შეუძლია პრობლემის შესახებ განზოგადებული, არგუმენტირებული და დასაბუთებული დასკვნის გამოტანა. პრობლემების ერთობლიობაში გადაწყვეტის მიზნით სხვა დისციპლინებში მიღებულ ცოდნასა და უნარებთან სამართლის სფეროში მიღებული ცოდნისა და უნარების დაკავშირება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების შემუშავება; ცალკეული მეცნიერული არგუმენტაციის, საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p> <p>ზოგადი კომპეტენციები: შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენაზე გადასცეს საკუთარი სამართლებრივი დასკვნები და არგუმენტები.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები: სიხლის სამართლის აქტუალურ საკითხებზე და პრობლემებზე კამათის კულტურა და სამართლებრივ საკითხთა პრეზენტაციების უნარი; მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომპლექსური სისხლისსამართლებრივი საკითხის, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად ჩამოყალიბების უნარი; მოსმენის, დარწმუნებისა და პრობლემების გადაწყვეტის უნარები.</p>
<p>სწავლის უნარი</p> <p>ზოგადი კომპეტენციები: შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი, გაიფართოოს ცოდნა შესაბამისი სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები: მიღებული ცოდნის დამოუკიდებლად გაფართოების უნარი. თანამედროვე მეთოდებზე დაყრდნობით სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში ინფორმაციის მოძიების, მეცნიერული ლიტერატურისა თუ სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის, მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციის, აღქმის, ანალიზისა და გადმოცემის უნარი. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომების დანერგვისათვის საჭირო სტრატეგიების შემუშავება; სამართლებრივი კვლევის უახლესი მიღწევების ფართოდ გამოიყენება.</p>
<p>ღირებულებები</p> <p>ზოგადი კომპეტენციები: მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად ანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს და, საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები: საქმიანობის კონკრეტულ სფეროში სამართლიანობის უზრუნველსაყოფად ანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს - პიროვნების პატივისა და ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, სამართლიანი სასამართლოს, უდანაშაულობის პრეზუმფციის მნიშვნელობას და საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების</p>

ფორმირებაში, რათა მოახდინოს ზნეობრივი საკითხების გამოკვეთა და სათანადო გადაწყვეტილების მისაღწევად შესაბამისი პრინციპებისა და წესების გონივრულად გამოყენება; ადამიანებთან ურთიერთობაში ზრდილობიანი დამოკიდებულებისა და პატივისცემის გამოხატვა. პროფესიული ეთიკის ნორმების გაცნობიერება.

საჯარო სამართალი

უმალესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო სამართლის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება, ანალიტიკური და პრაქტიკული უნარების განვითარება, კერძოდ:

- საჯარო-სამართლებრივი ინსტიტუტების ღრმა და სისტემური ცოდნა, შესაბამისი სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზების და სტრატეგიის განსაზღვრა;
- თეორიასა და პრაქტიკაში მიმდინარე უახლესი ცვლილებების კრიტიკული გააზრება და ინტერპრეტაცია, შემოქმედებითობის დემონსტრირება, პროფესიულ დონეზე განვითარება;
- პრაქტიკულ საქმიანობაში რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინება; ინტელექტუალურ და აკადემიურ განვითარებასთან ერთად მოქალაქეობრივი სულისკვეთებით აღზრდა;
- პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება, სამსახურებრივი ვალდებულების შესრულებისას სამართლიანობისა და მორალის უზრუნველყოფა, კომუნიკაციის ეფექტური მეთოდების გამოყენება;
- პროგრამასთან დაკავშირებული კვლევების ხარისხის გაცნობიერება; დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის სამართლებრივი არგუმენტაციის კრიტიკისა და სინთეზის უნარ-ჩვევების ფლობა, სხვა საჭირო კომპეტენციების სწავლების შემდგომ საფეხურზე განვითარება;
- სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე მოსამართლის უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით გადაწყვეტილებისათვის მასალების მოძიების, ფორმულირებისა და დასაბუთების სწავლება;
- საჯარო მოხელის უნარ-ჩვევების გამომუშავება, სამართლებრივი აქტების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება-გაანალიზება და გამოყენების სწავლება;
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ასევე კონსტიტუციური სამართალწარმოების ზოგიერთი ინსტიტუტის პრაქტიკაში გამოყენების სწავლება-განზოგადება;
- საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონეს განუვითაროს საქართველოს სასამართლო ორგანოთა სისტემაში, საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის და მთავრობის ცალკეულ სამსახურებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, საქართველოს კონტროლის პალატაში, აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებულ სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში დასაქმებისათვის საჭირო კომპეტენციები;
- ცალკეულ პროფესიაში, შესაძლოა კანონმდებლობით, ან შესაბამისი პროფესიული გაერთიანების მიერ დაწესებული იყოს პროფესიის დაუფლებისათვის დამატებითი წინაპირობებ.

პროგრამის სტრუქტურა

თეორიული სასწავლო კურსები	60 ECTS კრედიტი
იურიდიული კლინიკური განათლების პრაქტიკული კომპონენტები	30 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

<p>ზოგადი კომპეტენციები: პრობლემის განსაზღვრისათვის, შეფასებისათვის და სამართლებრივი გადაწყვეტისათვის ადასტურებს სათანადო ცოდნას და აცნობიერებს შესაბამისი სფეროს აქტუალობას.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები: იცის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ორგანოს უფლებამოსილებები, კომპეტენცია და სამართლებრივი სტატუსი, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ძირითადი სტადიები;</p> <p>იცის საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყების საფუძვლები, კონსტიტუციური სარჩელისა და წარდგინების, საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების (საოქმო ჩანაწერის, განჩინებისა და გადაწყვეტილების) რეკვიზიტები; გაცნობიერებული აქვს საკონსტიტუციო მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული და ეროვნული სასამართლოების მიერ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების სამართლებრივი რეგულირების კომპლექსური საკითხები.</p> <p>იცის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა წარმოების წესი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსი, მტკიცებულებანი, დადგენილება და დადგენილების აღსრულება; ადმინისტრაციული დავის დაწყება სასამართლოში; ადმინისტრაციულ საქმეთა განსჯადობა და ქვემდებარეობა; ადმინისტრაციული სარჩელის დასაშვებობის შემოწმების წესი; ადმინისტრაციული სარჩელის დასაბუთება; ადმინისტრაციული სარჩელის დასაბუთების შემოწმების და საქმის გარემოებათა სასამართლო გამოკვლევის წესი.</p> <p>იცის სასამართლო გადაწყვეტილება სარჩელის სახეების მიხედვით; მოპასუხის, მესამე პირის უფლების დაცვის საპროცესო საშუალებები; მოსარჩელის უფლების პრევენციული დაცვის საშუალებები; ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ფორმების სამართლებრივი ბუნება; მოსამართლეთა სამართლებრივი სტატუსი, უფლება-მოვალეობები, შერჩევის, თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი.</p> <p>სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წილის გაზრდით (სამაგისტრო ნაშრომი) შემუშავებული აქვს მნიშვნელოვანი სამეცნიერო იდეა.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>
<p>ზოგადი კომპეტენციები: აქვს ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების და პრობლემების გადაწყვეტისათვის ცოდნის დადასტურების და სტრატეგიის შემუშავების უნარი; უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები: შეუძლია ფაქტების იდენტიფიცირება, პრიორიტეტების განსაზღვრა, საჯარო მოხელის პრაქტიკული საქმიანობის დაგეგმვა-ორგანიზება, ანალიზი და კრიტიკული შეფასება.</p> <p>შეუძლია საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მარეგულირებელი ნორმების განმარტება, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ხელშეუვალობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე დასაბუთებული დასკვნების გამოტანა; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების აღსრულება, სადავო ფაქტების შეფასება და ანალიზი, ასევე სადავო საკითხების გადაწყვეტისას ზუსტ ნორმათა შერჩევა და ზოგადი და სპეციალური ნორმების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში; პრეცედენტული სამართლის გამოყენება საქართველოს სასამართლოების მიერ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და მათი განზოგადება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>
<p>ზოგადი კომპეტენციები: შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული, არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება; ფაქტობრივი მონაცემების გაზრება-განალიზება და დასკვნის გაკეთება; წარმოქმნილი პრობლემების გამომწვევი ფაქტობრივი მონაცემების შეგროვება, ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე დასკვნის გაკეთება და მათი კვალიფიცირებული აღმოფხვრა.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები: შეუძლია კონსტიტუციურ-ადმინისტრაციულ ინსტიტუტების და ათვისებულ დისციპლინათა პრაქტიკაში გამოყენების საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გაკეთება; პირველი ინსტანციის, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების</p>

<p>ურთიერთშედარება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება; ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებით სათანადო დასკვნების შემუშავება.</p> <p>შეუძლია კონსტიტუციური სარჩელისა თუ წარდგინების განსახილველად მიღების, არსებითად განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესების კლასიფიცირება.</p> <p>შეუძლია ცალკეული დისციპლინების შესახებ არსებული სამეცნიერო ნაშრომების კრიტიკული ანალიზი და შესაბამისი დასკვნების გაკეთება, რისი შედეგიცაა მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომი.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>ზოგადი კომპეტენციები: ფლობს კამათის კულტურას და პრეზენტაციების უნარს; კომპლექსური სამართლებრივი საკითხების, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად ჩამოყალიბების, მოსმენის, დარწმუნებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარს.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები: გათვალისწინებული აქვს აკადემიური პატიოსნების სტანდარტები და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევები; შეუძლია დარგობრივი სასწავლო და სამეცნიერო კომუნიკაცია.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>ზოგადი კომპეტენციები: წყაროებისა თუ ინფორმაციული რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით განსაზღვრავს საკუთარი სწავლის პროცესს; სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომების დანერგვისათვის საჭირო სტრატეგიებს; სამართლებრივი კვლევის უახლეს მიღწევებს.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები: გააჩნია პროფესიული და კარიერული ზრდის მიზნით სწავლის დაგეგმვის უნარი.</p> <p>შეუძლია სამეცნიერო კონცეფციებისადმი კრიტიკული მიდგომა, სამეცნიერო-კვლევითი მეთოდების პრაქტიკული გამოყენება; კვლევითი ხასიათის ნაშრომის დადგენილი სტანდარტით წარმოდგენა; კვლევის შედეგების პრეზენტაცია და ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება.</p> <p>შეუძლია თანამედროვე ინტერდისციპლინარული სამეცნიერო-კვლევითი მეთოდის მუშაობით მუშაობის პროცესში თვითშეფასების მეთოდების გამოყენება.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>ზოგადი კომპეტენციები: აქვს ზნეობრივ-ეთიკური საკითხების გამოკვეთის და სათანადო გადაწყვეტილების მისაღწევად შესაბამისი პრინციპებისა და წესების გონივრულად გამოყენების, ადამიანებთან ურთიერთობაში პატივისცემის გამოხატვის უნარი.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები: გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული მორალური ღირებულებები, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობა, პრაქტიკაში ეთიკისა და სამართლებრივი პრინციპების დაცვისა და გამოყენების უნარი; პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული საქმიანობის ხარისხიანად შესრულებაზე.</p> <p>შეუძლია სხვათა აზრის გათვალისწინება და პატივისცემა, ასევე ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p>

ეკონომიკა

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

- მისცეს სტუდენტს ეკონომიკური საქმიანობის სფეროებში კანონებისა და კატეგორიების სისტემური და სიღრმისეული თეორიული ცოდნა;
- დაგროვილი თეორიული ცოდნისა და ჩამოყალიბებული პრაქტიკული უნარჩვევებით მიუახლოვდეს საერთაშორისო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
- უზრუნველყოს, ეკონომიკური კანონზომიერებების შემეცნების საფუძველზე, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზისა და კონკრეტული პრობლემური საკითხების პრაქტიკაში გადაწყვეტის უნარ-ჩვევების განვითარება;
- შეასწავლოს სტუდენტს თანამედროვე ეკონომიკური კონცეფციები, სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების პროგნოზირება, ეკონომიკური რისკებისა და უსაფრთხოების დაცვის პრინციპები;
- ჩამოუყალიბოს სტუდენტს ეკონომიკური აზროვნებისა და საქმიანობის ეფექტიანი წარმოების პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- მიღებული თეორიული ცოდნის, კვლევითი გამოცდილებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძველზე, გახადოს სტუდენტი კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე;
- გაუღვივოს სტუდენტს კვალიფიკაციისა და აკადემიური დონის შემდგომი ამაღლების სურვილი და უზრუნველყოს სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა მომდევნო საფეხურზე (დოქტორანტურაში).

პროგრამის სტრუქტურა

თავისუფალი კრედიტები	15 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	105 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- ფლობს სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების, ეკონომიკურ რისკებთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირების, კონკრეტული პრობლემის პროგნოზირების მეთოდებს.
- აქვს ეკონომიკური საქმიანობის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას და გაცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.
- აქვს ცოდნა ეკონომიკური პოლიტიკის შინაარსის, მისი სფეროების, სტრატეგიული მიმართულებების, განხორციელების ინსტრუმენტების, განმახორციელებელი ინსტიტუტების და მოქმედების არეალის შესახებ;
- აქვს მიკრო და მაკრო ეკონომიკური კვლევის თანამედროვე მეთოდების მყარი და სისტემური ცოდნა და ასახელებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;
- ფლობს სოციალური პროცესების მართვისათვის და სოციოლოგიური კვლევების წარმოებისათვის აუცილებელ თეორიულ ცოდნას;
- დაგროვილი აქვს თეორიული ცოდნა შრომის ბაზრისა და დასაქმების; ეკონომიკური კავშირების მართვის; ეროვნული მეურნეობის განვითარების პოლიტიკის განმახორციელებელი ინსტიტუტებისა და სახელწიფოებრივი უზრუნველყოფის რეგულაციების შესახებ;

- იცის ეკონომიკასა და მოსახლეობის აღწარმოების პროცესებს შორის კავშირის აღწერის თეორიული საკითხები და პროგნოზირების მეთოდები;
- ჩამოყალიბებული აქვს მეტა აზროვნების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

შეუძლია:

- ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენების უნარი;
- მიკრო და მაკრო ეკონომიკურ გარემოში საქმიანობის ალღოს აღებისა და სწრაფი ადაპტაციის; მიმდინარე და/ან დაგროვილი პრობლემური საკითხების კომპლექსურად გადაწყვეტის ორიგინალური და პროდუქტიული გზების მოძიების, აღმოჩენის და ანალიზის საფუძველზე, მისი ეფექტიანობის დადასტურება-იდენტიფიცირების; კვლევის ტრადიციული და უახლესი მეთოდების დამოუკიდებლად გამოყენება;
- ინოვაციურ კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განახორციელება; შეიმუშავოს და გამოიყენოს კვლევის პროცესში ახლებური მიდგომები, რომლებიც მიმართულია ცოდნის ახალი პროდუქტის შექმნაზე;
- ეკონომიკური საქმიანობის აქტუალური პრობლემების გადაჭრისათვის მართვის მეთოდების გამოყენების, ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზაციის, კოორდინაციისა და რეგულირების, მოტივაციისა და კონტროლის მექანიზმების გამოყენება;
- გააანალიზოს მიკრო და მაკრო გარემოში ეკონომიკური საქმიანობის შედეგები, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე განსაზღვროს და დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების ეფექტიანობა;
- გამოიკვლიოს თანამედროვე დემოგრაფიული ვითარება, გააანალიზოს მოსახლეობის დემოგრაფიული ქცევის ტენდენციები, დააკავშიროს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან და აქტიურად მიიღოს მონაწილეობა ოპტიმალური დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებაში.
- განახორციელოს საპროგნოზო კვლევა; დაადგინოს საპროგნოზო პარამეტრების ცვლილების საზღვრები დამიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილება;
- დაგეგმოს და განახორციელოს სოციალური პროცესების მართვა და გამოთვალოს შესაბამისი საანალიზო მაჩვენებლები;
- გამოიკვლიოს რეგიონული მმართველობისა და დეცენტრალიზაციის პრობლემები, შეიმუშავოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის უფლებამოსილების გამიჯვნის და რესურსების გამოყენების პრინციპები; მონაწილეობა მიიღოს რეგიონული განვითარების პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში.

დასკვნის უნარი

- შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, უახლესი კვლევების გამოყენებით არსებულ მონაცემთა ინოვაციური სინთეზი.
- შეუძლია მიკრო და მაკრო ეკონომიკურ გარემოში გადასაჭრელი საკითხების სირთულის ხარისხის განსაზღვრა, მოსალოდნელი შედეგების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასება, ეკონომიკური სუბიექტებისათვის ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- აქვს მართვის პროცესის სუბიექტთა და ობიექტთა იდენტიფიკაციის ეკონომიკური ასპექტების შეპირისპირების და ლოგიკური დასკვნის გამოტანის უნარი;
- აყალიბებს მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესებზე საკუთარ შეხედულებებს და არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზებს განსხვავებული კონცეფციების საფუძველზე, აქვს სისტემური კვლევისა და დასკვნის გამოტანის უნარი;

<ul style="list-style-type: none"> ▪ აჯამებს საპროგნოზო მოვლენაზე მომქმედი ფაქტორების გავლენის შედეგებს და ასაბუთებს პრობლემის ეფექტიანად გადაწყვეტის ორიგინალურ გზებსა და საშუალებებს; ▪ ცენტრალურ და რეგიონულ მმართველობასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად ახდენს არსებულ მონაცემთა ინოვაციურ სინთეზს და აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს; ▪ შეუძლია შეარჩიოს სოციალური პრობლემის გადაწყვეტის მეთოდები და კვლევის პროცესზე მომქმედი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე გამოიტანოს დასაბუთებული დასკვნები.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ აქვს დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაციის უნარი აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-კომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით. ▪ განმარტავს სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების კვლევით მიღებულ შედეგებს; წარმოადგენს მათ ეკონომიკურ ცხრილებსა და გრაფიკებში, როგორც შიდა პრეზენტაციისათვის, ისე პუბლიკაციისათვის ქართულ და უცხოურ ენებზე; ▪ შეუძლია ჩაებას კამათში და დაიცვას საკუთარ შეხედულებებში როგორც დაინტერესებულ პირებთან, ისე ექსპერტებთან და/ან სხვადასხვა კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან; ▪ რეაგირებს საზოგადოებრივი აზრის ცვლილებებზე და გამოხატავს ძირითად ტენდენციების თავისებურებებს ინფორმაციის მიწოდების საშუალებების გამოყენებით.
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ აქვს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერების და სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი; ▪ ჩამოყალიბებული აქვს ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის პროცესში და/ან დასაქმების ადგილზე კარიერული წინსვლის მიზნით, საკუთარი ცოდნისა და სწავლის პროცესის უწყვეტი განვითარების აუცილებლობის გაცნობიერების, ეტაპობრივი განხორციელების და განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურა) აკადემიური განვითარების დაგეგმვისა და სწავლის უნარი;
<p>ღირებულებები</p>
<p>ჩამოყალიბებული აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი. ▪ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ვალდებულებების გააზრების, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერების, საქმიანობის და ურთიერთობის პროცესში ურთიერსარგებლიანობის პრინციპის და საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმების დაცვის აუცილებლობის თვითშეგნება; ▪ საზოგადოებაში პიროვნული როლის განსაზღვრის და ადგილის დამკვიდრების, საკუთარი პროფესიით სიამაყისა და პროფესიული პატრიოტიზმის, სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გააზრების და საკუთარი საქმიანობის საზოგადოებრივი ინტერესებისადმი შეხამების; საკუთარი მიღწევების თვითკრიტიკული და სხვათა შესაძლებლობების და მიღწევების რეალური შეფასებისა და პატივისცემის თვისება; ▪ საქმიანობის პროცესში გადაწყვეტილების მიღების და გუნდურ მუშაობაში ახალი ღირებულებების დამკვიდრების მოთხოვნილება.

ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში (ინგლისურენოვანი)

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მენეჯმენტის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია - მოამზადოს მოტივირებული ლიდერები, რომლებიც უმაღლესი განათლების სისტემაში წარმატებულად დაწინაურდებიან და გაატარებენ ყველა შესაძლო სიახლესა თუ ცვლილებას, რომელიც განახორციელებს ეფექტურ კომუნიკაციასა და კოლაბორაციას განათლების სისტემის ყველა რგოლთან, როგორც ადგილობრივ და რეგიონალურ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

პროგრამის მიზანია ლიდერობისა და უმაღლესი განათლებაში მიმდინარე პროცესებისა და შესაბამისი ცვლილებების მართვისათვის სათანადო ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავება, როგორცაა:

- ✓ უმაღლესი განათლების სისტემის მენეჯმენტის გაუმჯობესება და ხელის შეუწყობა და ორგანიზაციული ცვლილებების მხარდაჭერა;
- ✓ გადაწყვეტილების მიღებისა და სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში მონაწილეობის მიღება;
- ✓ კვლევითი უნარების განავითარება, რასაც უშუალოდ საჭიროებს აქტიური კვლევა და სტუდენტებზე ორიენტირებული სწავლება.
- ✓ უმაღლესი განათლების სფეროსთან დაკავშირებული ეკონომიკური, პოლიტიკური, საკანონმდებლო და თეორიული საკითხების სრული ფლობა.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	24 ECTS კრედიტი
ძირითადი კურსები	54 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
თავისუფალი კრედიტი	6 ECTS კრედიტი
პრაქტიკა	6 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- ✓ ფლობს ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი ღირებულებების, პრინციპებისა და საუკეთესო პრაქტიკების მხარდასაჭერად, ეფექტური ლიდერობისა და მენეჯმენტის განმაპირობებელ ცოდნას.
- ✓ იცის უნივერსიტეტების როლი, მათი ვალდებულებანი და სარგებელი საზოგადოებასთან მიმართებაში, დანახული სხვადასხვა პერსპექტივიდან.
- ✓ ფლობს ინფორმაციას სტუდენტზე ორიენტირებულ სათანადო და ვალიდურ ლიტერატურაზე, რაც შესაბამისად ზრდის განათლების ეფექტურობას.
- ✓ იცის ხარისხის უზრუნველყოფის, პოლიტიკის განვითარების, ხელმძღვანელობასა და ცვლილებების მართვის სახელმძღვანელო პრინციპები და საუკეთესო პრაქტიკები, რომელიც ხლს შეუწყობს უმაღლესი განათლების ხარისხის ზრდას.
- ✓ მიდგომებით სახელმძღვანელო პრინციპები და კარგი პრაქტიკა ხარისხის უზრუნველყოფის, პოლიტიკის განვითარების, ხელმძღვანელობასა და მართვაში ცვლილებების მყისიერი გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების ხარისხის ზრდას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ მიიღოს ძირითადი გამოწვევები, რომელსაც უნივერსიტეტი აწყდება პერსონალისა და სტუდენტების ხელშეწყობის პროცესში; ✓ უნივერსიტეტისათვის შექმნილ საჭიროებათა გადაჭრა ლოკალურითუ ეროვნული მასშტაბით, დაინტერესებული პირებისა და დამსაქმებლების შეხედულებების გათვალისწინებით; ✓ სტუდენტის მხარდაჭერა უმაღლესი განათლებით მიღებული ცოდნის შემდგომში ნაყოფიერად გამოყენებისათვის, კერძოდ პროფესიულ პრაქტიკისა და სწავლების გაუმჯობესებისათვის; ✓ მენეჯმენტის პროსესის სტანდარტიზაცია და მათი გამოყენება უნივერსიტეტის დეპარტამენტების და სხვადასხვა სამსახურების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად;
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ უმთავრეს და საკვანძო მეთოდთა და მონაცეთა (ხარისხობრივი და რაოდენობრივი) გამოყენება, მათი ინტერპრეტაცია და პრეზენტაცია; ✓ მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და ეფექტურად წარდგინება ეთიკის პრინციპების დაცვით; ✓ ობიექტური კრიტიკით საკუთარი პროფესიული გამოცდილების შეფასება და თვითგანვითარების ხერხები და შესაძლებლობათა იდენტიფიცირება;
<p>საკომუნიკაციო უნარები</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ გამართული წერა, კარგი კომუნიკაციური უნარი, ანგარიშების პრეზენტაცია, ასევე სხვა დოკუმენტაციის გასაგებად და აკადემიურ დონეზე წარდგინება; ✓ IT ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიული აქტივობების თვალსაჩინოებისა და ეფექტურობისათვის; ✓ უმაღლესი განათლების გაუმჯობესების შესაძლებლობების განსაზღვრა, რომელიც დაფუძნებული იქნება მენეჯმენტის პრინციპების მყარ ცოდნაზე, კარგი ლედერობის, კოლეგიალობისა და გუნდურობის პრინციპებზე.
<p>სწავლის უნარები</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ მონახაზთა გაკეთება, ინიცირება და პრეზენტაცია (დისერტაციის ან პროექტის შემუშავების) მოცულობითი და ავთენტური კვლევითი სამუშაოს ჩატარება უმაღლესი განათლების დარგში თანამედროვე და აქტუალურ პრობლემებზე; ✓ სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვა; ✓ თვითშეფასების უნარები.
<p>ღირებულებები</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ პროფესიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში წვლილის შეტანა აქტიური პაქტიკული ჩართულობით, აზრთა და შედეგთა გაზიარება; ✓ სხვათა აზრის და დამოკიდებულებისადმი პატივისცემის თვისებათა გამომუშავება; ✓ განათლების პრობლემების ხედვა მულტიკულტურულ კონტექსტში; ✓ პროფესიული პატიოსნების თვისების ჩამოყალიბება.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი მათემატიკა

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მათემატიკის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

- მისცეს მათემატიკის ღრმა და სისტემური ცოდნა;
- ჩამოუყალიბოს მაღალი დონის პროფესიული საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისათვის აუცილებელი უნარები.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	10 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	50 ECTS კრედიტი
სპეციალიზაციის არჩევითი მოდული	35 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	25 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება
<ul style="list-style-type: none"> ▪ მათემატიკის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც არჩეული სპეციალიზაციის ფარგლებში ქმნის კომპლექსური ამოცანების გადაწყვეტისა და ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საფუძველს; ▪ მათემატიკის განვითარებისა და მის დარგებს შორის ურთიერთკავშირის ასპექტების სიღრმისეული ცოდნა; ▪ მათემატიკის სწავლებისა და სწავლის პროცესის ცოდნა; ▪ უცხო ენის ცოდნა სპეციალისტებთან წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
<ul style="list-style-type: none"> ▪ მათემატიკური თეორიებისა და მეთოდების გამოყენების უნარი რთული და კომპლექსური ამოცანების გადასჭრელად; ▪ სამეცნიერო ლიტერატურასთან, უახლეს კვლევებთან დამოუკიდებლად გაცნობის უნარი.
დასკვნის უნარი
<ul style="list-style-type: none"> ▪ რთული პრობლემების გაგებისა და მათი აბსტრაქტიზაციის უნარი; ▪ რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი.

კომუნიკაციის უნარი
<ul style="list-style-type: none"> ▪ დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის შედეგების სპეციალისტებისათვის ნათლად წარმოდგენის უნარი, ქართულ და უცხოურ ენებზე, როგორც ზეპირად ისე წერილობით; ▪ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და სათანადო დონეზე პრეზენტაციის მიზნით.
სწავლის უნარი
კვლევის კლასიკური და უახლესი მიღწევების შესწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი და თავისებურებების გაცნობიერება.
ღირებულებები
<ul style="list-style-type: none"> ▪ აკადემიური პატიოსნების სტანდარტების გაცნობიერება; ▪ პროფესიული ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებათა შეფასების უნარი.

რეგიონალური გეოგრაფია და რეკრეაციული რესურსები

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ გეოგრაფიულ გარემოში მიმდინარე პროცესების თავისებურებათა აღქმა, ანალიზი და პროგნოზირება გარემოს შენარჩუნების, აღდგენისა და კვლავწარმოების მიზნით ადგილობრივ და რეგიონალურ დონეებზე; ასევე საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად გამოცხადებული ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის ფორმირებისა და ფუნქციონირების გეოგრაფიული თავისებურებანის შესწავლა-ანალიზი. საველე და კვლევითი სამუშაოების ჩატარება, მიღებული მასალების დამუშავება გეოინფორმაციული სისტემების ტექნოლოგიების გამოყენებით.

პროგრამის ფარგლებში შეძენილი თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები გაზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივებს.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	15 ECTS კრედიტი
საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები	10 ECTS კრედიტი
სპეციალობის სავალდებულო კურსები	95 ECTS კრედიტი
საკურსო ნაშრომი	5 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- შეუძლია კვლევის ჩატარება ბუნებრივი გარემოს მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად;
- აცნობიერებს რეგიონების სწორი, რაციონალური დაგეგმარების მნიშვნელობას რესურსების, მათ შორის რეკრეაციულის მოხმარების ოპტიმალური მიჯნების მისაღწევად და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ტურისტული ფორმებისა და ორგანიზაციების მომსახურების გასაწევად;
- ერკვევა გეოსისტემების განვითარების სივრცე-დროითი ანალიზის და სინთეზის საკითხებში და GIS-ების პროგრამებში;
- ერკვევა გარემოს ევოლუციის, ბუნებრივი რისკების და სტიქიური პროცესების მართვის საკითხებში.

დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

- შეუძლია გარემოსა და საზოგადოების ურთიერთკავშირის შედეგად წარმოქმნილი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, გეოეკოლოგიური პროცესებისა და პრობლემების იდენტიფიცირება, გააზრება და სიღრმისეული გაცნობიერება;
- შეუძლია აქტუალური სამეცნიერო და პრაქტიკული პრობლემების გლობალურ, რეგიონულ და ლოკალურ დონეებზე წარმოჩენა, კვლევა და მისი გადაჭრის გზების დასახვა;
- ახდენს რუკებისა და სხვა სახის კარტოგრაფიული გამოსახულებების კითხვასა და ანალიზს; დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების მასალების გამოყენებას;

<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია სამეცნიერო კვლევების, კრიტიკული აზროვნების, გეოეკოლოგიური პროგნოზის, მდგრადი რეგიონული განვითარების პრინციპების განსაზღვრა და გადაწყვეტილების მიღება. ▪ შეუძლია საველე პირობებში დამოუკიდებლად მოიძიოს ზოგადი გეოგრაფიული მასალები, მოახდინოს მათი ანალიზი, განზოგადება და შედეგების მოხსენება.
<p>დასკვნის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია დარგის ცოდნა-გააზრება და პროფესიის გათავისება; ▪ შეუძლია პრობლემის იდენტიფიცირება, დასმა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია მშობლიურ და უცხო ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაცია; ▪ შეუძლია დროის დაგეგმვა და მართვა; ▪ შეუძლია კომუნიკაცია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; ▪ შეუძლია ჯგუფში მუშაობა.
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია სწავლა და ცოდნის მუდმივი გაახლება; ▪ შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მიღება, დამუშავება, ანალიზი და სინთეზი; ▪ შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა.
<p>ღირებულებები</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებით მაგისტრებს გამოუმუშავდებათ:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი; ▪ განსხვავებულ სიტუაციებში პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შენარჩუნება; ▪ შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის დამოუკიდებლად გამოყენების უნარი; ▪ გარემოს დაცვის ვალდებულების შეგნების უნარი; ▪ ზოგადი და პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა; ▪ გააჩნია დადებითი დამოკიდებულება უსაფრთხო და მდგრადი განვითარების მქონე გარემოს შესაქმნელად არსებულ ნორმებისადმი და ინიციატივებს იჩენს მათი დაცვის მიმართულებით.

ბიოლოგია (ბიოლოგია-ეკოლოგია)

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი ბიოლოგიაში

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ბიოლოგიური და ეკოლოგიური დისციპლინების ღრმა და სისტემური ცოდნით, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარით. პროგრამა მაგისტრანტებს არჩეული სპეციალობის შესაბამისი კვალიფიკაციით უზრუნველყოფს. პროგრამა მოდულების სისტემაზეა აგებული. ყველა მაგისტრანტი მიიღებს საფუძვლიან ცოდნას ბიოლოგიის და ეკოლოგიის თანამედროვე ასპექტებში, კვლევის მეთოდებში, სამეცნიერო ნაშრომების მომზადებასა და ვიზუალიზაციაში, დარგობრივ ინგლისურში.

სამაგისტრო პროგრამა სამეცნიერო კვლევაზეა ორიენტირებული, მისი ინტერესები და კვლევის სფერო მრავალფეროვანია, მაგისტრანტი ასრულებს საკურსო და სამაგისტრო ნაშრომს და იღებს სავალდებულო კომპეტენციას.

მოდული „ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგია“ მიზანია მოამზადოს სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგიაში, ორგანიზმებში მიმდინარე ნორმალურ ფიზიოლოგიურ პროცესებზე. მაგისტრანტები შეისწავლიან ცენტრალური ნერვული სისტემების მორფო-ფუნქციურ ორგანიზაციას, ნეიროფიზიოლოგიას, ვეგეტატიურ ფუნქციებს, მოტივაცია და ემოციას, ბიოსოციოლოგიას და მემბრანოლოგიას, ნეირობიოლოგიას, ქცევის ფიზიოლოგიას, სასწავლო კურსების პრაქტიკულ მეცადინეობებსა და სამაგისტრო თემაზე მუშაობის პროცესში. ექსპერიმენტები განხორციელდება ექსპერიმენტალურ ცხოველებზე.

მოდული „უჯრედის ბიოლოგია“ მიზანია მოამზადოს სპეციალისტები/მკვლევარი მორფოლოგი/რომლებსაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა უჯრედის ბიოლოგიაში თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით. მაგისტრანტებს გამოუმუშაოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ახალ გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინარულ გარემოში მოქმედების, პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზების ძიების, კვლევის განხორციელების, დასკვნის კომუნიკაციის და სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი. მაგისტრანტი შეისწავლის მცენარის უჯრედის ბიოლოგიას, ღეროვანი უჯრედის ქსოვილების კულტურას. უჯრედების მემბრანებს, უჯრედის სტრუქტურულ ფუნქციურ ორგანიზაციას, ბირთვის სტრუქტურულ ორგანიზაციას, უჯრედულ და გენეტიკურ პათოლოგიებს, უჯრედის ფიზიოლოგიას, ციტო გენეტიკას და გენურ ინჟინერიას.

მოდული „ეკოლოგია“ მიზანია მოამზადოს სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ ეკოლოგიაში ღრმა და სისტემური ცოდნა. მაგისტრანტებს მისცემს ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, ახალ გაუთვალისწინებელ გარემოში მოქმედების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის, სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს. ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასებას. პროგრამა ითვალისწინებს ტყის ეკოლოგიის, ადამიანის ეკოლოგიის, გლობალური ეკოლოგიის, ეკოლოგიური პარაზიტოლოგიის, ეთოლოგიის, საერთაშორისო გარემოს დაცვითი ორგანიზაციების და კონვენციების შესწავლას.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	50 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	35 ECTS კრედიტი
საკურსო ნაშრომი	5 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების ღრმა და სისტემურ ცოდნას, სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობას, ექსპერიმენტის დამოუკიდებლად დაგეგმვის, ექსპერიმენტული კვლევის ჩვევებს შეიძენენ.

გამოუმუშავებთ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. დიკუსიაში მონაწილეობის, პროგრამის გადაჭრის საკუთარი მოსაზრების საჯაროდ წარდგენის და დასაბუთების უნარ-ჩვევები.

ექნებათ ბიოლოგიის და ეკოლოგიის კვლევის თანამედროვე მეთოდების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი. მაგისტრებს ექნებათ გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო ეთიკური ნორმები.

აღნიშნული პროგრამით მაგისტრები განივითარებენ და გაიღრმავებენ როგორც დარგობრივ ისე ზოგად ტრანსფერულ უნარებს. მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ ექნებათ შემდეგი კომპეტენციები.

ცოდნა და გაცნობიერება

- თანამედროვე ბიოლოგიის ეკოლოგიის ღრმა და სისტემური ცოდნა;
- ბიოლოგიის ეკოლოგიის მნიშვნელოვანი თეორიების გაგებისა და გაცნობიერების უნარი;
- კვლევის დაგეგმვის და მეთოდოლოგიის ცოდნა;
- კვლევის თანამედროვე მეთოდების ციტოგენეტიკური, მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური, სტატისტიკური ცოდნა;
- ბიოლოგიის და ეკოლოგიის სფეროში კვლევაზე დაფუძნებული დარგობრივი საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- ბიოლოგიური და ეკოლოგიური დისციპლინების ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.
- ახალ გათვალისწინებულ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარი.
- ბიოლოგიური და ეკოლოგიური პრობლემების იდენტიფიცირების, გადაწყვეტის ახალი ორიგინალური გზების ძიება. კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.
- ბიოლოგიური და ეკოლოგიური პროცესების (სიტუაციების) განსაზღვრის და სამუშაო მოდელის შექმნის, განსხვავებულ სიტუაციაში პრობლემის სწორად შეფასების და გადაჭრის უნარი.
- დამოუკიდებლად ჩაატაროს ექსპერიმენტები მცენარეულ და ცხოველურ ობიექტებზე.

დასკვნის უნარი

- ბიოლოგიური და ეკოლოგიური ინფორმაციის შეგროვების, განმარტების უნარი.
- რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.
- უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.

კომუნიკაციის უნარი

- ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია აკადემიურ და/ან პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხო ენაზე.
- სხვადასხვა აუდიტორიასთან საკუთარი დარგობრივი სფეროს შესახებ ურთიერთობის უნარი სხვადასხვა ფორმითა და მიდგომების გამოყენებით შესაბამის სამეცნიერო ენაზე.
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიულ დონეზე.

სწავლის უნარი

- სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა;
- სწავლის პროცესის შეფასება თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიის დაგეგმვა.

- ბიოლოგიის და ეკოლოგიის მულტიდისციპლინარულ სფეროში არსებული სამეცნიერო სიახლეების დამოუკიდებლად მოძებნა და ათვისება.

ღირებულებები

- ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება.
- ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.
- ზოგადი პროფესიული სამეცნიერო, ეთიკის და ლაბორატორიული უსაფრთხოების დაცვა.
- გარემოსა დაცვის ვალდებულებების შეგნების უნარი.

გამოყენებითი ბიომეცნიერებები

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგიის) მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

- ✓ მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები გამოყენებითი ბიომეცნიერებების დარგში, რომელიც მოიცავს 3 ძირითად მიმართულებას: ჯანდაცვის, გარემოს დაცვისა და კვებისბიოტექნოლოგია;
- ✓ მიაწოდოს მაგისტრებს ღრმა და სისტემური ცოდნა გამოყენებითი ბიომეცნიერებების, როგორც ფუნდამენტურ დისციპლინებში: ბიოტექნოლოგიის მიღწევები, ჯენომიკის, მიკრობული ტექნოლოგიები, ტოქსიკოლოგიის მიღწევები, ბიოუსაფრთხოების პრინციპები, ბიოტექნოლოგიის საკანონმდებლო, ეთიკური და კომერციული ასპექტები, ასევე სპეციალური ცოდნა ჯანდაცვის, გარემოსდაცვისა და კვების ბიოტექნოლოგიის მიმართულებით;
- ✓ განავითაროს მაგისტრანტის პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბიოტექნოლოგიისა და გამოყენებითი ბიომეცნიერებების თანამედროვე მიმართულებების ფარგლებში; რომლებიც დაეხმარება მათ გამოიყენონ ცოდნა პრაქტიკაში; იმოქმედონ ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში;
- ✓ მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, განუვითაროს მომავალ სპეციალისტს სამეცნიერო კვლევის მიმართულებების პრიორიტეტების დასახვისა და შეფასების უნარი; წახალისოს და წინ წამოსწიოს ორგანიზატორული მუშაობისა და კვლევისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარები. ხელი შეუწყოს მაგისტრების მჭიდრო კავშირს ინდუსტრიასთან დასაქმებაზე ორიენტირებული საწარმოო პრაქტიკის შემოღების გზით;
- ✓ მოამზადონ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ პროფესიული უნარ-ჩვევების ფართო სპექტრი, მათ შორის: რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულ დასკვნების გაკეთების უნარი, რომელშიც განისაზღვრება ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობები; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი; თავისი დასკვნებისა და არგუმენტაციის შესახებ აკადემიურ, პროფესიულ საზოგადოებაში, ასევე არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი; მათ შორის უცხოურ ენაზე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი, დარგის თავისებურებების გათვალისწინებით.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	15 ECTSკრედიტი
არჩევითი სავალდებულო	15 ECTSკრედიტი
სავალდებულო კურსები	60 ECTSკრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTSკრედიტი
სულ	120 ECTSკრედიტი

სწავლის შედეგები

პროგრამის გავლის შედეგად მაგისტრი მიიღებს ღრმა და სისტემურ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას გამოყენებითი ბიომეცნიერებების როგორც ფუნდამენტურ დისციპლინებში, ასევე სპეციალური ცოდნას ჯანდაცვის, გარემოსდაცვისა და კვების ბიოტექნოლოგიის მიმართულებით.

შეიძენენ საინფორმაციო და კვლევით ტექნოლოგიებთან ურთიერთობის, ქიმიურ-ბიოლოგიურ ლაბორატორიებში მუშაობის პრაქტიკულ (დარგობრივ) უნარ-ჩვევებს. მაგისტრებს ექნებათ გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო ეთიკური ნორმები. დასაქმებაზე ორიენტირებული პრაქტიკა უზრუნველყოფს მუშაობის უნარ-ჩვევებს, პრობლემების ავტონომიურად

<p>გადაწყვეტის, დროის დაგეგმვის და ოპტიმალური ორგანიზების უნარების განვითარებას, რომელიც დაეხმარება მათ შემდგომ დასაქმებაში.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის მომზადება ხელს შეუწყობს მაგისტრის ჩამოყალიბებას მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად, რომელსაც განვითარებული ექნება სამეცნიერო კვლევის მიმართულებების პრიორიტეტების დასახვისა და შეფასების უნარი;</p>
<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ბიომეცნიერებების გამოყენებითი დისციპლინების: კვლევის დაგეგმა და მეთოდოლოგია; ინტელექტუალური საკუთრება, ბიოტექნოლოგიის საკანონმდებლო, ეთიკური და კომერციული ასპექტები; დარგობრივი ინგლისური სისტემური ცოდნა; ▪ გამოყენებითი ბიომეცნიერებების ფუნდამენტური დისციპლინების: ჯენომიკა; ბიოტექნოლოგიის მიღწევები; გამოყენებითი ტოქსიკოლოგია; მიკრობული ტექნოლოგიები; ბიოუსაფრთხოების პრინციპები ღმა და სისტემური ცოდნა; ▪ ქვედარგების ჯანდაცვის, გარემოს დაცვის და კვების ბიოტექნოლოგიის სპეციფიური საკითხების ცოდნა
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ბიომეცნიერებების გამოყენებითი და ფუნდამენტური დისციპლინების ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; ▪ ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში პრობლემის იდენტიფიკაციისა და მისი გადაწყვეტის უნარი; ▪ ბიოლოგიური კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. ▪ კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის განხორციელების უნარი, წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციებისა და ინსტრუქციების მიხედვით; ▪ სამაგისტრო ნაშრომის ექსპერიმენტული ნაწილის დაგეგმვა და განხორციელების უნარი
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიური ინფორმაციის (მონაცემების) შეგროვების, განმარტების უნარი; ▪ მონაცემების კრიტიკული ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი, მათ შორის ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობების განსაზღვრა; ▪ ბიოტექნოლოგიის დარგში უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის განზოგადებისა და შესაბამისი დასკვნების გამოტანის უნარი.
<p>კომუნიკაციის უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სხვადასხვა ფორმატის სამეცნიერო-კომუნიკაციური უნარჩვევების არსებობა. სამეცნიერო ინფორმაციის გადაცემის უნარი: სამეცნიერო მოხსენების გაკეთება. პრეზენტაციების მომზადება, მონაცემთა წარდგენა, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. ▪ სამაგისტრო ნაშრომის დაწერა და გაფორმება. სპეციფიური სტრუქტურისა და ლექსიკონის გამოყენებით. ▪ საკუთარი დასკვნებისა და არგუმენტაციის ფორმულირება და მიწოდება აუდიტორიისათვის. დისკუსიაში მონაწილეობის უნარი; ▪ გამოყენებით ბიოლოგიაში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი.
<p>სწავლის უნარი</p>

- სხვადასხვა წყაროებიდან (სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა, აუდიო, ვიდეო მასალები, ინტერნეტ რესურსები და სხვ) საბუნებისმეტყველო დისციპლინების, გამოყენებითი ბიომეცნიერებების ცალკეული დარგების სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი;
- შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სწავლის გაგრძელების უნარი.

ღირებულებები

- ღირებულებებისადმის საკუთარი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება;
- ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

კომპიუტერული მეცნიერებები

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, სტუდენტს:

- ✓ მისცეს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის შესაბამისი განათლება კომპიუტერული მეცნიერების სფეროში;
- ✓ მისცეს სპეციალური განათლება, რის საფუძველზეც ის შეძლებს მეცნიერების სხვადასხვა სფეროში წამოჭრილი პრობლემების მათემატიკურ მოდელირებასა და კომპიუტერზე რეალიზაციას;
- ✓ მისცეს სპეციალური კომპიუტერული განათლება, რომლის შედეგადაც მას შეეძლება ადამიანის სამეურნეო საქმიანობისას სხვადასხვა სფეროში წამოჭრილი პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტა შესაბამისი ალგორითმების რეალიზაციის გზით;
- ✓ ჩამოუყალიბოს მაღალი დონის პროფესიული საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისათვის აუცილებელი უნარები.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	20 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	70 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- ✓ ინფორმატიკის დრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც არჩეული კომპიუტერული მეცნიერების სფეროში ქმნის კომპლექსური ამოცანების გადაწყვეტისა და ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საფუძველს;
- ✓ ინფორმატიკის განვითარებისა და მის დარგებს შორის ურთიერთკავშირის ასპექტების სიღმისეული ცოდნა;
- ✓ ინფორმატიკის სწავლებისა და სწავლის პროცესის ცოდნა;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- ✓ რთული და კომპლექსური ამოცანების ამოხსნის ალგორითმების კომპიუტერზე რეალიზაციისა და მიღებული შედეგების ანალიზის უნარი;
- ✓ პროგრამირების მეთოდების გამოყენების უნარი სხვადასხვა სახის თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად;
- ✓ სამეცნიერო ლიტერატურასთან, უახლეს კვლევებთან დამოუკიდებლად გაცნობის უნარი;

დასკვნის უნარი

- ✓ რთული პრობლემების გაგებისა და მათი აბსტრაქტიზების უნარი;
- ✓ რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

<ul style="list-style-type: none"> ✓ დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის შედეგების სპეციალისტებისათვის ნათლად წარმოდგენის უნარი, ქართულ და უცხოურ ენებზე, როგორც ზეპირად ისე წერილობით; ✓ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და სათანადო დონეზე პრეზენტაციის მიზნით.
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ✓ კვლევის კლასიკური და უახლესი მიღწევების შესწავლისა და დამოუკიდებლად წარმართვის უნარი; ✓ დროის მენეჯმენტის უნარი.
<p>ღირებულებები</p>
<ul style="list-style-type: none"> ✓ აკადემიური პატიოსნების გაცნობიერება; ✓ პროფესიული ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების შეფასების უნარი.

მედიცინის ფაკულტეტი ფარმაცია

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაციის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

აკადემიური ტიპის სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიზანია: ბაზისური ფარმაცევტული დისციპლინების სიღრმისეული შესწავლა და ფარმაციის მიმართულებით სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება. ფარმაციის მაგისტრი, სამაგისტრო პროგრამის (იხ. დანართი 1) დასრულების შემდეგ, სრულფასოვნად ფლობს: ფარმაკოლოგიის, წამალთა ტექნოლოგიის, ფარმაცოგნოზის, ფარმაცოთერაპიის, ბიოტექნოლოგიის, წამალთა ანალიზის, ფარმაცოეკონომიკის და ფარმაცევტული საქმიანობის, როგორც თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, ასევე სამეცნიერო-კვლევით უნარ-ჩვევებსაც. კურსდამთავრებულს რეალურად აქვს გათვითცნობიერებული, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა სახელმწიფოსთვის გამართული, ჯანსაღი ფარმაცევტული სისტემის ფუნქციონირება და კლინიკურ კონტექსტში მოსახლეობის მხარდაჭერა, განსაკუთრებით მძიმე სოციალური ვითარების, სტიქიური უბედურებების, ეთნიკური კონფლიქტების და პანდემიების დროს.

მაგისტრატურაში აკადემიური და დარგობრივი კომპეტენციების განვითარება ხელს უწყობს: სწორი ფასეულობათა სისტემის ფორმირებას, სხვადასხვა კატეგორიის პაციენტებთან ურთიერთობის კულტურის გამომუშავებას, ეთიკური საკითხების გაცნობიერებას და კრიტიკული ხედვის კონსტრუქციული გზით გამოხატვას. ფარმაციის მაგისტრის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: პროფესიულ კონტექსტში თანამედროვე მეცნიერული თეორიებისა და მეთოდების გამოყენებას; მარკეტინგული ლოჯისტიკის ცოდნას, ფარმაციის სფეროში მიმდინარე მოვლენების კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარის განვითარებას; პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას, არასრული ან ლიმიტირებული ინფორმაციის პირობებში სწორი დასკვნების გამოტანას, დამოუკიდებლად რთული პროცესების რაციონალურ მართვასა და რეგულირებას.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	5 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	115 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

პროგრამის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

ფარმაცევტული და სამედიცინო დისციპლინების თანამედროვე მეთოდებით შესწავლა მაგისტრს აძლევს სისტემურ ცოდნას შემდეგ საკვანძო საკითხებთან მიმართებაში:

1. სამკურნალო ნივთიერებების მოქმედების მოლეკულური მექანიზმები, ორგანიზმში შეყვანის გზები. შხამიანი და ძლიერმოქმედი მედიკამენტების დიფერენცირების პრინციპები, გვერდითი და ტოქსიკური ეფექტების პროგნოზირება და მათი თავიდან აცილება;
2. ფარმაცოკინეტიკურ და ფარმაცოდინამიკურ პროცესებზე მოქმედი ფაქტორების თავისებურებები, პაციენტთა გარკვეული კატეგორიების (მოხუცები, ბავშვები, ორსულები) მკურნალობის სპეციფიკა.
3. სამკურნალო პრეპარატების კომბინირება, თავსებადობა და მკურნალობის პროცესში ანტაგონიზმის და სინერგიზმის სახეების გათვალისწინება;

4. ფარმაცოლოგიური ჯგუფების მიხედვით პრეპარატების კლასიფიკაცია, მედიკამენტების დანიშვნის ჩვენებები, უკუჩვენებები, გვერდითი ეფექტები და დოზირების სქემები;
5. თვალის მძიმე დაავადებების - გლაუკომის და კატარაქტის ეტიოპათოგენეზი, კლინიკური სურათი, დიაგნოსტიკა და ფარმაცოთერაპიის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები.
6. ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოსტიკაში ონკომარკერების მნიშვნელობა და ლაბორატორიული კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია;
7. სარძევე ჯირკვლის, საშვილოსნოს ყელის, კუჭის, პანკრეასის და კოლორექტალური კიბოს ეტიოპათოგენეზი, კლინიკური სურათი, დიაგნოსტიკა და მკურნალობის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები, პროგნოზი;
8. ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსები (HBV, HCV), კლასიფიკაცია, სპეციფიკა, მკურნალობის სქემები, ფარმაცოეკონომიკური ანალიზი;
9. პორტოსისტემური ენცეფალოპათიის გამომწვევი ფაქტორები და ამ პათოლოგიური მდგომარეობის ფარმაცოკორექციის თავისებურებანი;
10. HIV-ინფექცია, ეტიოპათოგენეზი, დიაგნოსტიკა, კლინიკური სურათი, მკურნალობის თანამედროვე სქემები;
11. იმუნოლოგიური ტექნოლოგია; ონკოვაქცინები; ანტიბიოტიკების ტექნოლოგია; სტეროიდების, ვიტამინების და ამინომჟავების ბიოტექნოლოგია;
12. წამლის ფორმატა ტექნოლოგიაში გამოყენებული ძირითადი ცნებები და ტერმინები, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტები; წამლის ფორმატა კლასიფიკაცია. დოზირება; წამალთა სააფთიაქო და საქარხნო ტექნოლოგია;
13. სამკურნალო პრეპარატების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი; წამალთა ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდების ზოგადი სისტემატიზაცია, არსი, შესაძლებლობები, გამოყენებითი ასპექტები, პრაქტიკული სამუშაოების წარმოებისათვის გამოყენებული ხელსაწყოების აგებულება და მუშაობის პრინციპები, მიღებული შედეგების დამუშავების ალგორითმი და ინტერპრეტაციის სპეციფიკა;
14. ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფო პოლიტიკა და სამართლებრივი საფუძვლები. ფარმაცევტული სამსახური, როგორც ჯანდაცვის შემადგენელი ნაწილი. სოციალური ფარმაცია და ფარმაცეკონომიკა; სამკურნალო საშუალებათა ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის სახელმწიფო სისტემა საქართველოში. ჯანმო-ს წამლის ხარისხის ლაბორატორიული გამოკვლევის სათანადო პრაქტიკა სლპ - **GLP**;
15. ფარმაცევტულ დაწესებულებათა ნომენკლატურა. აფთიაქი, როგორც ფარმაცევტული სისტემის საცალო რგოლი. მისი სტრუქტურა, ფუნქციები და ამოცანები. აფთიაქის განყოფილებების მუშაობის ორგანიზაცია. წამლის მომზადების ორგანიზაცია. შიდასააფთიაქო კონტროლი; ფარმაცევტული დარგის არაფორმალური რეგლამენტაცია. ფარმაცევტული პროფესიული თვითშეგნება, ეთიკა და დეონტოლოგია. ფარმაცევტისა და პაციენტის ურთიერთობის ეთიკა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაცია - სათანადო სააფთიაქო პრაქტიკა GPP - „პაციენტი ფოკუსში“;
16. სტაციონარულ ავადმყოფთა ფარმაცევტული დახმარების ორგანიზაცია. სტაციონარის აფთიაქი, მისი სტრუქტურა. მოთხოვნების გამოწერისა და შხამ-ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების შეძენის, შენახვის, გაცემისა და აღრიცხვის წესები; ფარმაცევტული მარკეტინგული ლოჯისტიკა. სააფთიაქო საქონლის მოძრაობის ორგანიზაცია. ფარმაცევტული ბაზა, როგორც საქონელგამტარი ქსელის ერთ-ერთი რგოლი. მისი სტრუქტურა, ფუნქციები და ამოცანები.
17. ფარმაცევტული მენეჯმენტის თეორია და პრაქტიკა; მენეჯმენტი და მართვა, მენეჯმენტის მეთოდები. მართვის სისტემები, სტრუქტურები და ფორმები; ორგანიზაცია და მისი გარემო. უფლებამოსილებათა განაწილება. ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია და მისი განვითარება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ ფარმაციის მაგისტრს დარგობრივი სფეროს საბაზისო ცოდნა საშუალებას აძლევს:

<ol style="list-style-type: none"> 1. ფარმაკოპეის გამოყენებით განახორციელოს სამკურნალო პრეპარატების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი, მიღებული შედეგების სწორი ინტერპრეტაციით; 2. სწორად აღიქვას კავშირი მოქმედი ნივთიერების ქიმიურ სტრუქტურას, წამლის მომზადების ტექნოლოგიასა და მის ფარმაკოლოგიურ ეფექტს შორის; 3. დამოუკიდებლად დაამზადოს სხვადასხვა წამლის ფორმები (ფხვნილები, აბები, მიქსტურები, მალამოები, საინექციო ხსნარები და ა.შ.) შესაბამისი გამოთვლების და ტექნოლოგიური სტადიების თანმიმდევრობის დაცვით; 4. გაითვალისწინოს მცენარეული წარმოშობის ნედლეულის მიღების, შენახვის, გამოყენების და სტანდარტიზაციის თავისებურებები; 5. მოახდინოს წამალთა დიფერენციაცია ფარმაკოლოგიური ჯგუფების მიხედვით, დანიშვნის ჩვენებების, გვერდითი ეფექტების და უკუჩვენებების მიხედვით; 6. გამოიყენოს წამლები და სხვა თერაპიული საშუალებები პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით; 7. დამოუკიდებლად მოიპოვოს ფარმაციის სფეროში საჭირო ინფორმაცია, ადეკვატურად, კრიტიკულად შეაფასოს მოვლენები და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება; 8. სწორად გაატაროს პროფილაქტიკური და ჰიგიენური ღონისძიებები განსაკუთრებით პანდემიების და ბუნებრივი კატაკლიზმების დროს; 9. გაითვალისწინოს და დაიცვას სახელმწიფოს პოლიტიკა ფსიქოტროპულ და შხამ-ნარკოტიკულ სამკურნალო პრეპარატებთან მიმართებაში; 10. მოახდინოს ფარმაცევტული დაწესებულების მენეჯმენტის ობიექტური შეფასება და იმსჯელოს მართვის სისტემის ეფექტურობაზე; 11. დამოუკიდებლად განახორციელოს ფარმაციის სფეროში ახალი ორიგინალური სამეცნიერო კვლევა დასახული ამოცანების გადაჭრის ოპტიმალური მეთოდების გამოყენებით.
<p>დასკვნის უნარი</p>
<p>ფარმაციის მაგისტრს შესწევს ლიმიტირებული ინფორმაციის პირობებში მოვლენების განვითარების პროგნოზირების, სწორი დასკვნების გამოტანის, დინამიკაში ცვლილებების მართვის, სათანადო არგუმენტების საფუძველზე ქმედებების არქიტექტონიკის ფორმირების და ეფექტური გადაწყვეტილების მიღების უნარი (იხ. დანართი 2).</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შეუძლია: კოლეგებთან კომუნიკაციის დამყარება. კოლექტივში კოორდინირებული საქმიანობა, სხვადასხვა წყაროებიდან ფარმაციის სფეროში სპეციფიკური პროფესიული ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, სამეცნიერო საზოგადოების წინაშე აკადემიურ დონეზე ანგარიშის წარდგენა, რთულ შეკითხვებზე დასაბუთებული პასუხის გაცემა, კომენტარების, შენიშვნებისა და რჩევების მიღება, საკვანძო საკითხებთან მიმართებაში საკუთარი პოზიციის გამოხატვა, დაცვა და დისკუსიაში აქტიური მონაწილეობა (როგორც მშობლიურ, ასევე ერთ-ერთ ევროპულ ენაზე). გარდა ამისა, სასწავლო პროცესი ხელს უწყობს გარკვეული კატეგორიის პაციენტებთან მიმართებაში პრობლემური ქცევის განსაზღვრის, მართვის და პროფესიული ჩარევის ამოცნობის უნარის ფორმირებასაც.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>ფარმაციის მაგისტრს შესწევს დამოუკიდებლად ორიგინალური კვლევის დაგეგმვის, განხორციელების, ლაბორატორიული დაკვირვებებისა და გაზომვების შედეგების სწორი ინტერპრეტაციის, სპეციალიზაციის სფეროში კვლევის ინიცირების და საინტერესო იდეების გენერირების უნარი. გარდა ამისა, კურსდამთავრებულს შეუძლია: სასწავლო, სამეცნიერო, ნორმატიულ ცნობარებსა და სხვა წყაროებთან დამოუკიდებლად მუშაობა, სწავლის პროცესის კრიტიკულად შეფასება და შემდგომი პროფესიული დახელოვნების მიზნით საკუთარი ცოდნის პრიორიტეტებისა და საჭიროებების განსაზღვრა.</p>

ღირებულებები

მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას, განსაკუთრებით: ძლიერმოქმედი, ფსიქოტროპული და ტერატოგენული ეფექტის მქონე სამკურნალო საშუალებების დოზების შემოწმებისას და გაცემისას;

„Medicamenta heroica in manu imperiti sunt, ut gladius in dextra furiosi (in dextra manu)!“

კრიტიკულად, „ცივი გონებით“ აფასებს ახალი მედიკამენტების შესაძლებლობებს, რადგან მართალია, ფარმაცევტული კომპანია წამლის შექმნის პროცესში აქცენტს აკეთებს მის ეფექტურობაზე, შემდეგ ტოქსიკურობასა და ბოლოს რენტაბელურობაზე, მაგრამ რეალურად (*a posteriori*) ეს თანმიმდევრობა შესაძლოა დარღვეული იყოს პრაგმატიზმის სასარგებლოდ.

„Manifestum non eget probatione!“

სამაგისტრო დისერტაციაზე ან თეზისზე მუშაობისას აცნობიერებს, როგორც სამეცნიერო სამყაროში არსებული დაუწერელი კანონების (აკადემიური პატიოსნების), ასევე კვლევის შედეგად მიღებული უარყოფითი შედეგების ობიექტურად წარმოჩენის მნიშვნელობასაც.

„Melius est nomen bonum quam magnae divitiae!“

ესმის, რომ XXI საუკუნეში აივ-ინფექცია და ვირუსული ჰეპატიტები ყოველთვის არ ასოცირდება ამორალური ქმედებების კანონზომიერ შედეგთან;

„Nulla regula sine exceptione!“

ითვალისწინებს საქართველოში არსებულ სოციალურ ფონს და მაქსიმალური გულისხმიერებით ეკიდება მოსახლეობის ინფორმაციულ და კლინიკურ მხარდაჭერას;

„Salus populi suprema lex!“

ათვითცნობიერებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ფარმაცევტულ სექტორში მძიმე კატეგორიის პაციენტებთან ურთიერთობისას პროფესიული ეთიკის დაცვა და მომაკვდავი ადამიანის სასიცოცხლო ჰორიზონტის შენარჩუნება;

„Ne noceas, si juvare non potes!“

მკურნალ ექიმებთან შეთანხმებით უზრუნველყოფს პაციენტისთვის ხელმისაწვდომი, ეფექტური მედიკამენტების შერჩევას;

„Praesente medico nihil nocet!“

პატივს სცემს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს. ფარმაციის მაგისტრისთვის დომინანტია პრინციპი - „**Ignavia est jacere dum possis surgere!**“.

ბიოსამედიცინო ინჟინერია

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

ბიოსამედიცინო ინჟინერია ჩვენი საუკუნის მეცნიერების განსაკუთრებულად მზარდი მულტიდისციპლინარული დარგია, რომელიც აერთიანებს ინჟინერიის, ბიოლოგიის, მედიცინისა და კომპიუტერული მეცნიერებების ცოდნას და მიმართული არა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფაზე, განსაზღვრავს მაღალი დონის სამედიცინო მომსახურების მიწოდებას. პროექტის - BME-ENA Biomedical Engineering Education Tempus Initiative in Eastern Neighboring Area (Project number: 543904-TEMPUS-1-2013-1-GR-TEMPUS-JPCR) მიზანი იყო სწორედ ბიოსამედიცინო ინჟინერიის სპეციალობით პრაქტიკოსების მომზადების არეალის გაფართოება ევროპიდან აღმოსავლეთით, რისთვისაც პროექტის ფარგლებში დაიგეგმა ისეთი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის იმპლემენტაცია, რომელიც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს წარმატებული და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას, აღნიშნულიდან გამომდინარე ექვს არ იწვევს სამედიცინო და ტექნიკური მიმართულებების უნივერსიტეტების მიერ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ასეთი ოპტიმალური მოდელის მიზანშეწონილობა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს სიცოცხლის მეცნიერებათა შესწავლის მრავალწლიანი გამოცდილება, ხოლო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ბიოსამედიცინო ინჟინერიის მიმართულებით სპეციალისტების მომზადება მიმდინარეობს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე. ეს მრავალწლიანი გამოცდილება გამოყენებულ იქნა ახალი სამაგისტრო პროგრამის შექმნისა და განხორციელებისათვის. ერთობლივი პროგრამა არის კომპლექსური და მასში რეალიზებულია პარტნიორების კოორდინირებული აქტივობა.

პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებსაც ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ექნებათ ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესებისა და შესაბამისი ცვლილებების მართვისათვის სათანადო ცოდნა და უნარ-ჩვევები, შეძლებენ სამედიცინო პროფილის დაწესებულებებში სამედიცინო აპარატურის და სისტემების მუშაობის მართვას, ბიოსამედიცინო სფეროში მენეჯმენტის გაუმჯობესებასა და ხელის შეწყობას, ორგანიზაციული ცვლილებების მხარდაჭერას; სამაგისტრო პროგრამა ხელს შეუწყობს აქტიური კვლევისა და სტუდენტებზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გამოყენებით კვლევითი უნარების განვითარებას. პროგრამა მაგისტრანტს საშუალებას აძლევს ინტერდისციპლინარული განათლება გამოიყენოს ბიოსამედიცინო პრობლემების გადასაწყვეტად, რაც საფუძველს ქმნის მათი, როგორც ბიოსამედიცინო ინჟინერების, კარიერული ზრდისათვის, უზრუნველყოფს დარგობრივი ცოდნის მიღებას იმ ხარისხით, რაც აუცილებელია ინჟინერ-მკვლევარის ჩამოყალიბებისთვის.

აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები ექიმებთან თანამშრომლობით მიიღებენ მონაწილეობას საავადმყოფოების სამედიცინო ტექნიკით აღჭურვის პროცესში და შეძლებენ რთული სამედიცინო აპარატურის და სისტემების მუშაობის უზრუნველყოფას კლინიკებსა და სხვა სამედიცინო პროფილის დაწესებულებებში.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	5 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	115 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

პროგრამის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს აქვს ღრმა, სისტემური, კვლევაზე დაფუძნებული ცოდნა:

- ჩატარებული კვლევების შესაბამისად ინჟინერიის, ფიზიკის ან შესაბამისად ბიოსამედიცინო მეცნიერებების სფეროში;
- აქვს ბიოსამედიცინო ინჟინერიის დარგის პროგრამით გათვალისწინებული თეორიისა და პრინციპების, სპეციფიკური მეთოდების/საკითხების უახლესი ცოდნა, რომელთა ძირითადი ნაწილი ასახავს კვლევაზე ან/და პროფესიულ პრაქტიკაზე დაფუძნებულ გამოცდილებას.
- იგი ფლობს ინფორმაციას ჯანდაცვის სფეროში ახალი სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევების შესახებ, პაციენტების მონიტორინგის და ჯანდაცვის მართვის პროცესში საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების როლის შესახებ.

კურსდამთავრებული აცნობიერებს ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედ ღირებულებებსა და პრინციპებს, ბიოსამედიცინო ინჟინერიის დარგში კვალიფიცირებული სპეციალისტის ჩამოყალიბების განმაპირობებელ ფაქტორებს.

კურსდამთავრებული ფლობს ინფორმაციას ბიოსამედიცინო სფეროში ეთიკურ ინორმებისა და კვლევის პრინციპების შესახებ.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ახალ, მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენება სამედიცინო მრეწველობის, სამკურნალო/სადიაგნოსტიკო დაწესებულებების, ლაბორატორიებისა და აპარატურის მომსახურებისა და ადმინისტრირების სფეროში.
- მიიღოს ახალი გამოწვევები თანამედროვე ბიოსამედიცინო ინჟინერიის სფეროში.
- კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების ძიება.
- დამოუკიდებლად განახორციელებს კვლევას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.
- მონაწილეობის მიღებას თანამედროვე სამედიცინო თერაპიული და სადიაგნოსტიკო აპარატურის მომსახურების, კვლევითი და პრაქტიკული პროექტების განხორციელებაში;
- კონკრეტული ტიპის სამკურნალო/სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტულ პროცედურებთან დაკავშირებული რისკების შეფასებას პაციენტის ინდივიდუალური მეტაბოლური და კონსტიტუციური თავისებურებების გათვალისწინებით.
- სამედიცინო პროცედურებთან დაკავშირებულ „სარგებელი-რისკის“ პრინციპების განალიზებას და პროცედურის „მიზანშეწონილობის“ შეფასებისას სხვადასხვა საერთაშორისო თუ ეროვნული „გაიდლაინების“ გამოყენებას.
- მარტივ, საყოფაცხოვრებო დონეზე პაციენტისათვის ინფორმაციის მიწოდებას სამედიცინო პროცედურასთან დაკავშირებული სარგებლისა და რისკის შესახებ.
- აქვს უნარი გამოიყენოს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები და გამოთვლითი ინსტრუმენტარიები ტექნიკური მიზნით. შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; შეუძლია მოქმედება ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში.

დასკვნის უნარი

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- უახლესი კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბოს დასაბუთებული დასკვნები ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობების გათვალისწინებით.
- უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური ანალიზი.
- სხვადასხვა გაიდლაინებითა და ნორმატიული დოკუმენტებით ოპერირება; მრავალმხრივი განათლების გამოყენება გლობალურ და სოციალურ ასპექტში ტექნიკური გადაწყვეტილებების

მისაღებად, მონაცემების და/ან სიტუაციების ანალიზისტანდარტების მიხედვით, განსხვავებული მეთოდებით მიღებული შედეგების საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება.

კომუნიკაციის უნარი

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- თავისი დასკვნებისა და არგუმენტაციის გარშემო კომუნიკაცია აკადემიურ, პროფესიულ საზოგადოებაში, სხვადასხვა პროფილისა და კომპეტენციის დონის სამედიცინო და დამხმარე პერსონალთან, ასევე არასპეციალისტებთან, მათ შორის უცხოურ ენაზე;
- სხვადასხვა დოკუმენტაციის წერილობით გასაგებად და გამართულად მომზადება, აკადემიურ დონეზე ანგარიშების პრეზენტაცია;
- დარგის თავისებურებების გათვალისწინებით პროფესიული აქტივობების თვალსაჩინოებისა და ეფექტური წარდგენის მიზნით თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითი გამოყენება.

სწავლის უნარი

- კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი პროფესიული გამოცდილების ობიექტური შეფასება და თვითგანვითარების აუცილებლობისა და შესაძლებლობის იდენტიფიცირება, სპეციალიზირებული სამეცნიერო პერიოდიკის კრიტიკული ანალიზის გზით საკუთარი ცოდნისა და უნარების ობიექტური შეფასებას;
- შეუძლია მუდმივად განახლოს და შეავსოს ცოდნა ახალი გაუმჯობესებული ტექნოლოგიების, მათი შესაძლებლობების და ექსპლუატაციის წესების შესახებ.
- აცნობიერებს თავისი პროფესიული დონის პერმანენტული სრულყოფის აუცილებლობას და შეუძლია დამოუკიდებლად სწავლის დაგეგმვა და განხორციელება.
- დამოუკიდებლად წარმართავს სწავლისა და კვლევის პროცესს; ანალიზებს და აცნობიერებს ბიოსამედიცინო ინჟინერიის სფეროში სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნული, საექსპერტო და „პროფესიული“ ორგანიზაციების ინტერნეტ-რესურსების ინფორმაციებს.

ღირებულებები

- სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ ბიოსამედიცინო ინჟინერიის მაგისტრი, შეიძენს რა დარგის საბაზისო ღირებულებების პრაქტიკაში რეალიზაციისათვის აუცილებელ ახალ ცოდნასა და პროფესიულ უნარებს, შეაფასებს თავის და სხვების დამოკიდებულებას ღირებულებებისადმი და შეძლებს წვლილის შეტანას პროფესიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში, ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში აქტიური პრაქტიკული ჩართულობითა და აზრთა გაზიარებით;
- ფლობს სხვათა აზრისა და დამოკიდებულებისადმი პატივისცემის უნარს;
- უყალიბდება ჯანდაცვისა და ბიოსამედიცინო ინჟინერიის პრობლემების თანამედროვე ხედვა; პროფესიული პატიოსნების დამახასიათებელი თვისებები.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიზანია: საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ასევე ჯანდაცვის პოლიტიკის დარგში თეორიული ცოდნის, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომლის პროფესიული საქმიანობა ხელს შე-უწყობს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტურობის გაზრდას მოსახლეობის სპეციფიურ ჯგუფებსა და/ან მთლიანად მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანით.

პროგრამა ფოკუსირებულია ჯანმრთელობაზე, როგორც სოციალურ და ეკონომიკურ კატეგორიაზე; ჯანმრთელობის განმსაზღვრელ დეტერმინანტებზე, ასევე ჯანდაცვის პოლიტიკის და ადმინისტრირების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	5 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	115 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

პროგრამის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

I კონცენტრაცია: საზოგადოებრივი ჯანდაცვა

- კურსდამთავრებულს აქვს საფუძვლიანი ცოდნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის არსის, თეორიული მიდგომების, მეთოდების შესახებ;
- ღრმა და სისტემური ცოდნა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში პრობლემების იდენტიფიცირების და მათი გა-დაჭრის გზების შესახებ;
- ცოდნა დაავადებათა სტატისტიკის და ეპიდემიოლოგიის შე-სახებ; დაავადებათა პრევენციისა და მართვის, ცხოვრების ჯანსაღი წესისა და ქცევის ცვლილებების შესახებ.
- სისტემური ცოდნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისების პაციენტზე, მიზნობრივ ჯგუფებსა და პოპულაციაზე ორიენტაციისა და პაციენტის უფლებების დაცვის თაობაზე.

II კონცენტრაცია: ჯანდაცვის პოლიტიკა

- აქვს ცოდნა ჯანმრთელობის დაცვის სისტემების, გლობალური და საერთაშორისო ჯანმრთელობის და მისი დეტერმინანტების შესახებ; შეუძლია გააცნობიეროს ამ სფეროში მიმდინარე ცვლილებები;
- ცოდნა ჯანმრთელობის პოლიტიკის შეფასების და კვლევის მეთოდების შესახებ;
- სისტემური ცოდნა ჯანდაცვის სექტორის მარეგულირებელი გარემოს, ლიდერობის და ორგანიზაციული კულტურის, მენეჯერული ეკონომიკის, ჯანმრთელობის დაზღვევის, სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის და ჯანდაცვითი პროდუქტების მარკეტინგის ტექნოლოგიების შესახებ.
- ცოდნა ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობისა და ეთიკური ასპექტების, პაციენტის უფლებებისა და ჯანდაცვის სფეროში საქმიანობის სამართლებრივი საკითხების შესახებ;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს აქვს:

I კონცენტრაცია – საზოგადოებრივი ჯანდაცვა:

<ul style="list-style-type: none"> ▪ მიზნობრივ ჯგუფებსა და პოპულაციაში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების უნარი. პრობლე-მური საკითხების იდენტიფიცირების და მათ გადაჭრაზე მიმართული პროექტების მართვის უნარი; ▪ მიზნობრივი ჯგუფების პრობლემატიკის მიხედვით საზოგა-დოებრივი ჯანმრთელობის ძირითად და ალტერნატიულ ღო-ნისძიებათა დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების უნარი; ▪ გარემოს დაბინძურების ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შეფა-სების, ასევე დაავადებათა გავრცელების თვალსაზრისით არ-სებული რისკების ანალიზის, პრობლემების იდენტიფიცირე-ბის და რეგულაციური ჩარევების რეკომენდაციების გაცემის (მიცემის), ასევე მოსახლეობის მობილიზების უნარი არსებუ-ლი პრობლემების დროულად და ადექვატურად აღმოფხვრი-სათვის; ▪ მონაცემთა და ინფორმაციის სისტემატიზაციის, ურთიერთშე-თანადების, რაოდენობრივი და თვისებრივი შეფასებისა და კრიტიკული ანალიზის უნარი; <p>II კონცენტრაცია – „ჯანდაცვის პოლიტიკა“</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ აქვს ჯანმრთელობის პოლიტიკის ფორმირების პროცესებში ჩართვის უნარი; ▪ რთული და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი,ორიგინალური გზების მოძიების,მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით. ▪ ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის შეფასების/ანალიზის უნარი და უახლეს მიღწევათა ქვეყნის პოლიტიკაში ინტეგრირ-რების უნარი;
<p>დასკვნის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ ლიტერატურული წყაროებისა და საკუთარი კვლევის საფუძ-ველზე მოპოვებული მონაცემების დამუშავების, კრიტიკული ანალიზისა და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარი; ▪ მონაცემთა და ინფორმაციის სისტემატიზაციის, კრიტიკული ანალიზის, რაოდენობრივი და თვისებრივი შეფასების გზით მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებათა მიღების უნარი; ▪ რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთე-ბული დასკვნების ჩამოყალიბების, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის სინთეზის და ინოვაციური გა-დაწყვეტილებების მიღების უნარი; ▪ ჯანმრთელობის დაცვის ეთიკურ-სამართლებრივ საკითხებზე მტკიცებულებითი დოკუმენტაციის შემუშავების და დასკვნის გაკეთების უნარი.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>თავისუფლად ფლობს თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებს, ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას, დამაჯერებლად ახდენს საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრებების დემონსტრირებას.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას, სწავლის პროცესის თავისებურებების/სპეციფიკის გაცნობიერებას. ▪ აქვს საკუთარი თავის პროფესიული შეფასებისა ად განვითარების სტრატე-გიების ჩამოყალიბებისა და დასახული მიზნების მიღწევისათვის აუცი-ლებელი/საჭირო ცოდნის ათვისების დაგეგმვის უნარი; ▪ განათლების უფრო მაღალ საფეხურზე (დოქტორანტურა) პროფესიული მზა-დების აუცილებლობის განსაზღვრის და მისი განხორციელების უნარი.
<p>ღირებულებები</p>

- კურსდამთავრებულს გათავისებული აქვს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მორალური იმპერატივი და სამედიცინო ან/და მენეჯერული ეთიკის პრინციპების დაცვის აუცილებლობა;
- აცნობიერებს პრაქტიკულ და სამეცნიერო საქმიანობაში საზოგადოებრივი, აკადემიური, რელიგიური, მორალური თუ ნა-ციონალური ფაქტორების და ღირებულებების მიმართ სხვა-თა დამოკიდებულების, მხარეთა ინტერესების ბალანსის დაცვისა და ახალი ღირებულებების ფორმირებაში წვლილის შეტანის მნიშვნელობას სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის და სამართლიანობის უზრუნველყოფისათვის;
- შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი

სატრანსპორტო ლოჯისტიკა

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინჟინერიის მაგისტრი სატრანსპორტო ლოჯისტიკაში

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს სატრანსპორტო სფეროსთვის ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გაღრმავებული, ფუნდამენტური და პროფესიული მოთხოვნების შესაბამისი მოღვაწეობა ტრანსპორტის სფეროში, მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საწარმოო-ტექნოლოგიური, საორგანიზაციო-სამმართველო და პედაგოგიური საქმიანობა. პროგრამა უზრუნველყოფს სატრანსპორტო ლოჯისტიკაში ინჟინერიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტების საბაზო მომზადებას, რომელთა პროფესიული საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით მიწოდებათა ერთიანი ლოჯისტიკური ჯაჭვის ცალკეული რგოლების უსაფრთხო და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა კონკრეტულ ბიზნეს გარემოში.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	67,5 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	22,5 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

პროგრამის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

ფლობს სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ სისტემებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და ორგანიზაციული პროცესების განვითარების პროგნოზირებისა და მათი მდგომარეობის შეფასების მეთოდებს სატრანსპორტო მომსახურების ბაზრის მონაწილეთა ეკონომიკური, სოციალური და ორგანიზაციული განვითარების პოტენციურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით. აქვს უნარი საპროექტო საქმიანობისადმი პროფესიულ სფერო-ში, იცის მიწოდებათა ერთიანი ჯაჭვის ლოჯისტიკური მენეჯმენტის პრინციპები, რომლებსაც წარმატებით იყენებს სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაციის და მართვის სფეროში წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად. კარგად ფლობს ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემების აგების და მართვის პრინციპებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შესწევს უნარი მეცნიერულად გააანალიზოს ტრანსპორტის სფეროს პროცესები და პრობლემები, შეუძლია გამოიყენოს შესწავლილ მეცნიერებათა მეთოდები პროფესიული საქმიანობის სხვადასხვა დონეზე სატრანსპორტო მომსახურების მაღალი ხარისხის და ეფექტურობის მისაღწევად. ესმის ბუნების შემეცნების თანამედროვე მეცნიერული მეთოდების შესაძლებლობები და ფლობს მათ იმ დონეზე, რაც საჭიროა პროფესიული ფუნქციების შესრულების პროცესში წარმოქმნილი პრაქტიკულ-სამეცნიერო შინაარსის მქონე ამოცანების გადასაწყვეტად.

შეუძლია დამოუკიდებლად ააგოს და გამოიყენოს მოდელები ტექნიკურ-ინტელექტუალურ სისტემებში მიმდინარე სხვადასხვა მოვლენათა აღსაწერად და პროგნოზირებისათვის, განახორციელოს მათი ხრისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზი. ფლობს ინფორმაციის მოძიების, შეკრების,

<p>სისტემატიზაციისა და გამოყენების ჩვენს, პრაქტიკულად გამოიყენებს კომპიუტერული ტექნიკის და კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებს სამუშაოთა ორგანიზაციის პროცესში.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>
<p>უნარი აქვს იპოვოს რთულ ამოცანათა გონივრულად და სწრაფად გადაწყვეტის გზები; უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე , მაშინაც კი თუ განიცდის ინფორმაციის სიმწირეს, ინოვაციური სინთეზით ძალუძს დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება და არასტანდარტული პრობლემების მოგვარება.</p> <p>შეუძლია დაამუშაოს სამმართველო გადაწყვეტილებათა ვარიანტები და შეარჩიოს ოპტიმალური არჩევანი გამომდინარე სატრანსპორტო გადაზიდვების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების კრიტერიუმიდან.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>დაუფლებულია ანალიტიკური აზროვნების კულტურას, იცის მისი ზოგადი კანონები, შეუძლია წერილობით და ზეპირ მეტყველებაში როგორც ქართულ ასევე უცხოურ ენებზე სწორად /ლოგიკურად/ ჩამოყალიბოს მისი შედეგები. ყოველდღიურ საქმიანობაში განუხრელად ზრუნავს აკადემიური პატიოსნების ზოგადსაკაცობრიო პრინციპების დაცვასა და მათ საზოგადოებაში დამკვიდრებაზე. აქვს უნარი მეცნიერულ საფუძველზე მოაწყოს თავისი შრომა, ფლობს მის პროფესიულ საქმიანობაში გამოყენებული ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და დამუშავების (რედაქტირების) კომპიუტერულ მეთოდებს.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>მეთოდურად და ფსიქოლოგიურად მზად არის თავისი პროფესიული მოღვაწეობის სახეობისა და ხასიათის შეცვლის შემთხვევაში დამოუკიდებლად წარმართოს თვითგანათლების პროცესი და შეიძინოს მზაობა ახალ სტრატეგიულ პროექტებზე მუშაობისათვის; სურვილის შემთხვევაში სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების ბოლო საფეხურზე - სადოქტორო პროგრამაზე.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>აქვს წარმოდგენა შეგნების არსზე, მის ურთიერთობაზე შეუგნებლობასთან, საქციელში შეგნებისა და თვითშეგნების როლზე, ადამიანურ კავშირსა და საქმიანობაზე, თავისი მმართველობითი თუ პედაგოგიური მოღვაწეობით განუხრელად ზრუნავს ღია სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრის - ღირსეული პიროვნების ჩამოყალიბებაზე.</p>

ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სექტორის კონკურენტუნარიან ბაზარზე ორიენტირებული, საინჟინრო-ტექნიკური ცოდნითა და მენეჯერული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის შესაბამისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მქონე სპეციალისტის მომზადება.

სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „ენერგეტიკის სექტორის შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტის“ ფარგლებში საქართველოში ენერგეტიკის სფეროში არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე.

პროგრამა ინტერდისციპლინარულია. იგი სტუდენტებს მისცემს ფუნდამენტურ ცოდნას, როგორც ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგიებში, ასევე მის მენეჯმენტში. პროგრამა გარდა ტექნიკური და მენეჯერული კურსებისა მოიცავს ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სამართლებრივი საკითხების ფართო სპექტრს და შეეხება ისეთ თემებს, როგორცაა: ენერგოეფექტურობა, ენერგობაზრები, ელექტროენერგეტიკის პოლიტიკა და რეგულირება, გარემოს დაცვის საკითხები. პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი უკავია პროექტის მენეჯმენტის შესწავლასა და ენერგეტიკის ობიექტების გარემოზე ზემოქმედების განხილვას. სტუდენტები შეისწავლიან მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების გამოყენების შესაძლებლობებს ენერგეტიკის მართვის სფეროში.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	20 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	100 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

ზოგადი: აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.

დარგობრივი: გააჩნია ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგიური პროცესის (ელექტროენერჯის წარმოება, გადაცემა, განაწილება) სპეციფიური ცოდნა და შეუძლია ამ ცოდნის საფუძველზე მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება.

გაცნობიერებული აქვს ელექტროენერგეტიკული მრეწველობის როლი და ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში.

შეცნობილი აქვს ელექტროენერგეტიკის მენეჯმენტის არსი და მისი სოციალური მნიშვნელობა, გააჩნია მართვაში მათემატიკური მეთოდების და მოდელების გამოყენების ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ზოგადი: ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;

<p>დარგობრივი: შეუძლია ელექტროენერგეტიკის სფეროსთვის დამახასიათებელი მმართველობითი ამოცანების ფორმულირება და გადაჭრა რესურსების ოპტიმალური გამოყენებით.</p> <p>შეუძლია მათემატიკური მეთოდების გამოყენება მმართველობით საქმიანობაში.</p> <p>შეუძლია სისტემურად გაანალიზოს ელექტროენერგეტიკის სფეროს მენეჯმენტში არსებული ზოგადი ტენდენციები და კონკრეტული სიტუაციები.</p> <p>შეუძლია შეუმუშაოს და განახორციელოს პროექტები ელექტროენერგეტიკის სფეროში.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>
<p>ზოგადი: რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული.</p> <p>დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;</p> <p>დარგობრივი: შეუძლია დარგისთვის დამახასიათებელი ინფორმაციის, ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი და დასკვნების გაკეთება პროგნოზირებისა და დაგეგმვისათვის.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>ზოგადი: თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;</p> <p>დარგობრივი: გააჩნია მმართველობითი უნარ-ჩვევები, ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს თანამშრომლების საქმიანობას.</p> <p>შეუძლია პროექტების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის დაგეგმვა და კონტროლი.</p> <p>შეუძლია მონიტორინგი და კონტროლი გაუწიოს სხვა პროექტების განხორციელებას, გააკეთოს დასკვნები და მისცეს რეკომენდაციები.</p> <p>შეუძლია გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ანალიზი, დასკვნების გაკეთება და ანგარიშების შემუშავება წერილობით და ზეპირად გადმოცემა.</p> <p>შეუძლია ეფექტური პრეზენტაციების გაკეთება საოფისე პროგრამებისა და ტექნიკის გამოყენებით.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>ზოგადი: სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;</p> <p>დარგობრივი: კრიტიკულად აფასებს საკუთარ პროფესიულ ცოდნას და უნარ-ჩვევებს და შესწევს უნარი ოპტიმალურად დაგეგმოს სწავლების პროცესი მთელი სიცოცხლის მანძილზე.</p> <p>შესწევს უნარი შეაფასოს თანამშრომლების პროფესიული ცოდნის საჭიროებები და მისცეს რჩევები ამ ცოდნის სრულყოფისათვის ან თავად გაუწიოს კონსულტაციები პროფესიულ საკითხებზე.</p> <p>გააჩნია საკმარისი ცოდნა გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>ზოგადი: ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p> <p>დარგობრივი: შესწევს უნარი სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემებისა და პროცესების გასაანალიზებლად.</p> <p>გააჩნია აზროვნების ჩამოყალიბებული კულტურა, ფლობს ზიპირი მეტყველებისა და წერის ნორმებს.</p> <p>ხელს უწყობს შემოქმედებითი ინიციატივების, რაციონალიზაციის, ახალ ტექნოლოგიათა დანერგვას;</p> <p>გააჩნია აქტიური საზოგადოებრივი პოზიცია, იბრძვის ენერგოეფექტურობისა და ენერჯის დაზოგვის პოპულარიზაციისათვის, პროპაგანდას უწევს ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენებას.</p>

ელექტროენერგეტიკა

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინჟინერიის მაგისტრი ელექტროენერგეტიკაში

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

ელექტროენერგეტიკის დარგისათვის მოამზადოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც მიღებული კომპეტენციებით პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს და მზად არის საპროექტო, ტექნოლოგიური, საორგანიზაციო-მმართველობითი და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	20 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	100 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;

კურსდამთავრებულს გააჩნია საკმარისი ცოდნა ელექტროენერგეტიკის სფეროში სტანდარტული და არასტანდარტული ამოცანების დაგასაჭრელად; გააჩნია ცოდნა დარგისთვის დამახასიათებელი თეორიული და ექსპერიმენტალური კვლევების ჩატარების, მონაცემების დამუშავებისა და მიღებული შედეგების განზოგადებისათვის. შუძლია ახალი ტექნოლოგიური პროცესისა და დანადგარის შემუშავება წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ფლობს ფიზიკური პროცესების მოდელირების მეთოდებს და გააზრებული აქვს მათი გამოყენების აუცილებლობა კონკრეტული შემთხვევისთვის. ფლობს ელექტროენერგეტიკული სისტემების, მოწყობილობისა და დანადგარების შემუშავების მეთოდებს და შეუძლია ამ ცოდნის საფუძველზე ანალიზის გაკეთება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, შეუძლია ელექტროენერგეტიკის სფეროსათვის დამახასიათებელი მცირე და საშუალო პროექტების შემუშავება და განხორციელება. კურსდამთავრებულს შეუძლია დარგისთვის დამახასიათებელი პრობლემების იდენტიფიცირება, საწარმოო და საპროექტო ამოცანების ფორმულირება და გადაჭრა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვისა და კომპლექსური მიდგომის საფუძველზე. გააჩნია ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და სინთეზის უნარი; გააჩნია კვლევის პროცესის წარმართვის, დასკვნების გამოტანისა და ანგარიშის შედგენის უნარი; შეიმუშავებს მეთოდურ და ნორმატიულ მასალებს, ასევე ღონისძიებათა წინადადებებს შექმნილი პროექტების განსახორციელებლად; ფლობს მონაცემების დამუშავების კომპიუტერულ მეთოდებს და შეუძლია მათი გამოყენება.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია ელექტროენერგეტიკის ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების გაანგარიშება და ოპტიმალური ვარიანტის განსაზღვრა; შეუძლია ჩაატაროს ტექნიკური პროექტის შეფასება.

<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>კურსდამთავრებულს აქვს კომუნიკაციის უნარი მშობლიურ ენაზე, გააჩნია მმართველობითი უნარ-ჩვევები, ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს თანამშრომლების საქმიანობას. შეუძლია პროექტების მართვა და განხორციელება, მასთან დაკავშირებული საქმიანობის დაგეგმვა და კონტროლი; შეუძლია გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ანალიზი, დასკვნების გაკეთება და ანგარიშების შემუშავება წერილობით და ზეპირად გადმოცემა. ორგანიზებას უკეთებს სხვების პროფესიულ სწავლებას, ხელს უწყობს თანამშრომლების საწარმოო ინიციატივას.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>კურსდამთავრებული კრიტიკულად აფასებს საკუთარ პროფესიულ ცოდნას და უნარ-ჩვევებს და შესწევს უნარი ოპტიმალურად დაგეგმოს სწავლების პროცესი მთელი სიცოცხლის მანძილზე. შესწევს უნარი შეაფასოს თანამშრომლების პროფესიული ცოდნის საჭიროებები და მისცეს რჩევები ამ ცოდნის სრულყოფისათვის ან თავად გაუწიოს კონსულტაციები პროფესიულ საკითხებზე.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>კურსდამთავრებულს შეუძლია ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. გააჩნია აქტიური საზოგადოებრივი პოზიცია, იბრძვის ენერგოფექტურობისა და ენერჯის დაზოგვის პოპულარიზაციისათვის, პროპაგანდას უწევს ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენებას.</p>

მშენებლობა

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

სპეციალურ საინჟინრო დისციპლინებში საბაზისო ცოდნის შეძენის საფუძველზე ჩამოყალიბოს მომავალ მშენებლობის მაგისტრს კომპლექსური ცოდნა და უნარ-ჩვევები სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების პროექტირების და მშენებლობისათვის. საბაზრო კონკურენციის პირობების შესაბამისად განუვითაროს საპროექტო და სამშენებლო წარმოებისათვის საჭირო დარგობრივი კომპეტენციები. სამშენებლო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბების საფუძველზე მისცეს უახლესი ტექნოლოგიებისა და ღირებულებების კვლევის და საქმიანობაში გამოყენების საშუალება. საპროექტო და სამშენებლო ბიზნესის დამოუკიდებლად წარმოების უნარი.

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო არჩევითი კურსები	5 ECTS კრედიტი
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები	12,5 ECTS კრედიტი
პროგრამის სავალდებულო კურსები	62,5 ECTS კრედიტი
პროგრამის არჩევითი მოდულები	40 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- მშენებლობის სფეროსათვის დამახასიათებელი პროექტირების, წარმოების, ექსპლუატაციის, რემონტის და ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების მომცველი თეორიების ცოდნა;
- მოწინავე ახალი ტექნოლოგიების გაცნობიერება;
- სამშენებლო სფეროს საკითხების კომპლექსური კვლევის და ოპტიმალური ვარიანტის შერჩევისა და ანალიზის გაცნობიერება;
- საჭირო ნედლეულის, რეაგენტების, მასალების, მზა პროდუქციის ტექნიკური პარამეტრების ცოდნა;
- სამშენებლო ბაზრის ძირითადი პრინციპების და პერსპექტივების ცოდნა-გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- კონსტრუქციების და შენობა-ნაგებობების განხილვა მათი თავისებურებების გათვალისწინებით, საიმედოობის შეფასება შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებით;
- სხვადასხვა სახის სამშენებლო ობიექტებზე ტექნიკური და ორგანიზაციული ფუნქციების შესრულება;
- შენობა-ნაგებობების დაზიანებების აღმოჩენა, დიაგნოსტიკა და რეკომენდაციების შემუშავება;
- მასალებისა და ნაკეთობების მახასიათებლების კვლევა ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასების მეთოდების გამოყენებით;
- შენობებისა და ნაგებობების პროექტირება;
- მშენებლობის წარმოების და ექსპლუატაციის ოპტიმალური ვარიანტების შერჩევა;
- უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ინტენსიფიკაცია

დასკვნის უნარი

<ul style="list-style-type: none"> ▪ მშენებლობის სფეროსათვის საჭირო მონაცემების შეგროვება და ანალიზის საფუძველზე ახალი ტექნოლოგიების დამუშავება; ▪ მშენებარე ობიექტზე ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, მათი დიაგნოსტიკა, გამოკვლევა და ანალიზის საფუძველზე სწორი დასკვნის გამოტანა; ▪ სამუშაოთა წარმოების საუკეთესო ვარიანტის შერჩევა და დასაბუთება; ▪ სამუშაოთა წარმოების პროცესში შესასრულებელ სამუშაოთა თანამიმდევრობის ოპტიმალური ვარიანტის ჩამოყალიბება და დასაბუთება; ▪ საჭიროების შემთხვევაში ხელთ არსებული ინფორმაციების ინტეგრირებით, მოდიფიცირებითა და სინთეზირებით ოპტიმალური ვარიანტის შეთავაზება.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ მშენებლობის დარგისათვის საჭირო საკითხებზე კომპეტენტური აზრის ჩამოყალიბება და ნათლად გამოხატვა მშობლიურ და უცხო ენაზე; ▪ მშენებლობის სფეროში საქმიანობის მართვის პროცესის განხორციელება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; ▪ რთული და სადავო საკითხების გადაწყვეტისას კომუნიკაბელურობის უნარი; ▪ საქმიანობის შედეგების დოკუმენტირება და პრეზენტაციის ორგანიზება პროფესიულ და არაპროფესიულ გარემოში.
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მუდმივად მოძიება, შეფასება და შერჩევა მშენებლობის სფეროს კონკრეტული მიმართულების შესაბამისად; ▪ მოპოვებული ინფორმაციის რანჟირება; ▪ სწავლის შედეგების და შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე სწავლის შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობის განსაზღვრა.
<p>ღირებულებები</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ სხვისი აზრის მოსმენის და გაზიარების უნარი და გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღებისას; ▪ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დაცვა და პატივისცემა.

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი გარემოს დაცვა და საინჟინრო ეკოლოგია

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სპეციალისტთა მომზადება გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების მაგისტრის კვალიფიკაციით, რომლებსაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა გარემოს დაცვის, როგორც ადმინისტრაციული, სამეურნეო, ტექნოლოგიური, პოლიტიკურ-სამართლებრივი და საზოგადოებრივი ღონისძიებების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია მაგისტრთა მომზადებაზე, რომლებიც შეძლებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებასა და დასკვნების ჩამოყალიბებას საქმიანობათა გარემოზე ზემოქმედების აღკვეთისა და შეზღუდვის კომპლექსური ღონისძიებების, ასევე თანამედროვე პრაქტიკაში მიღებული გარემოსდაცვითი მოთხოვნების, წესებისა და სტანდარტების დაცვის საკითხებზე.

ქვეყნის ეკონომიკურ პრიორიტეტებთან (ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, საკვების უსაფრთხოება, ენერჯეტიკა) თანხვედრის გამო გარემოს დაცვა საქართველოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და სასიცოცხლოდ აუცილებელ სფეროს წარმოადგენს. საქართველო, როგორც მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი, აქტიურად არის ჩაბმული მსოფლიო გარემოსდაცვით პოლიტიკაში. გარემოსდაცვით ვალდებულებებს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ევროკომისია და საქართველოს მთავრობა თანამშრომლობენ წყლის, ნარჩენების მართვისა და ჰაერის ხარისხის საკითხებში. საქართველო მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის შესახებ მრავალ საერთაშორისო შეთანხმებაში, თანამშრომლობს ამ შეთანხმებების ფარგლებში და მხარდაჭერას იღებს სხვადასხვა ქვეყნიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, რომელიც შეიქმნა 1991 წელს, წარმოადგენს პასუხისმგებელ ორგანოს ეროვნულ დონეზე ამ შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებებისა და მოთხოვნების შესრულებაზე. გარდა ამისა, საქართველოში გარემოს დაცვის საკითხებზე მუშაობს რამოდენიმე ათეული არასამთავრობო ორგანიზაცია, გარემოსდაცვითი საქმიანობების ძირითად დონორ ორგანიზაციებს კი წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), მსოფლიო ბანკი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP), შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA), კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (CIDA), ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია OSCE, ევრაზიის ფონდი და ა.შ.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	5 ECTSკრედიტი
სავალდებულო კურსები	85 ECTSკრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTSკრედიტი
სულ	120 ECTSკრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა გარემოს დაცვის საინჟინრო და ტექნოლოგიური ღონისძიებების შესახებ. რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას;
- ფლობს ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს ეკოლოგიური კონტროლის ჩატარების თანამედროვე მეთოდებს;

<ul style="list-style-type: none"> - აცნობიერებს მცირენარჩენიანი ტექნოლოგიების დანერგვისა და ნარჩენების მართვის ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; - შეუძლია გარემოზე ანთროპოგენული ზემოქმედების მართვისა და კონტროლის ცალკეული პრობლემების გადაწყვეტა.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> - ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში შეუძლია მრეწველობის სხვადასხვა დარგში გარემოს დაცვითი ღონისძიებების, გარემოზე ზემოქმედების აღკვეთისა და შეზღუდვის კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი და ორიგინალური გზების ძიება; - შეუძლია გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; - შეუძლია საწარმოო კონტროლის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება დამტკიცებული გარემოსდაცვითი მოთხოვნების, მოქმედი ნორმების, წესების და სტანდარტების დაცვით; - ფლობს პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საფუძვლებს, შეუძლია აუდიტორიასთან სასწავლო მუშაობის წარმართვა.
<p>დასკვნის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> - შეუძლია ადგილობრივი, რეგიონული და გლობალური ეკოლოგიური პრობლემების კრიტიკული ანალიზი და მათ საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; - შეუძლია გარემოს დაცვის სფეროში საინჟინრო გადაწყვეტილებების კრიტიკული ანალიზი და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; - შეუძლია დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება საქმიანობათა გარემოზე ზემოქმედების შესახებ რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე;
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> - შეუძლია ქართულ და უცხოურ ენებზე კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მის მიერ გაკეთებული დასკვნების, მოძიებული არგუმენტების, ჩამოყალიბებული კვლევის მეთოდებისა და მიდგომების შესახებ; - პროფესიული მოვალეობების შესრულებისას შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების გამოყენება.
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> - შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა; - აცნობიერებს სწავლის პროცესის თავისებურებებს და მათი გათვალისწინებით შეუძლია სწავლის პროცესის სწორი დაგეგმვა.
<p>ღირებულებები</p>
<ul style="list-style-type: none"> - შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა; - აცნობიერებს სწავლის პროცესის თავისებურებებს და მათი გათვალისწინებით შეუძლია სწავლის პროცესის სწორი დაგეგმვა.

სასურსათო ტექნოლოგია

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სასურსათო ტექნოლოგიის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებული სპეციალისტები სასურსათო ტექნოლოგიების ღრმა ცოდნითა და დარგობრივი კომპეტენციებით, რომელსაც ექნება სისტემური ცოდნა დარგობრივ უახლესი ტექნოლოგიების, ნედლეულისა და მოწყობილობების შესახებ და ასევე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პრაქტიკული ჩვევები.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	40 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	50 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები: სასურსათო ტექნოლოგიის მაგისტრის კვალიფიკაცია ენიჭება სტუდენტს, რომელსაც გააჩნია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული სწავლების მეორე საფეხურზე მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაბამისი დონე.

სასურსათო ტექნოლოგიის მაგისტრები კომპეტენციების ფარგლებში შეძლებენ:

- კვების მრეწველობის დარგობრივ საწარმოებში ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვას და სრული ტექნოლოგიური ციკლის დამოუკიდებლად მართვას;
- კვების პროდუქტების წარმოებაში გამოყენებული ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და მზა ნაწარმის ტექნო-ქიმიურ კონტროლს;
- კონსტრუქციისა და მუშაობის პრინციპის გათვალისწინებით კვების საწარმოთა ძირითადი მოწყობილობების შერჩევას და მათ ექსპლოატაციას;
- ახალი სანედლეულო რესურსების გამოვლენას, შეფასებას და მიღებული კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებით უსაფრთხო პროდუქციის წარმოებას;
- შემძინილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანას, დარგის პრობლემების განსაზღვრას, მათი გადაჭრის გზების ძიებას და მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებას;
- საწარმოო ტექნოლოგიის მუდმივ განახლებას და განვითარებას სხვადასხვა ასპექტების (გარემოს დაცვა, ხარისხის უზრუნველყოფა, უსაფრთხოება და ა.შ) გათვალისწინებით.

სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია სტუდენტისათვის სწავლების პროცესის ისეთი ორგანიზებით, რომელიც უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროგრამის თავისუფალი შერჩევის უფლებას;
- ძირითადი სპეციალობის საბაზისო კურსების ღრმად და საფუძვლიანად დაუფლებას;
- არანაკლებ ერთი უცხო ენის შესწავლას უცხოელებთან თავისუფალი კომუნიკაციის დონეზე;
- წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების შეძენას;
- პროფესიული პრაქტიკის გავლას და პროფესიული გამოცდილების მიღებას კვების მრეწველობის კერძო ფირმებსა და საწარმოებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, ბიზნეს სტრუქტურებში, საერთაშორისო ორგანიზაციების სტრუქტურებში, ფირმებსა და სავაჭრო ორგანიზაციებში, საბაჟოებზე, თვითდაფინანსების საფუძველზე შესაძლებელია პრაქტიკის გავლა უცხოეთში.

ცოდნა და გაცნობიერება

- იცის სასურსათო ტექნოლოგიების მეცნიერულ საფუძვლები-მიკრობიოლოგიური, ბიოქიმიური, კოლოდური, ბიოტექნოლოგიური, თერმოდინამიკური და სხვა კანონზომიერებები, რომლებსაც ეფუძნება კვების პროდუქტების წარმოება;
- იცის კვების პროდუქტების წარმოების სისტემური კვლევის მეთოდები და პრინციპები და შეუძლია ტექნოლოგიური სისტემის ორგანიზაცია;
- იცნობს სისტემური ანალიზის ზოგად სტრატეგიას და ტექნოლოგიური სისტემების მოდელს. მათი ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე შეუძლია ოპტიმიზაციის ამოცანების გადაჭრა;
- შეუძლია ადგილობრივი ნედლეულის მოძიება და აცნობიერებს, რომ მისი გადამამუშავებით შექმნილი სასურსათო პროდუქცია მრავალფეროვანს გახდის სამომხმარებლო ბაზარს და ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას;
- ფლობს კვების პროდუქტის წარმოების ტრადიციულ და ინოვაციურ ტექნოლოგიებს; აცნობიერებს მათ უპირატესობებსა და ნაკლოვან მხარეებს.
- იცის ცალკეული კვების პროდუქტების წარმოების დროს მიმდინარე გარდაქმნები და აცნობიერებს სხვადასხვა ფაქტორების გავლენას ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობაზე.
- იცნობს ჯანსაღი კვების თანამედროვე ასპექტებს კვების პროდუქტების უვნებლობის საკითხებს, კვების პროდუქტებში ხელოვნურად ან შემთხვევით მოხვედრილ მავნე ნივთიერებებს, მათ წყაროებს, გავლენას ადამიანის ორგანიზმზე და მათი გაუვნებელოების ტექნოლოგიურ ხერხებს.
- იცნობს კვების პროდუქტების სანიტარულ-მიკრობიოლოგიური შეფასების მაჩვენებლებს და ფლობს მათი განსაზღვრის მეთოდებს; საკვები პროდუქტების გაფუჭების გამომწვევ მიზეზებს;
- ფლობს კვების მრეწველობაში გამოყენებულ კვლევის თანამედროვე მეთოდებს;
- იცნობს კვების მრეწველობის სხვადასხვა მცირე საწარმოთა დაგეგმარებისა და ორგანიზაციის პრინციპებს; დაუფლებულია საპატენტო საქმეს და იცის ნოვატორული წინადადების ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მექანიზმი

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- შეუძლია სხვადასხვა კვების პროდუქტების (მარცვალი, პურ-ფუნთუშეული, მაკარონი, საკონდიტრო, ხორცი და ხორცპროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები, სამკურნალო -პროფილაქტიკური და საზოგადოებრივი კვების პროდუქტები) წარმოების ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვა და სრული ტექნოლოგიური ციკლის დამოუკიდებლად მართვა;
- შეუძლია საწარმოში შემოსული ნედლეულის ტექნოლოგიური თვისებების განსაზღვრა და მონაცემებზე დაყრდნობით საწარმო პროცესების რეგლამენტების კორექტირება;
- შეუძლია კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და მზა ნაწარმის ხარისხის კონტროლი;
- საწარმო პროგრამის შესაბამისად ანგარიშობს მზა ნაწარმის გამოსავლიანობას და საწარმო რეცეპტურებს;
- შეუძლია სასურსათო პროდუქტთა საწარმოების ტექნოლოგიური მოწყობილობების შერჩევა, ექსპლოატაციის პირობებისა და უსაფრთხოების დაცვა;
- შეუძლია საწარმო კონტროლის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება და მიღებული შედეგების ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენება;
- შეუძლია ახალ რაციონალურ წინადადებაზე საპატენტო განაცხადის მომზადება.

დასკვნის უნარი

- ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობაზე სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების შესწავლის საფუძველზე შეუძლია კვალიფიციური დასკვნების გაკეთება და კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური რეგლამენტების რეგულირება და მართვა;
- შეუძლია სასურსათო ტექნოლოგიების პრობლემების გადასაწყვეტად მონაცემების მოძიება, მათი კრიტიკული ანალიზი, განზოგადება და გამოყენება;

<ul style="list-style-type: none"> ▪ აგროვებს, ერთმანეთთან აკავშირებს, ადარებს და მხედველობაში იღებს ახალ მონაცემებს; ანალიზს უკეთებს მიღებულ ინფორმაციას, შეუძლია მოსალოდნელი შედეგების დიფერენცირება, მათი შეფასება და დასაბუთებული დასკვნის გაკეთება.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ შეუძლია ქართულ და უცხოურ ენებზე კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან; ▪ შეუძლია თავისი ნაშრომისა და დასკვნების საჯარო წარმოდგენა, დასაბუთება და დაცვა ზეპირი და წერილობითი სახით მშობლიურ და უცხოურ ენებზე; ▪ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შეუძლია მოიპოვოს ინფორმაცია საერთაშორისო წამყვანი ფორუმების პროგრესული ტექნოლოგიებისა და საწარმოსათვის საინტერესო საკითხების შესახებ; ▪ ბაზრებთან თანამშრომლობის მიზნით შეუძლია კავშირის დამყარება პარტნიორებთან როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ. ▪ აქვს დარგობრივ სფეროში წერილობითი ანგარიშის მომზადების უნარი.
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ აცნობიერებს სწავლის პროცესის თავისებურებებს და მათი გათვალისწინებით შეუძლია სწავლის პროცესის სწორი დაგეგმვა და დამოუკიდებლად წარმართვა; ▪ თეორიაზე დაყრდნობით მაგისტრანტები განივითარებენ ანალიზისა და კრიტიკული აზროვნების უნარს, დაეუფლებიან კვლევის პრინციპებს, რაც დაეხმარება მათ ისეთი პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში, როგორცაა სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობა და სწავლის გაგრძელების განსაზღვრა სწავლების შემდგომ საფეხურზე.
<p>ღირებულებები</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ პროფესიულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს აკადემიური პატიოსნებისა და სამართლიანობის პრინციპებით. ▪ აცნობიერებს ადამიანის ჯანსაღი ცხოვრების წესსა და სურსათის ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების აქტუალობას და ითვალისწინებს პროფესიული და კვლევითი მუშაობის პროცესში.

კოსტიუმის დიზაინი

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიზაინის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

დიზაინის პროგრამის მიზანია მოამზადოს მსუბუქი მრეწველობის და მოდის ინდუსტრიის სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და მისცეს მათ საფუძვლიანი თეორიული ცოდნა მოდისა და სტილის თანამედროვე კონცეფციების შესახებ, განუვითაროს მათ შემოქმედებითი ინტუიცია და აზროვნება, ჩამოუყალიბოს დახვეწილი გემოვნება. პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს ექნება ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა უახლესი დარგობრივი ტექნოლოგიების და მასალების შესახებ. მიღებული ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად შეძლებს კონკრეტული მხატვრულ-ესთეტიკური ამოცანის გადაჭრის გზების განსაზღვრას.

პროგრამის სტრუქტურა

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები	10 ECTSკრედიტი
საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები	10 ECTSკრედიტი
სავალდებულო კურსები (97,5 კრედიტი)	97,5 ECTSკრედიტი
სპეციალიზაციის არჩევითი კურსები (2,5 კრედიტი)	2,5 ECTSკრედიტი
სულ	120 ECTSკრედიტი

სწავლის შედეგები

დიზაინის მაგისტრის კვალიფიკაცია ენიჭება კურსდამთავრებულს, რომელსაც გააჩნია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული სწავლების მეორე საფეხურზე მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაბამისი დონე.

ცოდნა და გაცნობიერება

ფლობს საფუძვლიან ცოდნას მოდის და სტილის თანამედროვე კონცეფციების შესახებ; ზედმიწევნით იცნობს ზოგად სტილისტურ მიმართულებებს და პიროვნების იმიჯის შექმნის ასპექტებს; ფლობს მოდის ინდუს-ტრიისა და კოსტიუმის დიზაინის სიღრმისეულ ცოდნას; გააჩნია ცოდნა ადამიანის ფიგურის ანტროპომეტ-რიის, პლასტიკური ანატომიისა და კოსტუმის კომპოზიციის კანონზომიერებების შესახებ; გააჩნია სისტემურ-ი ცოდნა მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის დაგეგმარების შესახებ; ფლობს სიღრმისეულ ცოდნას სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის მხატვრული მოდელირებისა და დაგეგმარების ამოცანების გა-დაჭრა მასალების ეკონომიის, ტექნოლოგიური პროცესების რაციონალური ორგანიზების გათვალისწინებით; შეუძლია მოდის ტენდენციების წინასაპროექტო კვლევის პროცესში განსაზღვროს ახალი ფორმების ხასიათი, მოახდინოს მათი კლასიფიცირება და ტიპიზაცია ნაწარმის ასორტიმენტის მიხედვით; შეუძლია კონკრეტუ-ლი მხატვრულ-შემოქმედებითი ამოცანის გადაჭრის დროს გონივრულად გამოიყენოს სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის მეთოდები; აქვს უნარი გაითვალისწინოს ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ტანსაც-მლის დაგეგმარებაზე; შეუძლია ახალი ფორმებისა და მოდელების კონსტრუქციის ტექნოლოგიურობის გან-საზღვრა; ფლობს პედაგოგიური საქმიანობის უნარ-ჩვევებს და შეუძლია სწავლების პროცესის წარმატებით განხორციელება სხვადასხვა საფეხურზე.

დასკვნის უნარი

<p>შეუძლია კონკრეტული მხატვრულ-შემოქმედებითი ამოცანების გადასაჭრელად წინასაპროექტო კვლევის შედეგების გაანალიზება, განზოგადება და ლოგიკური დასკვნების ჩამოყალიბება, კვლევის შედეგების საფუძველზე შემოქმედებითი პროექტის (იდეა, მიზნები, მოცანები, განხორციელების საშუალებანი) დაგეგმარება; ფუნქციონალური, ერგონომიული, ტექნიკური (მასალის შერჩევა, კონსტრუქტორული გადაწყვეტა, ტექნოლოგიური დამუშავება) და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით; შეუძლია ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით მოპოვებულ ინფორმაციასთან შედარება, გაანალიზება და ლოგიკური დასკვნის გამოტანა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>შეუძლია თავისუფლად ორიენტირება მოდის ინდუსტრიაში, მსოფლიო მოდის მიმართულებებისა და ტენდენციების თვალყურის დევნება; მოდური კონცეფციის შემუშავება, დახასიათება და დასაბუთებული აზრის გამოხატვა; მოდის განვითარების ანალიზი და პროგნოზირება; დამკვეთისათვის ინდივიდუალური სტილისა და იმიჯის შექმნა, მისი გემოვნებისა და გარეგნული თავისებურებების გათვალისწინებით; შეუძლია ასევე პროექტის, საავტორო ნაშრომის, კოლექციის და ა.შ. ახსნა-განმარტების წერილობითი სახით ჩამოყალიბება, საჯარო წარმოდგენა, დასაბუთება და დაცვა მშობლიურ და უცხო ენებზე, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან; სამოდლო სააგენტოების, მოდელების სალონებისა და სახლების ხელმძღვანელობა; სხვადასხვა მოდელების ჩვენების, მხატვრული ნამუშევრების გამოფენის, დეფილეს მოწყობა-პრეზენტაცია და შედეგების შეჯამება; ინფორმაციების მოპოვება მოდის ინდუსტრიის საერთაშორისო ფორმების შესახებ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; კავშირის დამყარება პარტნიორებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>შეუძლია საკუთარი განათლების დონის შეფასება, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურაზე დამოუკიდებლად მუშაობის გზით სწავლის გაგრძელება, შემენილი განათლებისა და დაუფლებული უნარ-ჩვევების ობიექტურად და კრიტიკულად შეფასება და ცოდნის გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>პროფესიულ და სამეცნიერო საქმიანობაში ხელმძღვანელობს კოლეგიალობისა და ობიექტურობის პრინციპებით, აცნობიერებს თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებისათვის დიზაინის სფეროს და საზოგადოდ მოდის ინდუსტრიის აქტუალობას და მუდმივად ითვისებს ინოვაციებსა და დამკვეთის მოთხოვნებს შემოქმედებითი მუშაობის პროცესში. აქტიურად ეწევა საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში საუნივერსიტეტო განათლების პოპულარიზაციას.</p>

ფარმაცევტული პრეპარატების ტექნოლოგია

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების ინჟინერიის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია: მისცეს მაგისტრებს ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; შეუქმნას მყარი საფუძველი ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების სფეროში; განუვითაროს მათ სამეცნიერო კვლევის ჩვევები. ისინი შეძლებენ, როგორც ცნობილი მეთოდოლოგიის გამოყენებას, ისე ახალი მეთოდის შემუშავებას; შეისწავლიან ფარმაცევტული პროდუქციის სინთეზისა და ტექნოლოგიის თანამედროვე მეთოდებს, დანადგარებსა და მოწყობილობებს, რომლებიც გამოიყენება ქიმიურ-ფარმაცევტულ წარმოებაში, გაეცნობიან ახალი პროცესების, ოპერაციებისა და ტექნოლოგიების შემუშავების მეთოდებს. ისინი შეძლებენ: სამკურნალო საშუალებების წარმოების თანამედროვე ტენდენციებისა და ზოგადი პერსპექტივების განსაზღვრას, სინთეზის სტრატეგიის შერჩევას, საწარმოო ტექნოლოგიის მუდმივ განახლებას და განვითარებას სხვადასხვა ასპექტების (გარემოს დაცვა, ხარისხის უზრუნველყოფა, უსაფრთხოება და ა.შ) გათვალისწინებით.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	11 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	89 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

აქვთ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ფარმაცევტული ტექნოლოგიის სფეროში საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის შესახებ.

მაგისტრებმა სრულყოფილად და საფუძვლიანად იციან:

- სამკურნალო ნივთიერებების სინთეზი, რომლებმაც ფართო გამოყენება ჰპოვეს პრაქტიკულ მედიცინაში და იწარმოება ქიმიურ-ფარმაცევტულ საწარმოებში.
- სამკურნალო ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიის შემუშავება;
- პროდუქციის ხარისხის კონტროლისა და რეალიზაციის მეთოდების შემუშავება;
- ფარმაცევტული წარმოების პროცესში ნედლეულის, დამხმარე მასალების, აპარატების, მოწყობილობების, დანადგარების შერჩევა ეკოლოგიურად და ეკონომიურად მიზანშეწონილი გზების გამოყენებით;
- ახალი სამკურნალო ნივთიერებების შექმნისა და გადამუშავების კვლევების დაგეგმვა უახლესი მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით.
- გაცნობიერებული აქვთ სამკურნალო პროდუქციის მაღალხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა წარმოების აუცილებლობა; ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების გავლენა, როგორც წარმოების პროცესზე, ისე მიღებული პროდუქციის ხარისხზე.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მიღებული ცოდნა მათ დაეხმარებათ პრაქტიკული მიზნებისა და ამოცანების გაანალიზებაში და გადაწყვეტაში.

მაგისტრებს უნარი აქვთ:

<ul style="list-style-type: none"> - დაგეგმონ და ჩაატარონ ექსპერიმენტები, ასევე მოახდინონ მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ქიმიური და ფარმაცევტული პროცესების შემუშავებასა და ანალიზში; - გამოკვეთონ პრობლემა და მოახდინონ მისი მეცნიერული გაანალიზება და გადაწყვეტა; - გამოიყენონ ტექნოლოგიური პროცესების კონტროლის თანამედროვე სისტემები და შეიმუშავონ ახალი მექანიზმები; - უზრუნველყონ ფარმაცევტული წარმოების ნედლეულისა და პროდუქციის ხარისხის შეფასება. ნედლეულისა და მასალების ეკონომიური გამოყენება, მათ შორის მეორადი გადამუშავების ტექნოლოგიის შემუშავებისა და დანერგვის ჩათვლით.
<p>დასკვნის უნარი</p>
<p>მაგისტრებს შეუძლიათ:</p> <ul style="list-style-type: none"> - ფარმაცევტული მრეწველობის განვითარების ანალიზი და პერსპექტივების განსაზღვრა თანამედროვე მსოფლიოში ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად; - განსაზღვრონ ქვეყნის პერსპექტივები დარგის განვითარების მიმართულებით; - საინჟინრო გადაწყვეტილებების კრიტიკული ანალიზი: უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით: მათემატიკური მეთოდებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის სინთეზი და შესაბამისი დასკვნის გაკეთება.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>შეუძლია ქართულ და უცხოურ ენებზე კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების გამოყენება, ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა და მომზადება.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> - აცნობიერებს სწავლის პროცესის თავისებურებებს და მათი გათვალისწინებით შეუძლია სწავლის პროცესის სწორი დაგეგმვა. - თეორიაზე დაყრდნობით მაგისტრანტები განვიითარებენ ანალიზისა და კრიტიკული აზროვნების უნარს, დაეუფლებიან კვლევის პრინციპებს, რაც დაეხმარება მათ ისეთი პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში, როგორცაა სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობა და სწავლის გაგრძელების განსაზღვრა სწავლების შემდგომ საფეხურზე.
<p>ღირებულებები</p>
<p>მათ აქვთ მაღალი პროფესიული, ეთიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ფარმაცევტული პრეპარატების დამზადებისა და წარმოებისას იცავს პროფესიულ სტანდარტებს. შეუძლია თავისი დამოკიდებულების შეფასება, საკუთარი მიღწევების თვითკრიტიკული ანალიზი და სხვათა მიღწევების რეალური შეფასებისა და პატივისცემის თვისება; მონაწილეობს ახალი ღირებულებების დამკვიდრების პროცესში.</p>

აგრარული ფაკულტეტი ტურიზმი

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმში

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ტურიზმის დინამიური და მზარდი ინდუსტრიის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, მეცნიერული კვლევებისა და კრეატიული მუშაობის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ: საჭირო ცოდნა და უნარები ტურისტულ ინდუსტრიაში წარმატებული კარიერისათვის და შეეძლებათ დაიკავონ მმართველობითი პოზიციები ტურისტულ ორგანიზაციებში, სახელმწიფო სტრუქტურების შესაბამის სამსახურში, მონაწილეობა მიიღონ ტურიზმის სახელმწიფო დაგეგმვასა და განვითარების პოლიტიკის განსაზღვრაში, შექმნან და მართონ საკუთარი ბიზნესი.

პროგრამის სტრუქტურა

სპეციალობის კურსები	60 ECTS კრედიტი
თავისუფალი კრედიტები	15 ECTS კრედიტი
პროფესიული პრაქტიკა	10 CTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

ღრმად და საფუძვლიანად იცის საქართველოს ტურისტული პოტენციალი და მისი განვითარების შესაძლებლობები ტურისტული ბიზნესისა და ახალი ტურისტული პროდუქტის - ეკო-, აგრო-, კულტურული და საკურორტო ტურების დაგეგმვისა და ორგანიზაციის თავისებურებების გათვალისწინებით, მეცნიერული კვლევის მეთოდები ტურიზმში, ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, გლობალური ინტეგრაციული პროცესების პირობებში ტურისტული ბიზნესის დაგეგმვის, შესრულებისა და კონტროლის სპეციფიკა, ტურისტული კომპანიის ფინანსური რესურსების მართვის მეთოდები, ტურისტული საწარმოს ბიზნეს-სტრატეგიის შემუშავების მეთოდები, საერთაშორისო ტურიზმის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ახალი ტურისტული პროდუქტის დაგეგმვა და შემუშავება თანამედროვე ტურისტული ბაზრის მოთხოვნების, ბაზრის მეცნიერული კვლევის, სტრატეგიული ხედვისა და ტურიზმის საერთაშორისო გამოცდილებისა და ინოვაციური მიდგომების, ქვეყნის მდგრადი განვითარების სახელმწიფო პოლიტიკასთან მისადაგების საფუძველზე;
- ტურისტული კომპანიების ფინანსური რესურსების მართვა;
- ტურისტული ინდუსტრიისათვის დამახასიათებელი საფრთხეების გამოვლენა და მართვა;
- კვლევის შედეგების დამუშავება თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, არსებული სიტუაციების შეფასება, საანალიზო მაჩვენებელთა შორის ანალიზური კავშირის დადგენა, მათი მოდელირება და ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის გათვალისწინება;

<ul style="list-style-type: none"> ▪ შეძენილი ცოდნის საფუძველზე ტურისტული ბიზნესის ადმინისტრირების ახალ ან გათვალისწინებულ გარემოში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისა და რისკების შეფასების მიზნით ანალიზისა და პროგნოზირების უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება; ▪ კვლევითი სამუშაოს დამოუკიდებლად წარმოება და შესრულება წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების გათვალისწინებით;
<p>დასკვნის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ ტურისტული ბაზრის კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მიღებული საკუთარი მონაცემებისა და სხვა წყაროებით მოპოვებული ინფორმაციის შეჯერებისა და გაანალიზების საფუძველზე, ლოგიკური დასკვნების ჩამოყალიბება და წინადადებების შეთავაზება; ▪ დაგროვილი ცოდნისა და კვლევის შედეგების ინოვაციური მიდგომების, ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება;
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ თავისი ნაშრომის/ჩატარებული კვლევის შედეგების და დასკვნების საჯარო წარმოდგენა, დასაბუთება და დაცვა ზეპირი და წერილობითი სახით ქართულ და უცხოურ ენებზე, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან; ▪ კავშირის დამყარება ტურისტული ინდუსტრიის წარმომადგენლებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ თანამშრომლობის მიზნით;
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ შეძენილი ცოდნისა და უნარების, საკუთარი შესაძლებლობების ობიექტურად და კრიტიკულად შეფასების საფუძველზე, დამოუკიდებლად გაიფართოოს ცოდნის არეალის საზღვრები; ▪ აიმაღლოს და განივითაროს კვლევაში დახელოვნების ხარისხი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურა) ასათვისებლად;
<p>ღირებულებები</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ პროფესიული და სოციალური პასუხისმგებლობის, სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში აკადემიური პატიოსნებისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვა; ▪ საკუთარი და სხვისი კულტურისა და ტრადიციების პატივისცემა და ზრუნვა მისი დაცვისა და შენარჩუნებისათვის; ▪ გააცნობიეროს გლობალური და რეგიონული ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების აქტუალობა და გაითვალისწინოს პრაქტიკული საქმიანობისა და კვლევითი მუშაობის წარმართვის პროცესში;

აგროეკოლოგია

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი აგროეკოლოგიაში

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

მომზადოს აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი აგროეკოლოგიაში, რომელიც აღწერს და გამოიყენებს სუბტროპიკულ ზონაში გარემოს დაცვის პირობებს, იკვლევს ნიადაგების ნაყოფიერების სახეს, განსაზღვრავს ეროზირებული და მელიორირებული მიწების ასათვისებლად კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების მოქმედების ხერხებს, იყენებს მიწათმოქმედების მაღალრენტაბელურ სისტემებსა და მცენარეთა დაცვის საშუალებებს ხარისხიანი და უხვი მოსავლის მოვლა-მოყვანის მეთოდებს.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	5 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	50 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- შესწავლილი აქვს და იცის საქართველოს სუბტროპიკული ზონის ტენიანი და მშრალი სუბტროპიკების აგროეკოლოგიური დახასიათება.
- იცის აგრარული გადამამუშავებელი საწარმოებისა და სასურსათო პროდუქციის წარმოების ეკოლოგიური ასპექტები, განიხილავს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების პრობლემებს, იცის ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ეკოლოგიური არსი, აგროეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპები და გაცნობიერებული აქვს ეკოლოგიური განათლების მნიშვნელობა ცივილიზაციისათვის.
- იცის მეცნიერული კვლევის მეთოდები სოფლის მეურნეობაში, აღწერს თითოეულს ცალ-ცალკე, აცნობიერებს მინდვრის ცდის მეთოდებს და მასზე წაყენებულ მოთხოვნებს, ჩამოაყალიბებს მინდვრის ცდის სხვადასხვა სქემებს.
- შეუძლია ახალი მიწების ასათვისებელი, სარწყავი და დამშრობი სისტემების გამოყენება.
- განსაზღვრავს ეკოლოგიური ნიადაგთმცოდნეობას, როგორც ნიადაგთმცოდნეობის დამოუკიდებელ ნაწილს. გამოკვეთავს ნიადაგების გენეზისის საფუძველზე ნიადაგების გეოგრაფიულ გავრცელებას და აღწერს ნიადაგისთვისებას -ნაყოფიერებას, განმარტავს ნაყოფიერების მნიშვნელობას მიწათმოქმედებაში;
- ჩამოთვლის და დაახასიათებს სამელიორაციო ფართობებს და განმარტავს მელიორაციულ ღონისძიებათა არსებულ აგროეკონომიკურ პირობებზე დამოკიდებულებას.
- მსჯელობს სასუქების გამოყენების აუცილებლობაზე სოფლის მეურნეობაში; განიხილავს სასუქების გამოყენების ეკონომიკურ ეფექტურობას; განსაზღვრავს სასუქების მოქმედებას მოსავლის რაოდენობასა და ხარისხზე;

- იცის სასოფლო სამეურნეო კულტურებში გამოყენებული ბიოენერგოაქტივატორები და გაცნობიერებული აქვს მათი როლი თესლის გაღვივების ენერჯისა და აღმოცენების უნარზე, ნამყენი ნერგის აღმოცენებასა და ზრდა-განვითარებაზე;
- შეუძლია სასოფლო სამეურნეო კულტურების მავნე მწერების აღწერა. მათი სახეობრივი დასახელება, კვების სპეციალიზაცია. გამორჩევა სასარგებლო მწერებისაგან, მწერების გამრავლების სახეები. მათი ურთიერთობა გარემოსთან.
- იცის უმაღლეს სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის, განათლების მენეჯმენტის და ხარისხის მართვის არსი და გაცნობიერებული აქვს უმაღლესი სკოლის დიდაქტიკის კომპლექსური ცნებები, სწავლების /სწავლის/ ძირითადი პრინციპები და საშუალებები. იცის ლექტორის, როგორც უმაღლესი სკოლის მასწავლებლის, პროფესიული მახასიათებლები. შეუძლია მეცადინეობების ჩატარება დარგობრივი მიმართულებით.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- აქვს უნარი დააჯგუფოს სუბტროპიკული კულტურები მათგან მიღებული პროდუქციის მიხედვით და შეუძლია პრაქტიკულად აგროტექნოლოგიური ღონისძიებების გატარება ცალკეული კულტურების მიხედვით.
- აქვს უნარი ერთმანეთისგან განასხვავოს ეკოლოგიურად სუფთა და ბიოლოგიურად სრულფასოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და ხელი შეუწყოს ეკოლოგიურად სუფთა აგროსამრეწველო პროდუქციის წარმოებას, შეუძლია აგროსამრეწველო აირების გაუვნებელოება ქიმიური მეთოდებით და აქვს უნარი განახორციელოს სამრეწველო აირებისაგან გარემოს დაცვითი ღონისძიებები.
- გამოყოფს მცენარეთა ეკოლოგიურ ჯგუფებს (ტიპებს) მაფორმირებელი გარემოს გათვალისწინებით. აქვს უნარი განსაზღვროს სუბტროპიკული კლიმატის აგროეკოლოგიური მახასიათებლები. შეადგენს მინდვრის ცდის სქემებს, განალაგებს ცდაში ვარიანტებსა და განმეორებებს, გააფორმებს დოკუმენტაციას. შეუძლია ახალი მიწების ათვისება, სარწყავი და დაშრობი სისტემების მოწყობა. ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებების ჩატარება;
- ახსნის ნიადაგს, როგორც სასიცოცხლო სივრცეს, როგორც მექანიკურ საყრდენს, როგორც თესლის შემნახველს, როგორც წყლისა და საკვები ნივთიერებების შემნახველს. გამოიყენებს დაშრობისა და რწყვის (სარწყავი) ნორმების დადგენის ხერხებს და შეიმუშავებს მოსავლიანობის გაზრდის ღონისძიებებს.
- შეუძლია ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისა და გაკულტურების გზები შერჩევა მცენარისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად.
- აქვს უნარი პრაქტიკულად დაგეგმოს სასუქების შეტანის ვადები, წესები, დოზები, დაავადებული მცენარიდან ნიმუშების აღება და საანალიზოდ მომზადება, სუფთა კულტურაში ჩათესვა და გამოკვლევა.
- მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია დაცული ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესების შეფასება, ანალიზი, მათი დაცვის ღონისძიებების შემუშავება.
- შეუძლია მეცადინეობების ჩატარება დარგობრივი მიმართულებით სტუდენტთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.

დასკვნის უნარი

- შეუძლია შეაფასოს საქართველოს ტენიანი და მშრალი სუბტროპიკული ზონის ნიადაგები, ოროგრაფიული პირობები და აგროკლიმატური მაჩვენებლები.
- აქვს უნარი ეკოლოგიური პრობლემის გამოკვეთის შემთხვევაში, მიღებული ცოდნის საფუძველზე, გაანალიზოს სიტუაცია, მიიღოს სწორი გადაწყვეტილება და ხელი შეუწყოს ეკოლოგიურად სუფთა აგროსამრეწველო პროდუქციის წარმოებას გადამამუშავებელი მრეწველობის ეკოლოგიური პრობლემების გათვალისწინებით. შეაფასებს სამელიორაციო მიწების ათვისების დონეს ფერმერულ მეურნეობებში. მოამზადებს ნიადაგს მარცვლეულის, მევენახეობის, მეციტრუსეობის და სხვა სას. სამეურნეო თუ ტექნიკური კულტურების მოვლა-მოყვანის ღონისძიებათა გასატარებლად.

<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> - შეუძლია სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ცალკეული მიმართულების და კულტურების თაობაზე თავისი მოსაზრებების და დასკვნების შესახებ საუბარი და მსჯელობა კოლეგებთან, პროფესიონალებთან და აკადემიურ საზოგადოებასთან. - შეუძლია უხელმძღვანელოს ეკოლოგიური მონიტორინგის ჩატარებას და განახორციელოს კომუნიკაცია მონიტორინგის სუბიექტებთან. აქვს უნარი და შეუძლია მშობლიურ და უცხო ენაზე ეკოლოგიურ პრობლემებზე იკამათოს, იმსჯელოს, დისკუსიაში შევიდეს, როგორც ნებისმიერ დაინტერესებულ პირთან, ისე დარგის სპეციალისტებთან. - განუვითარდებათ პრეზენტაციისა და საკუთარი მოსაზრებების კომუნიკაციის უნარი აუდიტორიის წინაშე. გაუძლიერდებათ წერილობით საკუთარი მოსაზრებების გადმოცემის უნარი. - მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია დაცული ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესების შეფასება, ანალიზი და მათი დაცვის ღონისძიებების შემუშავება.
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> - შეუძლია სწავლის პროცესში დამოუკიდებლად ჩართვა და საკუთარი სწავლის პროცესის მაქსიმალურად ნაყოფიერად წარმართვა, ასევე სწავლის გაგრძელების ან შეწყვეტის აუცილებლობის განსაზღვრის დასაბუთება. მუშაობსახალი ცოდნის მიღებისთვის დამოუკიდებლად. - უწყვეტი სწავლების უზრუნველყოფისა და სტიმულირებისათვის განსაზღვრავს პროფესიულ ინტერესს და სურვილს სწავლა/სწავლების, კვლევისა და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის. - კურსის შინაარსით გათვალისწინებული მასალის ათვისებისთვის გამოყენებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი უზრუნველყოფს მაგისტრანტს განუვითაროს სწავლის უნარი და მისცეს საშუალება განსაზღვროს შემდგომი სწავლის საჭიროება. - შეძლებს თეორიული და პრაქტიკული ნაწილის შეჯამებას. მიღებული ცოდნის საფუძველზე დაკვნის გაკეთებას შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მიზნით.
<p>ღირებულებები</p>
<ul style="list-style-type: none"> - გააჩნია მაღალმოქალაქეობრივი ღირებულებები გარემოს დაცვისა და სურსათის უვნებლობის საკითხებთან დაკავშირებით და ახორციელებს საქმიანობას ეკოლოგიური პრობლემების თავიდან ასაცილებლად. ბიოსფეროში მიმდინარე ეკოლოგიური პრობლემების დადგენისა და გადაწყვეტის საქმეში ხელმძღვანელობს მწვანე ნარგავების შეუცვლელი გათვალისწინების პრინციპით. - მსჯელობს დაგეგმილი მელიორაციული ღონისძიებების დასკვნის შესაბამისად. აფასებს ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის პროცესს. გადაწყვეტს სამეურნეო ბრუნვაში ახლად მელიორირებული ნიადაგების დაბრუნების ღონისძიებებს. შესთავაზებს დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ალტერნატივებს. - პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებას და ცვალებად სიტუაციაში მოქმედებს მათ შესაბამისად, აქვს დისციპლინირებული და პუნქტუალური მიდგომა დაკისრებული მოვალეობისადმი, გათავისებული აქვს ფუნქციები და პასუხისმგებლობა, შეუძლია მარტივი ფინანსური ხარჯთაღრიცხვის წარმოება.

ლანდშაფტური არქიტექტურა

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ლანდშაფტური არქიტექტურის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამის მიზანი

მომზადება, რომელიც ღრმა თეორიული ცოდნის საფუძველზე დაუფლებული იქნება: საქართველოს ტყეების და დასახლებული ტერიტორიების მცენარეული საფარის კვლევის მეცნიერულ საფუძველს, ლანდშაფტების დაგეგმარებისა და პროექტირების, ბალ-პარკების მშენებლობის და ექსპლუატაციის თანამედროვე მეთოდებს. გარდა ამისა, შეძლებს საქართველოს რეკრეაციული რესურსების კვლევას, ტურისტულ-რეკრეაციულ ინდუსტრიაში მათი როლის და პოტენციალის შეფასებას, ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების დაცვის, განახლების და კეთილმოწყობის ღონისძიებების შემუშავებას.

სპეციალობა ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანია რადგანაც თანამედროვე ურბანიზაციისა და გლობალიზაციის პირობებში აქტუალურია ადამიანისათვის ეკოლოგიურად სუფთა და კომფორტული სასიცოცხლო პირობების შექმნა, რაშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ლანდშაფტების სწორ ორგანიზაციას და გამწვანება-კეთილმოწყობის საკითხებს ენიჭება.

საქართველო უნიკალურია თავისი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით, რაც განაპირობებს მისი რეკრეაციული რესურსების სიმდიდრეს. ქვეყანაში თავმოყრილია გეოგრაფიული ლანდშაფტების მრავალფეროვნება დაწყებული ტენიანი სუბტროპიკებიდან, დამთავრებული მარადიული თოვლისა და ყინულის ზონით. მახასიათებლები, რომლებიც განაპირობებენ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული და კულტურული ფენომენის ხასიათს, აწმყოსა და მომავალი განვითარების პერსპექტივებს სუბტროპიკული ზონის კულტურული ლანდშაფტები და მთიანი რელიეფია. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის სუბტროპიკული კლიმატი განაპირობებს დეკორაციულ მცენარეთა ასორტიმენტში ეგზოტური მცენარეების სიმრავლეს. აგრეთვე, მათი ახალი სახეობებისა და ფორმების შემოტანის და დანერგვის შესაძლებლობას. რეგიონების განსხვავებულ პირობებში მცენარეების სრულფასოვნად გამოყენებისათვის აუცილებელია მათი აკლიმატიზაციისა და აგროტექნიკის საკითხების სათანადო დამუშავება. ამისათვის აუცილებელია მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც დარგში მსოფლიო გამოცდილებისა და შეძენილი ცოდნის საფუძველზე შეძლებენ არსებული პრობლემური საკითხების დასმას და კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვას.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	5 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	85 ECTS კრედიტი
სამაგისტრო შრომა	30 ECTS კრედიტი
სულ	120 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

ზოგადი კომპეტენციები - აქვს ფართო ცოდნა ლანდშაფტური არქიტექტურის სფეროში, კრიტიკულად იაზრებს მის თეორიებსა და პრინციპებს, აცნობიერებს კომპლექსურ საკითხებს.

დარგობრივი კომპეტენციები - კურსდამთავრებულებმა იციან:

- საქართველის ბალ-პარკებში, ტყეებში გავრცელებული მერქნიანი მცენარეების ძირითადი ასორტიმენტი, მწვანე მშენებლობაში გამოსაყენებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მათი ბიო-მორფოლოგია, სისტემატიკა, დეკორაციული ნიშან-თვისებები, სარგავი მასალის მიღების წესები, აგროტექნიკა, ბალ-პარკების გაფორმების პროცესში გამოყენების ფორმები; მცენარეების არსებული მდგომარეობის მეცნიერული კვლევის და შეფასების მეთოდები.

- დეკორაციული ბალახოვანი მცენარეების ძირითადი ოჯახები, გვარები, სახეობები და ჯიშები, მათი ბიო-მორფოლოგია და აგროტექნიკა, ბალ-პარკების და ინტერიერების გაფორმების პროცესში გამოყენების ფორმები;
- ქალაქთმშენებლობის ძირითადი წესები, ნორმები და მიდგომები, შეუძლიათ მიღებული ცოდნის გამოყენება ღია სივრცეების ლანდშაფტურ-არქიტექტურული გადაწყვეტის პროცესში.
- ლანდშაფტის დაგეგმარებისა და პროექტირების არსი, ლანდშაფტური ხელოვნების ისტორია, სხვადასხვა დანიშნულებისა და სტილის ობიექტების გამწვანების პროექტების შექმნის და რეალური განხორციელების წესები და მეთოდები, შეუძლიათ ამ ცოდნის გამოყენება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ტერიტორიების გამწვანება-კეთილმოწყობის პროცესში.
- საქართველოს ტყეები და დაცული ტერიტორიები, მათი მდგომარეობის შეფასების მეთოდები, გაცნობიერებული აქვთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მნიშვნელობა გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის საქმეში.
- მწვანე მშენებლობის ობიექტების შექმნისა და მართვის თეორიული საფუძვლები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები

ზოგადი კომპეტენციები - შეუძლია ლანდშაფტური არქიტექტურის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

დარგობრივი კომპეტენციები - კურსდამთავრებულებს შეეძლება:

- ტერიტორიების წინასაპროექტო კვლევა და არსებული მდგომარეობის პროექტის შესრულება – ჰორიზონტალური და ვერტიკალური გეგმარების, მიწისქვეშა კომუნიკაციების განლაგების გეგმის შედგენა; არსებული მიწების და ჰიდროგეოლოგიური მდგომარეობის კვლევა; არსებული მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების ინვენტარიზაციის ჩატარება, მათი სისტემატიკური შემადგენლობის დადგენა, მდგომარეობის შეფასება და გეგმაზე მდებარეობის მითითება.
- სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულებისა და სირთულის ტერიტორიების გამწვანების და რეკონსტრუქციის პროექტების შექმნა გრაფიკულად და თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით - საპროექტო მოცემულობის შესაბამისად, სხვადასხვა სტილში ტერიტორიის დაგეგმარება; გამწვანებისათვის მცენარეთა ასორტიმენტის შერჩევა ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების და საპროექტო მოთხოვნების გათვალისწინებით; მცენარეების მეშვეობით რიგობრივი ნარგაობების, ჯგუფების, სოლიტერების, კომპოზიციების დაგეგმვა მარადმწვანეობის, წლის განმავლობაში ფერთა ცვალებადობის, აგრეთვე, სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების გათვალისწინებით; ტერიტორიების დარგვითი და დაკვალვითი ნახაზების შესრულება; ვერტიკალური გეგმარების ნახაზის შესრულება, დასამატებელი და გასატანი მიწის მოცულობის მითითებით; პროექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გაანგარიშება.
- პროექტების რეალური განხორციელება – ტერიტორიის წინასაპროექტო მომზადება; დაკვალვითი და დარგვითი ნახაზების მეშვეობით ტერიტორიების დაგეგმარება და მათზე მცენარეების დასარგავი ადგილების მონიშვნა; მოთხოვნების შესაბამისად მერქნიანი ხე და ბუჩქოვანი მცენარეების დარგვა და გადარგვა; ყვავილნარების მოწყობა.
- მცენარეების სარგავი მასალის მიღება; გამწვანების ობიექტების ექსპლუატაცია – მცენარეების მიმდინარე მოვლა და განახლება; ახალი, ეგზოტური მცენარეების აკლიმატიზაციის საკითხების კვლევა.
- გარემოს დაბინძურების ხარისხის და მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა, აღმოფხვრის გზების დასახვა.

დასკვნის უნარი

ზოგადი კომპეტენციები - შეუძლია ლანდშაფტური არქიტექტურის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემების ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.

დარგობრივი კომპეტენციები:

- გარემოს და მცენარეული საფარის კვლევის საფუძველზე შეუძლია არსებული მდგომარეობის დაფიქსირება, ანალიზი, შემდგომი ცვლილებების პროგნოზირება, აუცილებლობის შემთხვევაში პრევენციული, მოვლითი და სარეკონსტრუქციო ღონისძიებების დასახვა.
- გამწვანების პროექტების შესრულების პროცესში შეუძლია მათი მხატვრულ-ესტეტიკური ღირებულების შეფასება, ანალიზი, ახალი გეგმების დასახვა ობიექტების ფუნქციონალური დანიშნულების და სტილისტური გადაწყვეტის შესაბამისად.
- დავალების შესაბამისად, დეკორაციული მცენარეების მრავალფეროვნებიდან არჩევს ისეთ ასორტიმენტს, რომელიც შეესაბამება აღნიშნული ობიექტის ნიადაგურ, კლიმატურ, ეკოლოგიურ პირობებს და განაპირობებს პროექტის მხატვრული ჩანაფიქრის განხორციელების, სასურველი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების ჩამოყალიბების შესაძლებლობას.
- გამწვანების მოთხოვნების შესაბამისად შეუძლია სარგავი მასალის ასორტიმენტისა და რაოდენობის განსაზღვრა, მათი გამოყვანის თანამედროვე აგროტექნიკური ღონისძიებების დასახვა.

კომუნიკაციის უნარი

ზოგადი კომპეტენციები - შეუძლია: ლანდშაფტური არქიტექტურის სფეროსათვის იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენაზე; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.

დარგობრივი კომპეტენციები:

- მშობლიურ და უცხო ენაზე შეუძლია ლანდშაფტური არქიტექტურის სფეროში როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია; საუბრობს დამოუკიდებლად, გამართულად; თავისუფლად იყენებს ენას სოციალურ, აკადემიურ და პროფესიულ თემებზე სასაუბროდ; შეუძლია აზრთა გაზიარება ვრცელი, კომპლექსური ტექსტების ჩათვლით, იმის მიუხედავად, ეხება ის მის პროფესიას, თუ სხვა თემას; შეუძლია მკაფიოდ სტრუქტურირებული ტექსტის დაწერა კომპლექსურ თემებზე თხზულების, წერილის ან ანგარიშის ფორმატში; მთავარი საკითხების გამოყოფა და შესაბამისი სტილის შერჩევა.
- ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ახდენს პრობლემების აღრიცხვას და ფორმულირებას, რომელთა გადაწყვეტა შეუძლია ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადექვატური გამოყენებით; აგვარებს კონფლიქტურ სიტუაციებს და მაქსიმალურად იყენებს სასწავლო რესურსების არსებულ სპექტრს;
- შეუძლია სამუშაო ჯგუფში როგორც წევრის, ასევე ლიდერის როლში მუშაობა; აქვს უნარი კრიტიკის კორექტულად გამოთქმისა და მიღების.

სწავლის უნარი

ზოგადი კომპეტენციები - შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.

დარგობრივი კომპეტენციები

- შეუძლია დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის ამაღლება, საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა; დამოუკიდებლად მუშაობს სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურასთან, რეგულარულად ახდენს ცოდნი სგანახლებას ტრენინგებით და დარგობრივი ლიტერატურის კითხვით; შეუძლია კვლევითი სამუშაოს შესრულება წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების მიხედვით, ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ; აქვს პასუხისმგებლობის უნარი შესრულებულ სამუშაოზე.
- უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით გეგმავს და აწარმოებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას; სწავლობს, მუშაობს დამოუკიდებლად და თვითკრიტიკულად; შეუძლია სხვების

სწავლება, იჩენს ინიციატივას და აქვს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა პროფესიული გამოცდილების პრაქტიკაში დასანერგად.

ღირებულებები

ზოგადი კომპეტენციები - მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.

დარგობრივი კომპეტენციები:

- ტყის და მწვანე საფარის დაცვის, განახლების მნიშვნელობის გააზრება და მაღალმოქალაქეობრივი თვითშეგნებით იმ ღირებულებების დამკვიდრებისკენ სწრაფვა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების შენარჩუნებას, გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ტურისტული და საკურორტო ინდუსტრიის განვითარებას, ტყის რესურსების გონივრულ გამოყენებას, მსოფლიო ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას.
- დედამიწაზე მიმდინარე გლობალური ეკოლოგიური პრობლემების, მასში ადამიანის ფაქტორის, ბუნების დაცვის და ამ საქმეში საკუთარი წვლილის შეტანის აუცილებლობის გააზრება.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურა

უმაღლესი განათლების საფეხური: დოქტორანტურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფილოლოგიის დოქტორი

პროგრამის მოცულობა: 180 კრედიტი

პროგრამის მიზანი

სადოქტორო პროგრამა „დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურა“ მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ამერიკულ ლიტერატურას და ეფუძნება სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადებას დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის მიმართულებით. სადოქტორო სწავლების მიზანია მეცნიერისა და უმაღლესი სკოლის პედაგოგის მომზადება, რომელსაც დამოუკიდებელი კვლევის (სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, სხვადასხვა კვლევითი მეთოდოლოგიისა თუ პრინციპის ფლობა, მეცნიერული სიზუსტე და კეთილსინდისიერება, საკუთარი მიდგომის, კონცეპტუალური პოზიციის შემუშავებისა და სამეცნიერო დებულებათა არგუმენტირების უნარი და ა. შ.) და მეცნიერული დასკვნების გამოტანის უნარი ექნება. პროგრამის მიზანია, დოქტორანტმა შექმნას ორიგინალური სამეცნიერო შრომები პუბლიკაციებისა და სადოქტორო დისერტაციის სახით.

სადოქტორო პროგრამა აქტუალურია, რადგან საკვლევი პრობლემატიკა მოიცავს ანგლისტიკის, გერმანიისტიკის, რომანისტიკის, ამერიკული ლიტერატურის მნიშვნელოვან და ნაკლებად შესწავლილ საკითხებს, ასევე დასავლეთევროპული და ამერიკული, დასავლეთევროპული და ქართული, ქართულ-ამერიკული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევას თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლებისა და მეთოდების ცოდნისა და მათი გამოყენების საფუძველზე. სწავლების ენა ქართულია, სასწავლო პროცესი ასევე გულისხმობს უცხოენოვან დარგობრივ კომუნიკაციას, მუშაობას ავთენტურ და კრიტიკულ ტექსტებზე.

პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კომპონენტი	60 ECTS კრედიტი
კვლევის კომპონენტი	120 ECTS კრედიტი
სულ	180 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლის შედეგად დოქტორანტმა უნდა შეიძინოს უპირველეს ყოვლისა დარგის (გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ამერიკული ლიტერატურის) ცოდნა, რაც მეცნიერების უახლეს მიღწევებს დაეყრდნობა, ასევე ზოგადად დარგთაშორისი სფეროს (დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურა) შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც მას შეძენილი ცოდნის გაფართოების საფუძველზე მისცემს ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას სამეცნიერო მუშაობაში რეფერირებადი პუბლიკაციებისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე. ამაში მას დაეხმარება არჩევითი კურსების, ასევე დარგის სწავლების მეთოდოლოგიური მოდულში შემავალი კურსების შესწავლა. ყოველივე ამის საფუძველზე დოქტორანტმა უნდა შეძლოს მიღებული ცოდნის ხელახალი გააზრება, ნაწილობრივი გადაფასება და ამ გზით ცოდნის ახალი ფარგლების გაცნობიერება, მან ასევე უნდა გააცნობიეროს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროება.

<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>
<p>დოქტორანტმა უნდა შეძლოს გერმანისტიკის, ანგლისტიკის, ამერიკანისტიკისა და რომანისტიკის სფეროში ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და მისი განხორციელება, მან ასევე უნდა შეძლოს ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით ახალი კვლევითი მიდგომების შემუშავება, რაც საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში აისახება. დოქტორანტის დისერტაცია მისი დაცვიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა გამოქვეყნდება წიგნის სახით, ან განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ელექტრონული ვერსიის სახით; სადისერტაციო ნაშრომი სამსახურს გაუწევს შესაბამისი დარგის სპეციალისტებსა და სტუდენტებს; კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება სალექციო კურსების, სპეცკურსებისა და შესატყვისი მიმართულებით სამეცნიერო კვლევისათვის.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>
<p>დოქტორანტმა უნდა შეძლოს თავის საკვლევ სფეროში (ანგლისტიკა, გერმანისტიკა, რომანისტიკა, ამერიკული ლიტერატურა) რთული, წინააღმდეგობრივი სამეცნიერო იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რეტროსპექტულად უნდა გაიაზროს პრობლემური საკითხები, შეძლოს სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, გამოიმუშავოს მკვლევარის უნარ-ჩვევები, დაეუფლოს სხვადასხვა კვლევით მეთოდოლოგიასა და პრინციპს, შეძლოს საკუთარი მიდგომისა და კონცეპტუალური პოზიციის შემუშავება, სამეცნიერო დებულებათა არგუმენტირება, სწორი მეცნიერული გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, აბსტრაქტული აზროვნება. ამ საქმეში მას დიდ სამსახურს გაუწევს ისეთი დისციპლინების შესწავლა როგორცაა დარგის პრობლემური საკითხები, ლიტ. კვლევის თანამედროვე მეთოდები, ფილოსოფია, სამეცნიერო სემინარები, კოლოქვიუმები, სამეცნიერო ნაშრომთა პუბლიკაციები, დისერტაციის დაწერა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>მინიმუმ ორი ევროპული ენის მაღალ დონეზე ფლობა დოქტორანტს საშუალებას მისცემს საერთაშორისო სამეცნიერო სავარჯიშო სწრაფი ორიენტირებისათვის. დოქტორანტმა დასაბუთებულად და გარკვევით უნდა წარმოაჩინოს ახლად მიღებული ცოდნა არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში, მან უნდა შეძლოს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან (კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე) თემატურ პოლემიკაში ჩართვა ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული ლიტერატურის პრობლემურ საკითხებზე შესაბამის უცხოურ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული). იგი შეძლებს აუდიტორიის სპეციფიკის გათვალისწინებით გადასცეს თავისი ცოდნა, ლოგიკურად და მისაწვდომად ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრებები.</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>დოქტორანტმა უნდა გამოამჟღავნოს მზაობა არჩეულ სპეციალობაში ახალი სამეცნიერო იდეების გენერირებისა და განვითარებისათვის, რაც დამყარებული იქნება დასავლეთევროპული და ამერიკული სამეცნიერო ლიტერატურის უახლეს მიღწევებზე. ასეთი სახის მზაობა მას უნდა ჰქონდეს სწავლის, საქმიანობისა და კვლევის პროცესში.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>დოქტორანტს უნდა გამოუმუშავდეს განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი; ადამიანების მოტივირებისა და საერთო მიზნებისაკენ წარმართვის უნარი; სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების უნარი; ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი, აკადემიური პატიოსნება. მან უნდა შეძლოს ამ ღირებულებათა დასამკვიდრებლად გზების კვლევა და ინოვაციური მეთოდების შემუშავება. ამის მიღწევაში მას დაეხმარება შესასწავლ დისციპლინათა ის ნაწილი, რომლებშიც ნათლადაა გამოკვეთილი ჰუმანისტური ტენდენციები (ლიტერატურა, ფილოსოფია და ა.შ.)</p>

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ფუნქციათა თეორია

უმაღლესი განათლების საფეხური: დოქტორანტურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მათემატიკის დოქტორი

პროგრამის მოცულობა: 180 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:

- ✓ მისცეს კურსდამთავრებულს ფუნქციათა თეორიის უახლესი თეორიებისა და კვლევის მეთოდების ცოდნა;
- ✓ ჩამოაყალიბოს მკვლევარი ფუნქციათა თეორიის მიმართულებით;
- ✓ დოქტორანტს განუვითაროს ცოდნისა და კვლევის შედეგების ეფექტური და გასაგები ფორმით პრეზენტაციის უნარი.

კვლევის სავარაუდო თემატიკა:

- ✓ ლებეგის ინტეგრალთა და სიმრავლის ფუნქციათა დიფერენცირების საკითხები;
- ✓ მაქსიმალური ოპერატორების შეფასებები და მეტრიკული თვისებები;
- ✓ ტრიგონომეტრიული, ჰაარისა და უოლშის ორთონორმირებული სისტემების შესაბამისი ფურიეს ჯერადი მწკრივების კრებადობა და შეჯამებადობა;
- ✓ მრავალი ცვლადის ფუნქციათა დიფერენციალური თვისებები;
- ✓ ანალიზურ და ჰარმონიულ ფუნქციათა სასაზღვრო თვისებები და ინტეგრალური წარმოდგენები.

პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კომპონენტი	60 ECTS კრედიტი
კვლევის კომპონენტი	120 ECTS კრედიტი
სულ	180 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება
<ul style="list-style-type: none"> ✓ ფუნქციათა თეორიის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც იძლევა მნიშვნელოვან საშუალებას პრობლემების კვლევის მყარ საფუძველს; ✓ ფუნქციათა თეორიის თანამედროვე პრობლემებისა და სხვა მათემატიკურ დარგებთან მათი კავშირების ღრმა და სისტემური გააზრება; ✓ კვლევის არსებული მეთოდების ხელახალი გააზრებისა და კრიტიკული ანალიზის გზით ახალი მიდგომებისა და პრობლემების დასახვა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
<ul style="list-style-type: none"> ✓ კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი; ✓ ახალი კვლევითი მეთოდების შემუშავების უნარი, რომლებიც ახდენენ ცოდნის ფარგლების გაფართოებას და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.
დასკვნის უნარი
<ul style="list-style-type: none"> ✓ ახალი, რთული და არასრული იდეებისა და მონაცემების კრიტიკული შეფასებისა და ანალიზის უნარი; ✓ პრობლემის გადაწყვეტისათვის კვლევის მეთოდის ეფექტურად შერჩევის უნარი;

✓ ახალი და მნიშვნელოვანი პრობლემების დასმის უნარი.
კომუნიკაციის უნარი
<ul style="list-style-type: none"> ✓ სამეცნიერო საზოგადოების წინაშე კვლევის შედეგებისა და საკვლევო პრობლემების ნათლად წარმოდგენის უნარი, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი პრეზენტაციის სახით; ✓ სწავლების ტიპების (ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სემინარი) გამართულად წარმართვის უნარი.
სწავლის უნარი
ახალი იდეებისა და მიდგომების განვითარებისათვის მზაობა სწავლის, საქმიანობისა და კვლევის პროცესში.
ღირებულებები
<ul style="list-style-type: none"> ✓ საზოგადოების წინაშე მკვლევარისა და პედაგოგის როლის მნიშვნელობისა და პასუხისმგებლობების ცოდნა და გააზრება; ✓ მკვლევარის აკადემიური პატიოსნების ნორმების გააზრება; ✓ ტრადიციისა და სიახლის როლის გააზრება აკადემიურ და პედაგოგიურ საქმიანობაში.

საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტი

სატრანსპორტო პროცესების ორგანიზაცია და მართვა

უმაღლესი განათლების საფეხური: დოქტორანტურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინჟინერიის დოქტორი ტრანსპორტის დარგში

პროგრამის მოცულობა: 180 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია დოქტორანტებისათვის შემოქმედებითი (ნოვატორული) ინიციატივების გენერაცია, კრეატიული იდეებისა და ჰიპოთეზების შექმნა ტრანსპორტის სფეროში, ამ იდეების შეფასებისა და განხორციელებისათვის საკმარისი ანალიტიკური უნარის გამომუშავება, მათი სხვებისათვის განმარტება და გაცნობიერება, აგრეთვე ტრანსპორტის სფეროში სწავლების თანამედროვე მეთოდების დაუფლება. ეს მიზნები აწეს-ს ტრანსპორტის დეპარტამენტში განხორციელდება მეცნიერული კვლევების, სემინარებისა და კოლოქვიუმების საშუალებით.

პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კომპონენტი	60 ECTS კრედიტი
კვლევის კომპონენტი	120 ECTS კრედიტი
სულ	180 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება.

ღრმა და სისტემური ცოდნა ტრანსპორტის სფეროში სატრანსპორტო - ლოჯისტიკური სისტემების ორგანიზაციის და მართვის შემდეგი სამეცნიერო მიმართულებებით: რთული მრავალკომპონენტური ინტელექტუალურ-ტექნიკური დინამიკური სისტემების მოდელირება და მართვის საიმედოობის პროგნოზირება; სატრანსპორტო ნაკადებისა და მოძრაობის მართვის თეორია; მანქანათა აკუსტიკის თეორია; სისტემური ანალიზი.

სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სისტემების პრობლემის დამოუკიდებლად დასმის, კვლევის მეთოდის შერჩევის და შედეგების ანალიზის უნარი;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.

იცოდეს ნორმატიული და სამართლებრივი დოკუმენტების პროექტების შედგენა, რომლებიც მომავალ პროფესიულ საქმიანობას განეკუთვნებიან. ინოვაციური კვლევების ჩატარება შესწავლილი კურსების

<p>ცოდნით და მიღებული ინფორმაციით; თავის სამეცნიერო, პედაგოგიურ თუ ბიზნესსაქმიანობაში გამოიყენოს კვლევის თანამედროვე მეთოდები და ხერხები;</p> <p>მეცნიერულ კვლევებში ფართოდ გამოიყენოს ინტელექტუალურ-ტექნიკური სისტემების მართვის, სატრანსპორტო ლოჯისტიკის, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და მოდელები;</p> <p>შეაფასოს სატრანსპორტო მომსახურების მომხმარებელთა აღქმადობის პროცესი და გაანალიზოს მათი პრეფერენციები;</p> <p>მონაწილეობა მიიღოს სატრანსპორტო მომსახურების ახალი პროდუქციის შექმნასა და დანერგვაში;</p> <p>შეიმუშაოს კონკურენტული სტრატეგიები ბაზარზე სატრანსპორტო ფირმის წარმატების მისაღწევად;</p> <p>მართოს საწარმოში (ორგანიზაციაში) სატრანსპორტო სერვისის, მოძრაობის უსაფრთხოების და ეკოლოგიური მონიტორინგის სამსახური;</p> <p>საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში გამოქვეყნებული შრომებისა და სადოქტორო დისერტაციის სახით ორიგინალური სამეცნიერო კვლევების შექმნა შემდეგი თემატიკით: მულტიმოდალური გადაზიდვების რეგიონალური და ტრანსკონტინენტალური ქსელების დაგეგმარება; სატრანსპორტო საშუალებების სერვისული მომსახურების ლოჯისტიკა; საწვავის ეკონომიურობის და ალტერნატიული საწვავების პრობლემების გადაწყვეტა; სატრანსპორტო მომსახურების ბაზრის თანამედროვე კონიუნქტურა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>
<p>ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი დაშეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.</p> <p>რთული ტექნიკურ-ინტელექტუალური მრავალფუნქციური დინამიკური სისტემის - მიწოდებათა ჯაჭვის მართვის პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობრივი იდეებისადმი ახალი მიდგომების მეთოდოლოგიის შემუშავება და პროცესების კვლევის შედეგად სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენებზე.</p> <p>შეუძლია წაიყვანოს ზოგადი ხასიათის საუბარ-დიალოგი, დაიცვას სამეტყველო ეთიკეტის წესები, წაიკითხოს ლიტერატურა სპეციალობაში ლექსიკონის გარეშე ინფორმაციის მოძებნის მიზნით, თარგმნოს ტექსტები სპეციალობაში ლექსიკონის დახმარებით, შეადგინოს ანოტაციები, რეფერატები და საქმიანი წერილები უცხო ენაზე. მოპოვებული ცოდნისა და კვლევის შედეგების ეფექტური და გასაგები ფორმით პრეზენტაციის უნარი.</p> <p>უცხოენოვანი საზოგადოების წინაშე სამეცნიერო კვლევის პრეზენტირება და დაცვა;</p> <p>წარმართოს მოლაპარაკებები ბიზნეს-პარტნიორებთან და უზრუნველყოს დადებული ხელშეკრულებების შესრულება;</p>
<p>სწავლის უნარი</p>
<p>უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში.</p> <p>სრულიად დამოუკიდებლად, მხოლოდ საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობებიდან და თავისაზროვნებაში დაგროვილი ინფორმაციის გაანალიზებიდან გამომდინარე უნდა შეძლოს ტრანსპორტის დარგის ეფექტურობის შემზღვევადი პრობლემების აღმოჩენა, გამოკვლევა და მაღალ მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტა.</p>
<p>ღირებულებები</p>

ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

იცოდეს საქართველოს სამართლებრივი სისტემებისა და კანონმდებლობის საფუძვლები, სამართლებრივი და ზნეობრივ-ეთიკური ნორმები პროფესიული საქმიანობის სფეროში.

ასწავლოს ტრანსპორტის სფეროს კურსები თანამედროვე მეთოდების გამოყენებით სწავლების ყველა დონეზე.

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი

გარემოს დაცვის ინჟინერია

უმაღლესი განათლების საფეხური: დოქტორანტურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების დოქტორი

პროგრამის მოცულობა: 180 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია უმაღლესი კატეგორიის, მაღალკვალიფიკაციური და კონკურენტუნარიანი სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების დოქტორის კვალიფიკაციით. საგანმანათლებლო პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონის მიღწევაზე. შესაბამისად, პროგრამა აგებულია ისე, რომ უზრუნველყოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების მიღწევა.

პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კომპონენტი	60 ECTS კრედიტი
კვლევის კომპონენტი	120 ECTS კრედიტი
სულ	180 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- ✓ აქვს ღრმა და სისტემური, სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა გარემოს დაცვის საინჟინრო და ტექნოლოგიური ღონისძიებების შესახებ. რომელზე დაყრდნობითაც დოქტორანტს შეუძლია არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენება, ასევე ახალი და ორიგინალური იდეების შემუშავება (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე).
- ✓ გარემოს დაცვის ინჟინერიაში არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- ✓ ახორციელებს ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას, განხორციელებასა და ზედამხედველობას გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების დარგში;
- ✓ შეუძლია მრეწველობის სხვადასხვა დარგში გარემოზე ზემოქმედების აღკვეთისა და შეზღუდვის ახლებური ანალიტიკურ-კვლევითი მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.

დასკვნის უნარი

- ✓ შეუძლია სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება გარემოსდაცვითი ღონისძიებების (ტექნოლოგიური, ეკონომიკური, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, საგანმანათლებლო, საერთაშორისო) საკითხებზე;
- ✓ შეუძლია გარემოს დაცვის ინჟინერიისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა.

კომუნიკაციის უნარი

- ✓ შეუძლია ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა;
- ✓ შეუძლია ქართულ და უცხოურ ენებზე კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მის მიერ გაკეთებული დასკვნების, მოძიებული არგუმენტების, ჩამოყალიბებული კვლევის მეთოდებისა და მიდგომების შესახებ.

სწავლის უნარი

აქვს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში;

ღირებულებები

შეუძლია ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის სფეროში ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

აგრარული ფაკულტეტი

აგრონომია

უმაღლესი განათლების საფეხური: დოქტორანტურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი

პროგრამის მოცულობა: 180 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია: მომზადდეს მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც დაუფლებული იქნებიან აგრონომიის დარგის უახლეს ტექნოლოგიებს; სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბიოლოგიური თვისებების, კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობების, მეცნიერების მიღწევებისა და წარმოების გამოცდილების გათვალისწინებით მცენარეთა მოვლა-მოყვანის ყველა თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს; ნიადაგების მელიორაციას; ექსტრემალურ ვითარებაში პლანტაციებისა და ნარგაობების აღდგენა-განვითარების (რეაბილიტაციის) მეცნიერულ საფუძვლებს; სარგავი მასალის მიღების თანამედროვე ტექნოლოგიებს; ახალი ჯიშების გამოყვანის და წარმოებაში დანერგვის ხერხებსა და გზებს; მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის, მოსავლის ეკოლოგიური საიმედოობისა და რელიზაციის მეთოდებს; ბიოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის წარმოებას; აგრონომიაში დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევების ჩატარების უნარს და შემდგომში მიღებული დადებითი შედეგების განზოგადობას და წარმოებაში დანერგვას; ფართოდ გავრცელებული და პერსპექტიული დეკორაციული მცენარეების აგროტექნიკური საკითხების დამუშავებას, მათ გამრავლებას, გასხვლა-ფორმირებას, გამოზრდის თანამედროვე ტექნოლოგიების შემუშავებას; მცენარეთა ზრდა-განვითარების თავისებურებებს ეკოლოგიურად დაბინძურებულ ტერიტორიებზე, ამ პირობებისადმი გამძლე სახეობებისა და ჯიშების გამოვლენას; ფიტორემედიაციული ტექნოლოგიების დამუშავებას.

პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კომპონენტი	60 ECTSკრედიტი
პირითადი სასწავლო კურსები	30 ECTSკრედიტი
სემინარი	15 ECTSკრედიტი
მოდულები (არჩევითი): 1. აგროეკოლოგია 2. აგროტექნოლოგია 3. მცენარეთა დაცვა 4. მცენარეთა სელექცია 5. საბადო-საპარკო მეურნეობა	15 ECTSკრედიტი
კვლევითი კომპონენტი	120 ECTSკრედიტი
სულ	180 ECTSკრედიტი

სწავლის შედეგები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>შესწავლილი აქვს: საქართველოს ნიადაგების აგროეკოლოგიური გარემო ბიოკლიმატური ფორმაციების მიხედვით; იცის საქართველოს ნიადაგების დახასიათება ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით; იცის სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა სელექცია და პომოლოგიაში გამოყენებული კვლევის მეთოდები; დაუფლებულია ნიადაგების კვლევის ფიზიკო-ქიმიურ მეთოდებს, მცენარის ჯიშის პომოლოგიური დახასიათების წესებს, სორტიმენტის გაუმჯობესებისა და განახლების ხერხებს.</p>

<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>
<p>შეუძლია განსაზღვროს საქართველოს ნიადაგების აგრობიოლოგიური გარემოს შედგენილობა, თვისებები და დეგრადირებული აგროკლიმატური სისტემების აღდგენა, მათთვის ბუნებრივი მდგომარეობის დაბრუნება;</p> <p>აქვს უნარი მცენარის ახალი ჯიშების გამოყვანის და უკვე არსებული სორტიმენტის გამორჩევა-დადგენის;</p> <p>შეუძლია დარგის აქტუალური საკითხების გადაწყვეტა, მცენარეთა სელექციისა და ჯიშთმცოდნეობასთან დაკავშირებული ანალიტიკური სამუშაოების შესრულებით;</p> <p>აქვს საქართველოს ნიადაგებზე აგროეკოლოგიური გარემოს თანამედროვე საველე კვლევის მეთოდების გამოყენების უნარი და სუბტროპიკული ზონის ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ახალი ჯიშების მიღებასთან დაკავშირებული პრაქტიკული სამუშაოების ჩატარების უნარი.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>
<p>აქვს უნარი მოიპოვოს და გაანალიზოს ინფორმაცია საქართველოს ნიადაგების აგროეკოლოგიური გარემოს გამოყენების შესახებ და განსაზღვროს მათი პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო გზები;</p> <p>აქვს უნარი მოიპოვოს ინფორმაცია და ანალიზის საფუძველზე სელექციისა და ჯიშთმცოდნეობის საკითხებზე არსებული შეუსაბამობისას განსაზღვროს მათი გადაჭრის საჭირო გზები.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<p>შეუძლია საუბარი და მსჯელობა საქართველოს ნიადაგების აგროეკოლოგიური გარემოს თავისებურებებზე, სუბტროპიკული ზონის სასოფლო-სამეურნეო კულტურების სელექციისა და ჯიშთმცოდნეობის სპეციფიურობაზე, აგრეთვე, საქართველოს ბუნებრივ რესურსებსა და მათ გამოყენების პერსპექტივებზე კოლეგებთან და აკადემიურ საზოგადოებასთან მშობლიურ და უცხო ენაზე.</p>
<p>ღირებულებები</p>
<p>საქართველოს ნიადაგების აგროეკოლოგიური გარემოს ბიოკლიმატურ პირობებში მათი სამეურნეო თვისებების გამოყენებისას ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვა;</p>

ერთსაფეხურიანი

მედიცინის ფაკულტეტი

სამკურნალო საქმე

უმაღლესი განათლების საფეხური:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი

პროგრამის მოცულობა: 360 კრედიტი

პროგრამის მიზანი

მომზადოს დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება საბაზისო სამედიცინო მეცნიერებების საფუძვლიანი ცოდნა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მუშაობისათვის საჭირო ზოგად კლინიკურ უნარ-ჩვევებს, ასევე მორალური ღირებულებებისა და ეთიკური პრინციპების სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენებისა და დაცვის უნარი.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	10 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	350 ECTS კრედიტი
სულ	360 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის - სამკურნალო საქმე - დასრულების შემდეგ დიპლომირებული მედიკოსი ფლობს შემდეგ კომპეტენციებს:

ცოდნა და გაცნობიერება

- ✓ აქვს საბუნებისმეტყველო, ქვევითი, სოციალური და კლინიკური მეცნიერებების ღრმა და სისტემური ცოდნა;
- ✓ იცის წამლების ძირითადი ჯგუფები, მათი მოქმედების და დანიშვნის პრინციპები პათოლოგიური მდგომარეობების და დაავადებების მიხედვით;
- ✓ აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესახებ ღრმა ცოდნა და აცნობიერებს ექიმის როლს ამ სისტემაში;
- ✓ აქვს ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ღრმა ცოდნა;
- ✓ აცნობიერებს კომპლექსური კლინიკური პრობლემების გადაჭრის გზებს;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია:

- ✓ კლინიკური შემთხვევების, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების, შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, შესაბამისი სამკურნალო საშუალებებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება; მკურნალობის პოტენციური სარგებელისა და რისკის შეფასება.
- ✓ შეუძლია მედიკამენტების სწორად გამოწერა და მკურნალობის დანიშვნისას მედიკამენტების თავსებადობის გათვალისწინება;
- ✓ შეუძლია დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების სოციალური (ალკოჰოლზე და წამალზე დამოკიდებულება) და ფსიქოლოგიური (დაავადებასთან დაკავშირებული სტრესი) ფაქტორების შეფასება;

<ul style="list-style-type: none"> ✓ აქვს მიღებული ცოდნის შესაბამისი პრაქტიკული პროცედურების ჩატარების უნარი (წნევის გაზომვა, ვენეპუნქცია, ლუმბალური პუნქცია, ვენაში კათეტერის ჩადგმა, ინფუზია/ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება, ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში, ჟანგბადის მიწოდება, რეფერალში მონაწილეობა, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია და შარდის ანალიზის გაკეთება, სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება, ე.კ.გ. გადაღება/ინტერპრეტაცია, სისხლის და სისხლის შემცვლელების გადასხმა, ნაკერის დადება, ფიზიოლოგიური მშობიარობის მართვა, ანტენატალური გამოკვლევა (მათ შორის სამშობიარო ჰოსპიტლის მიმღებში), შესაბამისი ჩანაწერების წარმოება, პათოლოგიური ნიშნების ამოცნობა, ადექვატური მოქმედება, ახალშობილის მდგომარეობის შეფასება, გინეკოლოგიურ პაციენტთა გამოკვლევა/მკურნალობა); ✓ გააჩნია მულტიდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი, როგორც რიგით წევრს, ასევე ლიდერს. შეუძლია ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი საქმიანობის კოორდინაცია და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადექვატური შეფასება, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვა; ✓ შეუძლია ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობა როგორც ინდივიდის, ისე პოპულაციის დონეზე; ✓ შეუძლია სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება.
<p>დასკვნის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ✓ გააჩნია ღრმა კლინიკური აზროვნება, შეუძლია კვლევის არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული ანალიზი, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დიაგნოზის ჩამოყალიბება და დასაბუთება. ✓ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის და პრაქტიკაში დანერგვის უნარი. ✓ რისკის იდენტიფიცირების საფუძველზე პაციენტის დახმარების სტრატეგიის ესახებ დასკვნის გაკეთება.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ✓ შეუძლია სამედიცინო კონტექსტში ეფექტური წერილობითი და ვერბალური ფორმით საკუთარი აზრების და შეხედულებების ჩამოყალიბება, დიალოგის წარმართვა მშობლიურ და უცხოურ ენაზე კოლეგებთან და პაციენტებთან, მათ შორის თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. შეუძლია კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მისაღებად; ✓ აქვს ჯგუფში/გუნდში მუშაობის, სუბორდინაციის და ადაპტაციის, დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის, ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობის სახით. აგრეთვე, არავერბალური კომუნიკაციის უნარი. ✓ განვითარებული აქვს კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის, პროფესიული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები; აქვს ჯგუფში/გუნდში მუშაობის, სუბორდინაციის და ადაპტაციის, დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის, ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობის სახით. აგრეთვე, არავერბალური კომუნიკაციის უნარი. ✓ განვითარებული აქვს კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის, პროფესიული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ✓ შეუძლია სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, ლიტერატურის გამოყენებით დამოუკიდებლად ცოდნის ამაღლება და შემდგომი სწავლის დაგეგმვა; ✓ აქვს დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვის და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი.

- ✓ შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და მისი კრიტიკული შეფასება.
- ✓ აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობას;
- ✓ აქვს საკუთარი ცოდნის და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი;

კვლევის უნარი

- ✓ გაცნობიერებული აქვს ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები, იცნობს კვლევის თანამედროვე სტრატეგიებს, ტრადიციულ და უახლეს კვლევით ტექნოლოგიებს და მეთოდებს;
- ✓ გამომუშავებული აქვს ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის უნარი, პრობლემური საკითხების იდენტიფიკაციისა და ფართო კონტექსტთან მათი დაკავშირების, კვლევით მოპოვებული მასალის ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევები და ფორმალური პროფესიული წერილობითი ენა;
- ✓ იცნობს სამეცნიერო კვლევის წარმართვის ეთიკის პრინციპებს;

ღირებულებები

- ✓ აქვს მედიცინის კონტექსტში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა, შეუძლია პაციენტის უფლებების დაცვა;
- ✓ შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა ნებისმიერ პირთან;
- ✓ კულტურასთან, სქესთან, რელიგიასთან და ჯანმრთელობის რისკთან ასოცირებული ეთიკური ასპექტების, ცრურწმენების და ტაბუსთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული აქვს საკუთარი დამოკიდებულება;
- ✓ პაციენტთან და კოლეგებთან ურთიერთობისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით, პატივს სცემს მათ არჩევანს, აღიარებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და ავტონომიას.

სტომატოლოგია

უმაღლესი განათლების საფეხური:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული სტომატოლოგი

პროგრამის მოცულობა: 300 კრედიტი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:

- ✓ კვალიფიცირებული, კონკურენტუნარიანი, კომპეტენტურისპეციალისტის - დიპლომირებული სტომატოლოგის მომზადება.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტისათვის:

- ✓ პროფილაქტიკურ, დიაგნოსტიკურ და თერაპიულ ღონისძიებათა განსახორციელებად საჭირო საბაზისო და კლინიკ-დისციპლინებში ცოდნის მიცემას;
- ✓ პროფესიული და ემპათიური პრინციპების შესაბამისი კომუნიკაციის უნარების შესწავლას;
- ✓ არანაკლებ ერთი უცხო ენის შესწავლას უცხოელებთან თავისუფალი კომუნიკაციის დონეზე (B2);
- ✓ სამეცნიერო კვლევის პრინციპების და მეთოდების ცოდნის მიცემას;
- ✓ ჯანდაცვის სისტემის საკანონმდებლო საფუძვლების ცოდნას და მათი გამოყენების უნარების ფლობას.

პროგრამის სტრუქტურა

არჩევითი კურსები	10 ECTS კრედიტი
სავალდებულო კურსები	290 ECTS კრედიტი
სულ	300 ECTS კრედიტი

სწავლის შედეგები

სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის - სტომატოლოგია - დასრულების შემდეგ დიპლომირებული სტომატოლოგი ფლობს შემდეგ კომპეტენციებს:

ცოდნა და გაცნობიერება

- ✓ აქვს საბუნებისმეტყველო, ქცევითი, სოციალური და კლინიკური მეცნიერებების ღრმა და სისტემური ცოდნა;
- ✓ იცის ადამიანის ორგანიზმის განვითარების საფუძვლები, მისი მაკრო- და მიკროსტრუქტურა;
- ✓ ასევე ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირების და ფუნქციათა რეგულირების უზრუნველყოფელი მექანიზმები.
- ✓ აცნობიერებს დაავადებათა განვითარების მექანიზმებს.
- ✓ იცის დაავადებათა კლინიკური გამოვლინების, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პრევენციის პრინციპები.
- ✓ აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესახებ ღრმა ცოდნა და აცნობიერებს ექიმი-სტომატოლოგის როლს ამ სისტემაში;
- ✓ აქვს ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ღრმა ცოდნა;
- ✓ აცნობიერებს სტომატოლოგიური კომპლექსური კლინიკური პრობლემების გადაჭრის გზებს;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- ✓ მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია კლინიკური შემთხვევების შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, შესაბამისი სამკურნალო საშუალებებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება; მკურნალობის პოტენციური სარგებელისა და რისკის შეფასება.

- ✓ აქვს მიღებული ცოდნის შესაბამისი პრაქტიკული პროცედურების ჩატარების უნარი;
- ✓ შეუძლია რუტინული სამედიცინო გამოკვლევების ჩატარება;
- ✓ ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის ძირითადი პარამეტრების შესწავლა და შეფასება, ანამნეზის შეკრება, ფიზიკური გამოკვლევების ჩატარება, ვენეპუნქცია, კანქვეშ და კუნთში ინექციის გაკეთება, წამლის ინტრავენურად შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება, კანზე და ლორწოვანზე ნაკერის დადება;
- ✓ სტომატოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა, კვლევის მეთოდების შერჩევა, პათოლოგიური პროცესების კლინიკური შეფასება და მკურნალობის სტრატეგიის შემუშავება და გატარება პირის ღრუს ჰიგიენის რეკომენდაციების შემუშავება პაციენტის ასაკისა და სტომატოლოგიური სტატუსის გათვალისწინებით;
- ✓ სტომატოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის პროცესში საჭიროებისამებრ საანესთეზიო ნივთიერებათა სწორი შერჩევა და ანესთეზირება;
- ✓ კბილის მკურნალობის პროცესში პრეპარირების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება;
- ✓ საბჟენ-სარესტავრაციო მასალათა შერჩევა და ჩვენების მიხედვით მათი სწორად გამოყენება;
- ✓ პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტის დაავადებათა კლინიკური, პარაკლინიკური და ლაბორატორიული ელემენტების იდენტიფიცირება, დიფერენცირება, დიაგნოსტიკა, მკურნალობა;
- ✓ ყბა-სახის მიდამოში ჭრილობების პირველადი დამუშავება და მოვლა; ყბა-სახის მიდამოს სხვადასხვა ეტიოლოგიის დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- ✓ სარძევე და მუდმივი კბილების ექსტაქცია;
- ✓ გადაუდებელი დახმარების ბლოკში ყბა-სახის მიდამოს მწვავე ტრავმის მქონე პაციენტთა მართვაში მონაწილეობა;
- ✓ ორთოპედიულ პათოლოგიათა დიაგნოსტიკა, მკურნალობის გეგმის შედგენა;
- ✓ ორთოპედიული კონსტრუქციის შერჩევა;
- ✓ თანკბილის ანომალიათა დიაგნოსტიკა, მკურნალობის გეგმის შედგენა და შესაბამისი კონსტრუქციის აპარატის შერჩევაში მონაწილეობა;
- ✓ პირისღრუსა და ყბა-სახის მიდამოს ონკოლოგიურ დაავადებათა დიფ. დიაგნოსტიკასა და მკურნალობის ალგორითმის შედგენაში მონაწილეობა;
- ✓ პაციენტის და ექიმ-სტომატოლოგის უსაფრთხოების წესების დაცვა, დეონტოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემების იდენტიფიცირება და სიტუაციის მართვა კომპეტენციის ფარგლებში სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება უწყვეტი სამედიცინო თვით განათლების და გეგმვა/წარმართვა პროფესიული ქცევის და ეთიკის ნორმების ფლობა;
- ✓ გააჩნია მულტიდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი, როგორც რიგით წევრს, ასევე ლიდერს. შეუძლია ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი საქმიანობის კოორდინაცია და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური შეფასება, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვა;
- ✓ შეუძლია სამედიცინო-სტომატოლოგიურპრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება;

დასკვნის გაკეთების უნარი

- ✓ გააჩნია ღრმა კლინიკური აზროვნება;
- ✓ შეუძლია კვლევის არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული ანალიზი, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დიაგნოზის ჩამოყალიბება და დასაბუთება;
- ✓ მტკიცებულებებზე დამყარებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების;
- ✓ ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის, გადაწყვეტილების მიღების და პრაქტიკაში დანერგვის უნარი;
- ✓ რისკის იდენტიფიცირების საფუძველზე პაციენტის დახმარების სტრატეგიის შესახებ დასკვნის გაკეთება;

კომუნიკაციის უნარი

<ul style="list-style-type: none"> ✓ შეუძლია სამედიცინო კონტექსტში ეფექტური წერილობითი და ვერბალური ფორმით საკუთარი აზრების დაშეხედულებების ჩამოყალიბება, დიალოგის წარმართვა მშობლიურ და უცხოურ ენაზე კოლეგებთან და პაციენტებთან თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით; ✓ აქვს ჯგუფში/გუნდში მუშაობის, სუბორდინაციის და ად აპტაციის, დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის, ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობის სახით. აგრეთვე, არავერბალური კომუნიკაციის უნარი. ✓ განვითარებული აქვს კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის, პროფესიული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები;
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> ✓ შეუძლია სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, ლიტერატურის გამოყენებით დამოუკიდებლად ცოდნის ამალევა და შემდგომის წავლის დაგეგმვა; ✓ აქვს დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვის და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი. ✓ შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და მისი კრიტიკული შეფასება. ✓ აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობას; ✓ აქვს საკუთარი ცოდნის და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი;
<p>ღირებულებები</p>
<ul style="list-style-type: none"> ✓ აქვს სტომატოლოგიის და ზოგადად მედიცინის კონტექსტში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა, შეუძლია პაციენტის უფლებების დაცვა; ✓ შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა ნებისმიერ პირთან; ✓ სქესთან, კულტურასთან, რელიგიასთან და ჯანმრთელობის რისკთან ასოცირებული ეთიკური ასპექტების, ცრურწმენების და ტაბუსთან დაკავშირებით საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება; ✓ პაციენტთან და კოლეგებთან ურთიერთობისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით, პატივს სცემს მათ არჩევანს, აღიარებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და ავტონომიას;

სამკურნალო საქმე (ინგლისურენოვანი)

უმალესი განათლების საფეხური: One-circle Medical Education Program “Medicine”

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: Medical Doctor, MD

პროგრამის მოცულობა: 360 კრედიტი

Aim of the Program

Program aims at preparing the specialist with medical academic degree, having sufficient knowledge of basic medical disciplines and general clinical skills needed for working at medical institutions, also using and preserving moral values and ethical principles in practice.

Program objective is organising learning process for the students so that it enables them:

- With the acquisition of the basic courses of the major speciality;
- With the acquisition of obligatory and optional courses provided by the curriculum;
- General clinical skills;
- Ability of critical assessment of scientific and clinical innovations and their use in clinical decision making;
- Acquiring written and verbal communicative skills;
- Knowledge of minimum one foreign language at B2 level;
- Knowledge in basics of healthcare legislation and their application in practice;
- Understanding of continuous medical education and professional development.

Program enables the students to have deep understanding of fundamental medical disciplines, academic and professional skills and accordingly provides basic theoretical and practical knowledge needed for a competitive specialist in the labor market.

Program Structure

Learning outcomes

Knowledge and understanding

- Thorough and systemic knowledge of clinical, behavioral and social sciences, indispensable for medical practice;
- Knowledge of major groups of medicines, their effects and the principles of their prescriptions according to pathologies and diseases;
- Thorough knowledge of the healthcare system and acknowledges the role of the doctor in it;
- Knowledge of ethic and legislative principles;
- Acknowledgment of the ways of solving complex clinical problems

Applying knowledge

According to the acquired knowledge the clinician can identify clinical cases, urgent cases among them, evaluate, diagnose, and connect corresponding medical treatments and medicines with the clinical context, evaluate potential risks and benefits;

- The clinician is able to prescribe the medicines correctly and to take into consideration correlation of the medicines while treatment;
- The clinician is able to evaluate the social and psychological factors affecting the patients (alcohol, drug addiction, disease related stress);
- The clinician is able to manipulate practical procedures according to acquired knowledge;

<ul style="list-style-type: none"> ▪ The clinician is able to work in multidisciplinary group as a leader and as a member, he/she can define the objectives, cooperate with the members of the group, coordinate and adequately evaluate the possibilities of the group members, avoid conflict situations; ▪ The clinician is able to take part in healthcare events; ▪ The clinician is able to integrate biomedical principles, methodology and knowledge in practice and research.
<p>Making judgement</p>
<p>The clinician</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ has deep clinical way of thinking; ▪ Is able to critically analyze incomplete and controversial data, carry out differential diagnosis, formulate the diagnosis and give argumentation. ▪ Is able to make decision based on argumentation, skills and knowledge, revealing strength and weaknesses and the ability of their implementation into practice; ▪ Is able to identify the risks and plan the strategy to help the patient.
<p>Communication skills</p>
<p>The clinician</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ Is able to formulate his/her point of view in effective written and oral form in medical context, conduct the dialogue in native and foreign languages with the patients and colleagues with the help of modern technologies; ▪ Is able to communicate in order to obtain the agreement; ▪ Has the ability to work in team, adapt, observe, understand, be involved in healthcare events; ▪ Has developed creative, innovative skills and the skills of communication on professional matters
<p>Learning skills</p>
<p>The clinician</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ Is able to use a full range of learning-informational resources, run his/ her learning process, use the literature to upgrade and plan his/her future learning process; ▪ Has an ability to organize time, choose the priority, complete the work in the given time; ▪ Is able to get the information through different sources, analyze and critically assess; ▪ Acknowledges the need of continuous upgrading of knowledge and the professional development; ▪ Has the ability to evaluate his/her own knowledge and skills objectively.
<p>Research skills</p>
<p>The clinician</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ Acknowledges empirical research methodological principles, knows modern strategies of research, traditional and the newest technologies and methods of research; ▪ Has the skills of critical reviewing of the literature, identifying problem issues and relating them with a wide context, interpreting the data; ▪ Is aware of ethical principles of research
<p>Values</p>
<p>The clinician</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ Understands ethical and legislative principles and is able to protect the patients; ▪ Is able to negotiate in professional context and avoid conflicts; ▪ Has his/her view related to the ethical aspects of culture, gender, religion and health risks, prejudices and taboo;

- Has social and democratic values in relation with colleagues and patients, respects their choice, and declares the autonomy of private life.

მედიცინა + PBL

უმაღლესი განათლების საფეხური:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი (Medical Doctor, MD)

პროგრამის მოცულობა: 360 კრედიტი

პროგრამის მიზანი

მომზადოს დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება საბაზისო სამედიცინო მეცნიერებების საფუძვლიანი ცოდნა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მუშაობისათვის საჭირო ზოგადი კლინიკური ჩვევები. ასევე მორალური ღირებულებებისა და ეთიკური პრინციპების სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენებისა და დაცვის უნარი. პროგრამის ამოცანაა – სასწავლო კურსების შინაარსის/მოცულობის, ასევე სწავლებისა და სწავლის იმგვარი ორგანიზება, რომელიც ხელს შეუწყობს:

- საბაზისო სამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებებში თანამედროვე ცოდნის მიღწევას. პროგრამით გათვალისწინებული საფაკულტეტო, სავალდებულო კლინიკური და არჩევითი კურსების შესწავლას;
- სწავლების შესაბამისი საფეხურისთვის აუცილებელი კლინიკური უნარ-ჩვევების და მულტი-პროფესიულ გარემოში პაციენტზე ორიენტირებული კომპეტენციების გამომუშავებას;
- სამეცნიერო და კლინიკური სიახლეების კრიტიკული შეფასების უნარის განვითარებას და მათ გამოყენებას კლინიკური პრობლემის გადასაწყვეტად;
- წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების შეძენას;
- ჯანდაცვის სისტემის საკანონმდებლო საფუძვლების ცოდნას;
- მომავალი პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებების აღზრდას;
- უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და პროფესიული ზრდის აუცილებლობის გაცნობიერებას და განვითარებისთვის მზადყოფნას.

შენიშვნა: პროგრამა უზრუნველყოფს რა ფუნდამენტური სამედიცინო დისციპლინების შესწავლას, აკადემიური და პროფესიული კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას, შესაბამისად იძლევა კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების შესაძლებლობას.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიების და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; საბუნებისმეტყველო, ქცევითი, სოციალური და კლინიკური მეცნიერებების ღრმა და სისტემურ ცოდნას;
- იცის წამლების ძირითადი ჯგუფები, მათი მოქმედების და დანიშვნის პრინციპები პათოლოგიური მდგომარეობების და დაავადებების მიხედვით;
- აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესახებ ღრმა ცოდნა და აცნობიერებს ექიმის როლს ამ სისტემაში (ინდივიდუალური/ოჯახური გარემოს კონტექსტში, თუ პოპულაციაში ზოგადად);
- აქვს ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ღრმა ცოდნა;
- აცნობიერებს კომპლექსური კლინიკური პრობლემების მნიშვნელობას და იცნობს მათი გადაჭრის გზებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია კლინიკური შემთხვევების, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების, შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, შესაბამისი სამკურნალო საშუალებებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება; მკურნალობის პოტენციური სარგებელისა და რისკის შეფასება;

- შეუძლია სამკურნალო საშუალებებისადმი სელექციური მიდგომა. და მკურნალობის დანიშნისას მედიკანტების თავსებადობის გათვალისწინება;
- შეუძლია დაავადების გამოვლინებებისა და პაციენტზე ზემოქმედების სოციალური (ალკოჰოლზე და წამალზე დამოკიდებულება) და ფსიქოლოგიური (დაავადებასთან დაკავშირებული სტრესი) ფაქტორების შეფასება;
- შეუძლია საბაზისო კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება, პაციენტისაგან ინფორმაციის/ანამნეზის შეკრების ჩათვლით. ასევე ფიზიკური გამოკვლევის წარმოება, საჭირო დიაგნოსტიკური პროცედურების შერჩევა და მათი შედეგების ინტერპრეტირება;
- აქვს საჭირო პრაქტიკული პროცედურების ჩატარების უნარი და/ან იცნობს, ჩატარებულია აქვს მულაჟზე და/ან ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ და/ან ნანახი აქვს პროცედურები დონეზე, კერძოდ: წნევის გაზომვა, ვენეპუნქცია, ლუმბალური პუნქცია, ვენაში კათეტერის ჩადგმა, ინფუზია/ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება, ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში, ჟანგბადის მიწოდება, რევერალში მონაწილეობა, შარდის ბუმტის კათეტერიზაცია და შარდის ანალიზის გაკეთება, სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება, ე.კ.გ. გადაღება/ინტერპრეტაცია, სისხლის და სისხლის შემცვლელულების გადასხმა, ნაკერის დადება, ფიზიოლოგიური მშობიარობის მართვა, ანტენატალური გამოკვლევა (მათ შორის სამშობიარო ჰოსპიტლის მიმდებში), შესაბამისი ჩანაწერების წარმოება, პათოლოგიური ნიშნების ამოცნობა, ადეკვატური მოქმედება, ახალშობილის მდგომარეობის შეფასება, გინეკოლოგიურ პაციენტთა გამოკვლევა/მკურნალობა);
- გააჩნია მულტიდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი, როგორც რიგით წევრს, ასევე ლიდერს. შეუძლია ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი საქმიანობის კოორდინაცია და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური შეფასება, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვა;
- შეუძლია ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობა როგორც ინდივიდის, ისე პოპულაციის დონეზე;
- შეუძლია ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში; კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

დასკვნის გაკეთების უნარი

- შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი სპეციფიური მეთოდის გამოყენებით, კვლევის არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული ანალიზი, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დიაგნოზის ჩამოყალიბება და დასაბუთება, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- აქვს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის და პრაქტიკაში დანერგვის უნარი;
- შეუძლია რისკის იდენტიფიცირების საფუძველზე პაციენტის დახმარების სტრატეგიის შესახებ დასკვნის გაკეთება.

კომუნიკაციის უნარი

- შეუძლია სამედიცინო კონტექსტში ეფექტური წერილობითი და ვერბალური ფორმით საკუთარი აზრების და შეხედულებების ჩამოყალიბება, დიალოგის წარმართვა მშობლიურ და უცხოურ ენაზე კოლეგებთან და პაციენტებთან, მათ შორის თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით;
- შეუძლია კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მისაღებად;
- დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის, ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობის სახით. აგრეთვე, არავერბალური კომუნიკაციის უნარი;

<ul style="list-style-type: none"> - განვითარებული აქვს კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის, პროფესიული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.
<p>სწავლის უნარი</p>
<ul style="list-style-type: none"> - შეუძლია სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, ლიტერატურის გამოყენებით დამოუკიდებლად ცოდნის ამაღლება და შემდგომი სწავლის დაგეგმვა; - აქვს დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვის და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი; - შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და მისი კრიტიკული შეფასება; - შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა; - აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობას.
<p>ღირებულებები</p>
<ul style="list-style-type: none"> - აქვს მედიცინის კონტექსტში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა, შეუძლია პაციენტის უფლებების დაცვა; იმ დამოკიდებულებების დემონსტრირება, რომელიც საჭიროა პაციენტთა დახმარების მაღალი სტანდარტის მისაღწევად; - შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა ნებისმიერ პირთან; - კულტურასთან, სქესთან, რელიგიასთან და ჯანმრთელობის რისკთან ასოცირებული ეთიკური ასპექტების, ცრურწმენების და ტაბუსთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული აქვს საკუთარი დამოკიდებულება; - პაციენტთან და კოლეგებთან ურთიერთობისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით, პატივს სცემს მათ არჩევანს, აღიარებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და ავტონომიას; - მონაწილეობს რა ღირებულებების ფორმირების პროცესში, ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.

ერთწლიანი პროგრამა

პედაგოგიური ფაკულტეტი

მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამა

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი

პროგრამის მიზანი

